

ကျွန်ုပ်တို့နှင့် ဖြစ်အံ့အရာများ

5
2010



სახელ-პეცენიზების თეატრალურ ფესვადაც „ბალეტური სახლი“ ი. მთვანაძეაღის თეატრის სცენაზე განხორციელებულა. ლეგან წულაძის სპექტაკლი „ქალი ძაღლი“ დიდი წარმატება მოიპოვა და „მთაწმინდის სამკაოების“ პრიზი დაიმსახურა.



ეუნივერსალი „თეატრი და სცენა“ მიმდინარე წელს გამოდის ქალაქ თბილისის ძეგლის თეატრის-სტუდიის მიერ, რისთვისაც მადლობას მოვასწავებთ ქალაქ თბილისის ძეგლის ბატონ გივი უკუგლავს.

თეატრი და ცხოვრება

რედაქტორი
გურამ
ბათიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი

ნილო პაჭაშანიანი

5
2010
სექტემბერი
ოქტომბერი

1910-1926 „თეატრი და ცხოვრება“
1950-1990 „თეატრალური მოამბე“

შემოქმედებითი კავშირი - საქართველოს თეატრალური საზოგადოება

UDC 792(479.22)

თ-391

შინაარსი

შემოქმედებითი კავშირი - „საქართველოს
თეატრალური საზოგადოების“ ყრილობა ----- 4

როგორც სტურუა - წერილი რუსთაველის თეატრის
დასს ----- 12

სპექტაკლები

ნოდარ გურაბანიძე - „მოდო სიკვდილო,
გენალმაგი, ჩემს გზას სურს ასე“ ----- 13

თამარ ცაგარელი - თბილისის II საერთაშორისო
თეატრალური ფესტივალი - დიდი შემოქმედებითი
იმპულსი ----- 16

საფესტივალო სპექტაკლების ირგვლივ ----- 27

ირინე გოგობერიძე - პარაფიქსის სამკუთხედსა და
იდეალურ სამეულს შორის ----- 34

ახალი წიგნების წარდგინება ----- 36

თამარ კიკნაველიძე - SEAS - საზოგადოებრივი
გამაცოცხლებელი ფესტივალი ----- 41

ისტორია

ნათელა ურუშაძე - ნიკო გოცირიძე ----- 46

ნათია კოპაღეიშვილი - დოკუმენტური
კინოს ისტორიის ზოგიერთი — ჩვეული და
იმპროვიზებული ფორმები ----- 49

მწერლის არქივიდან

ოთარ ჩხეიძე - დროდადრო ----- 51

მემუარები

ვასილ კიკნაძე - გამოთხოვება მოგონებებთან --- 59

სანდრო მრავლიშვილი - გიორგი ტოვსტონოგოვის
სარეჟისორო გაკვეთილები ----- 63

დრამატურგია

ირაკლი სამსონაძე - ინდაურის კვერცხი - 2 ----- 68

ვასილ კიკნაძე - ღვაწლმოსილი ----- 83

თამარ ქუთათელაძე - კოტე ნინიკაშვილის შვიდი
ახალი წიგნი ----- 84

გამოთხოვება

კარლო საკანდელიძე ----- 87

Contents

The Congress of Creative Union - Theatre Society of Georgia --4

Robert Sturua's letter to The Company of Rustaveli Theatre---- 12

Performances

Nodar Gurabanidze – Shakespeare’s `Romeo and Juliet` in
Kutaisi Drama Theatre ----- 13

Tamar Tsagareli – Tbilisi II International Festival of Theatre -
Great Creative Impulse ----- 16

About Festival Performances ----- 27

Irene GoGoberidze - Between Bermuda Triangle and The Ideal
Triplet ----- 34

Presentation of New Books ----- 36

Tamar Kiknavelidze - SEAS - The Seaports’ Life-giving Festival-41

History

Natela Urushadze – Niko Gotsiridze ----- 46

Natia Kopaleishvili - General and Improvised Forms - Something
of the Documental Film’s History ----- 49

From a Writers Archives

Otar Chkheidze - From Time to Time ----- 51

Memoir

Vasil Kiknadze - Farewell with Memories ----- 59

Sandro Mrevlishvili – Giorgi Tovstonogov’s directional
lessons ----- 63

Plays

Irakli Samsonadze – Turkey-egg - 2 ----- 68

Vasil Kiknadze – Honoured ----- 83

Tamar Kutateladze - Kote Ninikashvili’s Seven New Books -- 84

Obituary

Carlo Sacandeliidze ----- 87




შემოქმედებითი კავშირი - „საქართველოს თეატრალური
საზოგადოების“ თავმჯდომარე
ბიორბი ქავთარაძე

შემოქმედებითი კავშირი - საქართველოს თეატრალური საზოგადოება. მორიგი ყრილობა

20 სექტემბერს გაიმართა შემოქმედებითი კავშირი - „საქართველოს თეატრალური საზოგადოების“ მორიგი ყრილობა.

ყრილობას 169 დელეგატიდან ესწრებოდა 121 დელეგატი. ყრილობის თავმჯდომარეობის კანდიდატებად დაასახელეს კოტე ნინიკაშვილი და ვანო იანტბელიძე. კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით ყრილობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა **კონსტანტინე ნინიკაშვილი**.



კონსტანტინე ნინიკაშვილმა ყრილობას დღის წესრიგი გააცნო:

1. შემოქმედებითი კავშირი - საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის ანგარიში განეული მუშაობის შესახებ. მომხსენებელი - საზოგადოების თავმჯდომარე გრიგოლ (გიგა) ლორთქიფანიძე;

2. სარევიზიო კომისიის ანგარიში;

3. წესდებაში ცვლილებებისა და განმარტებების შეტანა (მომხსენებელი სანდრო მრეველიშვილი) - საქართველოს თეატრალური საზოგადოების წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება;

4. შემოქმედებითი კავშირი - საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის, პრეზიდიუმის, თავმჯდომარის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობის დელეგატებმა და დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით და ფეხზე წამოდგომით პატივი მიაგეს საანგარიშო პერიოდში გარდაცვლილ თეატრის მოღვაწეთა

და აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნას.


განვლილი მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საზოგადოების თავმჯდომარე გიგა ლორთქიფანიძე. მან მოკლედ მიმოიხილა საანგარიშო პერიოდში წამოჭრილი პრობლემეტიკა, აღნიშნა ის სირთულეები, რაც იდგა შემოქმედებითი კავშირის წინაშე.

- ოცდახუთი წელი ვიყავი ამ თანამდებობაზე — აღნიშნა გ. ლორთქიფანიძემ — და ამ ხნის განმავლობაში ძნელია ჩამოთვალო ყველა ის პრობლემა, რაც აწუხებდა კავშირს, მაგრამ ისინი დაძლეულ იქნა. მთავარია, რომ შევინარჩუნეთ კავშირის შენობა, განვაახლოთ ბოზოყვათის დასასვენებელი სახლი. ბიზნესმენ გუჯა ბუბუტიეშვილის თანადგომით. ქობულეთთან, ნაცვლად დანგრეული სახლისა, ახლად აშენებულ კოტეჯებში უკვე მესამე სეზონია შეღავათიანი საგზურებით ისვენებენ თეატრის მოღვაწეები. შევინარჩუნეთ ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდით ჩვენს წევრებს. ეს იყო ურთულესი ხანა, რომელიც ყველამ ერთად გავიარეთ. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა: ბათუმის, სოხუმის ქართული თეატრის, რუსთავის, ახმეტელის თეატრების საიუბ-

ილეო საღამოები. გაიცა სახელობითი და ყოველწლიური პრემიები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქალაქ თბილისის მერიის თანადგომა წლევეანდელი გაზეთ „ქართული თეატრის დღისა“ და ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ მიმართ.

დელეგატებს წერილობით დაურიგდათ სარევიზიო კომისიის ანგარიში. საანგარიშო მოხსენებებით გამოვიდნენ: თეატრალური საზოგადოების აჭარის განყოფილების თავმჯდომარე ნოდარ იაკობაძე და ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე ლევან როხვაძე.

ნოდარ იაკობაძე :



- როდესაც 2004 წელს ამირჩიეს თეატრალური საზოგადოების აჭარის განყოფილების თავმჯდომარედ, ჩემმა წინამორბედმა აჭარაში არსებული თეატრალური საზოგადოების ქონება: სახარმოდო კომბინატის სამსართულიანი შენობა, მალაზიისა და აფთაქის ფართები გასხვისებული დაგვახვედრა, ხოლო ბობოყვათის ხელოვანთა დასასვენებელი სახლი — დანგრეული. ერთადერთი ობიექტი, რომელიც შემოგვრჩა ბათუმში, ეს იყო რუსთაველის ქუჩა №10-ში მდებარე ოფისი, რომელიც აჭარის განყოფილების ყოფილმა თავმჯდომარემ დაიკავა, არ გამოანთავისუფლა და სადავოდ შეგვიქმნა.

ის ჩვენ გვედავებოდა ოფისს ქალაქზე შექმნილი, არარსებული, არაფუნქციონირებადი „ხელოვანთა ლიგის“ სახელით, რომელიც შედგებოდა ორი წევრის — თავმჯდომარისა და მოადგილისაგან. იძულებული გავხდით მიგვეძარტა სასამართლოსათვის, რათა დაგვებრუნებინა ჩვენი გასხვისებული ობიექტები და ოფისი.

ჩვენი არქივი შეგნებულად განადგურებული დაგვხვდა, ამიტომ სხვადასხვა არქივებში მოვიძიეთ თეატრალური საზოგადოების ქონების საკუთრების დამადასტურებელი საბუთები. ოთხი წელი დასჭირდა სასამართლო დავებს (მოგეხსენებათ, რომ ამას ჭირდებოდა უამრავი დრო, ნერვები და ფინანსები). რასაც მივალნიეთ იყო ის, რომ ბათუმის მერიამ ჩვენი ოფისიდან გამოასახლა ჩვენი მოდავენი და ოფისი, როგორც სადავო ობიექტი, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს გადასცა გასაყიდად.

საქართველოს მთავრობისადმი ჩვენი მრავალჯერადი მოთხოვნის საპასუხოდ, როგორც იქნა, აჭარის მთავრობას დაევალა, დაებრუნებინა ოფისი თეატრალური საზოგადოების აჭარის განყოფილებისათვის.

სამწუხაროდ, აღნიშნული ობიექტი 2009 წლის თებერვლის თვეში, ჩვენზე გადმოცემის სანაცვლოდ, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროდან, პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლოურ ფასად გადასცეს არარსებულ, ქალაქზე შექმნილ „ხელოვანთა ლიგას“, რომლის ხელმძღვანელმა გადაცემიდან ერთ თვეში კერძო პირს მიჰყიდა.

იქ, სადაც ვატარებდით შემოქმედებით შეხვედრებს, გამოფენებს, ვდგამდით სპექტაკლებს, დღეს პიცერიაა გახსნილი. ფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში საქართველოს მთავრობა შეცდომამი შეიყვანეს. ჩვენ კი ქუჩაში აღმოჩნდით, შეგვიპირდნენ ალტერნატიული ფართის გადმოცემას, რომელსაც ორი წელია ველოდებით.

მიუხედავად განვლილი სირთულეებისა, აჭარაში თეატრალური საზოგადოება ფუნქციონირებს და ბევრ საინტერესო საქმეს აკეთებს.

საქმიანი ურთიერთობა დავამყარეთ აჭარის მთავრობასთან, აჭარის მერიასთან, აჭარის კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან. მათი ფინანსური მხარდაჭერით ვატარებდით საიუბილეო შეხვედრებს, საღამოებსა და სპექტაკლებს. ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში ვაცხადებთ ყოველწლიურ კონკურსს „საუკეთესო სცენური ნაწარმოების შექმნისთვის“, ყოველი წლის 27 მარტს - თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ზეიმზე, ვაჯილდოვებთ კონკურსში გამარჯვებულებს და გავცემთ პრემიებს სხვადასხვა ნომინაციაში.

აჭარაში, შუამთობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ასევე დავანესეთ თეატრალური კვირეულის ჩატარება კურორტ ბეშუმში — აჭარის მაღალ მთიანეთში, სადაც ყველა თეატრიდან ჩაგვაქვს თითო სპექტაკლი და უფასოდ ვუჩვენებთ ადგილობრივ მოსახლეობასა და დამსვენებლებს.

მინდა მოგახსენოთ, რომ ბატონი გიგა ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით ბობოყვათში შეოთხე წელია ფუნქციონირებს დასასვენებელი კოტეჯები, სადაც ბევრმა ხელოვანმა დაისვენა. აჭარის განყოფილებას დავალებული აქვს ამ კოტეჯების მოვლა-პატრონობა და ფუნქციონირება. წელს, დამსვენებელთა უკეთ მომსახურების მიზნით, ჩვენი სახსრებით ავამენეთ ახალი სამზარეულო და კეთილმოვანყეთ სასადილო.

მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ გიგას იმ ყურადღებისათვის, რასაც ის იჩინდა აჭარის განყოფილების მიმართ: არაერთი თხოვნა, წერილი თუ სატელეფონო საუბარი ჰქონდა მას აჭარის ხელმძღვანელობასთან, რათა წართმეული ქონება დაგვებრუნებინა.

დიდი მადლობა ბატონო გიგა, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებას. ახლადარჩეულ თავმჯდომარეს კი ვუსურვებ, სასიკეთო საქმეების კეთებას და ვთხოვდი თანადგომას, იქნებ, გამოინახოს ფართი ბათუმში, სადაც ჩვენი განყოფილება განთავსდება.

ლევან როზვაძე:

- ბოლო წლებში ქუთაისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა — მაჯისცემა აჩქარდა და ქვეყანაში გაყინული თეატრალური ცხოვრებაც გამოცოცხლდა.



არ გესწავლებათ, თუ როგორი მდიდარი თეატრალური ტრადიციების მქონე ქალაქია ქუთაისი და, საერთოდ, იმერეთის მხარე. მიძიმე წლები მემკვიდრეობით წყევლასავით გამოგვყვა და დღეს თეატრალური ქუთაისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სრული ანშლაგით ვერ ცოცხლობს. ჩვენი მცდელობა, მაქსიმალურად გაგვეძლიერებინა თეატრალთა მუხტი, ნაწილობრივ შევძელით და სწორედ ამ სიტყვების გაგრძელებას მოგახსენებთ მოკლედ.

შემთხვევით არ უნოდებდა ილია მართალი თეატრს „სულის სარკეს“, რადგან თეატრს სულივით ფაქიზი დამოკიდებულება სჭირდება. ამიტომაც, ჩვენი საზოგადოება ჩვეულ რიტმში აგრძელებს საქმიანობას, თეატრალურად, თეატრების მმართველებთან, ქალაქისა და საკრებულოს ხელმძღვანელობასთან უაღრესად თბილი, კეთილი და საქმიანი დამოკიდებულებით ვახერხებთ კიდევ ვაკეთოთ საქმე.

ტრადიციულად გრძელდება ჩვენთან შეხვედრა და დიალოგების ციკლი, რომელიც მსახიობებისა და მაყურებლის დაახლოებას ემსახურება.

ჟურნალს კვარტალურად, წელიწადში ორჯერ მაინც გამოვცემთ. ჟურნალი აქტიურად მუშაობს. იგი ამცნობს მკითხველს ჩვენთან და არა მარტო ჩვენთან მიმდინარე საინტერესო თეატრალურ პროცესებს.

მნიშვნელოვან ფაქტად მიმაჩნია „შემოქმედებითი სალონის“ დაარსება. აქ ეწყობა შეხვედრები თეატრალური ხელოვნების ყველა დარგის ღირსშესანიშნავ წარმომადგენელთან.

განვაახლეთ საზოგადოებასთან არსებული თეატრის - „თეატრი მეორე სართულზე“ მუშაობა. აქ იდგმებოდა და იდგმება ღირსეული სპექტაკლები. თეატრის კარები ყოველთვის ღიაა ახალგაზრდებისათვის, ახალი თეატრალური ნამოწყებებისათვის. მათ უზანგაროდ ვუთმობთ თეატრის სცენას.

ჩვენს სინამდვილეში განყოფილების დახმარებით პირველად ჩამოყალიბდა პანტომიმის თეატრი.

არ ვივინყებთ თეატრის გარეთ დარჩენილ მსცოვან მოღვაწეებს და სიტბოს და სიყვარულს არ ვაკლებთ მათ. (ნათელა სალარაძე — საქართველოს სახ. არტისტი, მოკითხვას გითვლით).

არც ერთი პრემიერა, იუბილე და ჩვენთან ჩამოყალიბებული დასი არ დაგვრჩენია ყურადღების გარეშე.

ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასული მრავალი მსახიობი დაგვაკლდა.

ასევე ვზუხვარ ან გარდაცვლილი მსახიობების სიმრავლესაც.

ახლახან გამოგვაკლდნენ ქალბატონები ნესტან კვიციანი და ნინო ეჯიბაია. ისინი ძალიან უყვარდა ქუთათურ მაყურებელს, ნათელი მათ ხსოვნას! ვისხენებ მათ და მომავალშიც მოვანყობთ მათი ხსოვნის სალამოებს.

ლადო მესხიშვილის სახელოვან თეატრს სათავეში ნიჭიერი ახალგაზრდა რეჟისორი გიორგი სიხარულიძე ჩაუდგა. მან თავისი ახალი ხედვით ახალ სიმაღლეზე აიყვანა თეატრის შემოქმედებითი ცხოვრება. ვფიქრობ, წინ მრავალი წარმატება ელით ჩვენ გამორჩეულ მესხიშვილებს. შეგახსენებთ, მომავალ წელს ასორმოცდაათი წელი უსრულდება დასავლეთ საქართველოს თეატრალურ ფლაგმანს.




სახელობითი ვარსკვლავების გახსნას ერემია სვანაძის, ანზორ ხერხაძის და ქალბატონ ევა ხუტუნაშვილის ვარსკვლავების გახსნით ვინწყებთ.

უმოკლეს ვადაში ევროპაში გამორჩეული ოპერისა და ბალეტის თეატრი გვექნება. თეატრის მმართველი როზა დვალისძე თავდადებული ქალბატონია. მალე თეატრის შემოქმედებითი მხრითაც ვიამაყებთ.

ფინანსური პრობლემები მოუხსნა და ახალგაზრდა თაობა მოიზიდა თოჯინების თეატრის მმართველმა ია იაშვილმა.


ჭიათურისა და ზესტაფონის ტრადიციული სახელმწიფო თეატრების მმართველები:



ნანა წერეთელი და რენე აბესაძე დღეისათვის მონოდების სიმალღეზე დგანან.

აქვე მინდა ყრილობას მოვახსენო და სამინისტროს ვთხოვო, რომ სახელმწიფო თეატრები ორმაგ დაქვემდებარებაზე, ორმაგ დაფინანსებაზე გადავიდეს, რათა ოდნავ მაინც წაეხმარონ ცენტრიდან.

კიდევ ერთი ჩვენი გულისტკივილი გამოწვეულია ქალაქის და რეგიონის დამოუკიდებელი და მოყვარული თეატრებისადმი უყურადღებობით. აბა, რა უნდა დავარქვათ იმ ფაქტს, რომ სატირისა და იუმორის თეატრის ხელმძღვანელი გიზო კაკაურიძე, „ნიღბების თეატრის“ ხელმძღვანელი დავით ჯიშკარიანი, „ბერიკების



თეატრის“ ხელმძღვანელი ლევან გაბრიჭიძე, იმერეთის ყველა ქალაქის მოყვარული თეატრები გაჩერებული რომ არიან? თუ ეს გვეპატიება, კი ბატონო.

იქნება სამინისტროს ძალისხმევით, ყრილობის თხოვნით გადაიხედოს, როგორც სადადგმო, ისე სახელფასო ანაზღაურებები.

გაიშვიათდა თეატრალური კრიტიკოსების სტუმრობაც. მოგვენატრა ფესტივალები და კონფერენციები, რომლებიც გამოაცოცხლებდა რეგიონისა და ქუთაისის თეატრალურ ცხოვრებას.


და ბოლოს, ჩემი ჩუმი ნატვრა, ამჟამად ხმამაღლა გაცხადებული: ისევ გრძელი რიგი სალაროებთან, თეატრის მოღანეთა მაღალი ანაზღაურება, ბაგრატიის ტაძრის აღდგენა, ახმინებული და გაძლიერებული მიტოვებული სოფლები და ქალაქები, დავით აღმაშენებლის საქართველო, მენატრება ერისა და ბერის ერთად ყოფნა.

მოახლოებულ ღვთისმშობლის დღესასწაულს მოგილოცავთ, კათალიკოს-პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევა შეენიოს ჩვენს ერს. უფალი გვარავდეთ!

ჩემს გამოსვლას ჩვენი საყვარელი პოეტის, ჯანსუღ ჩარკვიანის სტრიქონებით დავასრულებ:

ვიყოთ ქრისტესმიერი და
კეთილ სულში ჩართული
სული? სული ძველი განვაახლოთ
სული - ნაღდი ქართული.

შემოქმედებითი კავშირი — საქართველოს თეატრალური საზოგადოების და განყოფილებების მუშაობა დადებითად იქნა შეფასებული.



სანდრო მრევლიშვილმა ისაუბრა ყრილობის წესდებაში შესატანი ცვლილებების თაობაზე, დამსწრეთ გაახსენა, რომ ეს ცვლილებები გამოქვეყნებული იყო ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 2010 წლის №2-ში. მან განიხილა წესდების პუნქტები, რომლის მიხედვითაც ყრილობის პერიოდულობა განისაზღვრა 5 წლით, გამგეობის წევრთა რაოდენობა — 49 წევრით, პრეზიდიუმის წევრთა შემადგენლობის საკითხი (არა უმცირეს 7 და არა უმეტეს 11 წევრისა), რომელსაც გამგეობა ამტკიცებს, გადაწყდა ამგვარად — არჩევნებში გამარჯვებულად ჩაითვალა 50% + 1 ხმათა რაოდენობა. ხმების მოუგროვებლობის შემთხვევაში კი მეორე ტურში I-II ადგილზე გასული კანდიდატების ხმათა უმრავლესობით არჩევა. ასევე განიხილა პუნქტები, რომელთა მიხედვითაც თავმჯდომარის წარდგინებით



შემოქმედებითი კავშირი - „საქართველოს თეატრალური
საზოგადოების“ საპატიო თავმჯდომარე
გიგა ლორთქიფანიძე

პრეზიდენტის ნევრთა რიგებიდან მტკიცდება თავმჯდომარის პირველი მოადგილის კანდიდატურა, რომელიც ცვლის თავმჯდომარეს მისი დროებით არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის ნარდგინებით მტკიცდება თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც არის პრეზიდენტის ნევრი და პასუხისმგებელი საფინანსო-საწარმოო და სამეურნეო საქმიანობაში, კავშირის თავმჯდომარეს ირჩევს ყრილობა წარმოდგენილი დელეგატებიდან 5 წლის ვადით პირდაპირი, ფარული ან ღია კენჭისყრით ალტერნატიულ საფუძველზე მისი ხელახალი არჩევის უფლებით არა უმეტეს ორი ვადისა. რაიმე საკითხზე თავმჯდომარესა და პრეზიდენტს შორის კონსენსუსის მიუღწევლობის შემთხვევაში, უზენაესია პრეზიდენტის გადაწყვეტილება. განსაკუთრებულ შემთხვევაში კავშირის ყრილობის გადაწყვეტილებით შეიძლება ჰყავდეს საპატიო თავმჯდომარე (პრეზიდენტი).

ყრილობის წესდებაში შესატანი ცვლილებების შესახებ იმსჯელებს: **დავით ანდლულაძემ, ნათელა არველაძემ და შოთა გლურჯიძემ.** მათი აზრით, საზოგადოების გამგეობას აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღოს ცვლილებების დამუშავებაში ყრილობამდე. ნ. არველაძემ მოითხოვა ყრილობის გადადება მისი სათანადოდ მოუმზადებლობის საბაბით, რასაც ყრილობის დამსწრეთა უმრავლესობა გამართული კენჭისყრის შედეგად არ დაეთანხმა. ნ. არველაძე არ დაეთანხმა ასევე საპატიო თავმჯდომარის თანამდებობის შემოღებას, მაგრამ ამ მხრივაც უმცირესობაში მოექცა.

წესდების შესახებ მსჯელობის შემდეგ დელეგატები მივიდნენ დასკვნამდე, რომ წესდებაში ცვლილებები არ ყოფილიყო. შეტანილი ახუ წარმოდგენილი ცვლილებებიდან ყრილობამ მხოლოდ ორი — საპატიო თავმჯდომარის თანამდებობის შემოღების საკითხი და გამგეობის შემადგენლობის 49 პიროვნებით განსაზღვრა განიხილა და ხმათა უმრავლესობით აირჩია და **დაამტკიცა გიგა ლორთქიფანიძე** საპატიო თავმჯდომარედ.

სოხუმის თეატრის პრობლემებზე ისაუბრა **დიმიტრი ჯაიანმა.** პანტომიმის თეატრის წარმატებული შემოქმედებითი მოღვაწეობა და შექირვებული ეკონომიკური მდგომარეობა დამსწრეთა გააცნო მისმა ხელმძღვანელმა **ამირან შალიკაშვილმა.** ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ პრობლემებზე ისაუბრა **გურამ ბათიაშვილმა.** მან გ. ლორთქიფანიძეს გადაუხადა მადლობა იმის გამო, რომ საქართველოსთვის მიძიე, კრიზისულ წლებში შენარჩუნებულ იქნა ჟურნალის სიცოცხლისუნარიანობა. მოზარდ მაყურებელთა თეატრის მართვისა და ორგანიზაციული საკითხების მოუგვარებლობაზე ისაუბრა **ოთარ ბალათურიამ.** ქართული თეატრის მდგომარეობის შესახებ იმსჯელებს: **ალექსანდრე ქანთარია, შერაზ თავაძემ, ფატი ფულარიანმა.**



არჩევნები ჩატარდა მოქმედი წესდების მიხედვით. კრების თავმჯდომარემ ყრილობას წარუდგინა გამგეობის და სარევიზიო კომისიის შემადგენლობის პროექტი.

დარბაზიდან დელეგატებმა გამგეობის პროექტს დაუმატეს შვიდი კანდიდატურა: **დარეჯან ჭამაური, გუბაზ მეგრელიძე, ცისანა ჯანაშია, დავით დვალისვილი, ჯეირან ფაჩუაშვილი, ლევან სვანაძე, გია ჯაფარიძე.**

გამგეობის ნევრობის კანდიდატთა რაოდენობა, შესაბამისად, გაიზარდა 56-მდე, წესდების მიხედვით, ასარჩევი იყო 49 ნევრი.

სარევიზიო კომისია, რომელშიც 5 ნევრი იყო ასარჩევი, 5 დელეგატით დაკომპლექტდა: **მამუკა ცერცვაძე, დიმიტრი ხეთისიაშვილი, აკაკი კუჭუხიძე, თამაზ გოლაძე, ლევან გაბრიჭიძე.**



დარბაზში წამოაყენეს წინადადება, რომ გამგეობის, სარევიზიო კომისიისა და თავმჯდომარის არჩევნები ჩატარებულიყო ერთიანად.


დარბაზიდან იქნა დასახელებული შემოქმედებითი კავშირი - საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარეობის კანდიდატები.

ნოდარ გურამბანიძემ წამოაყენა **სანდრო მრეველიშვილის** კანდიდატურა. მან აღნიშნა, რომ ის ყველასათვის ცნობილი, ნიჭიერი შემოქმედი და ასევე, ნიჭიერი ორგანიზატორია. „ბოლოს და ბოლოს, სამი თეატრი შექმნა ამ ერთმა რეჟისორმა. ეს არ არის ცოტა. ეს დიდი ღვაწლია.“

თემურ ჩხეიძემ თავმჯდომარეობის კანდიდატად დაასახ-

ელა გიორგი ქავთარაძე, მან მნიშვნელოვნად შეაფასა გიორგი ქავთარაძის მოღვაწეობა ქართულ თეატრში და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი მის პიროვნულ თვისებებს - კომუნიკაბელობასა და სიტბოს, რომელსაც იჩენს ყოველი პიროვნების მიმართ.

მერაბ თავაძემ წამოაყენა ალექსანდრე ქანთარიას კანდიდატურა. მან ისაუბრა მისი ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის შესახებ თელავისა და თბილისის თეატრებში, მის აქტიურ პოლიტიკურ აზროვნებასა და მსოფლმხედველობაზე. სწორედ პოლიტიკური მსოფლმხედველობის განსხვავებულობისა და ხელისუფლებისადმი ოპოზიციური განწყობის გამო ალ. ქანთარიამ არ მოინდომა თავმჯდომარეობის პოსტისთვის ბრძოლა და მოხსნა თავისი კანდიდატურა.



შოთა გლურჯიძემ ისაუბრა დავით ანდლულაძის აქტიურ შემოქმედებით უნარსა და შესაძლებლობებზე. აღნიშნა, რომ მიუხედავად მისი ახალგაზრდა ასაკისა, მან უკვე შეძლო საკუთარი კვალი დაემჩნია ქართული თეატრის შემოქმედებითი ცხოვრებისათვის.

თავმჯდომარეობის კანდიდატებმა დაწვრილებით ისაუბრეს თავიანთი შემოქმედებითი ხედვებისა და საზოგადოების სამომავლო საქმიანობის თაობაზე.

ყრილობამ დაასახელა ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობა: იოსებ ბაკურაძე, მანანა თევზაძე, მაია პაქსაშვილი.

შესვენების შემდეგ რეგისტრაცია გაიარა ყრილობის ასსამმა (103) დელეგატმა. დარიგებულ იქნა სამი სახის ბიულეტენი: გამგეობის წევრების, სარევიზიო კომისიის წევრებისა და თავმჯდომარეობის კანდიდატების ბიულეტენები.

ხმის დამთვლელი კომისიის წევრმა მაია პაქსაშვილმა ყრილობას გააცნო კენჭისყრის შედეგები:

გამგეობის შემადგენლობაში არჩეულ იქნა 49 წევრი.

მის შემადგენლობაში კენჭისყრის შედეგად ვერ მოხვდნენ: ქეთევან კიკნაძე, ცისანა ჯანაშია, ნანა წერეთელი, გუბაზ მეგრელიძე, დარეჯან ჭამაური, ლევან სვანაძე. სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ: მამუკა ცერცვაძე, დიმიტრი ხვთისიაშვილი, აკაკი კუჭუხიძე (თავმჯდომარე), თამაზ გოლაძე, ლევან გაბრიჭიძე.

შემოქმედებითი კავშირი - საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარეობის კანდიდატებიდან 22 ხმა მიიღო დავით ანდლულაძემ, 63 ხმა - გიორგი ქავთარაძემ, 15 ხმა - სანდრო მრევლიშვილმა. 3 ბიულეტენი გაუქმდა.

ხმათა უმრავლესობით შემოქმედებითი კავშირი - საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გიორგი ქავთარაძე.

გაიმართა ახლადარჩეული გამგეობის პირველი სხდომა. ახლადარჩეული თავმჯდომარე გიორგი ქავთარაძე გამგეობასა და ყრილობის მონაწილეებს ესაუბრა საზოგადოების მომავალ საქმიანობაზე. სასურველია, აღნიშნა მან, რომ ყოველი თეატრის ერთი სპექტაკლის თანხა კავშირის ბიუჯეტში გადაირიცხოს. ასევე სასურველია, აღდგეს ცნობილი მსახიობების ბენეფისები, თეატრებმა აქტიურად გამოიყენონ კავშირის რესტორანი „დურუჯი“ და სხვ.

თავმჯდომარემ გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგინა სთს თავმჯდომარის პირველ მოადგილის კონსტანტინე ნინიკაშვილის კანდიდატურა. მოადგილედ ეკონომიკის დარგში - გურამ ანობაძე და მოადგილედ — სანდრო მრევლიშვილი, რომელიც გიგა ლორთქიფანიძესთან ერთად სათავეში ჩაუდგება აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში თავისუფალი თეატრის შექმნას.

გამგეობამ დაამტკიცა თავმჯდომარის მიერ პრეზიდიუმის წევრებად დასახელებული კანდიდატები.



**შემოქმედებითი კავშირი - „საქართველოს თეატრალური
საზოგადოების“
გამგეობის წევრები (არჩეული სთს ყრილობაზე 2010 წლის
20 სექტემბერს)**

- | | | |
|----------------------------|--------------------------------|---------------------------|
| 1. ანდლულაძე დავითი | 19. მეღვინეთუხუცესი
ოთარი | 33. სიხარულიძე გიორგი |
| 2. ახოზაძე გურამი | 20. მუხუღიშვილი
ნათელა | 34. ქავთარაძე გიორგი |
| 3. ბურჯანაძე გია | 21. მრევლიშვილი სანდრო | 35. ქანთარია ალექსანდრე |
| 4. ბათიაშვილი გურამი | 22. მურვანიძე ნატო | 36. ყიფშიძე ზურაბი |
| 5. ბალათურია ოთარი | 23. მალობლიშვილი
ნოდარი | 37. ძალიკაშვილი ამირანი |
| 6. გვათუა იამზე | 24. მალაზონია მამია | 38. ჩიგოგიძე ვასილი |
| 7. გენაძე ელდარი | 25. ნინიკაშვილი
კონსტანტინე | 39. ჩხეიძე თემურ |
| 8. გურაბანიძე ნოდარი | 26. პაპუაშვილი ზაზა | 40. ცქიტიშვილი გიორგი |
| 9. გლურჯიძე შოთა | 27. რონვაძე ლევანი | 41. ნულაძე ლევანი |
| 10. გეგეჭკორი მანანა | 28. ჟორდანიას გიზო | 42. ჭანკვეტაძე ნინელი |
| 11. დოლიძე ქეთი | 29. სამსონაძე ირაკლი | 43. ჭილაძე თამაზი |
| 12. თავაძე მერაბი | 30. სულუაშვილი ლია | 44. ნიდაშელი აკაკი |
| 13. თავაძე გიორგი | 31. სტურუა რობერტი | 45. ჯანაშია მარინე |
| 14. თავართქილაძე
რევაზი | 32. საყვარელიძე
დავითი | 46. ჯაიანი დიმიტრი |
| 15. იაკობაძე ნოდარი | | 47. დვალისხვილი
დავითი |
| 16. იანტბელიძე ივანე | | 48. ფაჩუაშვილი ჯეირანი |
| 17. კიკნაძე ვასილ | | 49. ჯაფარიძე გია |
| 18. კასრაძე ხინო | | |

**შემოქმედებითი კავშირი - „საქართველოს თეატრალური
საზოგადოების“
პრეზიდენტის წევრები (არჩეული სთს ყრილობაზე 2010 წლის
20 სექტემბერს)**

- | | | |
|--------------------|-------------------------------|---------------------------------------|
| 1. ბურჭულაძე პაატა | 5. მრევლიშვილი
სანდრო | 9. ჟორდანიას გიზო |
| 2. გლურჯიძე შოთა | 6. მურვანიძე ნატო | 10. ქავთარაძე გიორგი
(თავმჯდომარე) |
| 3. დოლიძე ქეთი | 7. ნინიკაშვილი
კონსტანტინე | 11. ქანთარია
ალექსანდრე |
| 4. თავაძე მერაბ | 8. პაპუაშვილი ზაზა | |

**შემოქმედებითი კავშირი - „საქართველოს თეატრალური
საზოგადოების“
სარევიზიო კომისიის წევრები (არჩეული სთს ყრილობაზე 2010 წლის
20 სექტემბერს)**

- | | | |
|--------------------|------------------------------------|-------------------------|
| 1. გაბრიჭიძე ლევან | 3. კუჭუხიძე აკაკი
(თავმჯდომარე) | 4. ხვთისიაშვილი დიმიტრი |
| 2. გოლაძე თამაზი | | 5. ცერცვაძე მამუკა |

რუსთაველის თეატრის ღასს!

რედაქტორისაგან:

ქართული რეჟისურის დიდოსტატის, საყოველთაოდ ცნობილი შემოქმედის, რობერტ სტურუას ყოველი ნააზრევი უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია. მკითხველი, ფართო საზოგადოებრიობა, ყოველთვის გაფაცივებული აღევნებს თავლ-ყურს მის ნაწერს.

ჩვენი ჟურნალის რედაქციამდე მოაღწია რობერტ სტურუას წერილმა რუსთაველის თეატრის დასისადმი. ეს წერილი 2010 წლის აგვისტოშია დაწერილი - გამოჩენილი რეჟისორის მოსკოვში გამგზავრების წინ (მოსკოვში ერთ-ერთ თეატრში იგი ამთავრებდა მუშაობას უ. შუქსპირის „ქარიშხალზე.“ დღეს უკვე ვიცით, რომ პრემიერა გაიმართა სექტემბრის დასასრულს და სპექტაკლებზე ლაპარაკობენ, როგორც რეჟისორის შემოქმედებით გამარჯვებაზე). წერილი არ ინერებოდა იმისთვის, რომ პრესის ფურცლებზე მოხვედრილიყო. რეჟისორმა თავისი გულისტკივილი გაუზიარა მეგობრებს, იმათ, ვისთან ერთადაც იგი ქმნის.

მიუხედავად ამისა, წერილს მაინც ვბეჭდავთ (რასაკვირველია, ავტორის თანხმობით), რადგან მასში წამოჭრილი საკითხები ძალიან მნიშვნელოვანი მსჯელობის საგანია. ამ წერილში გამოთქმულ მოსაზრებებზე თავლის დახუჭვა სიბევე იქნებოდა.

მოგესწონებათ, რომ ნებისმიერი თეატრისათვის ბუნებრივად ძაროსხეც და გაძარკაება - კარგი თუ ცუდი სპექტაკლი. ასეთაა ყველა თეატრის ცნობილება, ძაღრამ, საძი-უნარობა, ჩვენს ბოლო წლებს შუქსპირს ადარ კამეოთილებს რუსთაველის თეატრისათვის ჩვეულო ღასს და ამას, სა-უნებრითა, დაწინაურებოდა კარგად უნდა იცნობდნ. ის მოსაზრება, რომ თეატრის ბეს რეჟისორები წარმართავენ, მსახიობებსა და თეატრის მესვეურებს ნდობად უკვირდება და ჩვენს დღევანდელი ძველმართა სწორედ ამის დადასტურებაა. სწავთა შორის, თავი აძით შუქსპირს და დამდვიდით, რომ ძველი მსოფლიოს თეატრები უნდა იყოს რეჟისორების ნაკლებობას.

ანთა თრითა სიყვარა ჩუქ მესანებ: თითქმის ხანგაზრო სა-უნებრის წინათ შუქსპირს ამ დროთა ვითა თეატრის კარი. ჩუქ თვალწინ დროდადრო ერთმანეთს უნდა ვიხილებდნ თათბი. და, ბუნებრივად, ის დროთა დაღა, როთა ძიობის წინ ამკვირება ხოლოთა თეატრი - რით დაძთავრება ჩუქი ცნობილება ამ კვლავებში, საძი ვართანგეი დამართალებს თავიძი. ძირველი - ვაძაძას ვასვლთა ძარილთა (ჩუქთვის თრითა უნდა ამოიწი ვასვარება), ძიორუ - თეატრის დამოკება სა-უნებრითა ნებთ (ანუ ვასვლთა დომსან-უნებრის ხობიდახ) და მესამე - ჩვენს თეატრისათვის ესოლენ-უნებრითა თეატრი ნებრთა - ვამკვირება (უნებრითა, ხოლო რითა ვართა ვართა ვართა არიან ძიობიდა აძა მკვირბინახი).

ანთა თქვენ მოვმართავთ, ჩუქი მკვირბიობა, ძიორთასო მსახიობებო! ძალიან ვთხოვთ, გრძობ-ბებს ნუ ავკლებთ, ხინარ-ულოთა და ცრემლებითა ხანდავითა. ძიობთ, ერთხელათა - უნახან-უნ-ლოდა უვადით. უნდა ვამოვთავაზებთ, უკრითა ბიესები კარგე შუქსპირს. თო ძათვანსე ვითკობთ. დომსან-უნებრებს ვართ დამსვენებთ (არისგოთვანსე და შუქსპირს). ერთ თვეში დაძობრ-უნებრით და შუქსპირს საძიქს, ძაღრამ თუ დავრწმუნებ, რომ ჩვენს უნდა ვა-წამებთ ავრ-ულო ხობილადი საძი-უნებრითა ჩაძობთა და თსკირსე ვანსვარებას, ძაძინ... ძაძინ კარგე არსებობს ძიობსე ვნა, რომელსე მოვვანებთ მოვანსებთ, ერთი საძი-უნებრით ძინსე ნომ უნდა დამრებს ვართა მრუსთაველის თეატრის საძი-უნებრით ნებობთვანსე.

გილოცავთ ახალ სეზონს, გიხვევიით - თქვენი რომაირტი

„...თეატრი და ცხოვრება“ №5
12

ნოდარ

ბურაბანიძე

„მოდო სიკვდილო, გასალაგები, ჩემს მზეს სურს ასე“

ყუთიაშვილის „რამდენად ჯადოვანი“ ქართული მუსიკის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრში

შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ პროლოგში გუნდი ამბობს:

„მავებდ ვარსკვლავზე, სავალალოდ, ამ ორმა გვარმა

ორი ნათელი სიყვარულის ვარსკვლავი შობა.“

ხოლო კაპულეტების ბაღში ჩუმად შეპარული რომეო, რომელსაც დასცქერის „მთვარე, ისედაც მკრთალი და სწეული მწუხარებისგან,“ მოულოდნელი სიყვარულისგან ელდაცემული, სევდიანად ამოიკვნესებს:

„ორ ნათელ ვარსკვლავს განუზრახავს ზეციდან ნასვლა“-ო.

მინასა და ზეცას შორის გაბმული ეს სხივები, რომლებიც სიტყვაუთქმელი იდუმალეზებით არიან აღსავსენი, ანათებს გიორგი სიხარულიძის მიერ შექმნილ სამყაროს, მაგრამ ეს სინათლე

„დილის თვალი როდია მართლა

- ანარეკლია ის სინთიას

ფერმინდო შუბლის.“

ეს სპექტაკლი „ანარეკლია“ იმ ბრწყინვალე, თვალისმომჭრელი ხილვებისა, რომლებიც გ. სიხარულიძის რეჟისურაში და კახაბერ შარტავას ქორეოგრაფიაში იშვა. ამ იმფერალური ხილვების რეალურად ქცეულ, პლასტიკურად გარდაქმნილ სურათებში იშლება მძვინვარე სიყვარულისა და არანაკლებ მძვინვარე სიძულვილის აპოთეოზი. თითქოს

პროსპეროს (შექსპირის „ქარიშხლის“ გმირი) მისნურ ნიჭს ნახიარებმა ჩვენმა ახალგაზრდა შემომქმედნმა თავიანთი გრძნეული ხელოვნებით სულთა სამყაროდან გამოიხმეს ეს უჩვეულო სილამაზით მოსილი სწეულები, გაახვიეს ისინი მუსიკის ჯადოსნურ ხმებში, ისეთი პლასტიკითა და ჟესტივით, მეტაფორების და ნიუანსირებული მიზინვებებით სავსე ენით ამეცხველეს, რომ ისინიც (ამ შემთხვევაში) უფრო მეტის მთქმელია, ვიდრე თავად სიტყვა. თითქოს, მართლაც, მოჩვენებასავით გაიარა მკრთალ სივრცეში ამ ისტორიამ, რომელიც, რასაკვირველია, რეალურია თავისი სწეულებრივი მატერიალობით, მაგრამ უფრო ჩვენს სიზმარულ მოლანდებებს გვანან თავიანთი უსიტყვო, მსუბუქი მოძრაობით, ვგონებ, შთაგონებული პროსპეროს ამ სიტყვებით:

„ჩვენ ნაქსოვი ვართ სიზმრეული

ნივთიერებით,

წუთისოფელი სიზმრითაა გარემოცული.“

სპექტაკლის ავტორები ქმნიან ახალ სამყაროს, შექსპირის სამყაროს პლასტიკურ-მუსიკალურ ანალოგს.

ჩემი აღტაცება იმანაც გამოიწვია, რომ ამ სიზმრით გარემოცულ წუთისოფელში, გათამაშდა საბედისწერო სიყვარულის, ნამდვილი, გულისშემძვრელი ამბავი, გადმოცემული მოძრაობისა და მუსიკის სანიმუშო ჰარმონიით, როცა ტრაგედიის მნიშვნელოვანი არცერთი მოტივი დაკარგული არაა. აქ უსიტყვოდ ყველაფერი ნათელი და გასაგებია, განსხვავებით ამ ბოლო დროს მომრავლებული სანახაობა-სპექტაკლებისა, სადაც ყველაფერი ნათელია და არაფერი არის გასაგები.

გ. სიხარულიძის ეს ქმნილება ჭეშმარიტი მიმოდრამაა! ვიცი ეს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ მესსიერებაში იგი აღმებეჭდა როგორც ბალეტი, თუმც მასში არც კლასიკური და არც თანამედროვე ბალეტის ხერხები არაა გამოყენებული. ეს, ალბათ, აიხსნება იმით, რომ აქ „ორი ენა“ - პლასტიკა და მუსიკა, ერთი ენით მეტყვევებს. სპექტაკლის ავტორებისთვის მუსიკა ისეთივე მთავონების გამომწვევია, როგორც პლასტიკური ქორეოგრაფია, თითქოს მუსიკა შობს პლასტიკას და პირუკუ, პლასტიკა „გამოიხმობს“ მუსიკას. აქვე შევნიშნავ, რომ მუსიკა, რომელიც თავიდან ბოლომდე გასდევს ამ სპექტაკლს, უზადო გემოვნებითაა შეჩვენებული და იმდენად მთლიანია, რომ სრული მთაბეჭდილება შემიქმნა: იგი სპეციალურად ამ დადგმისთვისაა შეთხზული.

დაიხ, ჭეშმარიტი მიმოდრამაა, როგორც ვთქვი, და დავუმატებ, რომ იგი უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი, ტრადიციული მიმოდრამა, რომელიც, არსებითად მარტივ ამბებს იყენებს. გ. სიხარულიძის „რომეო და ჯულიეტა“ მართალია ეყრდნობა და შთაგონებულია შექსპირით, ანუ რასაც ვუყურებთ, ეს შექსპირისეული ტრაგიკული ისტორიაა, მაგრამ, ამავე დროს, და უპირველესად, ეს არის ამ დადგმის ავტორების, ამ ახალგაზრდების



რომეო - კახაბერ შარტავა, ჯულიეტა - ნინო ჭოლაძე

მიერ შეთხზული ისტორია.

შექსპირის სიტყვა საუკუნეების მანძილზე არსებობს და ცოცხლობს, გ. სიხარულიძემ და კ. შარტავამ ამ არსებულს არარსებული „სამოსელი“ ჩააცვეს ანუ საკუთარი შთავგონებით შექმნილი პლასტიკური და ხმოვანი „სხეული“ შესძინეს მას. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს სპექტაკლის ქორეოგრაფიული ეპიზოდები – ძირითადად მასობრივი სცენები: ორთაბრძოლების, „ლორენცოს განკითხვის“ (როგორც პროგრამა გვაუწყებს) თუ ლოცვაზე აღვლენილი დრამატიზმით სავსე სურათები.

სპექტაკლის „ქორეოგრაფიისა და სასცენო მოძრაობის რეჟისორი“ - კახაბერ შარტავა ამავე დროს რომეოს როლის შემსრულებელიცაა. ჯულიეტას როლს კი მომხიბვლელი და მშვენიერი ნინო ჭოლაძე ასრულებს.

სიყვარული აქ აღქმულია როგორც ბედისწერა. ამგვარი ურთიერთლოცვა, სულიერი და ხორციელი ერთიანობისკენ სწრაფვა ისე მოულოდნელად დაატყდებათ თავს ამ გმირებს, რომ თავზარდაცემულნი და გოდონისაგან აღტაცებულნი მთვარეულებივით მოძრაობენ. მათი პირველი შეხვედრისა და განშორების სცენა აღსავსეა ტრაგიკული შეგრძნებებით: თეთრად გარანდულ ორ შეპირისპირებულ ფიცარზე, რომელზეც „უხილავი“ ძალები ჰაერში ამოძრავებენ, გადმოხრილნი რომეო და ჯულიეტა, თავიანთი სხეულების ყოველი კუნთით, სულის ყველა ფიქრით თითქოს ერთმანეთის სხეულში გადასვლას და შერწყმას ლამობენ. ამაზე მარტო ურთიერთისაკენ განვდილი ხელები და წინმისწრაფული სხეულები კი არ მეტყველებენ, არამედ მათი თვალებიც: „ის ლაპარაკობს, თუმცა არა - სდუმს. სულ ერთია, მისი თვალები მეტყველებენ“ - ამ სიტყვების წარმოთქმა ორივეს შეუძლია. ისინი ერთმანეთს ეხებიან, ეალერსებიან, მაგრამ არსებობს რაღაც უხილავი ძალა,

რომელიც მათ თიშავს, არ აძლევს საშუალებას უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს. მათ სურთ ეს ბედნიერი წამი მარადისობას ეზიაროს, მაგრამ იგივე უხილავი ძალა ამის ნებას არ რთავს. აქაც, ამ სიყვარულის აღმადგურენის დროს, თითქოს ორ მეტრზე სიკვდილს ესაღბუნება: „მომი სიკვდილო, გესალმები!“ სიკვდილის სიახლოვის ეს მეგრძნება, კიდევ უფრო ამძაფრებს, მათ სიყვარულს, ხოლო თავად ეს სიყვარული სიკვდილის მარადიულობას მონმობს. ამ ერთ ეპიზოდში, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ეწოდოს „კლასიკური ეტიუდი“, კონდენსირებულია რომეოსა და ჯულიეტას ტრაგიზმით სავსე ისტორია, აქაა დასაწყისიც და დასასრულიც, მათ შორის კი მრავალი მძაფრი სცენა თამაშდება იოანე ხუციშვილის მიერ შექმნილ სცენოგრაფიაში, რომელიც შექმნილია ვრცელი და ამავე დროს შემოსაზღვრული, უცნაური ტილოს კედლებით, თავისი ლიობებით (საიდანაც სიბნელე „იმზირება“) და მაღლიდან ჩამოშვებული თოკის კიბეებით, რომლებიც სამოქმედო ფუნქციას იძენენ. ოსტატური განათების წყალობით (მხატვარი-გამნათებელი ხვინა დოლონაძე, გოჩა ბახანაძევილი), მათ ავის მაუნყებელი, ფერმკრთალი სისხლით შევლებილი, რაღაც პრეისტორიული იერი აქვთ და პირქუშ ატმოსფეროს ქმნიან - სისხლიანი ორთაბრძოლების შესაბამისს.

გვატყვევებს მერკუციოსა (აბელ სოსელია) და ტიბალტის (რეზი ქაროსანიძე) ზედმინევიანთ ზუსტი პლასტიკური ნახაზი. ყოველ მათ მოძრაობაში გამოსჭვივის ახალგაზრდული ენერჯია, ძალა, დაუცხრომელი მოქმედების ნყურვილი. მათი მებრძოლების სცენა (შემდგომ რომეოს ჩარევით) თავისუფალია ყოველნაირი ტრადიციული „თეატრალობისგან.“ ისინი იმდენად მონტევისა და კაპულეტის მტრობით კი არ არიან შთაგონებული, რამდენადაც თვითდამკვიდრების, ყმანვილკაცური ჟინის, ქმედების ექსტაზით შეპყრობილნი. მგონი მათ არც კი ახსოვთ ამ შუღლის ამბავი. აქ რეჟისორის მიერ ისეთი ახალი შტრიხია მოხმობილი, რაც ჩემს ამ ვარაუდს ადასტურებს: ყმანვილების ეს ქიშპობა და გამომწვეული მახვილებით დაპირისპირება, არ გამოორიცხავს მათ შორის სიახლოვეს, შეიძლება ითქვას, სიყვარულსაც კი. რომეო კლავს ტიბალტს არა სიძულვილით, არამედ რაღაც თავისებურად გაგებულ რაინდული კოდექსის კარნახით: უყვარს და კლავს, რადგანაც მეგობარი მერკუციო მოუკლა. სიკვდილით დამთავრებული ეს შეტაკება სიყვარულის ტრაგედიის ერთი ეპიზოდია. აქ სიყვარულია ყველაფრის მეუფე, მათ შორის თვით სიკვდილისაც: თავის მიერ განგმირული ტიბალტის სხეულს ზედ დაემხოზა რომეო, მის ჯერ კიდევ თბილ სხეულს სიყვარულით ეკვრის... ზიზღს, ბოღმასა და შუღლს გ. სიხა-

რულიძის ამ სპექტაკლში უკვე ადგილი აღარ აქვს. ყველაფერი - განათება, კოსტუმები, რეკვიზიტი მოხმობილია გამჭოლი იდეის ნათელსაყოფად. ყველა საგანი თამაშობს („მოთამაშე საგანი“, როგორც სცენოგრაფიის დიდი მცოდნე ვიქტორ ბერი-ოზკინი იტყობდა): დიდი ჯვარი, თოკებზე ჩამოშვებული პლასტფორმა, კოლბი სანამლავით, (რომელსაც ჯულიეტა ისეთი სასოებით აღმართავს ჰაერში. თითქოს მასში მისი სიყვარული და სიცოცხლეა „განზავებული“), თოკები. თვით სცენაზეც გამოშვებულ კვამლსაც თავისი ფუნქცია აქვს (რ. სტურუას „მეფე ლირში“ გამოშვებული დიდი კვამლის ღრუბლები, დღესაც, თითქმის, ყველა ქართულ სპექტაკლში „გვაბოლებს“).



სცენა სპექტაკლიდან

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო კოსტუმების მხატვრის თეო კუხიანიძის წვლილი სპექტაკლის წარმატებაში. მე მომხიბლა არა იმდენად კოსტუმების სილუეტმა (თუმცა მათ თავისებური „პლასტიკურობა“ ახასიათებთ), რამდენადაც მათმა ფერთა გამამ და დრამატურგიამ. ფერები აქ შერჩეულია სცენური სიტუაციების მიხედვით, შესანიშნავია რომეოსა და ჯულიეტას კოსტუმები, სადაც თეთრი და შავი ფერები დომინირებენ. ასევე ეფექტურია ტერაკოტის ფერში შექმნილი კოსტუმები და ფრანცისკელი ბერის ლორენცოს რუხი, კაპიშონიანი მოსასხამი, რაც მის იდუმალებასა და ზვიად გამომეტყველებას უსვამს ხაზს. მისი პირველივე გამოჩენა მეტად ეფექტურია

(მსახიობი ნიკოლოზ ჯანგაგაძე). იგი ბანრებზე ჩამოკიდებული პლასტფორმით ნელა ეშვება და სიმალლიდან იმპოზანტურად და მრავალმნიშვნელოვნად დასცქერის სცენას, როგორც ბედისწერის განსახიერება.

სპექტაკლის ყველა მონაწილეს კარგად შეუთვისებია თავისი ადგილი და როლი ამ რთულ პოლიფონიურ სპექტაკლში და არც ერთი არ ეთიშება მწყობრ ქორეოგრაფიულ მოძრაობებს თუ სხვა მასობრივ ქმედებებს.

ამდენ ქებას, რომელიც ზოგიერთებმა შეიძლება, გადაჭარბებადაც ჩამითვალონ, მცირე შენიშვნაც უნდა მოვაცოლო. ხელთა მაქვს ამ სპექტაკლისადმი მიძღვნილი, მშვენივრად გამოცემული და შედგენილი ფერადი ბუკლეტი, თავისი პოსტერით. ამ ბუკლეტში მოთავსებულია სპექტაკლის ავტორების ერთი ჯგუფის (კახაბერ შარტავას, იოანე ხუციშვილისა და თეო კუხიანიძის) მოკლე-მოკლე რეპლიკები. ქართულად ხომ გაუმართავია, მაგრამ ეს არაფერი - ვინ წერს ახლა ჩვენში გამართული ქართულით?! მთავარი ისაა, რომ ზოგიერთი ფრაზა პროვინციული თავმომწონებისა და ერთგვარი პრეტენზიული „სიბრძნითაა“ დაღდასმული. თუ ამ უსიტყვო („Without words!“ - როგორც ბუკლეტი გვატყობინებს) სპექტაკლში ყველაფერი ნათელი და გასაგებია, სამაგიეროდ ბუნდოვანია და გაუგებარია ამ ავტორთა ემოციური „ნამოძახილები.“

ჩემზე მძიმე შთაბეჭდილება დატოვა მადლობის სათქმელად გამოსული მსახიობების ამ სპექტაკლის განწყობის ყოვლად შეუფერებელმა მხიარულმა „კავალკადამ“ და განსაკუთრებით ერთი მსახიობის (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ) ცოტა არ იყოს უცხაურმა „პლასტიკურმა ნომერმა,“ რომელსაც მე, მდაბიურის ენით, ტინგიცობას ვუწოდებ. გთხოვთ, შემდგომში ნუ დაარღვევთ სპექტაკლით შექმნილ განწყობილებას.



სცენა სპექტაკლიდან

თბილისის II
საერთაშორისო
თეატრალური
ფესტივალი -
დიდი შექოქებებით
იმზღოსი
თამარ ცაგარელი

კიდევ ერთი საერთაშორისო თეატრალური საფესტივალო „რთველი“ დამთავრდა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაგვიტოვა საოცრად ამაღლებული შეგრძნებები, ალტკინებული ემოციები, ლამაზი და ზღაპრული სამყაროს ფერთა შთაბეჭდილებები: გზაბნეულ მამაკაცთან ერთად რეალობიდან გაქცევის სურვილი, ქართველი დრამატურგის მიერ მიყენებული გულისტკენაც და ერთი ოჯახის ამბავი, რომლის გმირები ცდილობენ

განადგურების პირას მისული იდეალების გადარჩენას.
არ მიწყენს არც რედაქცია და არც მკითხველი და მომცემს იმის უფლებას, რომ პირველ რიგში უღრმესი მადლობა ვუთხრა „თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის“ საორგანიზაციო გუნდს, რადგან მან კიდევ ერთხელ გვაგრძნობინა (ეს ფესტივალი ხომ წელს მეორედ ჩატარდა და ვუსურვებ კიდევ უფრო დიდ წარმატებებს და ყოველწლიურ „საშემოდგომო“ გამარჯვებას!) და დაგვანახა, რომ ქართველებს პოლიტიკისა და ამინდის გარდა, შეგვიძლია ყოველ საღამოს კულტურაზე, თეატრზე ვისაუბროთ და ვიკამათოთ, წამიერად, მაგრამ მაინც დავივიწყოთ არსებული პრობლემები და იმ სამყაროში აღმოვჩნდეთ, რომელიც შესაძლოა ვერც კი გვეხილა. ის, რაც მითი და ლეგენდა გვეგონა, ფესტივალმა რეალობად გვიქცია. მოარული ხმები ოსკარას კორმუნოვასის და ეიმუნტას ნეკროშიუსის „ჰამლეტის“ გენიალურობის შესახებ მაყურებელს თავად შეაფასებინა და ჩვენს თვალწინ გაათამაშა ორი ჰამლეტი, წარმოგვიდგინა ორი განსხვავებული ესთეტიკა, „ფილოსოფიური“ სპექტაკლიდან „ფსიქოლოგიური“ სპექტაკლში გადაგვიყვანა.
ოსკარას კორმუნოვასის „ჰამლეტი“ ესაა თითოეული პერსონაჟის, გმირის მიერ საკუთარი თავის ძიება; წარმოდგენა იწყება კითხვით: „ვინ ხარ შენ?!“ — გმირები საკუთარ ორეულებს ეკითხებიან, თავდაპირველად ჩურჩულით, შემდეგ კი ყვირილით და ეს კითხვა სარკეში მაცქერალ იმ ცხრა პერსონაჟს ეკუთვნის, რომელშიც „ბუდობს“ ჰამლეტიც და აჩრდილიც, კლავდიუსიც და ჰერტრუდაც, გილდერნსტერნიც და მარცელიუსიც, პოლონიუსი თუ ჰორაციო და მრავალი სხვა... სხვაობა მხოლოდ ისაა, ვინ რომელ თვისებასა და ხასიათს მიანიჭებს უპირატესობას, „ცხოვრებაში“ ვინ რომელ გზას აირჩევს. მსახიობები სარკის წინ სხედან და თითქოსდა, სცენაზე გასასვლელად ემზადებიან. სარკეში მაცქერალნი თვითჩაღრმავებას და თვითწვდომას ცდილობენ, თუმცა მათი მცდელობა ამაოა, რადგანაც თითოეული მათგანი შესაძლოა ნებისმიერ როლს მოერგოს, ამიტომაც რეჟისორმა არათუ ერთი როლი, არამედ ორი პერსონაჟის განსახიერება ერთსა და იგივე მსახიობს დააკისრა, წარმოდგენაში ხომ კლავდიუსსა და აჩრდილს — მკვლელსა და მსხვერპლს მსახიობი დაინიუს გვევსონისი ასრულებს, როზენკრანცსა და ბერნარდოს კი - ტომას ცაიბუსი, რითაც რეჟისორმა, კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა საკუთარ სათქმელს, რომ დღეს ადამიანს საკუთარი „მე“ ნაპოვნი არა აქვს, რომ თითოეული ადამიანი „ნიღ-

ბით“ წარმოგვიდგება და შესაძლოა ამ „ნიღბის“ უკან მისი რეალური სახე მკვლელისაც იყოს და მსხვერპლისაც. ამიტომაც, მოქმედების დასაწყისში პერსონაჟები საკუთარი ორეულების ამოცნობას ლამობენ და ეს ორეული სარკის მიღმა არსებული პერსონები არიან. სპექტაკლის მთავარი დეკორი — სარკე ხომ გრძნობადი სამყაროს ილუზორულობის სიმბოლოა, ის ერთგვარი კარია პარალელურ სამყაროში გადანაცვლებისათვის, რომელსაც ფონად სირენას გაბმული კივილი სდევს თან, რაც შესძრავს მაყურებლის გონებასა და გულს, თითქოსდა აპოკალიფსურ წამამდე მივყევართ და ამ განწყობას აძლიერებს ულტრა თანამედროვე ნეონური ნათება, არა ამქვეყნიური, სხვა სამყაროდან გადმოსული, რაც სარკეს უფრო იდუმალს ხდის და შესაძლოა ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ეს ნივთი იქნებ სპექტაკლის ერთ-ერთი „პერსონაჟიცაა.“ წარმოდგენის ძირითადი ეპიზოდები და სცენები ხომ სარკის წინ, სარკესთან ვითარდება, რომლის საშუალებითაც პარალელური სამყარო შემოგვთავაზა რეჟისორმა, გარდაცვლილი მეფეც ხომ სარკესთან, მის თაროზე დაანვინა და ისე გამოეცხადა ჰამლეტს (მსახიობი დარიუს ნემკაუსკასი), რაც იმის მანიშნებელია, რომ იგი — აჩრდილი — საიქიოდან სარკის მეშვეობით მოევლინა თავის ერთადერთ ძეს. ხოლო სცენაზე, ნელ-ნელა „საგრიბორო“ სარკე/მაგიდის უკანა მხრიდან ოფელიას გამოჩენამ, ჩინელი ქალის სახით, გამახსენა ძალზედ ლამაზი ჩინური ლეგენდა: მითითური ყვითელი იმპერატორის დროს სარკეთა და ადამიანთა სამეფოები მშვიდობიანად თანაარსებობდნენ. თავისუფლად შეიძლებოდა სარკეში შესვლა და კვლავ უკან დაბრუნება. მაგრამ ერთ ღამეს სარკეთა საბრძანებლის ქვეშევრდომები მთელ დედამიწას მოედგნენ დასაპყრობად. ამ სასტიკ ომში გრძნეულმა ყვითელმა იმპერატორმა გაიმარჯვა, მან მომხედურნი სარკეებში მოამწყვდია, ხოლო სასჯელის სახით ისინი ადამიანის „ორეულებად“ აქცია და სამარადჟამოდ დაავალდებულა, ყოველი დანახული მოძრაობა გაემეორებინათ. სწორედ ამგვარმა ასოციაციამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა რეჟისორის სიმბოლურ-მეტაფორულ გადანყვეტაში, რომ მან სარკე ცხოვრების გამყოფ ხაზად გამოიყენა. მან ყოველი პერსონაჟის „ორეული“ სარკეში — სამარადჟამო სამფლობელოში მოაქცია.

ოსკარას კორმუნოვასმა თეატრში სამყარო დაუნდობელი, სისხლისმღვრელი (რაც სიმბოლურად გამოხატულია ნითელი ფერის ნაჭრების ფრიალსა თუ სახეზე აფარებით) და ტრაგიკული წარმოგვიდგინა. მისთვის



„ჰამლეტი“. ლიტვა

ცხოვრება კლოუნადაა, სადაც მუდამ ისმის კითხვა: „ვინ ხარ შენ?!“ რომელზედაც ოფელიას (მსახიობი რასა სამოილუტე) პასუხი: „ჩვენ ვიცით ვინ ვართ დღეს, მაგრამ არ ვიცით, რანი ვიქნებით!“ სპექტაკლს ლაიტმოტივად გასდევს. ესაა კითხვა-პასუხი, რომელიც აწუხებს რეჟისორს და მის თანამედროვე სამყაროს. ამიტომაც, წარმოდგენა მიმდინარეობს დღევანდელ დღეს, იმ „ეპოქაში“, სადაც, ნითელი - ძალმომრეობისა და შავი - სიკვდილის სიმბოლო ფერები დომინირებენ, ხოლო თეთრი — ჭეშმარიტებისა და მსხვერპლის უბინოების სიმბოლიკა — შიგადაშიგ თუ ჰკვეთს სცენას, იქაც კი, სადაც თეთრ კაბაში გამოწყობილი ოფელიაა, რომელიც ასევე თეთრი ფერის ყვავილების თაიგულების, როგორც სიყვარულისა და სინმინდის სიმბოლურ გარემოცვაში იმყოფება, იქაც კი, როგორც ეს შუასაუკუნოვანი რწმენით იყო მიჩნეული და დღემდე აღიარებულია „იმქვეყნიური“ საიდუმლოების მცოდნე — თეთრი თავი აჩრდილივით თან სდევს იმ გმირს, რომელიც „მარადიულ სამყაროში უნდა გადაასახლოს“, იმ ქვეყანაში მიუჩინოს „თავისი ადგილი“. სპექტაკლში საიქიოს სიმბოლო თავი პირველად მაშინ შემოჰყავს ოსკარას კორმუნოვასს, როცა ჰამლეტის თხოვნით მსახიობები წარმოდგენას მართავენ. რეჟისორის ამგვარი მეტაფორული გადანყვეტა ნათელია. სწორედ ამ მომენტიდან „იხსნება“ საიდუმლოებით მოცული ამბავი და ჰამლეტის ეჭვიც მამის მკვლელობის შესახებ, მართლდება. შექსპირისეულად მეფის კარზე, ხოლო კორმუნოვასისეულად - ჩაბნელებულ, შავ ფონზე, სცენის შუაგულში, სადაც წრიულად დადგმული თეთრჩარჩოიანი სარკეებია მხოლოდ განათებული, რომელიც ორი სამყაროს —

საიქიოს და სააქაოს კავშირს წარმოადგენს, იმართება წარმოდგენა — „მკვლელობის სცენა“, სადაც დასის მსახიობები თავად ჰერტრუდა და კლავდიუსია. რეჟისორი თითქმის ყოველ წელს ცდილობს წარმოაჩინოს ერთი და იგივე პიროვნება სხვადასხვა გმირის სახით, გვაჩვენოს თანამედროვე ადამიანი არაერთ-გვაროვანი ხასიათის შტრიხებით. თეთრნიღბიანი არტისტები „გონზავოს მკვლელობის“ გათამაშების შემდეგ კვლავ სარკეებს უბრუნდებიან და გრიმის მოშორებას ლამობენ. ისინი ემშვიდობებიან ძალაუფლებაზე გამარჯვებას და მართლმსაჯულებაზე ოცნებას. ეს ყველასათვის მტკივნეული ნაბიჯია და სწორედ ამ მტკივნეული გზის ბოლოს კორმუნოვასის ჰამლეტი, სახესა და შიშველ ზედატანზე სისხლით „შეღებილი“, კითხულობს ცნობილ მონოლოგს „ყოფნა-არყოფნას“, რომელიც მხოლოდ სიტყვები არაა, ესაა გმირის შინაგანი ემოცია, გადმოფრქვეული მთელს დარბაზში, რომელსაც მაყურებლისკენ შიში და ძრწოლა მოაქვს და წამით გიჩნდება განცდა, რომ „დროთა კავშირი დაირღვა.“ ამ რღვევას კიდევ უფრო აძლიერებს სპექტაკლში სამხედროების ნაბიჯების ხმა, ყიჟინა და მარშისებური მუსიკა, სადაც მელოდიის ძირითადი ტონალობა „დაფდაფების“ ხმაა, რომელიც შესაძლოა ფორტინბრასის მობრძანების მაუწყებელიც კი იყოს, რასაც არაკლასიკური, სწორედაც რომ კორმუნოვასისეული მასხარა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი განათებული ნითელი ცხვირითა და შავი სამოსით შემოსილი, საკუთარი ქცევით ადასტურებს. ნელში გამართული, გულზე მარჯვენა ხელმიდებულნი, თითქოსდა ამაყი, სამხედრო ნაბიჯებით მიმავალი, იმ ბოლო იმედს, ნათელ წერტილებსაც კი აქრობს, რომლებიც მაყურებლისკენ ზურგმქცევით, სარკეებში გაქვავებული სახით მყოფ არტისტებს ანათებს, რაც იმის მანიშნებელია, რომ ყველაფერი დამთავრდა. თუ დასაწყისში ჩვენს წინაშე ემოციური და აღელვებული თითოეული პერსონაჟი წარსდგა ფილოსოფიური კითხვით „ვინ ხარ შენ?“, დასასრულს განათებული სარკიდან მომზირალი გარინდული, გაშეშებული, სახის ცალკეული დაჭიმული კუნთებით ვიხილეთ, რომელთა თვალებიდან შიში იკითხებოდა, ეს შიში კი ოფელიას პასუხის „არ ვიცი რანი ვიქნებით!“ დამადასტურებლად მივიჩნიე. რეჟისორმა მაყურებელი „დაინდო“ და შეძრწუნებული სახეები მასხარას მეშვეობით ჩააბნელა, რომელიც შემდგომ სისხლით მოთხუპნულ ჰამლეტთან

მიდის და მკაფიოდ, ექოსებული ხმით ეუბნება: „ყოველივე დანარჩენი — სიჩუმე!“ სამართლის მაძებარს თვალებს უხუჭავს და სრული უკუნეთი ისადგურებს... არტისტები ჩვეულ პროფესიულ მდგომარეობას უბრუნდებიან და კვლავ სარკის წინ მსხდომნი, გრიმის მოცილებით, რეალურ ცხოვრებასთან დაბრუნებას გამოხატავენ.

თეატრის კრიტიკოსები და სპეციალისტები წერდნენ და ამბობდნენ, რომ ოსკარას კორმუნოვასი საკუთარი „ჰამლეტით“ დაუპირისპირდა ეიმუნტას ნეკრომიუსის „ჰამლეტს.“ შესაძლოა ეს ასეც იყოს, მაგრამ, ვთვლი, რომ ახალგაზრდა რეჟისორისა და ვილნიუსის საქალაქო თეატრის დასის მიერ წარმოდგენილი „ჰამლეტი“ ესაა სამყაროს ამოცნობა, ჭეშმარიტების ძიება და პასუხის პოვნა ფილოსოფიურად დასმულ კითხვაზე: „ვინ ხარ შენ?“, ეიმუნტას ნეკრომიუსისა და თეატრ „ენო ორტას“ დასის მიერ წარმოდგენილი „ჰამლეტი“ კი ესაა ფსიქო-ფილოსოფიური წარმოდგენა, სადაც ცხოვრება მრავალი შტრიხებით ტრანსფორმირდება, სადაც მზის სიმბოლო — დისკო კბილანებიანი სახითაა წარმოდგენილი, რაც იმის მანიშნებელია, რომ იქ, იმ სამეფოში, მნიშვნელობა არა აქვს დანია იქნება ის თუ სხვა რომელიმე განყენებული ქვეყანა თუ სახელმწიფო, აღორძინების ეპოქა თუ დღევანდელი დღე, მეფის სასახლეში გაიმართება მოქმედება თუ ჩაბნელებულ, თითქმის ცარიელ სცენაზე, სადაც მართალია, შუაგულში, უშველებელი ჭალი ჰკიდია, მაგრამ მას განათების ფუნქცია დაუკარგავს, მიუხედავად იმისა, რომ სანათები „ამშვენებს“, რომელზედაც ოდნავ მბუჭთავი მცირე ზომის სანთლებია. შიგადაშიგ მას მხოლოდ დისკო თუ მიანათებს ისე, რომ მაყურებელს თვალს გჭრის, თითქოს არ უნდა დაინახოს ის სიგიჟე, რაც ამ სამყაროში ხდება და ხან კი, ყინულის ზოდებით სავსე ცელოფანის პარკები ჩამოკიდებული, რომელიც სასწაულებრივ წყ-



„ჰამლეტი“. ლიტვა

ლის წვეთებად იქცევა, მისი ძალა კი ნებისმიერი ბარიერის განღვავასა და ქვიშად ქცევაში გამოიხატება, ამ შემთხვევაში კი მისი ჯადოსნობა უფლისწულის პერანგის ნაკუნებად ქცევაში გამოვლინდა, რაც ნეკროშიუსის მიერ შემოთავაზებული სპექტაკლის „ენის“ კიდევ ერთი მეტაფორაა. ამით არა მხოლოდ ჰამლეტის თეორიული პერანგი დაიფლითა, არამედ მისი სულიერი სამყარო. სწორედ ამ მომენტიდან გარდაისახა ანდრიუს მამონტოვასის გმირი შურისმაძიებლად და მკვლელად; ესაა გარემო, სადაც მუდმივად მავი შირმა, ხანდახან შირმები, რომელიც შიგადაშიგ ხან სასაფლაოს, სამარადისო სამყაროს განწყობას ქმნის, ხან კი ადამიანის ტრანსფორმაციის ვიზუალურ გამოხატვას უწყობს ხელს; ამ განწყობას კიდევ უფრო აძლიერებს ლაერტის (მსახიობი კესტუტის იაქსტასი) სამგზავრო ყუთი, რადგანაც ის ძალიან ჰგავს კუბოს; ურიკა, საიქიოსა და სააქაოს შორის დამაკავშირებელი ერთგვარი ტრანსპორტი — „ეტლი“, რომლითაც ამაყად მობრძანდება იმქვეყნიდან მამის აჩრდილი (მსახიობი ვიდას პეტკევიჩიუსი) და სასაფლაო ანუ სცენის სიღრმეში არსებული პატარა სცენა, ორი ჭრაქით, სადაც ძირითადად მხოლოდ მესაფლავეები „საქმიანობენ“; მნიშვნელობა არ აქვს სათვალეებითა და წიგნებით წარდგება ჩვენს წინაშე ახალგაზრდა ჰამლეტი თუ „პანკის“ ვარცხნილობით, ეს ის სამყაროა, სადაც მარადიული კითხვა „ყოფნა-არყოფნა?!“ კითხვადვე რჩება, სადაც ყოფა ჯოჯოხეთად გადაქცეულა, ხოლო გმირები სულიერად ავადმყოფდებიან, სადაც ადამიანი მუდამ მტკივნეულად განიცდის ბუნებაში არსებული ოთხი სტიქიის: წყლის, ჰაერის, ცეცხლისა და მიწის მდგომარეობის ცვალებადობას. შეყვარებული შურისმაძებლად გარდაისახება, ჰაეროვან, ნაზ, თამამსმონწყურებულ ოფელიას (მსახიობი ვიქტორია კუოდიტე) ჯერ სიყვარულის ძალას განაცდევინებენ, შემდგომ კი მონასტერში წასვლას ურჩევენ, აქაც არ ასვენებენ მის ფაქიზ სულს და შურისძიების მსხვერპლად აქცევენ. სწორედ მათი შინაგანი განწყობა სახიერად გამოხატული რეჟისორის მიერ წყლის სიმბოლიკით, რომელიც ისეთივე „მრავალგანმტოვებანია“, როგორც თავად სპექტაკლი. ეიმუნტას ნეკროშიუსის „ჰამლეტი“ ეს სტიქია, რომელსაც „თხევადი მზის სხივსაც“ უწოდებენ, ისევე როგორც ცეცხლი, მუდმივად იცვლის ფორმას, რითაც საყოველთაო და მარადიული მოძრაობის პრინციპს



„არლეკინი“. იტალია

განასახიერებენ. შესაძლოა ამიტომაც, წარმოდგენაში ეს ორი სტიქია ერთმანეთს ცვლის, თითქოს ერთმანეთს უპირისპირდებიან კიდევ. ამგვარი კავშირი თუ დაპირისპირება წყლის ტემპერატურისა თუ მოგიზგიზე ცეცხლისა, რომლის მეშვეობითაც კაცობრიობის ისტორიაში ყველასთვის სასურველი სახელისუფლებო სკამიც კი იწვის, აალებული სამეფო და ამ სამეფოში მცხოვრები გმირები ცეცხლოვანი გრძნობიდან ყინულოვან, ცივ „სამყაროში“ ინაცვლებენ, რომლის დალენვისა და ნაკუნებად ქცევის სურვილიც კი უჩნდებათ, მაგრამ ამაოდ... წარმოდგენაში გამოყენებული უზარმაზარი წყლით სავსე მოზრდილფეხიანი ღვინის სასმისი — ბოკალი, რომლებსაც კლავდიუსი (მსახიობი ვიტაუტას რუმშასი) როგორც სანუკვარ ნივთს ისე ებლაუჭება და გაფართოებული თვალეებითაც კი ჩასცქერის. მისი ამგვარი ქცევა, როგორც ამას ფსიქოანალიტიკოსები ხსნიან, ქვეცნობიერში ჩალრმავებას ნიშნავს, რომელიც მესხიერებაში დალექილ პლასტებს სწვდება და წამიერად სანუკვარი სურვილების, ალტაცებისა თუ აღმოჩენების გაცოცხლება შეუძლია... წამიერი იყო მისი სურვილის ასრულება!

რეჟისორი ადამიანის ემოციური განწყობის ცვლილებას წარმოდგენის ძირითად მომენტებში სიმბოლურად სტიქიის ორი ნიშნის — ცეცხლისა და წყლის — მკვეთრი ცვლილებით გამოხატავს. აქ ცეცხლი შუამავალია არსებულ და მომავალ სიცოცხლეს შორის; წვიმის წვეთებით კი, რომელიც, უძველესი რელიგიური რიტუალებით თუ ვიმსჯელებთ, მსხვერპლის დაღვრილი სისხლის მიერაა მოვლენილი; თავად ნეკროშიუსი სცენაზე გამოხატულ წვიმის წვრილ და ხშირ წვეთებს სიმბოლურად მამის აჩრდილის გამოსვლას უკავშირებს; გოროზი და ამაყი, დიდებული და ძღვევამოსილი, ალბათ სამოთხიდან „დაბრუნებული“, საკუთარ ქურქს, როგორც

ნიშანს მარადიული ხსოვნისას, კბილანებიან დისკოზე ჰკიდებს, ხოლო ეს ქურქი მთელი წარმოდგენის დროს მანამდე ჰკიდია, სანამ მისი ძე მის პირობას არ შეასრულებს. პირობა კი საკმაოდ მძიმე და სასტიკია, შურისძიების სკენ მოწოდებაა, რაც ჰამლეტისთვის ყინულის დიდი ნატეხის მიწოდებით გამოიხატა — მამამ შვილი მკვლელად უნდა აქციოს. დროსა და სივრცეში დაკარგული გმირები ერთი სულიერი მდგომარეობიდან საპირისპიროში გადადიან და ამით საკუთარ სიგიჟესა და სულიერად გაუნონასნორებელ ატმოსფეროს გვიხატავენ. ამ რიტუალს ძაღლების, ტურებისა თუ მგლების ყმუილი ახლავს თან, მათი ყმუილი ხომ უბედურების, სიკვდილის მომასწავებელია.... რომლებიც შემდგომ, დროებით, თუთიყუშების ჭყიპინითა თუ ჭყავილით იცვლება, როცა უფლისწულის თხოვნით მოწვეული დასის მიერ „გონზაგოს მკვლელობის“ გათამაშება იწყება; რეჟისორის ჩანაფიქრი - წარმოდგენის დროს თუთიყუშების ხმის ფონად დადება - ერთგვარი მეტაფორაა, რომელიც ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში განასახიერებდა მაცნეს ადამიანსა და იმქვეყნიურ სამყაროს შორის, ხოლო ძველ აღმოსავლურ ზღაპრებში ეს „მოლაპარაკე“ ფრინველები ქმრებს ამცნობდნენ ცოლების ღალატის შესახებ, ამიტომაც სიმბოლურია მათი აჭყიპინება „ხაფანგის სცენის“ დროს. თამაში დასრულდა და თუთიყუშების ხმა კვლავ ყმუილად გარდაისახა. ყოველივე ეს იმდენად შეეზარავ და შემადრწუნებელ ატმოსფეროს ქმნის, რომ მაყურებელიც კი, საკუთარ თავს, შესაძლოა წამიერად, მაგრამ მინც ჰიპნოზის მდგომარეობაში აღმოაჩენს, თითქოსდა მომაჯადოებელ რკალში მოექცა, სადაც ყველაფერი აღრეულია, სადაც წვიმას ცეცხლი წვავს, ცოდვას ცოდვა ემატება და გვამებით დაფარულ სცენას საიქიო სამყაროში გადავყავართ, სადაც ერთ დროს გოროზი მამის აჩრდილიც კი, დაუძლურებულ ბერიკაცად გვევლინება, შვილმკვდარი მამის გოდება სამარისებულ სიჩუმეში ცასა და ქვესკნელს ჰკვეთს.

მრავალსახოვნად წარმოდგენილ შემოქმედებულ სამყაროს თან ერთვის პიანინოზე ცოცხლად შესრულებული მელიოდია, რომელიც უფრო გიმტიკიცებს იმის განცდას, რომ ეს ამბავი მენს ირგვლივ ხდება, თითქოსდა არ გაძლევს საშუალებას ილუზიაში გადახვიდე; იოჰანეს ბრამსისა და ჯუზეპე ვერდის კლასიკური მუსიკიდან დაწყებული თანამედროვე როკის, კონკრეტულად კი, ფსიქოდელიური როკის მელიოდიის ფონზე, რომლის

კომპოზიციების შექმნისას და მოსმენისას ხშირად გამოიყენება ჰალუცინოგენური ნივთიერებები, მსუბუქი და მძიმე ნარკოტიკები და რომელიც ცნობილია ექოს მკვეთრი ეფექტებით, წარმოდგენის ვიზუალურ მხარეს მეტად და მეტად ამძაფრებს, სწორედ ამგვარი მუსიკალური გაფორმება აძლიერებს იმ ემოციას, რომელმაც, პირადად მე, დასასრულს დამადუმა, ყოფითობას მომწვევია, ამაფორიაქა და საკმაოდ დიდხანს დამტოვა იმ სამყაროში, სადაც „დროთა კავშირი დაირღვა“.

ზეიმი, ბალაგანი, რომელიც მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე გაიმართა, კარნავალი, გიჟმაჟი განწყობით, რომლის მონაწილენი ქართველი მაყურებლები გაცხდით, რადგანაც იმდენად ლალიდა უშუალოა ის ყოველივე, რაც მილანის „პიკოლო თეატრმა“ (მილანოს პიკოლო, იგივე ევროპის თეატრი, ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი თეატრია იტალიაში, რომელიც 1947 წელს ჯორჯო სტრელერისა და პაოლო გრასის თაოსნობით დაარსდა. 1950 წლიდან თეატრმა მსოფლიო მასშტაბით არა ერთი გასტროლი გამართა და უამრავი მაყურებლის კეთილგანწყობა მოიპოვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საერთაშორისო ტურნე, რომლის შემდეგაც „პიკოლო თეატრმა“ ძალიან მოკლე დროში მოიპოვა მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი თეატრის სტატუსი) წარმოადგინა, თავადაც მონაწილედ ალიქვამ თავს, შენც ერთ-ერთი პერსონაჟი ხარ კომედია დელ'არტედან, რადგანაც ესაა „თეატრი ყველასათვის“ და არა „თეატრი რჩეულთათვის“, კარლო გოლდონის „არლეკინი, ორი ბატონის მსახურის“ სახით, დიდხანს, დიდხანს დაგვამახსოვრდება. „არლეკინი“ (ამ სპექტაკლს შემოკლებით ხომ ასე უწოდებენ) ოპერისა და თეატრის ლეგენდარულმა რეჟისორმა ჯორჯო სტრელერმა 1947 წელს დადგა. რო-



„როსტამი და ზოჰრანი“. ირანი

გორც ამბობენ, სპექტაკლი სხვადასხვაგვარად აღიქვა მაყურებელმა. ერთი ნაწილი თვლიდა, რომ ეს იყო მე-20 საუკუნის „კომედიის“ ერთგვარი ინტერპრეტაცია, მეორე ნაწილს კი მიაჩნდა, რომ სპექტაკლი მსოფლიოში იტალიური კულტურის ელჩის ფუნქციას ასრულებდა. ვერ გეტყვით, ვინ როგორ აღიქვა, ვინ რად მიიჩნია, პირადად ჩემთვის, ეს წარმოდგენა ერთი ამოსუნთქვა გახლდათ, ესაა სანახაობა, რომელიც არ გადუნებს, პირიქით, მისი ცქერისას მუდამ აღმატებულ რეესტრში იმყოფები და ცდილობ არ ჩამორჩე იმ ტემპორიტმს, იმ ულევ ენერგიას, რომელიც სცენიდან გადმოიფრქვევა.



„სამხეცე“. სორვატია

იტალიის „საერო თამაშების“ ნიალიდან წარმოშობილი „ფიცარნაგული თეატრი“, ნიღბების კომედია, კომედია დელ'არტე იმპროვიზაციაზე დამყარებულ თეატრს წარმოადგენს, რომელშიც პროფესიონალი მსახიობები მონაწილეობენ. პროფესიულმა თეატრმა საერო კარნავალებში მონაწილე პერსონაჟები ტრადიციული ფორმებითა და შესრულებით მიიღო, რომელიც შემდგომში უფრო დახვეწა და განავითარა. კომედია დელ'არტე, ხოლო მის შექმნამდე იტალიური სახალხო, საკარნავალო წარმოდგენები სამი ტიპის ნიღბითაა ცნობილი:

1. სახალხო კომედიური (მსახურთა ნიღბები – პირველი - არლეკინი და მეორე - დანი);
2. შეყვარებულთა ლირიული ნიღბები (ჯერ ერთი, ხოლო შემდეგ ორი წყვილი);
3. სატირულ-მამხილებლური ნიღბები (ბატონების ნიღბები: ტარტალია, პანტალონე, ლოქტორი).

ამათგან ყველაზე დიდი პოპულარობა მსახურსა და მასხარას — არლეკინს (მხიარული და კეთილი ხუმარა) ჰქონდა და აქვს, რომელსაც, ხანდახან პირველ ძანადაც მოიხსენიებდნენ. ჩვენ, ფესტივალის ორგანიზატორებმა გვჩუქეს უმშვენიერესი ნუთები და სცენაზე არლეკინის, ბეატრიჩესა და ფლორინდოს მსახურის როლში მსახიობი ფერუჩო სოლერი წარმოგვიდგინა, რომელსაც ეს ნიღბი უკვე ორმოცდაათი წელია რაც მორგებული აქვს, მსოფლიოს 32 ქვეყნის სცენაზე 2064-ჯერ ითამაშა. ამ ერთი ნიღბით, ერთი როლის ნახვით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს წინაშე იდგა ოთხმოცი წლის „მასხარა“, რომელიც უნიკალურია იტალიური თეატრის პანორამაში და შესაძლოა ერთადერთიც კი, რომელმაც თავისი ნიჭის წყალობით შესძლო მის შემოქმედებამდე არსებული ყველა ტრადიციის, ჩვევისა და შემოქმედების ათვისება, მათი ერთმანეთთან შერწყმა და სა-

კუთარი სტილისა და მანერის ჩამოყალიბება. არლეკინის კოსტუმი, რომელიც არტისტს, ოსტატურად აქვს მორგებული და თან ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ ეს მხოლოდ მისთვისაა შექმნილი და სხვა არავისთვის, ცნობილია, როგორც საკმაოდ ღარიბი პერსონაჟისა, რომელიც გადახუნებული წითელი, მწვანე და ცისფერი რომბისებური ფორმის ნაჭრებისგანაა შექმნილი, რა თქმა უნდა სპეციალურად, რათა ხაზი გაესვას მის სიღარიბეს, რომელიც თითქოსდა უკვე სხვა შეკერილი კოსტუმის მონარჩენი ნაჭრებისგანაა აკინძული. მასხარას სახეზე რომბისებრი ნიღბიც კი უკეთია, რომელიც სხვათა შორის, შემდგომში, მოდის სამყაროში ერთგვარ მოტივადაც იქცა და შეიქმნა რომბისებრი სათვალის ჩარჩო, რომელსაც არლეკინის სათვალეს უწოდებდნენ.

არლეკინი სოფლიდან — მშობლიური ბერგამოდან ჩამოსული, გაუნათლებელი პერსონაჟია, მას არ შეუძლია არც კითხვა და არც წერა, იგი ვენეციაში ცდილობს იპოვოს ბედნიერება. შესაბამისად, არლეკინი იტალიური ენის ერთ-ერთ დიალექტზე მეტყველებს, რაც მაყურებელში ინვესს დიდ მხიარულებას. იგი აკრობატი და კლოუნია, რომელიც ცდილობს თავი მოაწონოს მის ბატონებს და ამის გამო მისი არაადეკვატური საქციელი საკმაოდ სასაცილო ხდება მაყურებლისთვის. პირველ რიგში, მისი ყურადღება ყოველთვის გადატანილია საჭმელსა და იმაზე ფიქრითა და მცდელობით, რომ ესა თუ ის საჭმელი როგორ მოიპოვოს, როგორ შეინახოს და ყოველივე ამას არლეკინი განასახიერებს ჟესტიკულაციით, რაც მხიარულების მიზეზი ხდება. სიცულის მომგვრელია მისი ფიზიკური ქმედებაც: მლიქვნელობის გამოსახატავად მისი დგომა მუდამ რკალისებური, დავალების მომლოდინე ხშირად ერთმანეთზე გადაჯაჭვული და გულმკერდზე დაწყობილი ხელებით და თითქოსდა გაოცებული სახით მდგარი, მას



„ბნელ ბალში“. ისრაელი

როცა თავისი სიმართლე ან არალოგიკური ქცევა სურს გაამართლოს, მანჭვა-გრეხით იქნევს ხელკეტს. მისი ერთგული ხელკეტი კი მუდამ ხელში უჭირავს და ან მუქარისდა გამომხატველი მოძრაობის გასამართლებად იყენებს და ან კი, სხვა პერსონაჟებს, გულის მოსაოხებლად, უტყაპუნებს. მისი პატივისცემის აღსანიშნავი თავის დაკვრაც სცილისა და მხიარულების გამომწვევია: უცნაურად გრეხს ფეხებს, ქუსლები შეტყუპებული და ტერფის წინა ნაწილი მარაოსავით გაშლილი აქვს. იგი დარბის სწრაფად და თითქოსდა მსუბუქად. მიუხედავად სწრაფი მოძრაობისა, ასევე სწრაფად, წამიერად შეუძლია სტატიკურ მდგომარეობაში გადასვლა. მისი განუყრელი ნივთია „ტკაცუნა“, რომელიც ხმებს გამოსცემს, როცა ის რალაცას, ან ვილაცას ურტყამს და იყენებს იარაღად. მსურს ერთი პატარა მონაკვეთი ფერუჩო სოლერის ინტერვიუდან გავაცნო ჩვენს მკითხველს, რაც უფრო ნათლად აგრძნობინებს მის სამსახიობო ოსტატობას:

„1987 წელს, როცა მორიგი სპექტაკლი ვითამამე, სტრელერმა მითხრა ფრაზა, რომელსაც ვერასოდეს დავივიწყებ: — ფერუჩო, ერთი უცნაური მოვლენა ვერ ამიხსნია. თქვენ ბერდებით, თქვენი არლეკინი კი ახალგაზრდავდება.“ ფაქტია, რომ ჩვენს წინაშე იდგა არლეკინი, რომელმაც სპექტაკლის დასრულებისას გვაგრძნობინა, რომ მოგზაურობა დაასრულა შუა საუკუნეების, კარლო გოლდონისა და ჯორჯო სტრელერის იტალიაში, რომლისგანაც მიღებული შთაბეჭდილება დიდხანს, ძალიან დიდხანს გაგყვება.

თქვენ გინახავთ თოჯინების ემოცია, გადმოფრქვეული სცენასა და დარბაზში? გიგრიძენიათ შეყვარებული თოჯინის გრძნობები ან თუნდაც თოჯინა-მამის შემზარავი გოდება, როდესაც მისივე ხელით მოკლულ საკუთარ შვილს დასტირის? მათი პლასტიკა და საო-

ცრად ლამაზი ჟესტიკულაცია? ეს უმშვენიერესი წარმოდგენა ირანის თოჯინური თეატრის — „არანის“ — მიერ შექმნილი, ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის დიდი ძალისხმევითა და მოლაპარაკების შედეგად, მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე აღმოჩნდა. თავს არ მოგანყენთ სპარსი პოეტის ფირდოუსისა და მისი გენიალური ნაწარმოების „შაჰ-ნამეზე“ საუბრით, რომელიც თითოეული ჩვენთაგანისთვის ნაცნობია და რომლის ერთ-ერთი ეპოსი

„როსტამი და ზოჰრები“ ამ წარმოდგენის თემაა. ცნობილია, რომ ეს ნაწარმოები პირველად კომპოზიტორმა ლორის ჩექნოვერიანმა ოპერად შექმნა, ხოლო რეჟისორმა ბეჰრუზ ყარიბფურმა, რომელიც ამავე დროს სპექტაკლის სცენოგრაფიცაა და თოჯინების მხატვარიც, სწორედ ამ ოპერის მიხედვით ულამაზეს თოჯინურ სამყაროში გადაიტანა. სიტყვით აღუწერელი სცენოგრაფიული ფერები, რომელიც ძირითადად დატვირთულია ეგრეთ წოდებული აღმოსავლური კულტურისათვის დამახასიათებელი ფერთა გამით. ძირითადად აქ დომინირებს ალისფერი, ოქროსფერი და ოსტატურად, სინქრონულ მოძრაობაში გაცოცხლებული თოჯინები, რომლებსაც ისე ოსტატურად ამოძრავებენ, მაყურებლისგან ფარულად, მეთოჯინეები რომ მათი ცქერისას გავინყდება უსულო თოჯინას უყურებთ თუ შენგან ძალიან შორს მდგარ ცოცხალ მსახიობს, ამგვარ შეგრძნებას უფრო და უფრო აძლიერებს ეკრანს მიღმა არსებული ჩრდილები, რომლებიც ბრძოლის სცენებს განასახიერებენ, სადაც ცეცხლის ფონი მკვეთრად და მძვინვარედ წარმოადგენს ჯარის სილუეტს, ბრძოლის ველზე მორბენალ ცხენებს.... უყურებ წარმოდგენას და შენს წინაშე იხატება სპარსული და ვენეციური მარიონეტების ჩრდილების თეატრის გენიალური ნაზავი, ბალიური ცეკვების მოძრაობით, რომლებსაც თავზე დასცქერის მოძრავი მთვარის კამკაპა ყვითელი ფერი, რომელიც ამავე დროს ალისფერში იჭრება. ამ ფერთა შერწყმაში კი, როცა პარალელურად ისმენ ლორის ჩექნოვერიანის ოპერიდან ნაწყვეტებს, საოცარ ჰარმონიაში ხვდები, სადაც უდიდესი გემოვნებით, ეფექტურობითა და მდიდრული გარემოთია წარმოდგენილი თოჯინების „ცოცხალი“ მოძრაობა თანდართული მუსიკალური და ფერთა შეხამებით, რომელიც გვეხმარება

თითოეულ ჩვენთაგანს, მაყურებელს, „გადავფურცლოთ“, „აღმოვჩინდეთ“ და შევიგრძნოთ ჩვენგან დროითაც და ტრადიციულადაც განსხვავებული ეპოსი.

საფესტივალო პროგრამა ისე იყო აწყობილი, რომ მარადიული თუ ისტორიული თემატიკის ნახვის შესაძლებლობის გარდა, საშუალებას გვაძლევდა გვენახა სპექტაკლები, რომელიც იმ პრობლემატიკას პასუხობს ან გამოხატავს, რაც დღეს ანუხებს და აღელვებს ამა თუ იმ ქვეყანას, ერს. ესტონეთის პიარნუს ენდლას თეატრმა წარმოადგინა სპექტაკლი „მონატრება“ (რეჟისორი, სცენოგრაფი, კოსტუმების მხატვარი და მუსიკალური გამფორმებელი ანდრეს ნოორმეტსი), სადაც ნაჩვენებია მთავარი გმირის (მსახიობი აგო ანდერსონი), რომელსაც სახელიც კი არა აქვს, რადგანაც ამგვარი რამ შესაძლოა ყველას დაემართოს, შინაგანი სიცარიელის გრძნობა და ცხოვრების წესის შეცვლის სურვილი. ამ ცვლილებას კი პერსონაჟი ალკოჰოლური სასმელის მიძალებით და ოცნებაში ან ფსიქოლოგიური მოგზაურობით გამოხატავს, მისთვის სულ ერთია სად და როგორ სიტუაციაში დალევს, მთავარია, სიმთვრალე მოეძალოს და მის ირგვლივ არსებულ რეალობას მოწყდეს. მთავარია ბავშვობის წლები გაიხსენოს, როცა მასზე ზრუნავდნენ, ეფერებოდნენ. დღეს კი, მიუხედავად იმისა, რომ ჰყავს ოჯახი, ფულიც აქვს და საზოგადოებაში დამკვიდრებული სტატუსიც, მაინც ეულად გრძნობს თავს. მისი „მოგზაურობა“ და ბახუსის მდგომარეობაში ყოფნა, მოხეტიალე პერსონაჟის „ნიღბის მორგება“, საბოლოოდ დამლუპველია მამაკაცისთვის, რომელიც საკუთარი დაუკმაყოფილებელი „ეგოს“ გამო ანგრევს საკუთარ ცხოვრებასაც და იმ ხალხის „დღევანდელ დღესაც“, რომელიც მის გვერდით იმყოფება. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენა სამსახიობო ოსტატობის მაღალი დონით არ გამოირჩეოდა, მაყურებლისთვის მაინც საინტერესო აღმოჩნდა ამ დასთან შეხვედრა. ჩვენ გავეცანით ესტონეთის ცნობილ საკურორტო ქალაქ პიარნუსში არსებულ ისეთ თეატრს, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს მშობლიურ დრამატურგიას და როგორც საინფორმაციო წყაროებიდან ვგებულობთ, სეზონის განმავლობაში საშუალოდ ათი პრემიერა მაინც იმართება ეროვნული პიესების თემატიკით. კარგი იქნება თუ ჩვენი, ქართველი რეჟისორები და თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელები გაითვალისწინებენ ამას და ქართულ დრამატურგიას მნიშვნელოვან ადგილს დაუთმობენ საკუთარ რეპერტუარში.

თანამედროვე ადამიანების ფსიქოლოგიური პრობლემა, ოჯახის „დანანევრების“ დან-

ყების შეჩერება, დედისა და შვილების ურთიერთობის გადარჩენა და ვილაცის, თუნდაც სტუმრის, იმედის ქონა. საკმაოდ დაძაბული, ფსიქიკაპერიყული და დეგრადაციამდე მისული გმირები წარმოგვიდგინა ხორვატიის „რიეკას“ - ს თეატრმა ცნობილი ამერიკელი დრამატურგის ტენესი უილიამსის პიესის „მინის სამხეცეს“ მიხედვით. „სამხეცე“ ასე უწოდა რეჟისორმა ნენად ზეგვიჩმა სპექტაკლს, სადაც ერთპატარა სივრცეში მოთხადოთხი სკამია მხოლოდ ოთხი პერსონაჟისთვის განკუთვნილი, რომლებიც მიუხედავად იმ გულისტკენისა, რაც ერთმანეთისთვის აქვთ მიყენებული, მაინც ცდილობენ აღადგინონ ის ურთიერთობა, რომელიც საკმაოდ დამძიმდა და თითქმის რღვევის პროცესის დაწყებამდეა მისული. დამირ ირლიჩის მიერ განხორციელებული ძმის – ტომის როლი, ესაა ახალგაზრდა პროტესტანტი მამაკაცის სახე, რომელიც ხან დუმილით, მხოლოდ ვიზუალური ქცევით — ფეხსაცმელების მიხეთქებით კედელზე და ხანაც, სიტყვიერად, რომელიც მუდამ ცინიკურად პასუხობს ქმრისგან მიტოვებულ დედას (მსახიობი ედიტა კარადოლე), გამოხატავს საკუთარ შინაგან ფსიქოლოგიურ განწყობას ყოველივე არსებულისადმი. თავად დედა — ამანდა უინგფილდი — ცდილობს ის გულისტკენა, რაც მან საკუთარ შვილებს მოლალატე ქმრის გამო მიაყენა, არაორდინალური ქცევით გამოასწოროს. სულიერად დაავადებული ქალიშვილი ნიჭიერ მომღერლად წარუდგინოს სტუმარს (მსახიობი დრაჟენ მიკულიჩი), რომელსაც მასპინძლები მათ გადამრჩენელად აღიქვამენ და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ „მხსნელი“ ხელიდან არ დაუძვრეთ, რადგანაც ის ერთგვარი კატალიზატორის ფუნქციას ასრულებს ოჯახში, სადაც გმირები ცდილობენ გადაარჩინონ ყოველივე ფასეული, მაგრამ ამაოდ... ესაა წარმოდგენა, სადაც მსახიობების მიერ ცალკეული პერსონაჟი მაყურებელამდე იმგვარადაა მიწოდებული, რომ ჩვენ ვხედავთ და ვგრძნობთ მათ ფსიქიურ თუ ემოციურ ფონს. ესაა ფსიქოლოგიური დრამა, სადაც არტისტები ხატავენ პიროვნების ფსიქოსურათს და ჩაკეტილი სივრცე, რომელიც წარმოადგენს ერთ ოჯახს, სამყაროს ერთ პატარა მოდელს, სადაც „მხეცები“ ცხოვრობენ.

თამარ მეფედან ციციანომდე, თუ პირიქით....

დრამატურგ ლაშა ბულაძეს 2001 წელს ირონიული პიესა „ციცინო ანუ პოლიტიკური პიესა“ დაუწერია, რომელიც კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მცირე სცენაზე საფრანგეთის

სასცენო ხელოვნების კომპანიამ წარმოადგინა (ოდნავ ხმამაღალი ნათქვამია, რომ ამ სანახაობას სპექტაკლი ეწოდოს). მთავარი, რასაც ვიგებთ ესაა საქართველოს უახლესი ისტორია, რომლის მთავარ მოქმედ გმირად პროვინციელი ქართველი გოგონაა, წმინდანების მიერ ხელდასმულად თუ ქართველთა ჟანა დ'არკად მოვლენილი, რომლის ოჯახშიც წერა-კითხვის უცოდინარი მშობლები თუ ძმა ტრიალებს, რომელთათვისაც ვეტერინარი, ექიმი, ონანისტი თუ ეკლესიის მსახური ერთ სიბრტყეზეა მოქცეული, სამშობლო ჰიმნი კი - მათ მიერ შეურაცხყოფილი. შეუძლებელია ფრანგმა და მით უმეტეს რუსმა, აქ ხომ ამ ორი ერის წარმომადგენელი მსახიობები თამაშობენ, რაც არ უნდა ირონიულად იყოს ყოველივე ეს მიწოდებული, გაიგონ და გაითავისონ. მით უმეტეს, როცა დასში რუსი მსახიობები მონაწილეობენ, ვფიქრობ, რომ აქ ცოტა ფრთხილად უნდა მივუდგეთ იმ ტკივილს, რომელიც ჩვენ, ქართველებს გვანუხებს. ჩემთვის გასაგებია და მისაღებია ისეთი წარმოდგენა, რომელიც საკმაოდ მტკივნეულ თემატიკას ეხება, თუნდაც მიწოდებული იყოს გროტესკის, აბსურდამდე დაყვანილი იუმორნარევი ტრაგიზმით, მაგრამ მაყურებელს, ქართველი იქნება ის თუ სხვა ერის წარმომადგენელი, უნდა აჩვენოს ისე, რომ არ დასცინოდ, აბუჩად არ აიგდოს. დანმუნებული ვარ ვერც ერთი ფრანგი ვერ აიტანს, ყველამ კარგად ვიცით მათი დამოკიდებულება და განწყობა ეროვნული ფასეულობების მიმართ, საკუთარი ჰიმნის შეურაცხყოფას, რადგანაც ის მიღებულია სახელმწიფოებრივი ერთიანობის სიმბოლოდ, რომელშიც ტრადიციულად გამოხატულია სამშობლოს ქება, მისი წარსულის და მომავლის შეფასება, მოცემული ერის ერთიანობის, კონსოლიდაციის და სოლიდარობის იდეა.

თავის აზრს ლამაზ ბუღაძე ასე ამთავრებს: „მე ასე მასწავლეს: როდესაც თავისუფლებას ებრძვიან ადამიანში, ებრძვიან ქრისტესაც“. ჩემი აზრით კი, თავისუფლება არ ნიშნავს საკუთარი ხალხის, ტრადიციის დაცინვას, ეროვნული ჰიმნის (მოგონს თუ არ მოგონს ამას მნიშვნელობა არ აქვს) საჯაროდ შებღალვას.

მიუხედავად ამისა, ის რაც ჩვენ ვიხილეთ თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, ეს იყო კიდევ ერთი დაუფინანსარი ზეიმი პროფესიონალებისთვისაც და არაპროფესიონალებისთვისაც, ეს იყო კიდევ ერთი წინ გადადგმული

ნაბიჯი იმ სამყაროში, რომელსაც საერთაშორისო თეატრალური სამყარო ჰქვია.

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ველარ მოვახერხე საერთაშორისო პროგრამით გათვალისწინებული სამი წარმოდგენის ნახვა: დიდი ბრიტანეთიდან კომპანიის — „Imitating the dog“ — მიერ შემოთავაზებული სპექტაკლი „სასტუმრო მათუსალა“, გიორგი ტოვსტონოგოვის სახ. დიდი დრამატული თეატრის მიერ წარმოდგენილი „კოპენჰაგენი“, რომლის რეჟისორი ბატონი თემურ ჩხეიძეა და ისრაელიდან ცეკვის კომპანია კიბუცის „ბნელ ბაღში“. ამის მიზეზი კი, სწორედაც რომ, ის საერთაშორისო ურთიერთობები გახლდათ, რომელსაც დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში, თითოეული ჩვენგანი ვცილობთ დავამყაროთ და განვამტკიცოთ. (საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს, ურთიერთთანამშრომლობის მიზნით, ეწვია ჩინეთის, პეკინის დრამის ცენტრალური აკადემიის პრორექტორი, აღმასრულებელი კომიტეტის დირექტორი ბატონი ლიუ ლიზინი. სწორედ მასთან ერთად დაიგეგმა ის სამომავლო გეგმები, რომელსაც ეს ორი უმაღლესი სახელოვნებო სასწავლებელი მომავალში ერთობლივად განახორციელებს.)

რადგან ქართველ დრამატურგზე ვისაუბრე, მიზანშეწონილი იქნება, თუ რამდენიმე საფესტივალო ქართულ სპექტაკლს მიმოვიხილავ, რომელსაც ქვესათაურიც კი შევუწიე

ომი და სიყვარული

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციამ და საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამართა პროფესიონალ კრიტიკოსთა სიმპოზიუმი, სადაც მონაწილეობას იღებდნენ არა მხოლოდ ქართველი, არამედ ფინელი,



„ციცინო ანუ პოლიტიკური პიესა“. საფრანგეთი

ჩინელი, ინდოელი, ირანელი პროფესიონალი კრიტიკოსები. თუმცა ამ სიმპოზიუმის შესახებ არ ვაპირებ მკითხველთან გაბაასებას. ჩემი ყურადღება თეატრალური ფესტივალის ქართულ წარმოდგენებზე ანუ „Georgian Showcase“-ზე მინდა გავამახვილო. სიმპოზიუმით კი იმიტირებ დავინყვებ, რომ სწორედ აქ, ჩვენს, ანუ სტუმრებსა და მასპინძლებს, შორის გამართულ დიალოგში ინდოელმა თეატრის კრიტიკოსმა აჯაი იოშიმ (Ajay Joshi) იკითხა: „ძალიან მიკვირს, თქვენს ქვეყანაში ასეთი მძაფრი საგარეო პოლიტიკური დაძაბულობის შემდეგ, როცა ქვეყანამ სულ ახლახან ომი გადაიტანა (იგი 2008 წლის აგვისტოს ომს, რუსეთ-საქართველოს ომს გულისხმობდა), რატომ არ გაჟღერდა ეს თემატიკა ხელოვნებაში და კონკრეტულად, თეატრში, რატომ არ გამოხატავენ ქართველი დრამატურგები, რეჟისორები და თეატრალური დასები საკუთარ პოზიციას სათეატრო ხელოვნებაში?“. მართლაც, გაკვირვებული დამტოვა ამ კითხვის შემდეგ ჩემმა ინდოელმა კოლეგამ. საფესტივალო ქართული სპექტაკლების პროგრამას თვალი გადავაკვლე და....

თავისუფალი თეატრი წარმოდგენით „მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!“. პიესის ავტორი და რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი - საოცრად „თბილი“ და დაუჯერებელი ამბავი, რომელიც ზღაპრული ისტორიის ტოლფასია. ამბავი, რომელსაც ფონად მირიან შველიძის ლამაზი და ცოტა არ იყოს უცნაური დეკორაცია გასდევს თან. ისეთივე უცნაური, როგორც თავად სპექტაკლია. მაყურებლის პირველი შთაბეჭდილება წარმოდგენაზე სწორედაც რომ დეკორაციით იწყება. სცენის სიღრმეში დაკიდებულ ბადეზე ჩაქსოვილ-ჩაქარგული, „თბილი“ ტონალობის ყვავილებია, ამოქარგული, რაც ზაფხულის სეზონის შთაბეჭდილებას ტოვებს. წელიწადის ეს „ხასხასა“ დრო მშვენიერი ელფერის მიმცემია იმ უცნაური სოფლისთვის, სადაც მახინჯ, შეუხედავ, ძველმანებისგან შემოსილ საფრთხობელას, ძროხას, ძაღლსა თუ ბატს, მორაკრაკე წყაროს წყალს ისევე შეუძლია განიცადოს, ისევე საუბრობს და ესმის, როგორც ადამიანს.

ქართველებისთვის, სანამ რუსი აგრესორების მიერ ანექსირებულ ტერიტორიას არ დავიბრუნებთ, მუდამ იქნება მტკივნეული თემა აფხაზეთი და სამაჩაბლო. რეჟისორმა ავთანდილ ვარსიმაშვილმა კი ეს სპექტაკლი სამაჩაბლოს ომს დაუკავშირა და საოცრად რომანტიკული სახით „დაგვიხატა“ ჩვენი და რუსების ურთიერთობა. თითოეული მონაწილე მსახიობისგან დარბაზში ისეთი სიტბო და სიყვარული იფრქვევა, რომ მაყურე-

ბელს ითრევს ამ „ზღაპარში“ და დასასრულს გჯერა, რომ რუსი ჯარისკაცი, რომელმაც უსაყვარლესი ადამიანი — ქმარი მოგიკლა, ძალიან მალე მიუღლე თუ არა მეგობარი მაინც გახდება. ის ხომ უბრალო ჯარისკაცია, დევალეების შემსრულებელი, რომელმაც შესაძლოა, მართლაც, არ იცოდა სად მიჰყავდათ, რატომ და რისთვის ანადგურებდა და აუბედურებდა იმ ხალხს, რომელიც, გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენი მეზობელია. მეზობელთან კი, გვიყვარს თუ არა იგი, მეტ-ნაკლებად, დიპლომატიურ ენაზე მაინც, უნდა შეგვეძლოს საერთო ენის გამოხატვა და იმ პრობლემების გადაწყვეტა, რომელიც ჩვენც გვანუხებს და, დარწმუნებული ვარ, მათაც. პოლიტიკოსი არ გახლავართ და არც არასდროს გამჩენია სურვილი ამ თემაზე ხმამაღლა საუბრისა. ეს ფიქრები, სპექტაკლის ნახვის შემდეგ, კიდევ ერთხელ გაჩნდა ჩემში და თავს უფლებდა მივცეი ხმამაღლა, მხოლოდ ერთხელ, ამ წარმოდგენის შემდეგ მეთქვა, რადგანაც ნანახით გულგრილი ნამდვილად ვერ დარჩები. ეს ხომ ის თეატრია, რომელიც „მხოლოდ სიმართლეს და დღესასწაულს სთავაზობს მაყურებელს“.

2008 წლის აგვისტოს მოვლენებს ეხება ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრიც სპექტაკლით „ბანანისა და კომმის პუდინგი კონიაკითა და რომით“ (გურმანებს შესაძლოა ამ წარმოდგენის სახელწოდება ძლიერ მოეწონოთ, რის გამოც სურვილიც კი გაუჩნდეთ სპექტაკლის ნახვისა). სპექტაკლის პრემიერამდე, ერთ-ერთ საგაზეთო თუ ინტერნეტ ვებ-გვერდზე, ასეთ აზონს, წავაწყდი:

„კომიკური იგავი ერთ მოქმედებად, რომელსაც რეჟისორი გიორგი თავაძე სთავაზობს მაყურებელს, ერთგვარი სიურპრიზია ქართველი საზოგადოებისთვის, რომლის გამხელას რეჟისორი შემოქმედებით გუნდთან ერთად პრემიერამდე არ აპირებს. სპექტაკლი ერთგვარად ეხმიანება რუსეთის აგრესიას და ქართველთა ხასიათის ისეთ თვისებებზე მიაწინებს, რომელიც ტრაგიკომიკურ ელფერს ატარებს.“ სამწუხაროდ, პრემიერა ვერ ვნახე, თუმცა თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში სამუალება მომეცა მეხილა ეს წარმოდგენა და მენახა ის „სიურპრიზი“, რასაც რეჟისორი დაპირდა მაყურებელს. პროგრამაში კი, სპექტაკლის შესახებ, საკმაოდ ვრცელი ანოტაციაა მოცემული და ერთ პატყვლა ამონარიდს გაგაცნობთ: „სპექტაკლი პოსტმოდერნისტული ალუზიებითაა შექმნილი და იგი ალეგორიულ იგავად იქცა, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედება ერთი ოჯახის მისაღებში - სასადილო-სამზარეულო ოთახში მიდის. კომიკური ალეგორიე-

ბი პოლიტიკურ სიმბოლოებად იკითხება“.

მკითხველს, ალბათ, კარგად ახსოვს მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლები და ამ პერიოდთან დაკავშირებული ქართული თეატრი, ვისაც არ ახსოვს ან არ უნახავს იმ დროის ქართული სპექტაკლები (ასაკის გამო), ნაკითხული ან გაგებული მაინც ექნება, თუ რა ტრიუმფითა და წარმატებებით მიმდინარეობდა სამშობლოშიც და მის ფარგლებს გარეთაც, წარმოდგენები. მათი უპირველესი ხიბლი კი სწორედაც რომ ის ალევგორია და მეტაფორა გახლდათ, რომელსაც უხვად იყენებდნენ იმდროინდელი ქართველი რეჟისორები, რადგანაც სხვაგვარად იმ სამყაროში, რომელსაც სსრკ ერქვა, რთული იყო ხმამაღლა გეთქვა და გეჩვენებინა ის, რისი თქმის უფლებაც პოლიტიკური თვალსაზრისით არ გქონდა. ქართველი ხელოვანები, მიუხედავად უდიდესი ცენზურისა, მაინც ახერხებდნენ საკუთარი სათქმელის თქმას სწორედაც რომ სიმბოლოებით, მეტაფორებითა და იგავებით. იმ ეპოქისა და დროის მაყურებელიც მშვენივრად და ნათლად იგებდა იმ სათქმელს, იმ ტკივილს, რომელიც მაშინ აწუხებდათ და თითოეული ამგვარი წარმოდგენის ნახვის შემდეგ, საოცრად მსუბუქად და თითქოს „რალაცისგან გათავისუფლებულები“ ტოვებდნენ თეატრს, რადგანაც თვლიდნენ, რომ ისინიც იყვნენ მონანილენი იმ სპექტაკლისა, რომელმაც, მართალია, მეტაფორული ენით, მაგრამ მაინც თქვა სათქმელი და თან ოსტატურად და უმაღლესი პროფესიული სამსახიობო ხელოვნების ჩვენებითაც. დღეს კი, როცა ე. წ. ცენზორის ინსტიტუტი აღარ არსებობს, დღეს გველაპარაკება თეატრი იგავებით, აბსურდამდე დაყვანილი იგავებით და თან გვაფრთხილებს, რომ „კომიკური ალევგორიები პოლიტიკურ სიმბოლოებად იკითხება“. უყურებ (90 წუთი) ამ წარმოდგენას და არც იგავის ამოხსნა გინევს და არც სიმბოლოს გაშიფვრა. ის, რაც უნდა ეთქვათ, გახსნილად და თამამადაც შეიძლება თქმულიყო და არ ეკეკლუცათ, კეკლუცობასაც ხომ თავისი ფორმა და მიზანი გააჩნია მაყურებლის წინაშე, მით უმეტეს ისეთი მაყურებლის, რომელსაც არა ერთხელ აქვს ნანახიცა და ამოხსნილიც ისეთი მიზანსცენები, როგორ-

საც სთავაზობდნენ და საბედნიეროდ, დღესაც სთავაზობენ გენიალური ქართველი რეჟისორები, რომელთა წინაშე პატივისცემისა და მადლობის ნიშნად თავს ვხრით.

მკითხველმა უკვე იცის, რომ სტატიის ამ ნაწილს „ომი და სიყვარული“ ვუნოდე და ამჯერად მხოლოდ სიყვარულის თემაზე, მარადიულ და კლასიკად ქცეულ სიყვარულის თემაზე მსურს გესაუბროთ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ არა ერთ სცენურ ინტერპრეტაციას იცნობს ჩვენი მაყურებელი, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი რეჟისორების მიერ შემოთავაზებულს (თბილისის პირველ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე ხომ დაუვინყარი „რომეო და ჯულიეტა“ — რეჟისორი ოსკარას კორშუნოვასი — ვიხილეთ). რიგით მეორე საერთაშორისო ფესტივალმა კი ქართველი რეჟისორის, გიორგის სიხარულიძის თვალით დანახული სიყვარულის ისტორია წარმოგვიდგინა, სადაც სიტყვები მართლაც რომ ზედმეტია და მაყურებელს შესთავაზა მიმოდრამა. მხოლოდ მუსიკით, პლასტიკით, მოძრაობითა და შესტიკულაციით მოგვითხრო ტრაგიკულ სიყვარულზე, სადაც ორი ეპოქა, შექსპირისეული და დღევანდელი დღე, ისეა შერწყმული და იმგვარი ნაზავითაა წარმოდგენილი, რომ ემოცია, რაც ამ გრძნობას, მით უმეტეს ტრაგიკულს, ახლავს თან, XXI საუკუნის ცხოვრებისეული რიტმი, აქა-იქ შემორჩენილი ინგლისელი დრამატურგის ეპოქა, ეს ყველაფერი უსიტყვოდ, მაგრამ წრფელი ემოციითა მაყურებლამდე მოტანილი და დანახული. რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ ამგვარი წარმოდგენით აჩვენა ქართველ მაყურებელსა და მით უფრო თეატრის თეორეტიკოსებს, რომ საქართველოშიც შეუძლიათ იმგვარი სპექტაკლის შექმნა, რომელიც პლასტიკით იქნება გაჯერებული და რომელსაც მოძრაობის თეატრი ჰქვია.

ის, რაც ჩვენ ვიხილეთ თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, ეს იყო კიდევ ერთი დაუვინყარი ზეიმი პროფესიონალებისთვისაც და არა პროფესიონალებისთვისაც, ეს იყო კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იმ სამყაროში, რომელსაც საერთაშორისო თეატრალური სამყარო ჰქვია.



18 ოქტომბერს საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში გაიმართა დისპუტი თბილისის მეორე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის მნიშვნელობასა და სპექტაკლებზე. ფესტივალის განხილვის ორგანიზატორი გახლდათ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე გიორგი ქავთარაძე.

გიორგი ქავთარაძე: მოგესალმებით. მიხარია, რომ შევიკრიბეთ. ჯერ არც ისე მრავლად ვართ, მაგრამ კარგია, რომ პროფესიონალებში ხდება განხილვა.

ჩვენი სურვილი იყო, რომ აქ დიდი აუდიტორია შეკრებილიყო, რაც, სამწუხაროდ, არ მოხდა. მაგრამ იმედია, როგორც ჩემს მეგობრებში ვთქვი, გამოითქმება არამიტინგური აზრები და ერთმანეთს გაეუზიარებთ ჩვენს შთაბეჭდილებებს ამ საერთაშორისო ფესტივალთან დაკავშირებით.

რამდენადაც ვიცი, ფესტივალს აქვს რამდენიმე დანიშნულება. პირველია ის, რომ ფესტივალზე ვამოწმებთ და ვაფასებთ ჩვენს შემოქმედებით პოტენციალსა და დონეს ჩამო-

სულ სპექტაკლებთან მიმართებაში. მეორე ალბათ, გახლავთ ის, რომ ჩვენ, ასე თუ ისე, ვინებდებით ევროპისა და აზიის თეატრალურ ცხოვრებაში. გარდა ამისა, არის ისეთი რამ, რაც საერთო ტენდენციას გამოხატავს. მე პირადად მგონია, რომ ქართული თეატრი ისე ვერ წარსდგა წლევანდელ ფესტივალზე, როგორც გვინდოდა. არ მიმაჩნია სწორად, რომ წარმოდგენილი იქნა ჯერ ქართული სპექტაკლები, შემდეგ კი - უცხოური. აჯობებდა, რომ შერეული ყოფილიყო და ასევე ვფიქრობ, რომ არ იყო ის დონე, რომელიც ჩვენ საერთოდ გვქონდა ამ წლების განმავლობაში, თუმცა, იყო სპექტაკლები, რომლებსაც დიდი ინტერესით შეხვდა მაყურებელი. სწორედ ყოველივე ამაზე მინდა ვიმსჯელოთ დღეს. მართალია, ცოტანი ვართ, მაგრამ მაინც მინდა გამოვიყენოთ დღევანდელი დღე და გავუზიაროთ ერთმანეთს შთაბეჭდილებები.

ეს გახლავთ ჩემი პირველი ღონისძიება თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ და მინდა გითხრათ: არ დაიდგმება რეგიონებსა, თუ დედაქალაქში სპექტაკლი, რომლის განხილვასაც ჩვენ არ ჩავატარებთ. ამით ნელ-ნელა ჩვენი შეკრებები მუდმივ ხასიათს მიიღებს.

ირინე ლოლობერიძე: ამ ფესტივალზე არ მქონია არავითარი სტატუსი, არც ფესტივალის მრჩეველთა საბჭოში ვყოფილვარ. ვიყავი მხოლოდ პროფესიონალი მაყურებელი. მოხარული ვარ იმის გამო, რომ ასეთი დიდი თეატრალური ღონისძიება ტარდება ჩემს ქვეყანაში, სადაც არ ვართ განებივრებული ფესტივალებით და მნიშვნელოვანი თეატრალური მოვლენებით. ვარ თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი (საქართველოში თეატრის კრიტიკოსთა კავშირის დაფუძნება ვერ მოხერხდა). ფესტივალის მიმდინარეობის პერიოდში ჩემი თაოსნობით ჩატარდა სიმპოზიუმი, რომელსაც ვუნოდე „კულტურული ხიდი,“ რომელიც გულლისხმობს კრიტიკოსთა მონაწილეს სხვადასხვა ქვეყნიდან. მისი მიმდინარეობა ხანდახან ემთხვეოდა საფესტივალო ღონისძიებებს და ამდენად, ათი უცხოური წარმოდგენიდან ცხრის ნახვა მოვახერხე.

უპირველეს ყოვლისა, ალბათ თვითონ ფესტივალზე უნდა მოვახსენოთ. ძალიან ბევრი დამეთანხმება, რომ წლევანდელი ფესტივალი იყო ბევრად უფრო მობილიზებული, უკეთ ორგანიზებული, საინტერესო და მაყურებელსა და პროფესიონალებზე გათვლილი, ვიდრე - შარშანდელი. მე ვხედავდი პრესის ძალიან ბევრ წარმომადგენელს, შეიძლება რაღაც აკლდა, მაგალითად, ინფორმაცია, რეკლამა, მაგრამ ვინც საქმეს არ აკეთებს, იმას არაფერი ეშლება და ამდენად, თუ გვაქვს კრიტიკული შენიშვნები და ალბათ გვაქვს, მაინც მინდა ღმობიერად შევხედოთ და დარწმუნებული ვარ, რომავალში ისინი გამოსწორდება.

რაც შეეხება უცხოურ პროგრამას,

უდავოდ საინტერესო იყო. დავინწყით იმით, რომ სამი „ჰამლეტი“ იყო, თუ ჩავთვლით მართალია, როგორც ამბობენ, დაუმთავრებელი, მაგრამ თითოეონ თეატრის „ჰამლეტს“, რომელიც ძალიან საინტერესო იყო და ორი ჰამლეტი - ნეკროპოლისა და კორმუნოვასის.

კორმუნოვასის „ჰამლეტი“ მე ჯერ კიდევ მუშაობის პროცესში ვნახე ამ ერთი წლის წინ საბერძნეთში ევროპის თეატრალური ჯილდოს გადაცემის დროს. მან გვიჩვენა ამ სპექტაკლზე მუშაობის პროცესი და ეს იყო სადღაც 50-წუთიანი ამონაწერი იმისა, რაც ვნახეთ აქ. გითხრათ ის, რომ ძალიან შეცვალა მიზანსცენები ან რეჟისორული ხედვა, არ ვიქნები მართალი, მიმაჩნია, რომ ის, რაც ვნახე მაშინ, გაცილებით დინამიური და უფრო საინტერესო იყო. მან უბრალოდ გააფართოვა უკვე არსებული მიზანსცენები, ჩამატა მონოლოგები და ამან მართლაც, მექმნა გარკვეული საინტერესო მომენტები. ძვეთანხმდეთ კიდევ ერთ რამეზე, რომ კრიტიკა ყოველთვის ინდივიდუალურია. კორმუნოვასის სპექტაკლი არ მომხვდა გულზე: გარდა იმისა, რომ თითოეული ჩვენგანი პროფესიულად ვუყურებთ სპექტაკლს, ჩვენ მაინც მაყურებლები ვართ და ჩვენ-ჩვენი სამკუთხედი გვაქვს - თეატრი, მაყურებელი, კრიტიკა. აი, სწორედ ამ სამი კომპონენტის ურთიერთდამოკიდებულებაზე იყო აგებული მთელი წარმოდგენა. მე ის გულზე არ მომხვდა რამდენიმე მიზეზის გამო. ჩემთვის იქ არ იყო ამბავი, როგორც ასეთი. ჩვენ ყველამ ყველაფერი ვიცით „ჰამლეტის“ შესახებ, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ყველაზე ენიგმატური, ყველაზე გრძელი და გაუგებარი პიესა შექსპირის შემოქმედებაში არის „ჰამლეტი.“ არ ვიცი რა ელასტიურობას ფლობს ისეთს, რომ ყველაფერს იტევს, ყველა ჟანრს, ყველა ქვეყანას. პრაქტიკულად ეს ამბავი, საკმაოდ ცუდად მოთხრობილი, დაირღვა. უმეტესწილად დღევანდელ თეატრში პოსტ-მოდერნიზმი აუ პოსტპოსტმოდერნიზმი, რაც არ უნდა ვუხროთ ამას, ამბავი მაინც მეტნაკლებად დარღვეულია. ეს აბსურდმა დაინყო და დღეს სხვათა ძორის, საკმაოდ მანინჯი ფორმით და ასეთივე თეატრალური რეალიტებით გარდაისახა. აი, ეს ამბავი პირველ მოქმედებაში იყო მთლიანად. არ ვიცი თქვენ გაიგეთ თუ არა, მაგრამ მე, მაგალითად, ვერ გავიგე, როდის მოკვდა ოფელია. მიუხედავად იმისა, რომ მეორედ ვნახე, მე არ ვუყურებდი ამ სპექტაკლს ტრადიციული თვალთ. მე მახსოვს, ერთი შეკითხვა, რომელიც კორმუნოვასს დაუსვავს საბერძნეთში - რისი თქმა გინდოდათ თქვენი „ჰამლეტითო?“ მან თქვა: ის, რაც მე მიხდოდა მეთქვა და გადმომიცა „ჰამლეტში“, პირველ მოქმედებაში გავაკეთე. მეორე მოქმედებაში კი არის მხოლოდ და მხოლოდ ჰამლეტის ავადმყოფური ხილვანი და მისი რემინისცენციები იმისა, რაც მოხდა პირველ მოქმედებაში. პირადად მე, ეს ავადმყოფური ჰამლეტი აღარ მაინტერესებს.

დღეს, XXI საუკუნეში ამას არ აქვს მნიშვნელობა, ასევე ყოფნა-არყოფნის საკითხი დაისმება თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ არ მომეწონა. საბერძნეთის ვარიანტი, მართალია, აქ შენარჩუნებულია, მაგრამ ძალიან ცალსახად იკითხებოდა სათაგურის სცენა. მიზანსცენა ისევე იყო აგებული როგორც რობერტ სტურუას „ჰამლეტში.“ მაყურებლად მჯდომი ჰერტრუდა და კლავდიუსი დგებიან და თამაშობენ. ეს არც კორმუნოვასს დაუმაღლავს და თქვა, იმპულსი თქვენგან წამოვიდაო.

რაც შეეხება ნეკროპოლის „ჰამლეტს“, მას დიდი ინტერესით ვუყურებდი, თუმცა ნუ დავივიწყებთ იმას, რომ ის მაინც ძველი, 16-17 წლის შინ დადგმული სპექტაკლია, რომელიც აღადგინეს ამ ფესტივალისთვის. სპექტაკლში თამაშობს როკ-ვარსკვლავი. ასეთი ერთხელ უკვე იყო ლუბიმოვთან, სადაც სცენაზე იდგა არაჩვეულებრივი ვისოცკი ჯინსებით და გიტარით, და სამივე ეს - ჯინსები, გიტარა და ვისოცკი იყო რეაქცია ტოტალიტარული საძყაროსადმი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით. თვითქონ, რომ იგივეა აქაც. ძალიან მომწონა ვითონ აჩრდილი, მისი ყველა სტიქიაში გამოჩენა. ეს იყო ცეცხლი, ნყალი, ჰაერი და მინა. ვილაცამ იკითხა, მსახიობი სად დაინახეო. ჰამლეტი არ არის პროფესიონალი და ამ ხნის მანძილზე ვერ გახდებოდა პროფესიონალი, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ეს არის აბსოლუტურად სულ სხვა სამსახიობო სკოლა, ეს მაინც ნორდისკული სკოლაა, თუმცა შევდურმა თეატრმა განმაცვიფრა თავისი ტემპერამენტით.

„პიკოლო თეატრზე“ ვერაფერს ვიტყვი. ისტორიამ უკვე თქვა მასზე. ერთი სარკასტული რეპლიკაც კი გავიგე დარბაზში, რომ ბოლოს და ბოლოს, სახელმძღვანელოს ვკითხულობთო და ეს ასეც არის. ეს არის ის, რაც, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევინარჩუნეთ. არადა, შეგვეძლო დღეს ეს გვექონოდა. ბრავო იტალიელებს!!! მე წილად მხვდა ბენდინერება, მენახა სტრელერის კიდევ ერთი სპექტაკლი. მან 1996 წელს ოდენოში ჩამოიტანა „მარივო“ („მონათა კუნძული“) - საოცარი სპექტაკლი. სრულიად ცარიელი სცენა იტევდა მთელ სამყაროს, მსოფლიოს თეატრის ყველა სახელმძღვანელოს. ყველაზე მომგებინი და საინტერესო სპექტაკლი წარმოადგინეს იტალიელებმა და ასეც უნდა იყოს იმ თეატრში, რომელიც სათავეში უდგას ამ ფესტივალს, მაგრამ დამაკლდა ერთი რამ. ფიცარნაგიდან გადადის მსახიობი და მოქმედება გრძელდება „ჯიბებში.“ ეს „ჯიბები“ აქ ცოტა პატარა იყო, ვინაიდან იქ უამრავი რამ ხდებოდა. მოქმედება არ ჩანდა და იკარგებოდა.

ირანის თეატრი წარმოდგენილი იყო ოპერით „რუსტამი და ზოჰრაბი.“ სპექტაკლი იყო ქვეყნიდან, რომელიც საკმაოდ მწყრალოდ არის თეატრალურ ხელოვნებასთან და ძალიან ბევრი აკრძალვა აქვს. მე მგონი, მაინც ძალიან საინტერესო იყო. მარიონეტები მათი უძველესი ტრადიციაა. აქ არის დასამული

პრობლემა, რაც ქვეყანას აწუხებს. მსახიობები კარგად თამაშობენ. მომეჩვენა, რომ მეთოჯინეთა ხელოვნებასთან შედარებით მუსიკა გაცილებით უფრო საინტერესო იყო. ასეა თუ ისე, ეს იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი, ვინაიდან ვნახეთ ის, რაც არ გვინახავს.

იყო ლაშა ბულაძის „ცივინო ანუ პოლიტიკური პიესა“ - ექსპერიმენტი განხორციელებული საფრანგეთის ახალგაზრდა თეატრალური დასის მიერ. ძალიან საინტერესო იყო ხორვატიის სპექტაკლი „სამხეცე“, წარმოდგენილი ასევე ექსპერიმენტის სახით.

ერთ გარემოებას მივაქციე ამ ბოლო დროს ყურადღება: ფინეთის, შვედეთის ან თუნდაც ხორვატიის თეატრების ძირითადი თემატიკა ოჯახური პრობლემებია, რაც ალბათ, იმის მაჩვენებელია, რომ სხვა პრობლემები საკმაოდ კარგად აქვთ მოგვარებული და მხოლოდ ეს აწუხებთ.

ერევნის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრმა წარმოადგინა არისტოფანეს „ღრუბლები“, რომელმაც წააგო იმ მხრივ, რომ არ ჰქონდა ტიტრები და არც თუნდაც სინოფსისი გვექონდა ხელთ.

ისრაელის დასის „ბნელ ბაღში“ იყო შესანიშნავი ქორეოგრაფია, რომელსაც არ სჭირდებოდა ტექსტი. მართალია, კორდებალეტი ერთფეროვანი იყო, მაგრამ მთლიანობაში, ეს იყო სიახლე...

დიდი დრამატული თეატრის „კოპენჰაგენთან“ დაკავშირებით იყო სკეპტიკური მოლოდინი, რომელიც საინტერესოდ დასრულდა. შიშის გრძნობა, როგორ მიიღებდნენ პირველ რუსულ დასს, რომელიც ჩამოვიდა დამოუკიდებელ საქართველოში, მსახიობებს აბსოლუტურად გაუქრათ. მაყურებელს მიეცა საშუალება, ენახა მსახიობებთან თემურ ჩხ-

ეიძის იუველირული ნამუშევარი. ჩემი რეაქცია „კოპენჰაგენზე“ ასეთი იყო – ღმერთო, როგორ მომნატრებია ფსიქოლოგიური თეატრი!

ყველაზე სადავო დიდი ბრიტანეთის სპექტაკლი „სასტუმრო მათუსალა“ აღმოჩნდა. არაჩვეულებრივად იყენებდა ვიდუოს ეს სპექტაკლი, მაგრამ ცოცხალი მსახიობის ორგანულად, თეატრალურად ჩვენება მას უფრო მეტს შესძენდა.

მართალია, არცთუ შესაძლებელია და სასურველი, ფესტივალმა მიმართულებები გამოკვეთოს, მაგრამ აქ, შემთხვევით, ახალი რეალიები და ახალი ფორმები გამოიკვეთა. ამ ბოლო დროს ქართულ თეატრსაც გამოიკვეთა ეს ტენდენცია – ახალი ძიებებისა. ექსპერიმენტებისა, ის ეძებს ახალ ფორმებს, მაგრამ ახლის ძიება ბრმად არ უნდა მიმდინარეობდეს, ამ ძიებებში გუშინდელი და კარგი არ უნდა დავივიწყოთ. ახალი სპექტაკლები თეატრებს არ ჰქონდათ ჩამოტანილი. ახალი ძვირი ღირს.

მაკა ვასაძე: ქართული სპექტაკლებით დავიწყებ. მეც ქ-ნ ირინესთან ერთად ვიღებდი სიმპოზიუმში მონაწილეობას. ქართული კრიტიკა აქ ისე კარგად წარსდგა, რომ შემოგვთავაზებს გაერთიანება. ინგლისურ-ბრიტანულმა კომპანიამ ჩაატარა მასტერკლასები.

ვნახე მხოლოდ რამდენიმე ქართული სპექტაკლი. მათგან განსაკუთრებით მომეწონა დათა თავაძის „მახინჯი“, ლაშა ბულაძის „შვიდი პატარა პიესა“ ზ. გენაძის დადგმით. ეს წარმოდგენა იმითაც იყო საინტერესო, რომ მასში ახალგაზრდა მსახიობი კატო კალატოზიშვილი გამოჩნდა. შვიდი უცხოური სპექტაკლი ვნახე. ვერ ვიტან თეატრში კი-



ტრის და ძეხვის ქამას სცენაზე – ამ ნატურალიზმს, როგორც მაყურებელი, ვერ ვიღებ, რომელიც ესტონელებმა წარმოადგინეს. მეორე მოქმედებიდან დავტოვე წარმოდგენა. მომენტონა კორმუნოვასის „ჰამლეტის“ დასაწყისი, რომლის მოქმედებაც საგრიმიროში მიმდინარეობს. ყველა მოქმედი პირი უყურებს თავის თავს სარკეში – ჰამლეტიც, ოფელიაც, ჰეროდოც, და თავიანთ თავს ეკამათებიან. ჩემთვის საინტერესო იყო ის, რომ ახალგაზრდებს მოეწონათ სპექტაკლი. რეალური და ირეალური სამყაროს დაპირისპირება, რაც ძალიან მომეწონა. პირველი მოქმედება და ფინალი, რომელმაც ექსპოზიცია გაიმეორა და ასე შეკრა სპექტაკლი, ძალიან კარგი იყო.

ნეკრომიუსის „ჰამლეტზე“ დღემდე ვფიქრობ. ხელოვნების ნაწარმოები, პირველი რიგში, ემოციებს უნდა აღძრავდეს და მერე უნდა გაიზაროს გონებით. მე ალბათ, დავწერ ამ სპექტაკლზე.

ბევრს ვერაფერს ვიტყვი სტრელების სპექტაკლზე. ეს ის ბალაგანური თეატრია, რომელიც ძალიან მიყვარს.

ებრაული დასი – საცეკვაო, სხეულის თეატრია. როდესაც მას ნახულობ ასე ცოცხლად, დიდ ეფექტს ახდენს. მასსოვს პინაბაუშის თეატრი და მის მსგავსად, ამ წარმოდგენამაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. მოძრაობებს, ფერს, პლასტიკას თავისი მხატვრული სათქმელი ტექსტის გარეშეც მოჰქონდა მაყურებელთან.

დიდი ბრიტანეთის თეატრის სპექტაკლმა „მათუსალამ“ მაფიქრებინა, რომ მათ შემქმნელ კოლექტივს კინოფესტივალზე ეგონა თავი, სპექტაკლში იმდენად უხვად იყო გამოყენებული ვიდეო მასალა.

ირანელებთან დაკავშირებით დიდი მოლოდინი მქონდა. მათი მინიატურები ძალიან მომწონს. მომეწონა ასევე მარიონეტების თამაში, მაგრამ მოქმედება ძალიან განუვლილი იყო, მუსიკა კი ემოციურად ნაკლებად მისაღები აღმოჩნდა. ძალიან კარგად იყო გაკეთებული დატორების სცენა.

მძიმე შთაბეჭდილება დატოვა გ. სიხარულიდის „რომეო და ჯულიეტამ“. ეს იყო არავერბალური თეატრი, რომლის ხერხები არ ეთანხმებოდა მუსიკალურ გაფორმებას. ვერ გავიგე, როდესაც დგამ სპექტაკლს და არ გყავს ის მსახიობები, რომლებიც შენს ჩანაფიქრს შეგისრულებენ, რატომ დგამ? ირანელებსაც არ მოეწონათ ეს სპექტაკლი.

გ. თავაძის „პუდინგის“ გამო ამკარად შევწუხდი. მე მინახავს მისი სხვა სპექტაკლები, მაგრამ ეს წარმოდგენა არ მომეწონა. ამდენი სუელომფრენი, ჟირაფი... ი. სამსონაძის ფანტასმაგორიული ხილვები (ჯხენია თუ ჟირაფი რომ ვერ გავიკვებია) გაბნევს. პიესას „დაბოლილი მთვარე“ ბათუმში „პუდინგი“ ერქვა. არც პიესა მომეწონა.

მარიამ იაშვილი: ძიებებთან დაკავშირებით მინდა შევნიშნო, რომ „სტიქისა“ და „რომეო და ჯულიეტას“ შემდეგ რჩება მთაბე-

ჭდილება, რომ ძიებები მხოლოდ არავერბალური თეატრისკენ არის მიმართული.

თამარ ქუთათელაძე: რუსთაველის თეატრის სპექტაკლზე „დაბოლილი მთვარე“ მე რეცენზიაც დავწერე და ეს წარმოდგენა მნიშვნელოვან ნამუშევრად მიმაჩნია... გოგა თავაძის მიერ უკანასკნელ ხანს განხორციელებულმა დადგმებმა დაგვარწმუნა, რომ ეს რეჟისორი საკუთარ გამოკვეთილ ესთეტიკას ეძებს თანამედროვე თეატრალურ რეჟისურაში, ეს ფაქტი ძალზე ღირებულია და არ უნდა შეფერხდეს მასში ეს მაძიებლური პათოსი. იგი ქმნის პრინციპული ეკლექტიზმით შექმნილ უახლეს პოსტმოდერნულ წარმოდგენებს, მათ შორის „დაბოლილი მთვარე“ თამაშის თეატრის პოეტიკის ნიმუშია... მასში მონაწილეობდა რუსთაველის თეატრის მთელი ვარსკვლავები – ნინო კასრაძე, ზაალ ჩიქობავა, პაატა გულიაშვილი, ნანუკა ხუსკივაძე... ისინი თამაშობდნენ დიდი გატაცებითა და უჩვეულო სილალით. ხოლო თანამედროვე ტოტალური რეჟისურის პირობებში რეჟისორს დრამატურგიულ მასალაში ჩართვების სრული უფლება აქვს. რაც შეეხება პიესისა თუ წარმოდგენის უმთავრეს კონცეფციას, იგი ძალზე მარტივია – ქართველებს ერთმანეთი თუ გვეყვარება, ურთიერთთანადგომით შეუძლებელს შევძლებთ და ნებისმიერ მტერს დავამარცხებთ.

ვნახე ირანელების და ებრაელების ნამუშევრებიც. ჩემთვის ებრაული თეატრი ნამდვილი აღმოჩენა იყო. წარმოდგენამ გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა მსახიობთა არაჩვეულებრივი პლასტიკით, ცეცხლოვანი და უალრესად ღრმავროვანი ცეკვებით, კოსტუმების ფერებით, დახვეწილი რეჟისორული გადასვლებით. ეს იყო ერთსაათიანი კომპაქტური წარმოდგენა, რომელმაც ნოსტალგია გამიჩინა – ჩვენ, ვახტანგ ჭაბუკიანის, ჯორჯ ბალანჩინისა და ნინო ანანიავილის ქვეყანას რომ არა გვაქვს თანამედროვე ცეკვის თეატრი... რაც შეეხება „რომეო და ჯულიეტას“ დადგმას, ძალზე სეზონში შექსპირის ეს უკვდავი ნაწარმოები ორ თეატრში დაიდგა – თბილისის ცენტრალურ საზაფხუო თეატრში, სადაც მიუზიკლად განახორციელა მერაბ კიკნაძემ. ხოლო დიდი თეატრალური ტრადიციის მქონე ქუთაისის თეატრში გიორგი სიხარულიდემ წარმოვიდგინა ექსპერიმენტულ პლასტიურ წარმოდგენად. თავად ის ფაქტი, რომ დიდი ხნის ინტერვალის შემდეგ ეს გენიალური ქმნილება და მასში გაცხადებული ძირითადი თემა კვლავ აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში უალრესად მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია.

გურამ ბათიაშვილი: ძალიან სასიამოვნოა, რომ ქალბატონებმა განიხილეს სპექტაკლები. უპირველეს ყოვლისა, დავინწყებ იმით, თუ რას ნიშნავს ეს ფესტივალი ჩემთვის: როდესაც თემურ ჩხეიძის სპექტაკლზე მივედი ბილეთით ხელში და მაინც ძლივს მოვახერხე შესვლა, ამით ბედნიერი ვიყავი. ფესტივალ-

მა თეატრი პრესტიჟული გახადა. ეს დიდი საქმეა. როდესაც მაცურებელი ასე აქტიურად მოდის საფესტივალო წარმოდგენებზე, ეს უკვე დიდი შემოქმედებითი იმპულსია ჩვენი ქალაქის ცხოვრებაში. მეორე საკითხი, რომელზეც მინდა ვისაუბრო, არის ედინბურგის ფესტივალის დირექტორის შემამფოთებელი გამოხატულებაში, რომ **ქართული თეატრი არის ძველმოდური თეატრი**. თავდაპირველად გავლიზიანდი, მაგრამ მოგვიანებით შევეცადე გამენალიზებინა ეს აზრი. ედინბურგის თეატრის დირექტორმა ქართულ საფესტივალო სპექტაკლებზე კი არ თქვა, ძველმოდურიო, არამედ საერთოდ, ქართული თეატრია ძველმოდურიო. ფაქტი, რომ ფესტივალზე ქართული თეატრი არასასურველ დონეზე იყო წარმოდგენილი, ფაქტად რჩება. შევიხედოთ ჩვენს სამზარეულოში...

მივაქციოთ ყურადღება იმას, რაც მოხდა თემურ ჩხეიძის სპექტაკლის შემდეგ: დაიხ პატივი მიაგეს ოლეგ ბასილაშვილს, ჩხეიძეს. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ქართველ მაცურებელს მოენატრა საუბარი საკაცობრიო იდეალებზე. ქართულ თეატრში ყველაფერი გაიოლდა და მისი შოუზაცია მოხდა. შოუმენი უფრო პრიორიტეტული გახდა, ვიდრე საკაცობრიო იდეალებზე მოსაუბრე რეჟისორს.

ქართულ თეატრში არის რეჟისურის კრიზისი, როგორც ამას რობერტ სტურუა მენიშნავს, მაგრამ არის იდეების კრიზისიც. ფესტივალმა კიდევ უფრო გაუსვა ხაზი ამ ფაქტს. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ყველაფერი ცუდად არის. მაგრამ ის წარმატებები, რაც ლევან ნულაძეს, დავით დოიაშვილს ჰქონდათ საერთაშორისო ფესტივალებზე. საგულისნმოა, რაც, თითებზეა ჩამოსათვლელი. განგაში უნდა ავტეხოთ და დავფიქრდეთ ედინბურგის თეატრის დირექტორის განცხადებ-

ბაზე.
ი. ლოლობერიძე: ყოფილი დირექტორის.
გ. ბათიაშვილი: თუნდაც ყოფილი დირექტორის გამოხატულებაზე და დავფიქრდეთ ამაზე. რაც შეეხება სპექტაკლებს, მე მაცურებელი ვარ და მაქვს ჩემი დამოკიდებულება სპექტაკლებისადმი. მიმაჩნია, რომ გ. სიხარულიძის „რომეო და ჯულიეტა“ არის ძალიან კარგი თეატრალური სანახაობა. აქ ითქვა, რომ ირანელებს არ მოეწონათ ეს სპექტაკლი. მე კი მათი წარმოდგენა არ მომეწონა. შესანიშნავად ფლობენ მარიონეტების ტარების ხელოვნებას, მაგრამ სპექტაკლი იყო ძალიან განუვლილი, უემოციო.

სანდრო მრევლიშვილი: მინდა გავახსენოთ ძველი ჭეშმარიტება და ცოტა მკაცრიც ვიყო გარკვეული თვალსაზრისით. მე დავყოფდი ასე. ავიღებ სამ მოვლენას - ნეკრომიუსის „ჰამლეტი“, სტრელერის „არლენკინი - ორი ბატონის მსახური“ და თემურ ჩხეიძის „კოპენჰაგენი“. სტრელერი არის თეატრის არსი, ნეკრომიუსის „ჰამლეტი“ ეს არის ე. წ. პოსტმოდერნიზმის კვდომა. „კოპენჰაგენი“ მოზრუნებაა იმისაკენ, რაზეც დგას თეატრი. საღვადორ დალი იქნები თუ მიქელანჯელო, ხატვა უნდა იცოდე. რაც შეეხება ვერბალურ და არავერბალურ თეატრს, მე არ მომეწონა ებრაული სპექტაკლი. არ შეიძლება ცეკვა მეცვალო სიარულით, არ შეიძლება მხოლოდ შავი და ნითელი ფერის თამაშმა ალგაფრთოვანოს. ბალეტის შეცვლა მოძრაობით, დრამატული თეატრისა - არავერბალური თეატრით, ავტორის შეცვლა მოფიქრებული იმპროვიზაციებით ყოველთვის იყო.

კინემატოგრაფი ჯერ კიდევ 1928 წელს გამოიყენა მარჯანიშვილმა თავის სპექტაკლებში. „მათუსალამ“ ეს უკეთესი ტექნიკითაც ვერ გვიჩვენა. ავტორი - მსახიობი - მაცურე-



ბელი - როგორც კი ამ ტრიადას ვარღვევთ, მისკენ ვინცთ იერიშს, საქმე ცუდადაა. ჯერ კიდევ 1960-იან წლებში ვროცლავის ფესტივალზე დაიწყო ძიებები მოძრაობის თეატრთან დაკავშირებით.

სტუდენტებს ვკითხე, ვინ თამაშობდა ჰამ-ლეტს ნეკრომიუსის სპექტაკლში-მეთქი, ვერ მიპასუხეს.

მომწონს სტრელერის ერთი გამონათქვამი. მსახიობი კი არ თამაშობს ტექსტს, ის თავად ხდება ტექსტი. სპექტაკლი მოძველებულია, გეთანხმებით, ბატონო გურამ, მაგრამ თეატრი შოუზაციის და პოსტმოდერნიზმის მიმართულებით არ უნდა წავიდეს. ვერც ციფრული ტექნოლოგიები, ვერც გალოგრამა ან რობოტიზაცია ვერ შეცვლის ცოცხალ ადამიანს სცენაზე.

ირანელებზე მინდა ვთქვა ის, რომ ისინი ვერ იყენებენ იმ შესაძლებლობებს, რომელიც აქვთ. მათ არაჩვეულებრივად შეუძლიათ მარიონეტების ტარება. უძლიერესია დატირების სცენა. ჩემი აზრით, ომის სცენა, რომელიც აჩრდილებით გააკეთეს, ორმოცდაათი მარიონეტის საშუალებით რომ წარმოედგინათ, ბრწყინვალე იქნებოდა. გამოაგნა მუსიკამ. ამ მუსიკალურ პარტიტურას არ სჭირდება გადატანა კლასიკურ ინტერპრეტაციაში. ზურუნა, დედუკი რომ გამოეყენებინათ, ალბათ უკეთესი იქნებოდა. საჭირო იყო ეროვნული საკრავებით ცოტა მძაფრი მუსიკალური დრამატურგიის შექმნა - ყოფილიყო თემები, სხვადასხვა ინსტრუმენტის ერთმანეთში შეჯახება...

„ციცინო ანუ პოლიტიკური პიესა.“ დავტოვე სპექტაკლი იმიტომ, რომ არ შეიძლება ნახევრადპროფესიონალებმა სერიოზულ თემებზე (ომზე, ჩივრებზე) ჰიმნის ოფიციალური ჟღერით ისაუბრონ - უნდა ყოფილიყო ვარიაცია და არა ოფიციალური კანონიკური მელოდია.

ლელა ნიფურია: სასიამოვნო და კარგი ფაქტია, რომ „საჩუქრისაგან“ განსხვავებით ეს ფესტივალის სავესტუარო დარბაზებში მიმდინარეობდა და მაყურებელი ყიდულობდა ბილეთებს. მინდა აღვნიშნო, რომ თანამედროვე უცხოური დრამატურგია ვერ გავიცანი ამ ფესტივალზე. აქ იყო წარმოდგენილი კლასიკა: მექსიკო, ტენესი უილიამსი. . . თემურ ჩხეიძის და სტრელერის ნამუშევრები იყო ნიმუში იმისა, რა არის მარადიული თეატრი და რა - დროებითი. იმედია, როცა საქართველოს დეოკუპაცია მოხდება, მერე ბევრად უფრო დავუჭერთ მხარს რუსულ თეატრს.

ლამა ბულაძის შესახებ მინდა ვთქვა, რომ ნუ მივაკერებთ ამ ნიჭიერ მწერალს ერის მოლაპარაკის იარაღებს. ციციანოსა და ჟანა დარკის რემინისცენციები არ არის გააზრებული სტრუქტურის დონეზე, მაგრამ, ჩემი აზრით, უბრალოდ მეკრული, რიტმული სპექტაკლი იყო. ირანელების მოსაწყენ წარმოდგენასთან შედარებით, „ციცინო“ უფრო სანახაობრივი მომეჩვენა.

მაკა ვასაძე: ჰიმნი ჩემთვისაც გამაღიზიანებელი იყო, რადგანაც ამ ფასეულობაზე ხუმრობა არ შეიძლება.

გოგი ქავთარაძე: ფრანგები რომ აშარჟებენ მეფეს, თუნდაც „ფანფან ტულპანში“ ან სხვა ხანარმოებში, ეს მათთვის მისაღებია, რადგან არ განიცდიან ამას, მაგრამ მეფე ერეკლეს გაშარჟება არ შეიძლება. არ შეიძლება იგივე თქვა დავით აღმაშენებელზე, თამარ მეფეზე, რასაც ფრანგები ლუდოვიკოზე იტყვიან, იმიტომ რომ პატარა ერი ვართ.

დღეს საინტერესო რამ მოხდა. ყველა რომ მოსულიყო, მონოლოგების რეჟიმი იქნებოდა. როდესაც ფესტივალები ტარდება, ის ქვეყანა ცოცხლობს ამ ფესტივალებით. მის ქუჩებში ზეიმია - ცეკვავენ, მღერიან, ფესტივალის მოვლენაა ქალაქში. ჩვეიც შეგვეძლო გაგვეკეთებინა ეს, მაგრამ ჯერჯერობით ეს ასე არ ხდება.

მეორე, მე გგონია, რომ ჩვენი თეატრები სათანადოდ ვერ წარსდგნენ მაყურებლის წინაშე. ქართული თეატრი არასერიოზულად მოეკიდა ამ ფესტივალს. უნდა ეჩვენებინა უფრო საინტერესო სპექტაკლები.

ფერუხო სოლოერის გარდა ამ ფესტივალზე სხვა სახელი არ გაჟღერებულა მანამ, სანამ ოლეგ ბასილაშვილი არ ჩამოვიდა.

დიმიტრი ხეთისიაშვილი: მინდა აღვნიშნო, რომ ხელიდან გაგვექცა მთავარი, რაც მნიშვნელოვანია თეატრში - მსახიობი. ოსკარას კორმუნოვასის უკვე მესამე სპექტაკლი ვნახე და მსახიობი არსად ჩანს. თემურ ჩხეიძის სამსახიობო ჯგუფში 14 ოქტომბრის შემდეგ ლექცია ვეღარ ჩავატარე, რადგან სტუდენტებმა თქვეს, ეს ყოფილა თურმე თეატრი და დღეიდან ქართულ თეატრში სპექტაკლებს ვეღარ ვნახავთო. მათ ნახეს სტრელერი, მაგრამ მათთვის მოვლენად „კოპენჰაგენი“ იქცა. ჩემთვის ნეკრომიუსის „ოტელო“ და „ძია ვახია“ გაცილებით საინტერესო სპექტაკლები იყო, ვიდრე „ჰამლეტი“. აქ თითქმის არც ერთი არტისტი არ ჩანდა. რეჟისორის ფილოსოფიამ თითქმის ყველა მთანთქა.

ისრაელელებმა გვიჩვენეს სუსტი წარმოდგენა - აკრობატიკისა და ცეკვის სინთეზური თეატრი.

ფერუხო სოლოერი რომ 81 წლის ასაკში დგას სცენაზე, ეს ჩემთვის არ იყო გასაკვირი, რადგან ამ ასაკში მე მინახავს სცენაზე რამაზ ჩხიკვაძე, მედეა ჩახავა.

გულიკო მამულაშვილი: ირანს უმდიდრესი ლიტერატურა აქვს. ცნობილია, რომ ამ ქვეყანაში, ჯერ კიდევ მე-5 საუკუნიდან იმართებოდა პანტომიმური წარმოდგენები. მე-14 საუკუნეში თოჯინური, მარიონეტული თეატრი ჩამოყალიბდა, რომლის ერთ-ერთი პერსონაჟი იყო ფახლავან ქაჩალი. 1968 წლიდან თეირანში იმართება თოჯინური თეატრების საერთაშორისო ფესტივალი. დღეს მსოფლიოში ყველაზე ცნობილი სწორედ იაპონური და ირანული თოჯინური თეატრებია.

ამჟამად ირანულმა თოჯინურმა თეატრმა

აირჩია „მაჰ-ნამეს“ ერთი მონაკვეთი – ბედის-ნერის თემა – მამის მიერ შვილის მოკვდინება. „როსტამი და ზოჰრანის“ ზოგიერთი სცენა განელილი იყო იმიტომ, რომ რეჟისორმა ხარკი გაიღო ფირდოუსის ბრწყინვალე სტროფების გამო (ამ ნაწარმოებს 650 000 ბითი აღწერს).

ირანში ოპერის დიდი ტრადიციაც არსებობდა. ამ სპექტაკლის რეჟისორს ევროპასა და აზიაში აქვს მიღებული განათლება. აქედან გამომდინარე, იგი შეეცადა მოეხდინა აღმოსავლური და დასავლური კულტურების სინთეზი.

თვით ის ფაქტი, რომ ირანის თეატრი ჩამოვიდა თბილისში, არის მოვლენა. ამიტომ ამგვარი ფესტივალის ჩატარება ძალზე მისასალმებელია.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა რეჟისორმა მაია შენგელიამ, ისტორიკოსმა რუსუდან რცხილაძემ და რეჟისორმა გიორგი ოქრუაშვილმა.

თემურ ჩხეიძე მადლობა მოახსენა დამსწრეთ თავის სპექტაკლისადმი გამოჩენილი დიდი ყურადღების გამო და გაიხსენა სტრელერთან შეხვედრა მილანში, სადაც იგი „მარიკოს“ დგამდა. ორმოცი წუთი ვიყავი მის კაბინეტში - აღნიშნა თ. ჩხეიძემ და აქედან 38 წუთი აგინებდა იტალიურ თეატრსა და იტალიელებს. აქ თეატრი არავის უნდა და მე, როგორც გიჟს ისე მიყურებენო. ათი წელია ჩემი თეატრის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს, 25 წელია მეტრო შენდებაო. ასე რომ, ყველას აქვს პრობლემები.

როდესაც გავეცანი ფესტივალის პროგრამას, ვიფიქრე, რაც უფრო განსხვავებული სპექტაკლები იქნება, მით უკეთესი-მეთქი და ჩამოვიტანე სპექტაკლი, რომელიც არც ერთ მათგანს არ ჰგავს.


საერთოდ, ფესტივალებს დადებითად ვაფასებ. ვფიქრობ, რომ, თუ ფესტივალი ორსამ კარგ სპექტაკლს წარმოადგენს, უკვე შეიძლება კარგ ფესტივალად ჩაითვალოს.

ირანული წარმოდგენა DVD – ზე მაჩვენეს, სადაც გაცილებით ახლოს ჩანდნენ თოჯინები. ერთი თოჯინა მთელი საათის განმავლობაში აწობდა კალამს, მგონი, მართლა წერდა. შორიდან შეიძლება ასე არ ჩანდა, მაგრამ სწორედ ეს არის ოსტატობის კლასი.

ქეთი დოლიძის „საჩუქარს“ გაცილებით ნაკლები მხარდაჭერა ჰქონდა, მაგრამ მაინც ახერხებდა ფესტივალის ჩატარებას. არ ვერევი კონფლიქტებში, მაგრამ გული მწყდება იმაზე, რომ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ფესტივალი აღარ ტარდება.

დ. ხვთისიაშვილი: ფესტივალი „საჩუქარი“ ოფიციალურად არ გაუქმებულა და დღემდე ატარებს მიხეილ თუმანიშვილის სახელს.

გ. ქავთარაძე: მინდა, გულწრფელად მოგახსენოთ მადლობა. პროფესიონალები ბრძანდებით. გიყვართ თეატრი. 14 იანვარს ჩატარდება ქართული დრამატული საზოგადოების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე. ეს საზოგადოება დააარსა ილია ჭავჭავაძემ და მისი პირველი თავმჯდომარეც იყო, მოადგილე კი აკაკი წერეთელი გახლდათ.



დაგეგმილი გვაქვს, რომ ქართული თეატრის დღეზე სანომინაციო სპექტაკლები ვნახოთ მსახიობის სახლში, რომ ჟიურის წევრებმა სპექტაკლის უნახავად არ გასცენ პრიზები. საზოგადოებაში გვექნება თეატრი, სადაც ყველა ჩამოვა და ითამაშებს. მინდა გამოცოცხლდეს თეატრალური ცხოვრება.

ბატონ კოტეს ვთხოვ, აღადგინოს ხსოვნის საღამოები, ბენეფისები არა მხოლოდ გამოჩენილი, არამედ ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობებისთვის. მინდა შევქმნათ „დებიუტი“ - მიგულოცოთ პირველი სპექტაკლი, პირველი როლი, პირველი სცენოგრაფიული ნამუშევარი ახალგაზრდებს.

მე ვიცი, რომ ყველაფერი ეს ფინანსებთან არის დაკავშირებული და ალბათ, ჩვენც გამოგვიჩნდება სპონსორი, რომელიც ამ ღონისძიებების ჩატარების საშუალებას მოგვცემს.

ორინა ლოლობერიძე ბარეულის სამკუთხედსა და იდეალურ სამეულს შორის

თბილისის მეორე საერთაშორისო ფესტივალი ეს-
ესაა დასრულდა, მაგრამ ვნებათაღელვა ჯერაც არ დამ-
ცხრალა: ინერტა სტატიები, იმართება დისკუსიები,
წყობა რადიოგადაცემები, კულუარებში არ წყდება კა-
მათი ქართულ თუ უცხოურ სპექტაკლებზე, სტუმრებსა
თუ მასპინძლებზე, ორგანიზატორებსა თუ გარემყოფ,
მაგრამ მაინც აქტიურ მონაწილეებზე და, რა თქმა უნდა,
მაყურებელზე, რომლის გარეშე ვერც ერთი ფესტივალი
ვერ იარსებებს. ეს ყველაფერი მაჩვენებელია იმისა, რომ
ფესტივალი შედგა, ჩვენს საზოგადოებრივ-კულტურულ
სივრცეში თავისი ადგილი დაიმკვიდრა და მომავალშიც,
იმედია, უფრო საინტერესო და აუცილებელ მოვლენად
იქცევა თეატრის მოყვარულებისა და პროფესიონალები-
სთვის.

ფესტივალის ფარგლებში არა ერთი საინტერესო
ლონისძიება მოეწყო (ვორქშოპები, გამოფენები..). სხვა
მრავალ, ასე ვთქვათ, თანამდევ მოვლენებთან ერთად
ქართული თეატრის შოუქეისის დროს (1-2 ოქტომ-
ბერი) თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაც-
ციის ეგიდით და ფესტივალის მხარდაჭერით გაიმართა
თეატრის პროფესიონალ კრიტიკოსთა სიმპოზიუმი,
რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო თეატრისა და
კინოს უნივერსიტეტმა.

უნდა ითქვას, რომ პირადად მე თეატრის კრიტიკოს-
თა საერთაშორისო ასოციაციასთან უკვე მრავალწლიანი
თანამშრომლობა მაკავშირებს, ათ წელზე მეტია ვარ ასო-
ციაციის ინდივიდუალური წევრი, მონაწილეობას ვიღებ
მათ კონგრესებსა და კონფერენციებში, შეხვედრებსა და
ფესტივალებში. ქართული კრიტიკისა და საერთაშორ-
ისო ასოციაციის დაკავშირება ადრეც ვცაადე. ექვსი თუ
შვიდი წლის წინ ასოციაციის საერთაშორისო მდივანი
და ვიცე-პრეზიდენტი მოვიწვიეთ საქართველოში და
მათი თანდასწრებით შევეცადეთ საქართველოს კრი-
ტიკოსთა კავშირის და დამოუკიდებელი კრიტიკის ჯილ-
დოს დაარსება. სპონსორიც გამოგვიჩნდა, მშვენიერი

ლონისძიებაც ჩავატარეთ, მაგრამ ხალისითა და ენერჯით დაწყებული საქმე ტიპიურად „ქართულმა სინდრომ-
მა“ ჩაშალა – „რატომ სხვამ და არა ჩვენ“, გაიჟღერა მაშინ პრესაში, კერძო საუბრებში... ვინ იყო „სხვა“ და ვინ
- „ჩვენ“, დღემდე ვერ გამოვიცა, ფაქტი კი სახეზეა – შემდგარი კონტაქტი გაწყდა, ხოლო მის აღდგენას (და ვინ
უნყის, აღდგება კი?!) წლები დასჭირდა. უახლოეს ორ - სამ წელს, ალბათ, ვერაფერი მივაღწევთ, რადგან ახალი
წევრების მიღება მხოლოდ ორ წელიწადში ერთხელ ასოციაციის კონგრესზე კენჭისყრის ნების, მონაწილეთა
ხმათა უმრავლესობით წყდება. კონგრესი კი სულ ახლახან, ერევანში ჩატარდა. ისევ დაგვასწრეს მეზობლებმა!
მართალია, მათ განვერიანებაზე კონგრესმა თავი შეიკავა...

შარშან, ასევე ფესტივალის თანადგომით, საქართველოს ესტუმრა ასოციაციის პრეზიდენტი, სამხრეთ კო-
რეელი კრიტიკოსი და თეატრის თეორეტიკოსი იუნ-ჩოლ კიმი, ხოლო ასოციაციის ყოფილმა, ახლა უკვე საპა-
ტიო პრეზიდენტმა, ბრიტანელმა იან ჰერბერტმა კრიტიკოსთათვის მინი ვორქშოპიც ჩაატარა თეატრისა და
კინოს უნივერსიტეტში. მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკოსთა ვორქშოპი ბერტმა სკეპტიკურად შეაფასა, იანთან
მუშაობა მაინც საინტერესო იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ვორქშოპის მონაწილენი თითქმის ერთი კვირის გან-
მავლობაში სპექტაკლებს ყოველდღე ესწრებოდნენ, მეორე დღეს კი ერთმანეთს ხვდებოდნენ, მსჯელობდნენ,
კამათობდნენ...

წელს უფრო მასშტაბურ ლონისძიებას ვგეგმავდით, მაგრამ ერევანის კონგრესის შემდეგ ეჭვი შეგვეპარა,
რომ მსოფლიო თეატრითა და მონესრიგებული ცხოვრებით განებივრებული უცხოელი კოლეგები იგივე რე-
გიონს ხელმეორედ მოაწყებდნენ. ამიტომ ურთიერთგაცნობის უფრო კამერული, მაგრამ მათთვის არანაკ-
ლებ საინტერესო და თანაც ტრადიციული ფორმა ავირჩიეთ – „კულტურული ხიდი“, რომელიც გულისხ-
მობს ასოციაციის 3-4 წარმომადგენლის მონაწილეობას სიმპოზიუმში, რომელსაც აწყობს არანევირ ქვეყანა
ერთი, თუნდაც ინდივიდუალური წევრის რეკომენდაციით. ბუნებრივია, ვერავითარი რეკომენდაციები ვერ
გვიშველიდა ფესტივალისა და ქალბატონ ეკა მაზმიშვილის აბსოლუტური თანადგომის იმედი რომ არ მქონო-
და. ერთი სიტყვით, პირველი კონტაქტი შედგა და, ვფიქრობ, ძალიან შედეგიანი გამოდგა.

„კულტურული ხიდის“ თემა ბულგარელმა კოლეგამ კალინა სტეფანოვამ შემოგვთავაზა, რომელიც ერე-
ვის კონგრესამდე ჩვენს ასოციაციაში სემინარებსა და კოლოკვიუმებს ხელმძღვანელობდა. დიდი მინერ-მონ-
ერისა და მსჯელობის შედეგად სათაური ამგვარად ჩამოყალიბდა: „თეატრი – მასყურებელი – კრიტიკა: ბერმე-
დის სამკუთხედი თუ იდეალური სამეული“. სკეპტიკურ-ირონიული რეალიკების მოყვარულთა აქვე დავთმან-
ებები: დაახ, თემა ამბიციურია, თანაც ბერმედის სამკუთხედში ჩაკარგვის მომასწავებელი! მაგრამ კალინა საკ-
მაოდ ავტორიტარული პიროვნება გახლავთ და „თავისას“ იოლად არასდროს თმობს.

პრინციპში, თანამედროვე კრიტიკის სტატუსზე ახალ თეატრალურ რეალიტებთან მიმართებაში საერთა-
შორისო ასოციაციამ უკვე იმსჯელა 2008 წელს სუულში ჩატარებულ კონგრესზე („კრიტიკა და ახალი თეატ-
რალური ფორმები“), სადაც ისეთი კორიფეები მონაწილეობდნენ, როგორცაა, მაგალითად, ერიკ ბენტლი, ავ-
ტორი ნიგინსა „დრამის ცხოვრება“, ან პატრის პავი, რომელმაც კრიტიკულ ესესტიკასთან ერთად „თეატრის

უნივერსალური ცნობარი“ და „თანამედროვე ევროპული თეატრის ანთოლოგია“ შექმნა.

თბილისის სიმპოზიუმის ამბიციები უფრო მოკრძალებული გახლდათ, რადგან სიმპოზიუმში მრავალი მაგისტრის ფორმატით ჩატარდა და ყურადღება, ვრცელი სათაურის მიუხედავად, ძირითადად, კრიტიკოსსა და მის სამყაროზე გამახვილდა. პირველი დღე ორი სესიისაგან შედგებოდა: დილის სხდომა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, უცხოელი კოლეგების მოხსენებებს დაეთმო, ხოლო მეორე – ქართველებისას. ქართული კრიტიკის სესიას ფინელი კოლეგა, კრიტიკოსი და მიმომხილველი, პროფესორი მათი ლინაფუორი უძღვებოდა. სიმპოზიუმის მეორე დღე მთლიანად ქართულ თეატრს დაეთმო. ქართული თეატრის მცირე ისტორიული ექსკურსის შემდეგ, რომელიც შესანიშნავად წარმოგვიდგინა ბატონმა ვასილ კიკნაძემ, გაიმართა დისკუსია თემაზე „ქართული თეატრის შოუქეისი კრიტიკოსთა და მაცურებელთა თვალთახედვით“. დისკუსია ღია და ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო. გვსურდა, რომ კამათში მონაწილეობა მიეღოთ რეჟისორებს, თეატრის მოყვარულ არაპროფესიონალებს, ჟურნალისტებს, რომლებიც ტელევიზიასა და რადიოში კულტურას აშუქებენ; ერთი სიტყვით, ხალხმრავლობასა და აზრთა ჭიდილისათვის ვემზადებოდით. ხალხმრავლობას მებუკვლავად მივალნიეთ, რადგან ორივე დღეს, მოხსენებელთა გარდა, სიმპოზიუმს შოუქეისზე ჩამოსული უცხოელი ჟურნალისტები, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის დოქტორანტიები და ერთი-ორი თეატრმცოდნეც კი ესწრებოდნენ. რადიოსა და ტელევიზორში კულტურაზე და, კერძოდ, თეატრზე მომუშავე თეატრმცოდნე ჟურნალისტებიდან („თეატრმცოდნეზე“ ყურადღების გამახვილების მიზნით ამჟამად ტავტოლოგია გამოვივიდა!), თეატრის უერთგულესი ქალბატონის, გულიკო კაკაბაძისა გარდა სიმპოზიუმს არავინ გაჰკარებია. რეჟისორთაგან კი მხოლოდ ნინო ლიპარტიანიმა დაგველო პატივი და დისკუსიაში თავისი თეატრზე დისკუსიის იგნორირება ინფორმაციის ან დროის უქონლობის გამო მოხდა თუ სხვა რამ მიზეზით, ალბათ, ვერასდროს გავიგებთ. თუმცა, ინფორმაცია უნივერსიტეტის საიტზე შოუქეისის დაწყებამდე დაიდო, ფესტივალის ბუკლეტშიც დაიბეჭდა და ფეისბუქზეც გავრცელდა... არადა სამწუხაროა, რადგან ქართული თეატრის დღე, რომლის მოდერატორი ცნობილი კრიტიკოსი, პენ კლუბის წევრი, ფესტივალის კონსულტანტი და ბევრი სხვა რეგალიის მქონე ინდოელი აჯაი ჟომი გახლდათ, ძალიან მწვავედ და დინამიურად წარიმართა. დასახანია აგრეთვე, რომ დისკუსიის ჩანერა ვერ მოხერხდა, თუმცა, როგორც მითხრეს, ბოლო წამს შემოსწრებულმა ერთ-ერთმა მოხსენებელმა ნაწილი თურმე მაინც ჩაიწერა. იმედს ვიტოვებ, რომ ჩანანერს, თუ ის მართლა არსებობს, მოგვანვდის, რათა გამოსაცემად თითქმის გამზადებულ მასალას მაინც დავურთოთ.

მოხსენებების განხილვით თავს არ შეგანყენებ, „კულტურული ხიდის“ თანდართული პროგრამა თავისთავად უკვე ბევრის მიქმელია, თანაც ყველაფერი, ვიმედოვნებ, უახლოეს დროში კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის რეგისტრირებულ ვებ-ჟურნალშიც გამოქვეყნდება და თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის გამომცემლობაშიც ორენოვანი კრებულის სახით დაისტამბება.

და ბოლოს, ერთი რამ მინდა ავღნიშნო: ქართული კრიტიკა თეატრის კრიტიკოსთა პირველ საერთაშორისო სიმპოზიუმზე სათაურში გამოტანილი ტრიადის („თეატრი – მაცურებელი – კრიტიკა“) არც ბერძნულის სამკუთხედში მთანთქმულს და არც იდეალური სამეულით ბრმად მოხილულს ჰგავდა. მოხსენებებსა და კამათში ყველამ და თანაც ძალიან მაღალ დონეზე წარმოადგინა ის, რაც ჩვენი პროფესიის არსსა და ტრიადის წონასწორობის წერტილს წარმოადგენს – პროფესიონალიზმი, შეფასებათა დამაჯერებელი ობიექტურობა და კამათის კულტურა.

სიმპოზიუმის მიმდინარეობა:

1 ოქტომბერი 2010; 10.00

I პლენარული სესია

- I, თავმჯდომარე – ირინე ლოლობერიძე (საქართველო)**
- მატი ლინაფუორი (ფინეთი) „მამიშობის ამბავი: როგორ მოხდა რომ თეატრის რეჟისორებს, კრიტიკას და მაცურებელს ერთმანეთის არ ესმის“**
- სავას პატსალიდის (საბერძნეთი) „კრიტიკოსთა სამყარო“**
- ლიუ მინგუ (ჩინეთი) „თეატრი-მაცურებელი-კრიტიკა: ერთმანეთზე მზრუნველნი“**
- აჯაი ჟომი (ინდოეთი) „ტრიადა და მეოთხე განზომილება“**
- ლიუ კინგი (ჩინეთი) „შანჰაის კონფუ ოპერის მაცურებელი“**
- ჰამიდ კაკასოლტანი (ირანი) „სცენა, მაცურებელი და კრიტიკა ირანში“**
- ირინა ლოლობერიძე (საქართველო) „თეატრი-კრიტიკა-მაცურებელი: რანი ვართ, ვისთვის ვწერთ“**

II პლენარული სესია

- თავმჯდომარე – მატი ლინაფუორი (ფინეთი)**
- ლელა ოჩიაური (საქართველო) „დილის რეცენზია: მითი თუ რეალობა?“**
- დავით ბუხრიკიძე (საქართველო) „გოგა და გოდერძი გოდოს მოლოდინში ანუ თანამედროვე თეატრის მაცურებელი“**
- თამარ ცაგარელი (საქართველო) „თეატრი და სოციოლოგია: ქართული თეატრის მაგალითები“**
- მაკა ვასაძე (საქართველო) „არცოდნა არცოდნაო, ნათქვამია“**
- ლამა ჩხარტიშვილი (საქართველო) „კრიტიკის ფუნქცია თანამედროვე თეატრში; დაკარგული ავტორიტეტის აღდგენის ძებნა“**
- თამარ კიკნაძე (საქართველო) „აქცენტები მთავარზე: ლოკალურ ჭრილში დანახული სამკუთხედი“**
- 2 ოქტომბერი 2010**
- ვასილ კიკნაძე (საქართველო) „ქართული თეატრი: ისტორიული ექსკურსი“**
- დისკუსია თემაზე „ქართული თეატრის შოუ-ქეისი კრიტიკოსთა და მაცურებლის თვალთახედვით“. მოდერატორი – აჯაი ჟომი (ინდოეთი).**
- მომხილველები: „კულტურული ხიდის“ მომხსენებლები, თეატრმცოდნეები, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მაგისტრანტები (მარიკა მამაცაშვილი, მარიამ იაშვილი, ნინო ქირია, მიაა გაბუნია), რეჟისორები, თეატრის მოყვარულები...**

ახალი წიგნების წაწდგინება

ნოდარ გურაბანიძე „მიხეილ თუმანიშვილის თეატრი“. 3 მოტომეპირი.
მიხეილ თუმანიშვილის თეატრი

პრეზენტაციაზე შესავალი სიტყვით გამოვიდა თეატრის მმართველი ზურაბ გენაძე.

ზურაბ გენაძე (თეატრის მმართველი): მოგესალმებით. დღეს არის მნიშვნელოვანი დღე. სეზონი იხსნება მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში. ტრადიციულად წარმოდგენილი იქნება თუმანიშვილის სპექტაკლი „ბაკულას ღორები.“ მთავარი, რისთვისაც ჩვენ აქ შევიკრიბეთ, არის ის, რომ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის გამომცემლობამ „კენტავრი“ გამოსცა თეატრმცოდნისა და კრიტიკოსის ბ-ნ ნოდარ გურაბანიძის წიგნი „მიხეილ თუმანიშვილის თეატრი.“ სად უნდა გამართულიყო ამ წიგნის პრეზენტაცია, თუ არა აქ, თუმანიშვილის თეატრში.

ვასილ კიკნაძე (პროფესორი): ჩვენ მოწმენი და მონაწილენიც ვართ იმისა, რომ XX საუკუნის საქართველოში შეიქმნა დიდი ქართული თეატრი, დიდი აქტიორული და რეჟისორული ხელოვნება. ქართული თეატრმცოდნეობა დღემდე ვალშია ქართული თეატრის, ქართული რეჟისურის და სამსახიობო ხელოვნების წინაშე, ვერ იქნა და ვერ მოხერხდა, შექმნილიყო გენიალური მსახიობებისა და რეჟისორების შემოქმედების ამსახველი შრომა. ჩვენ სრულყოფილი მონოგრაფიები არ გვაქვს. დღეს რამდენადმე ივსება ეს დანაკლისი - გამოჩენილმა თეატრმცოდნემ ნოდარ გურაბანიძემ შექმნა მონოგრაფიული შრომა მიხეილ თუმანიშვილის თეატრის შესახებ. სათაური კონცეპტუალურია. იგი ეხება მიხეილ თუმანიშვილის თეატრს, როგორც განსაკუთრებულ მოვლენას, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართული თეატრის მოდერნიზაციაში 50-იან წლებში. მონოგრაფია დაწერილია მაღალპროფესიულ დონეზე და წარმოადგენს თუმანიშვილს თავისი წინააღმდეგობრივი გზებით. მოგეხსენებათ, თუმანიშვილი ჩამოვიდა საბჭოთა ჯარისკაცის ფარაჯით და როგორც სხვა მოღვაწენი საბჭოთა იდეოლოგიის გავლენას განიცდიდა.

როგორ იწყება, ხდება გზის განახლება და ახალი შემოქმედებითი ღირებულებების შექმნა? როდესაც ვფიქრობ, მგონია, რომ საბჭოთა ხელისუფლების დიქტატურის წაგდება თეატრში დაიწყო. თეატრში დაიწყო ახალი იდეალებისა და თავისუფალი აზროვნების განვითარება, დიდი ეროვნული თეატრალური კულტურის ფორმირება და ამ პროცესში ერთ-ერთი დიდი მოვლენა იყო მიხეილ თუმანიშვილი. ადვილი არაა ასეთი დიდი რეჟისორის ადგილის, დამსახურების, როლის განსაზღვრა ქართული თეატრის ისტორიაში და ეს მონოგრაფიაში შესანიშნავად არის განსაზღვრული და ამიერიდან აღარანაირ დისკუსიას აღარ ექვემდებარება! გუ-

რბანიძე იძლევა განსაკუთრებულ, ჩამოყალიბებულ კონცეპტუალურ გადაწყვეტას მიხეილ თუმანიშვილის შემოქმედებისა. ყველა ასპექტი განხილული აქვს ამ შრომაში, რაც მართლაც მთელი თეატრის სახეს წარმოგვიდგენს. ვულოცავ ქართველ საზოგადოებას, თეატრის მოღვაწეებს, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრს და ყოველ თქვენთაგანს, დიდ ქართველ რეჟისორზე ასეთი მონოგრაფიის შექმნას.

გიორგი ცქტიმეილი (ასოცირებული პროფესორი): ძალიან სასიამოვნოა, რომ ნაშრომი ეკუთვნის ისეთ დიდ პროფესიონალს, როგორც ბატონი ნოდარ გურაბანიძეა. ეს წიგნი არა მარტო პროფესიონალებისთვის, ფართო მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება და უნივერსიტეტში დიდ პრობლემას მოუხსნის იმ ადამიანებს, ვინც ქართული თეატრის ისტორიას ასწავლის. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი წიგნი იქნება იმიტომ, რომ აქამდე სტუდენტებს მუდამ ჰქონდათ თუმანიშვილზე მასალის მოძიების პრობლემა. პატარა-პატარა სტატიებით გვინევედა მუშაობა, იმიტომ რომ მასზე არაფერი იყო შექმნილი. ეს წიგნი ალბათ გახდება სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილი და დამხმარე სახელმძღვანელო. მინდა მივულოცო ბატონ ნოდარს - საინტერესო წიგნია. იგი მთლიანად მოიცავს თუმანიშვილის შემოქმედებას და ვფიქრობ, რომ თეატრმცოდნეებისათვის, ისევე როგორც მსახიობებისა და რეჟისორებისათვის, საყვარელი წიგნი გახდება.

მანანა ანთაძე (მ. თუმანიშვილის ფონდის ხელმძღვანელი, მთარგმნელი): პირველი სიტყვა, რაც თავში მომდის, ეს არის მადლობა. დიდი მადლობა, ბატონო ნოდარ, უღრმესი მადლობა. ჩემთვის, როგორც თუმანიშვილის თეატრის წარმომადგენლის, თუმანიშვილის ფონდის დამაარსებლისა და ხელმძღვანელის, როგორც ბატონი მიმას პირადი მეგობრისათვის (მე და ბატონი მიმა ძალიან ახლო მეგობრები ვიყავით), ძალიან მნიშვნელოვანია ყველა მომენტი მისი ცხოვრებისა. გარდა იმისა, რომ ჩემ თვალწინ ხდებოდა ეს ყველაფერი, ზოგიერთი ეს ამბავი არაჩვეულებრივად გაქვთ თქვენ ამ წიგნში გამოცემული. მე იმ იმპიათაგანი ვარ, ვინც ეს წიგნი უკვე ნაიკითხა. გუშინ გვიან ღამით გადმომცეს იგი და მთელი ღამე ვკითხულობდი, და ძალიან დიდ სიამოვნებასაც ვიღებდი. ის ამბებიც კი, რომლებიც ძალიან კარგად ვიცით მეც და სხვებმაც, ისეთი რაკურსით არის წარმოდგენილი, რომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მოგეხსენებათ, ბატონი ნოდარი ისეთი ენით წერს, რომ ეს არის აბსოლუტურად განსხვავებული სხვა ავტორებისაგან, ვინც წერს ქართულ თეატრზე. ეს წიგნი არ არის მხოლოდ

თეატრალურის სტუდენტებისა და პროფესიონალებისთვის. ეს არის ყველაზე სწრაფი უპირველეს ყოვლისა, ეს არის ქართულ თეატრზე და ამ ფაქტს მე დიდი ხანი ველოდი. როდესაც წავიკითხე ნიგნი რობერტ სტურუაზე, რომელშიც ერთი თავი ეძღვნებოდა მიხეილ თუმანიშვილს, მივხვდი, რომ თქვენ ამ ნიგნს დანერდით. აქ არის ძალიან სათუთი დამოკიდებულება. აქ არის თქვენი სუბიექტური აზრი, რომელიც ძალიან პატივსაცემია და არის ობიექტურიც. რაც ყველაზე მთავარია, მე მომწონს ის, რომ თქვენ ეს ძალიან ზოგად კონტექსტში გაქვთ ჩასმული ქართული კულტურის და მსოფლიო კულტურის მიმართ. ძალიან ძნელია მიხეილ თუმანიშვილზე წერა, როდესაც ამას თვითონაც შესანიშნავად აკეთებდა. ის განსხვავდება ნებისმიერი თეატრალური მოღვაწისგან იმით, რომ მან დატოვა თავის თავზე, თავის თეატრზე, თავის ეპოქაზე არაჩვეულებრივი სახელმძღვანელო. მართალია, რუსებმა გამოსცეს და მთელ მსოფლიოში სტანისლავსკით ისწავლება სამსახიობო ხელოვნება, მაგრამ ალბათ, უნივერსიტეტს ევალება თუმანიშვილის სახელმძღვანელოების თარგმნა და პოპულარიზაცია. ძალიან დიდი მადლობა კიდევ ერთხელ, ბატონო ნოდარ.

გურამ ბათიაშვილი (მწერალი, დრამატურგი, ჟურნალი „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორი): მე ბერჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, რომ ქართული თეატრი და მალაღობა დონის თეატრი გახლავთ და სულაც არ არის საქმე ისე, როგორც ამ დღეებში განაცხადა ერთმა უცხოელმა, რომ ქართული თეატრი ძველმოდური თეატრიაო. ძალიან მალაღობა დონისა გახლავთ ქართული თეატრალური კრიტიკაც. ქართულმა თეატრალურმა კრიტიკამ უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში გააკეთა ძალიან დიდი ნახტომი ბატონი დიმიტრი ჯანელიძის ხელმძღვანელობით და ის, რომ ქართული თეატრი დღეს საკმაოდ მალაღობა დონისა, ამაში ძალიან დიდია ქართული თეატრალური კრიტიკის წვლილი. ამის ერთ-ერთი დასტურია ბატონ ნოდარ გურაბანიძის ნიგნი მიხეილ თუმანიშვილის შემოქმედებაზე. ვიცი, რომ არსებობს თეატრალური ბელეტრისტიკა. გარკვეულწილად ტრაგიკულიც კი დანყებული ბულგაკოვიდან და დამთავრებული ეფროსით, ლუბიმოვით. ძალიან საინტერესოა, რომ სწორედ საქართველოში ყალიბდება თეატრმცოდნეობითი ბელეტრისტიკა, თეატრმცოდნეობი წერენ ისეთი სტილით, რომელიც გაცივს მხატვრულ ლიტერატურასა და თეატრმცოდნეობის ზღვარზე. ეს ნიგნი, ბატონი ვასილ კიკნაძის ნიგნები, თუნდაც სხვა ნიგნები, ოღონდ ბევრი არ არის ასეთი, არის თეატრმცოდნეობითი ბელეტრისტიკის ნიმუშები. ნოდარ გურაბანიძე თითქოს ესაუბრება მკითხველს. ნელან გოგი ქავთარაძე ამბობდა „წუხელ და დღეს ნავიკითხე თავიდან ბოლომდე ეს ნიგნიო.“ ეს არ არის შემთხვევითი. მართლა ასეა. თვითონ ნიგნი დანერდილია ასე - ძალიან მალაღობა ლიტერატურულ დონეზე.

არ შემიძლია ორიოდ სიტყვა არ ვთქვა ბატონ ნოდარზე, როგორც ქართული კულტურის

მოღვაწეზე. ის გასცდა თეატრალურ ფარგლებს და შესანიშნავი ნერილებს ავტორია ქართულ ფერწერაზე, ქართულ მუსიკაზე, ქართულ ბალეტზე. მინდა მივულოცო ავტორსაც და ქართველ საზოგადოებასაც, რომ ასეთ კარგ ლიტერატურაზე გაიზრდება ახალგაზრდობა.

გიორგი როინიშვილი (მსახიობი, საქართველოს პარლამენტის წევრი): ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემ მშობლიურ თეატრში ჩემი პედაგოგისადმი მიძღვნილი ნიგნის პრეზენტაციაა. ვულოცავ თუმანიშვილის თეატრს სეზონის გახსნას. ტრადიციულად, თეატრი სეზონს ხსნის ბატონი მიშას შესანიშნავი სპექტაკლით „ბაკულის ლორები.“ ორიოდ სიტყვა მინდა ვთქვა ქართულ თეატრალურ სკოლაზე. მაგანმა შეიძლება თქვას, რომ მოძველებულია ქართული თეატრი, რომ დაბერდა. მაგრამ ქართული თეატრი არის ბებერი ახალგაზრდა, რომელიც რაღაცას ქმნის და ყოველთვის იარსებებს, სანამ საქართველო იარსებებს. თეატრალური ცხოვრება ქართულ თეატრებში იარსებებს. ნიგნების გარეშე თეატრალური ცხოვრება წარმოუდგენელია, მით უმეტეს, რომ დაიწყო ასეთი ნაწარმოებების გამოცემა და არა მარტო პროფესიონალებისთვის, არამედ ფართო მასშტაბისთვისაც. ახალგაზრდობას, მომავალ თაობას, ჩვენი თეატრალური სკოლის წარმომადგენლებს, როგორც თვეს წყალი, ისე სჭირდებათ ასეთი ნამუშევრები. დიდი მადლობა, ბატონო ნოდარ, ასეთი ნამუშევრისთვის და დიდი მადლობა დამსწრე საზოგადოებას მოზრძანებისთვის.

გიორგი ქავთარაძე (სთს თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო არტისტი): სანამ ეს ნიგნი არ ვნახეთ, ვერ დავიჯერეთ, რომ თუმანიშვილზე ნიგნი არ არსებობდა, მაგრამ ფაქტი სახეზეა. მინდა ცოტა ლირიკული, სევდიანი გადახვევა გავაკეთო. არსებობენ შემოქმედი ადამიანები, რომლებიც საკუთარი საქმის გარდა, თხილამურებით სრიალებენ, ჩოგბურთს თამაშობენ, ვიღაცას სუფრა უყვარს... თუმანიშვილისთვის არაფერი არსებობდა მონაფეებისა და თეატრის გარდა. ამიტომ არის ჩემთვის სევდიანი ეს ფაქტი, რომ რაღაც ტრაგიკული იყო და ბატონი ნოდარის მიზანი არ იყო დაეხატა მისი პორტრეტი, მაგრამ ამ ნიგნის წაკითხვის შემდეგ იხატება, ყალიბდება მისი სახე. ძალიან საინტერესოა, როცა ბატონი მიშა ასახელებს 7 საუკეთესო სპექტაკლს. დანარჩენები კიდევ 5 რეჟისორს ეყოფა, იმიტომ რომ, რაც არ უნდა საშუალო და ცუდი იყოს მისი სპექტაკლი, მასში აუცილებლად იქნება ერთი ან ორი რაღაც, რაც დაამშვენებდა ნებისმიერ დიდ შემოქმედს. ასე წერია ამ ნიგნში და ასეცაა. მინდა დიდი მადლობა გითხრათ იმისთვის, რაც თქვენ ჩვენ გვაჩუქეთ. ვთვლი, რომ გვაჯდოდა და ეს ნიგნი უფრო დიდ ფასს შეიძენს, რადგან მოდის ახალი თაობა და ბევრი რამ არ იცის, რომ არა თავად ბატონი მიშას ნიგნები ჩვენ ძალიან შეჭირვებულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით. თუმცა ის საკუთარი თავის შემფასებელი არ იყო და ეს გააკეთა ბატონმა ნოდარმა. ჩემმა უფროსმა საყვარელმა მეგობარმა. ღმერთმა შეგაძლებინოს, კიდევ

მრავალი ასეთი წიგნის დანერა. მიუხედავად იმისა, რომ ამბობ „რალა დროს ჩემი მუშაობააო.“ დიდი მადლობა!

ნოდარ გურაბანიძე (პროფესორი): ჩაფიქრებული მქონდა ტრილოგიის გაკეთება მიხეილ თუმანიშვილზე, რამაზ ჩხიკვაძესა და რობერტ სტურუაზე, მაგრამ პირიქით გამოვიდა: ჯერ სტურუაზე დავწერე, მერე ჩხიკვაძესა და თუმანიშვილზე. ბედნიერი კაცი ვიყავი, ბატონ მიმამზე რომ ვწერდი, გამახსენდა მთელი ჩემი ახალგაზრდობა, განცდები, სპექტაკლები, ბრძოლა, წინააღმდეგობანი, რომელიც ტრიალებდა თეატრში. ის დიდი გამარჯვება, ის დიდი სიხარული, რომელიც განვიცადე ახალგაზრდობის წლებში, მომყვება და მომყვება... გასაოცარი კაცი იყო. მე ბედნიერება მხვდა წილად - ჩემი რედაქტორობის დროს გამოვიდა ბატონი მიმას წიგნი. იგი რუსულად წერდა, წიგნი შესანიშნავად თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ, მაგრამ ცოტა ტერმინოლოგია ერეოდა. მე და თუმანიშვილი ვისხედით და ვასწორებდით. უაღრესად განათლებული კაცი იყო. ძალიან კარგად იცოდა მხატვრობა, მთელი რენესანსული კულტურა,

ანტიკური კულტურა, ყველაფერი... გამდიდრებული დავდიოდი მასთან საუბრის შემდეგ. მინდოდა ცოცხლად გადმომეცა, გამეცოცხლებინა. ეს იყო ჩემი მიზანი და თუ გამომივიდა, ბედნიერი ვიქნები, ჩავთვლი, რომ ჩემი მიზანი მიღწეულია. მერე, ალბათ, გამოჩნდება ვინმე, ვინც კიდევ უფრო განაზოგადებს ამას. მინდა მადლობა მოვახსენო ჩვენი უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ გოგი მარგველაშვილს. ეს წიგნი მან დამიკვეთა. მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ჩვენს გამომცემლობას, დიდი სიამოვნება განვიცადე მასთან ურთიერთობით, მით უმეტეს, ვიცი, რა არის საგამომცემლო საქმე. მე დავაარსე გამომცემლობა „ხელოვნება“ და მე ვიყავი მისი პირველი დირექტორი. ასე რომ, ვიცი, რა არის წიგნის დაბადება. ძალიან გამახარა ჩვენმა გამომცემლობამ, როცა 16 სექტემბერს 80 წლის იუბილეზე სახლში გამომიგზავნეს რამდენიმე ეგზემპლარი. მინდა მადლობა ვუთხრა ბატონ ვასოს, ამ წიგნის რედაქტორს, რომელმაც რამდენიმე მნიშვნელოვანი შენიშვნა მომცა, რაც ძალიან გამოადგან წიგნს. დიდი მადლობა ყველას მობრძანებისთვის.

5 ოქტომბერს, კაფე „მარჯანოვ ქმსპრესში“ გაიმართა მანანა ანთაძის მიერ ინგლისურიდან თარგმნილი, ტენესი უილიამსის პიესის „კამინო რიალის“ პრეზენტაცია

ეკა მაზმიშვილი (თეატრის მმართველი): მისასალმებელია, რომ ფესტივალის დღეებში ხდება წიგნის პრეზენტაცია. ეს გახლავთ პირველი ქართული თარგმანი დიდი ამერიკელი დრამატურგის ტენესი უილიამსის პიესისა „კამინო რიალი.“ ამ პროექტის ინიციატივა ეკუთვნის ქალბატონ მანანა ანთაძეს. მნიშვნელოვანია აგრეთვე ამ პროექტში ამერიკის საელჩოს მონაწილეობა. დიდი მადლობა მათ ამ პროექტის განხორციელებისათვის. იმედია მომავალში მეტი დაინტერესება იქნება მსგავსი სახის ინიციატივებისადმი.

კენტ ლოგტონი (საქართველოში აშშ ელჩის მოადგილე): დღეს მანანას დღეა და მე შევეცდები მოკლედ ვისაუბრო. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ტენესი უილიამსის „კამინო რიალის“ პრეზენტაციაზე. ვამაყობ იმით, რომ ჩვენ ვართ ამ თარგმანის სპონსორები. ამის დასტურად წიგნზე გამოსახულია ჩვენი ლოგო. წელს ამით შემოიფარგლება ამერიკის საელჩოს წვლილი თბილისის საერთაშორისო ფესტივალზე და იმედი მაქვს მომავალში ამ პიესას სცენაზე ვიხილავთ. ასევე ვიმედოვნებ, რომ ეს არ იქნება ბოლო პროექტი, რომელსაც ჩვენი საელჩო განხორციელებს თეატრის სფეროში. ვულოცავ მანანას ამ დღეს.

მანანა ანთაძე (მ. თუმანიშვილის ფონ-



დის ხელმძღვანელი, მთარგმნელი): მოგესალმებით ყველას. მიხარია, რომ ასეთი ცუდი ამინდის მიუხედავად, ამდენი ხალხი მოვიდა. ძალიან დიდი მადლობა გამოცემილობა „აგორას“, რომელმაც არაჩვეულებრივად გამოსცა ნიგნი. ძნელია დღეს ნახოთ ასეთი ინტელექტუალური იერით გამოცემული ნიგნი. ეს არის მნიშვნელოვანი ნიგნი თავისუფლებაზე. ძალიან გაუგებარი განმარტებაა, მაგრამ კონკრეტულად ვერ გეტყვით, რას ნიშნავს ეს, ვიდრე არ შეხვალთ ამ სამყაროში, ვიდრე არ მიხვდებით, რა თავისუფლებაზეა ლაპარაკი. ტენესი უილიამსი იყენებს რამდენიმე ფრაზას, რომ ახსნას, რა არის თავისუფლება. ნიგნის მოკლე წინასიტყვაობაში მომყავს ავტორის აზრი, სადაც ის ამას ადარებს თავისუფლების შეგრძნებას ჯაზში. როგორც ჯაზშია თავისუფლების შეგრძნება, იმგვარად არის მოტანილი თავისუფლების ხარისხი ამ პიესაში. ეს არის ზნეობრივი კატეგორია და მე ვიტყვოდი, ფილოსოფიური კატეგორია. მოქმედი პირნი არიან ძალიან ცნობილი, როგორც ლიტერატურული, ასევე რეალური სახეები, რომლებიც განსხვავებული, ახალი რაკურსით არიან წარმოდგენილი და მსახიობებს ალბათ, მოუწევთ, მათი როგორც რეალური, ასევე განსხვავებული სახით შესრულება. მნიშვნელოვანი პერსონაჟია მთავარი მოქმედი გმირი კილორი. ნიგნზე გამოსახულია მისი ემბლემა. ეს არის ყოველად უცნაური სახე ამერიკის ცხოვრებაში. ის გამოჩნდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში და ჩნდებოდა ყველა იმ ადგილას, სადაც ჩვეულებრივ ადამიანს თითქოს არ შეეძლო შელენვა. მაგალითად, ჰიტლერის კანცელარიაში. ჰიტლერი გიჟდებოდა - „რა ჯაშუსია ასეთი, რომ

ვერავინ დაიჭიროა.“ როდესაც სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი ერთმანეთს შეხვდნენ პოტსდამში 1945 წელს, მათთვის საგანგებოდ ააშენეს ტუალეტი, სადაც არავინ უნდა შესულიყო მათ გარდა. პირველი, ვინც იქ შევიდა, იყო სტალინი და რომ გამოვიდა, იკითხა - „გამაგებინეთ ვინ არის კილორი, რატომ წერია კედელზე, აქ იყო კილორიო?“ ასეთი უცნაური შეხვედრები აქვს ამ კილორის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში: ჩინეთში, ევრესტზე, თავისუფლების ქანდაკებაზე და კიდევ მრავალი ჩამონათვალია ინტერნეტში. გაცოდებით, იმდენგან შეხვდებით ამ კილორის. იგი არის მთავარი, ვინც ამოძრავებს ამ თავისუფლებას პიესაში.

ეს ძალიან უცნაური და სპეციფიკური პიესაა და მე ვიტყვოდი, რომ საჯილდაო ქვაა რეჟისორებისთვის. მე მეცოდება ყველა რეჟისორი, ვინც მას ხელს მოჰკიდებს და ვერ დაძლევს. იმიტომ რომ, ეს იქნება საშინელი კატასტროფა. ეს დაემართა ისეთ დიდ რეჟისორს, როგორც იყო ელია კაზანი, რომელმაც დადგა ის 1953 წელს. ეს პიესა ტენესი უილიამსმა მისთვის დანერგა. გალანძღეს ორივე - ავტორიც და რეჟისორიც. სპექტაკლი მოხსნეს. რამდენიმე ათეული წლის მერე, ხელახლა წაიკითხეს პიესა და თქვეს, რომ ეს არის ყველაზე დიდი პიესა უდიდესი ამერიკელი დრამატურგისა. ასე რომ, იმედი მაქვს, ქართული თეატრი დაინტერესდება ამ პიესით და ვურჩევ, რომ კარგად წაიკითხონ და გაიაზრონ იგი, რადგან ეს არ არის პირდაპირ ამბავი, რომელიც აქ წერია. სულ ეს არის, რაც მიწოდდა მეთქვა. დიდი მადლობა ყველას მობრძანებისათვის.

5 ოქტომბერს, რუსთაველის თეატრში გაიმართა აკაკი ვასაძის ნიგნის „მოგონებები, ფიქრები“ პრეზენტაცია

ზაალ ჩიქობავა (თეატრის მმართველი): მოხარული ვარ, რომ რუსთაველის თეატრის ფოიეში, „ქიმიური ნიგნი“ შევიკრიბეთ. დღეს წარვადგენთ ნიგნს „მოგონებები, ფიქრები“ - აკაკი ვასაძე.

გიორგი მარგველაშვილი (საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორი): ცნობილია, რა მნიშვნელოვანი ფიგურა იყო აკაკი ვასაძე ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში. უმრავლესობამ ალბათ იცის, რომ ეს ნიგნი ადრეც იყო გამოცემული და ჩვენ გამოვეცით მეორედ. ვისაც ნაკითხული აქვს, დამეთანხმება, რომ იგი დიდ სამსახურს გაუწევს ყველას, ვისაც აინტერესებს თეატრალური ხელოვნება.

ვასილ კიკნაძე (პროფესორი): მე ბედნიერი ვარ, რომ ბატონმა აკაკიმ ამირჩია მისი ნიგნის რედაქტორად. იგი იყო მთელი ეპოქა ქართული თეატრის ისტორიაში. 20 წელი ხელმძღვანელობდა რუსთაველის თეატრს, როგორც სამხატვრო ხელმძღვანელი. მისმა თეატრალურმა

ესთეტიკამ დროს გაუძლო. მისი გამომსახველობითი ესთეტიკა და ფორმები, შესრულების ოსტატობა და მანერა, რომლებიც ძლიერ გამოირჩეოდა, მას მერე დამკვიდრდა ქართულ თეატრში. სცენაზე ყოველთვის იყო ახალგაზრდა მსახიობი. რომანტიკული თეატრის ეპოქაში მის მიერ შექმნილი ფრანც მოორის სახე აქტიორული ხელოვნების გენია იყო. რუსთაველის თეატრში მომხდარი ცვლილებების შემდეგ, გარდაქმნების დროს ტეტიას სახის შექმნით დაგვანახა, როგორ უნდა განხორციელებულიყო სცენაზე ახალი თაობის ცვლილებები. ამ ნიგნის პირველ გამოცემაში ცენზურამ დიდი მასალა ამოიღო. მადლობა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს შევსებული ვარიანტის გამოცემისთვის. მგონია, რომ ეს ყველასთვის იქნება სახელმძღვანელო მნიშვნელობის მემუარები.

ოთარ მეღვინეთუხუცესი (საქართველოს სახალხო არტისტი): ბედნიერი ვარ, რომ ვიყავი

მისი მონაფე და ნანახი მაქვს მისი სპექტაკლები. ბედნიერი ვარ, რომ ის ჩვენთან მოვიდა რუსთავის თეატრში. ერთხელ, როდესაც სურათებს მათვალეერებინებდა და ფრანც მოორი გამოჩნდა, თქვა, რომ ის შედევი იყო. ადამიანმა უნდა შექმნა იმ დონის ქმნილება, რომ გეტრახახებოდეს მისი. ეს შეძლო აკაკი ვასაძემ. როდესაც ვნახე ტეტიამი, გავვოცდი მისი გარდაქმნის უნართ. „საბრალოდებო დასკვნებიდან“ ისიდორეს მონოლოგს კითხულობდა რადიოში და ყველას ეგონა, რომ ადამიანი საკუთარ ისტორიას ყვებოდა მანამ, სანამ არ თქვა, რომ ეს როლი უნდა ვითამაშო დღეს თეატრშიო. იმდენად გაითავისა როლი და იმდენად ბუნებრივად ასრულებდა, რომ თითქოს აქტიორული აღარაფერი იყო მასში, თითქოს რეალური პიროვნება იდგა სცენაზე. გენიოსი იყო.

ნოდარ გურაბანიძე (პროფესორი): ჩვენს წინაშე არაჩვეულებრივი წიგნი. ადრეც მქონდა ნაკითხული, მაგრამ შევსებულები და გადაამუშავებული უბრწყინვალესი. აკაკი ვასაძეს აქვს არაჩვეულებრივი ხედვა და ანალიზის უნარი. წიგნში პირდაპირ ცოცხლდება მარჯანიშვილის სპექტაკლები. ჰამლეტი განხილული საოცრად. არ არის ზედმეტი ტერმინოლოგია და ხარაჩოები. აკაკი ვასაძე ყოფილა სიტყვის მხატვარი და ყველას მიმართ კეთილგანწყობილი. აცოცხლებს სიტუაციებს, რეპეტიციებს, უშანგის, მარჯანიშვილს... სიბრძნით, ქართული თეატრისა და ხალხის სიყვარულითაა საესე.

გურამ ბათიაშვილი (დრამატურგი, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორი): მნიშვნელოვანი წიგნის პრეზენტაციაზე ვართ შეკრებილი. მიმაჩნია, რომ ბატონი აკაკი იყო ძალიან დიდი ინტელექტუალი მსახიობი ახმეტელის თეატრის იდეოლოგი, „დურუჯის“ მანიფესტის ავტორი და დამცველი. ამის დასტურად გთხოვთ ყურადღებით წაიკითხოთ ეს წიგნი. ხოლო თავი, რომელიც ეხება სტალინთან შეხვედრას, დაწერილია გონიერი ადამიანის მიერ. ეს არის ძალიან ბევრის მომცველი და საინტერესო

წიგნი. დიდი მადლობა ამისათვის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორს გიორგი მარგველაშვილს, რომლის ინიციატივითაც გამოიცა იგი.

გიორგი ქავთარაძე (სთს თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო არტისტი): ბედნიერი ვარ, რომ იგი სცენაზე მინახავს. ის იყო ძალიან დიდი მსახიობი. მიხარია, რომ ვაფასებთ ჩვენი საქმით და არ ვივინყებთ მას. ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს, რომ ის ქართული თეატრის საუნჯეა.

რევაზ კლდიაშვილი (დრამატურგი): როდესაც იგი თბილისიდან ქუთაისში გადავიდა ჩვენ იქ მოგვინია ერთად მოღვაწეობა. ის იყო ძალიან წარმატებული ოჯახიდან. მისი ერთი და ჩემი ქართულის მასწავლებელი ხოლო, მეორე – თვალის ქირურგიის დამამარსებელი საქართველოში. გენიალური და ყველასთვის საყვარელი პიროვნება იყო.

გიორგი როინიშვილი (მსახიობი, საქართველოს პარლამენტის წევრი): ვულოცავ ყველას ასეთ მნიშვნელოვან წიგნს. აკაკი ვასაძე მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა გაიარო მრავალი ეტაპი, უამრავ მსახიობსა და რამდენიმე თეატრალურ სკოლასთან ჭიდილში გაიმარჯვო. მის შემოქმედებაში არის დიდი დინამიკა და ამაშია მისი გენიალობა.

გუბაზ მეგრელიძე (თეატრმცოდნე): ამ წიგნის პირველი ვარიანტი გამოსვლისთანავე დაიტაცეს და მნიშვნელოვანია მისი მეორედ გამოცემა შევსებული სახით. აკაკი ვასაძე ისტორიული პიროვნებაა და წიგნი ისეთი ისტორიული სიმართლით აქვს დაწერილი, რომ შესაძლებელია ფაქტებიც კი აღვადგინოთ წარსულიდან. მემუარული ლიტერატურა ხშირად შელამაზებულია, მაგრამ როგორც აღვნიშნე, აკაკი ვასაძე ზუსტია ფაქტების აღწერაში. შეიძლება ითქვას, რომ ამ წიგნმა გაუძლო დროს და იგი გაუძლებს თაობებსაც თავისი მსჯელობით, სიმართლით და ისტორიული მნიშვნელობით.

დიდებულ მსახიობთა ი უ ბ ი ლ ე

23 ოქტომბერს ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის თეატრში ჩატარდა ორი გამოჩენილი ქართველი მსახიობის – თეატრისა და კინოს სამსახიობო სკოლის ჩინიებული წარმომადგენელთა: გრიგოლ ტყაბლაძისა და მიხეილ ვაშაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილე.

გრიგოლ ტყაბლაძე და მიხეილ ვაშაძე წლების განმავლობაში ამშვენებდნენ ჭიათურის თეატრს. აქ, ამ სცენაზე ქმნიდნენ დაუვინყარ სცენურ სახეებს, აქედან მოვიდნენ ისინი ქართულ კინოში. გრიგოლ ტყაბლაძემ და მიხეილ ვაშაძემ კინოფილმებში დაუვინყარ ეკრანული სახეები შექმნეს.

ჭიათურის თეატრში გამართულ საღამოზე სიტყვები წარმოსთქვეს კინორეჟისორმა რევაზ ჩხეიძემ, სთს თავმჯდომარემ გიორგი ქავთარაძემ, კინომსახიობებმა სერგო ორჯონიკიძემ და იმედა კახიანიამ. თეატრის და კინოს უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი მარგველაშვილმა, კინომცოდნე გიორგი დოლიძემ, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორმა გურამ ბათიაშვილმა. ნაჩვენები იქნა გამოჩენილი რეჟისორის გიგა ლორთქიფანიძის ვიდეომიმართვა.

თამარ კიკნაველიძე

SEAS -

საპორტო

ქალაქების

გაეასოსსლაბელი

ფანტივალი

22-25 სექტემბერს ბათუმში ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდა. „ზღვები X ბათუმი“ ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრისა და ფონდ „კავკასიის“ ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა. პროექტს მხარი ევროკომისიამ, შვედეთის ინსტიტუტმა, აჭარის კულტურის სამინისტრომ და ტურიზმის დეპარტამენტმა დაუჭირა.

ფესტივალის სულისჩამდგმელია **კრის ტორჩი** (რეჟისორი, სცენოგრაფი, მენეჯერი, „ინტერკალტის“ ხელმძღვანელი), რომლის პროექტი მიზნად საპორტო ქალაქების გამოცოცხლებას ისახავდა. საფესტივალო პროგრამაში სხვადასხვა ქვეყნის არაერთი შემოქმედებითი ჯგუფი მონაწილეობდა. მათ ჯერ ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროები მოიარეს, შემდეგ შავი ზღვის საპორტო ქალაქებში გადაინაცვლეს და საქართველოში თურქეთიდან შემოვიდნენ. ფესტივალი აჭარის მოსახლეობა და დამსვენებლები რამდენიმე მიმართულებით დაინტერესა. პირველი საფესტივალო დღე საჯარო ხელოვნების ერთ-ერთ ნიმუშზე საუბრით დაიწყო.

„საჯარო ხელოვნების“ ვორქშოფს **ვენერ-ილ შურელოვი** უძღვებოდა. შურელოვი 1977 წელს სოფიაში (ბულგარეთი) დაიბადა. დაამთავრა ბულგარეთის ნაციონალური აკადემია და დოქტორის ხარისხიც მოიპოვა. მისი ინიციატივით ხელოვნების აკადემიაში ციფრული ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა ამოქმედდა. არის „მფუმატო თეატრის“ ლაბორატორიის წევრი, ხელოვნების საერთაშორისო ჯგუფ „ვია პონტიკასა“ (2002) და „შუბჰუმან თეატრის“ (2004) დამაარსებელი. თეატრის მხატვრობითა და ვიზუალური ხელოვნებით დაინტერესებულ შურელოვს შექმნილი აქვს არაერთი ნამუშევარი, რასაც მხოლოდ გალერეებში კი არა, გზებსა და შენობის ფასადებზეც აღმოაჩენთ. ხელოვანის პერსონალური გამოფენები ბულგარეთში, გერმანიაში, იტალიასა და ბელგიაში ეწყობა.

ვენერილ შურელოვის ნამუშევრები მრავალფეროვანია. ავტორის ამოცანაა წარმოაჩინოს შემოქმედება, სადაც ხელოვნება მოძრაობაშია წარმოდგენილი. ის იკვლევს ადამიანის სხეულსა და პლასტიკას, ინტერესდება როგორც თეატრალური, ასევე სახვითი (ვიზუალური და აქტუალური) ხელოვნებით. მის მიერ შემოთავაზებულ თემაზე საუბარი ბათუმის დრამატულ თეატრში დიდხანს გაგრძელდა. თუმცა, პროგრამით გათვალისწინებული „საჯარო ხელოვნების“ გარდა, ფესტივალის მონაწილემ ისაუბრა საკითხებზე, რითაც ვორქშოფში ჩართული ადამიანები დაინტერესდნენ. ერთმანეთის გაცნობის შემდეგ, როგორც კი შურელოვმა თანამედროვე ხელოვნება ახსენა, მას თანამედროვე ხელოვნების განსაზღვრება მოთხოვეს. „ის თანამედროვე ცხოვრების ადეკვატურია“ — მარტივად ახსენა ავტორმა და მოკლედ ილაპარაკა ტენდენციებსა და პროცესებზე, რასაც თანამედროვეობა გვკარნახობს. ციფრულ ხელოვნებაზე მსჯელობისას შურელოვმა გაიხსენა პირველი ვიდეო ნამუშევარი, რომელიც ნამჯულ ბაიქმა გასული საუკუნის 60-იან წლებში ყოველგვარი სახელმწიფო დაკვეთის გარეშე გადაიღო და სადაც რომის პაპის ნიუ-იორკში ვიზიტი იყო აღბეჭდილი. ამის შემდეგ დიალოგი ტექნოლოგიური მიღწევებსა და ხელოვნების ცნობილი ნიმუშების სრულფასოვანი კოპირების შესაძლებლობებს შეეხო. შეკითხვამ, რამდენად შენარჩუნებულია ავტორის აურა და ინდივიდუალურობა ორიგინალის ასლებში, დისკუსია გამოიწვია. ტექნიკური პროგრესის ეპოქაში მასობრივმა წარმოებამ ინდივიდუალიზმის დაკარგვის საფრთხე წარმოშვა. ამ ტენდენციის საწინააღმდეგოდ მონყობილი ექსპოზიციები ვორქშოფის მონაწილეებმაც გაიხსენეს. საკუთარი ნამუშევრების ჩვენების შემდეგ, შურელოვი ფანტომატების სისტემის ამოქმედების დაინიშნულებასა და მნიშვნელობაზე გადავიდა.

ფანტომატი, რომელიც საჯარო ხელოვნების ერთ-ერთი ნიმუშია, საქართველოში ნაკლებად გავრცელებულია. მისი პრეზენტაცია ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრთან გაიმართა. ქანდაკება-ინსტალაციას, რომელსაც ჰუმანოიდ ქანდაკებასაც უწოდებ-



ბენ, პლანზური ეკრანი და ოთხი თვალი „აქვს“. ფანტომატი, როგორც წესი, საზოგადოებრივ ადგილებშია განთავსებული. ვენერილ შურელოვმა გაიხსენა შემთხვევები, როდესაც ფანტომატების გადაადგილებისას მნახველებს მათი ახალ სივრცეში (მაგალითად: სხვა ქუჩაზე) ნახვა ისე უხაროდათ, რომ ემოციებს ვერ ფარავდნენ და მათ ადამიანების მსგავსად ეხვეოდნენ. ბათუმელებმა ფანტომატებს თვალებში ფესტივალის დასრულებამდე რამდენჯერმე ჩახედეს და დაინახეს ზღვის პეიზაჟი, სანაპიროზე მოსეირნე გამოსახულება, რომელიც ერთი თვალიდან მეორეში გადადის, ან ბადმინტონის მოთამაშე წყვილი და ა.შ. კადრების შეცვლა ღილაკზე თითის დაჭერით შეგიძლიათ.

ფესტივალი ოფიციალურად ბათუმის დრამატულ თეატრში გაიხსნა კონცერტით, რომელშიც ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების შემსრულებლები მონაწილეობდნენ. ვენერილ შურელოვის ვორქშოფისა და ფანტომატების გარდა, ბათუმის თოჯინებისა და მზარდ მაცურებელთა თეატრში ხორვატიელებმა საკუთარი გამოცდილება გაგვიზიარეს. ამასთან, მოენყო პრესკონფერენცია, რომელსაც **კრის ტორში** (ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი), **ანე ლიზ სტენსეტი** (ფესტივალის ნორვეგიელი მონაწილე), **გია აბულაძე** (აჭარის კულტურის მინისტრი), **თემურ დიასამიძე** (ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე), **ზაზა ხალვაში** (ბათუმის დრამატული თეატრის მმართველი) ესწრებოდნენ. ქართულმა მხარემ აქცენტი ფესტივალის მნიშვნელობაზე გააკეთა და აღნიშნა, რომ მისეალმება და მხარს უჭერს პროექტს, რომელიც აჭარის კულტურულ გამოცოცხლებას ისახავს მიზნად, კრის ტორში კი ხაზი ფესტივალის ორგანიზებით მიღებულ შედეგს გაუსვა.

მეორე საფესტივალო დღე იმით გამოირჩეოდა, რომ ჩატარდა ვორქშოფი „ჩემოდნები“ (ავტორი **ნადეალკო რადჩენკო**, ბულგარეთი) სკოლის მოსწავლეებისთვის, ასევე, საჯარო აქცია (რეჟისორი **დიმიტრი ბოგომაზოვი**). ვნახეთ ფოტო-ინსტალაცია „საზღვრების გარეშე“ (ავტორი **კატერინა რადჩენკო**, უკრაინა) და მედიაციის ინსტალაცია „კოცნისა და ხარჯვის პროექტი“. გაგრძელდა „საუბარი“ ფანტომატებთან, ვორქშოფი ხორვატიელებთან, სალამოს კი თეატრალური ხელოვნების მოყვარულებმა ნახეს ბათუ-

მის დრამატულ თეატრში დადგმული „ბანანისა და კომმის პუდინგი კონიაკითა და რომით“ (რეჟისორი გოგა თავაძე). ლიანას როლში თათია თათარაშვილის შეყვანამ ის მაცურებელიც დააინტერესა, ვისაც სპექტაკლი ნანახი ჰქონდა. ფესტივალის ფარგლებში თურქეთის შემოქმედებითმა ჯგუფმა შემოგვთავაზა წარმოდგენა „მოლოდინი“ (რეჟისორი მაპირ გუნსირეისი), რომელმაც ქართველების მონონება დაიმსახურა.

ფესტივალის ორგანიზატორებმა აქცენტი გაკეთეს: I — საჯარო ხელოვნების ნიმუშებზე, რამაც ქალაქის გამოცოცხლებას შეუნყო ხელი და II — თემატურად მრავალფეროვან ვორქშოფებზე. საკუთარი გამოცდილების სხვისთვის გაზიარების პროცესი განსაკუთრებით საინტერესო ვორქშოფებში მონაწილეებისთვის აღმოჩნდა. ავილოთ, თუნდაც, ზემოთ ნახსენები ვენერილ შურელოვი, რომელიც საჯარო ხელოვნების მნიშვნელობაზე საუბრის შემდეგ პრაქტიკულ სამუშაოზე გადავიდა და ქართველები „პლენერზე“ გაიყვანა. ვორქშოფის მონაწილეების მიერ გადაღებული მასალის დამუშავების შემდეგ ფანტომატების თვალებში უკვე ბათუმის პეიზაჟები აციმციმდა.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ხორვატიელთა გაერთიანებამ, სახელწოდებით BADCo, რომელშიც განევრიანებული არიან: ქორეოგრაფები, დრამატურგები, ფილოსოფოსი, ხმის რეჟისორი, გამნათებელი, პროდიუსერი. მათი ვორქშოფი ფესტივალის გახსნისთანავე დაიწყო. პირველ დღეს BADCo-ს წარმომადგენლებმა ვორქშოფის მონაწილეებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს. უცხოელებმა გვაჩვენეს ნაწყვეტები მათი წარმოდგენებიდან და მომდევნო დღე პრაქტიკული სამუშაოებისთვის გამოითავისუფლეს. ვორქშოფს ბათუმის დრამატული და თოჯინების თეატრის მსახიობების მცირე ნაწილი ესწრებოდა. მათთვის შემოქმედებითი ამოცანების პრაქტიკაში გადაჭრის მცდელობა საინტერესო აღმოჩნდა.

ხორვატიელების გამოცდილების გაზიარებისას დარბაზიდან ისმობდა რეპლიკები, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ შემოთავაზებულის არსი და იდეა რამდენიმე ვერ გაიგო. ამან თანამედროვე ტიპის პროექტებში მონაწილეობის



აუცილებლობა დაგვანახა. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ უცხოელებს კი არა აქვთ რაიმე ახალი, ქართველებს არ გვაქვს თანამედროვე ხელოვნება...

ხორვატიელების პროექტებში აქცენტირებულია ქორეოგრაფია, მაგრამ მემსრულებელთა მოძრაობა არ არის ამორფული და კონტექსტიდან ამოვარდნილი. არადა, ერთი შეხედვით, სწორედ ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს. მათი შთაგონების წყაროა არაერთი ცნობილი ავტორი, მაგალითად, ბეკეტი, რომლის პიესებსაც დადგმებში იყენებენ, მაგრამ ტექსტს მათთან სხვა დანიშნულება აქვს. გარდა იმისა, რომ არ არღვევენ საავტორო უფლებებს და იმასაც კი აღნიშნავენ, თუ ვისი ნაწარმოების შთაგონებით შეიქმნა ესა თუ ის წარმოდგენა, ხორვატიელებთან იგივე ბეკეტს ვერ ნახავთ. მათთან ტექსტი გამოყენებულია განწყობისთვის, აღიქმება როგორც მუსიკა ან ხმაური, არის რიტმის მომცემი და განმსაზღვრელი. ინარჩუნებენ იდეას, მაგრამ მის განსახორციელებლად ცდილობენ, რომ საშემსრულებლო ამოცანები თითოეულ ჯერზე ახლებურად გადაჭრან. ისინი აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს, პროგრამას, რომელიც საგანგებოდ მათთვის დაინერა და მსახიობის მოძრაობას ეკრანზე ოდნავ შენელებულად გამოსახავს. ამით შემსრულებელს საკუთარ სხეულზე დაკვირვების შესაძლებლობა ეძლევა. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა კამერასთან ჯგუფური მუშაობის პროცესი, რაშიც ძალები ქართველებმაც მოსინჯეს.

მონაწილეთა ობიექტივში მათივე სხეული მოექცა.


— „BADco ათი წლის წინ ერთმა ქორეოგრაფმა და ორმა დრამატურგმა შექმნა. 2004 წელს კი დანიელ ტურინთან თანამშრომლობით დაიბადა



წარმოდგენა, სადაც კომპიუტერული პროგრამა გამოიყენეთ. ეს იმდენად მოგვეწონა, რომ მასთან თანამშრომლობა გავაგრძელეთ. ციფრული ტექნოლოგიები საშუალებას გვაძლევს, უკეთ გავიცნოთ ჩვენი სხეული და დავაკვირდეთ მას. სავარჯიშოები და ამოცანები, რომლებსაც ვასრულებთ, ვფიქრობ, სასარგებლოა ყველასთვის, მათთვის, ვინც აკადემიურ თეატრში მუშაობს და მათთვისაც, ვინც ექსპერიმენტულ წარმოდგენებში მონაწილეობს. რაც შეეხება ტექსტს, მას განსხვავებულად ვიყენებთ, მაგრამ არა კონტექსტიდან ამოგლეჯილი სახით... ჩვენ ვსვამთ ამოცანას, რომლის გადაჭრასაც სხვადასხვანაირად ვცდილობთ“, — გვითხრა ივანა ივკოვიჩმა. მან ქართველებთან შემოქმედებით თანამშრომლობაზეც ისაუბრა და აღნიშნა: — „პირველი დღე თეორიულ კურსს მივუძღვენით, რადგან გვინდოდა ქართველებისთვის საკუთარი თავი გაგვეცნო და გვეთქვა ის, თუ ვინ ვართ და რას ვაკეთებთ... ამის შემდეგ უკვე პრაქტიკულ სავარჯიშოებზეც გადავედით და პროცესში ქართველი მსახიობები შევიტყუეთ. ისინი უფრო თავისუფლები გახდნენ და სხვადასხვა სირთულის დავალებების შესრულებით დაინტერესდნენ. მიხაროდა, როდესაც ვუყურებდი, თუ როგორ აკვირდებოდნენ ერთმანეთს და მითითებებსაც კი იძლეოდნენ... თქვენმა მსახიობებმა რთულ ამოცანებს კარგად გაართვეს თავი“.

ანე ლიზ სტენსეტის აუდიო-ვიდეო ინსტალაცია „კონა და ხარჯვა“ ბათუმის თეატრის ორ სართულზე გადანაწილდა. პროექტი მომზადდა უკრაინისთვის, ბულგარეთისთვის, რუმინეთისთვის, თურქეთისთვის, ნორვეგიისთვის, შვედეთისთვის, დანიისათვის და გაერთიანებული სამეფოსთვის. ის 13 ვიდეოს მოიცავდა, მაგრამ საქართველოში შემცირებული სახით ჩამოვიდა. თუმცა, პროექტის კონცეფცია ორი ნამუშევრის ნახვიდანაც გასაგები გახდა. სტენსეტმა ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში მცხოვრებ ქალებს სთხოვა დაენერათ წერილი, რომელსაც კამერის წინ ნაიკითხავდნენ. ნამუშევრის მთავარი მოტივი იყო: თვითმყოფადობა, მიგრაცია, ცვლილებები ევროპაში და ა.შ. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ახალგაზრდა თურქი ფეხმძიმე ქალის წერილი ბებისადმი. მთავარი გმირი ცხოვრობს დანიში და წერს ბების, რომელიც ავად არის. მას და გამოდაეცვალა, ორი წლის წინ ქმარიც დაკარგა. ბებია-მედიკოსის ურთიერთობა მომავალი





შეხვედრის იმედზეა აგებული.

„ბათუმი X ზღვების“ ორგანიზებით გამოიკვეთა პრობლემა, რომელიც მსგავსი ტიპის პროექტების განხორციელების, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და უცხოეთში არსებული გამოცდილების გაზიარების აუცილებლობას ითვალისწინებს.

საქართველოს პოპულარიზაციისთვის კულტურული მემკვიდრეობა აღარ კმარა. არსებულის შენარჩუნებისა და ახლებურად გაცოცხლების პარალელურად, უნდა იქმნებოდეს პროდუქცია, რომელიც მსოფლიოს მისთვის გასაგებ ენაზე დაელაპარაკება. რას გულისხმობ? უპირველესად, სიახლეს ფორმად, აზროვნებასა და განხორციელების გზებში. ტრადიციული ხერხების გამოყენებასთან ერთად საჭიროა გავიზიაროთ თანამედროვე მიდნევეები. მივიღებთ თუ არა ახალს, ჩვენი საქმეა, მაგრამ ცოდნა იმის, თუ რა ხდება ჩვენს გარშემო, სულ ახლოს, თუნდაც მეზობელ ქვეყანაში, აუცილებელია. ქართველი ხელოვანებისთვის (მაგალითად: მსახიობებისთვის) თანამედროვე ამოცანების წაყენება საჭიროა იმისთვის, რომ მათი შემოქმედება არ ჩაიკეტოს და იზოლაციაში არ მოექცეს. ამ მიმართულებით სამუშაო ბევრი გვაქვს. ერთი ფესტივალი ვერ მოაგვარებს პრობლემებს, რაც ქართული ხელოვნებასა და კულტურის მენეჯმენტს უკავშირდება. პროცესის განვითარებისთვის აუცილებელია თანმიმდევრული მუშაობა და ერთჯერად ინიციატივებზე მეტად, გრძელვადიანი პროექტების დაფინანსება, საკითხისადმი კონცეპტუალური მიდგომა.

ფესტივალის ფარგლებში ქართველმა და უცხოელმა ხელოვანებმა, ასევე კულტურის მენეჯერებმა, ერთმანეთი უკეთ გაიცნეს და საინტერესო საკითხებზე ისაუბრეს. კითხვაზე, რამდენად აქტიურობდა მაყურებელი ან დამთვალიერებელი, შემიძლია გიპასუხოთ, რომ მოსახლეობამ ინტერესი გამოიჩინა. თუმცა, შეთავაზებულიდან მას იმაზე მეტის მიღება შეეძლო, ვიდრე მოახერხა. გამოიკვეთა საკითხი, რომელიც მიგვანიშნებს, რომ დღეს მოქალაქეების აქტივობა სამაგალითო არ არის და არც დასწრების ან მოსმენის კულტურით გამოვიჩინეთ. აუცილებელია, ეტაპობრივად და კომპლექსურად მოგვარდეს პრობლემა, რომელიც, როგორც

წესი, სიახლეზე ორიენტირებული პროექტების განხორციელებას ახლავს თან და პროცესში ჩართულობისადმი ინდიფერენტულობას ეხება. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი, რასაც კი გვთავაზობენ, კარგია და უნდა გავითვალისწინოთ. თუმცა, აუცილებელია გავეცნოთ იმას, რაც ჩვენი თანამედროვეების ხელით იქმნება. მოსმენა გაზიარებას კი არა, ცოდნის დაგროვებასა და ინფორმირებულობას ნიშნავს.

რამდენად ინფორმირებული იყო ბათუმის მოსახლეობა იმაში, რაც მათ ქალაქში ხდებოდა? ფესტივალის შესახებ ბექდურ მედიაშიც დაინერა და საინფორმაციო საშუალებებშიც ითქვა. ქალაქში გააკრეს პლაკატები. მოსახლეობას ინფორმაცია რამდენიმე გზით მიანოდეს. თუმცა, „ბათუმი X ზღვების“ მნიშვნელობის განმსაზღვრელად სხვადასხვა ღონისძიებაზე დამსწრეთა რაოდენობა არ გამოგვადგება, რამდენადაც უკვე გითხარით, რომ საქართველოში აქტივობისა და ჩართულობის პრობლემა არსებობს. ახალი ინიციატივის განხორციელების აუცილებლობის მანიშნებელია მათი მოსაზრება და მთაბეჭდილება, ვინც ვორქოფებში მონაწილეობდა და ღია თუ დახურულ სივრცეში გამართულ წარმოდგენებს ესწრებოდა. მაყურებელთა განსაკუთრებული მონონება დაიმსახურა ღია ცის ქვეშ გათამაშებულმა სპექტაკლმა, რომელიც თურქებმა შემოგვთავაზეს.

ეზოებისთვის, მოედნებისთვის, სკვერებისა და სხვა საჯარო ან მივიწყებული ღია სივრცეებისთვის გამიზნული „მოლოდინი“ რეჟისორმა მაჰირ გუნსირეისმა თეატრ „ოუნევისთან“ ერთად განახორციელა. „ოუნევი“ თურქეთის ერთ-ერთი წამყვანი თეატრალური გაერთიანებაა და მაყურებელს ძირითადად თურქი და ევროპელი მწერლების ნაწარმოებთა ადაპტაციებს სთავაზობს. „მოლოდინი“ ბათუმის პორტში ორჯერ ითამაშეს. ადგილი განსაკუთრებით „მოუხდა“ და „მოერგო“ წარმოდგენას, რომელიც ევროპაში მიმავალი რამდენიმე ემიგრანტის ამბავს მოგვითხრობს. პერსონაჟები ცდილობენ გააცნობიერონ ყოფა და გაუთავებელ მოგზაურობაში „დახარჯული“ ცხოვრება. მათი „მოლოდინი“ გაჯერებული იყო თურქული, ქართული და ინგლისური დიალოგებით, სიმღერებით, ფიზიკური თეატრისთვის დამახასიათებელი ელემენტებით. თურქების საშემსრულებლო ხელოვნებამ დამსწრეთა მონონება დაიმსახურა. ბათუმელების თვალწინ გათამაშებულ წარმოდგენაში მსახიობების მაყურებელთან კონტაქტის მცდელობამ მხახველი კიდევ უფრო გამოაცოცხლა. უადგილო რეპლიკებისა და რეაქციების მიუხედავად, სპექტაკლმა კარგად ჩაიარა და ქართველების ქცევამ წარმოდგენის ხარისხზე უარყოფითად არ იმოქმედა. მაჰირ გუნსირეისს დადგმის ტექტი ეკუთვნოდა ბირგულ ოგუზს, სცენოგრაფია - კლოდ ლეონს, მუსიკალური რეჟისურა - ოლკაიტო არტის, მონაწილეობდნენ: აიჩა დამგასი, ბედირ ბედირი, ზექერია კარაკასი, ოლკაიტო არტი, ოზგე მეტინი.

ფესტივალის ფარგლებში ორგანიზებული ვორქოფებიდან საინტერესო აღმოჩნდა ბა-

თუმის პირველ საჯარო სკოლაში ჩატარებული „ჩემოდნები“, რომლის თემაც „ისტორიული მემსიერების ინსტალაცია“ იყო. საყმანვილო ვორქშოფს ნედიალკო დელჩევი (ბულგარეთი) უძღვებოდა. ბათუმის სკოლის მოსწავლეებთან ერთად ლიდერმა სხვადასხვა ობიექტის გამოყენებით პატარა ყუთები დაამზადა. მათში „თავი მოიყარა“ სხვადასხვა საგანთან დაკავშირებულმა ბავშვების ან მისი ოჯახის წევრთა მოგონებებმა. ვორქშოფის მიზანია მონაწილეების უკეთ გაცნობა და მათი ერთმანეთთან დაახლოება. ამ შემთხვევაში ამოცანა გადაიჭრა, რამდენადაც მოსწავლეებისთვის ლიდერთან ურთიერთობა და მისი გამოცდილების გაზიარების პროცესი სასიამოვნო და გამორჩეულად საინტერესო აღმოჩნდა.

ხორვატიელებმა ბათუმის დრამატული თეატრში ორჯერ ითამაშეს „დროის ლიგა“, რომელიც მაყურებელმა კარგად მიიღო და ბოლომდე ინტერესით უყურა. თუმცა, შეკითხვაზე, რამდენად მოგეწონათ წარმოდგენა, პასუხის გაცემა ბევრს გაუჭირდა. ნაწილს მოეწონა, მაგრამ ვერ ახსა რატომ, სხვები დაინტერესდნენ, მაგრამ ვერ გაიგეს და ა.შ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „დროის ლიგა“ იმითაც გამოირჩეოდა, რომ მაყურებელი ფიქრისთვის განაწყობდა, აიძულა ამოცნო, რა მოხდა სცენაზე.

წარმოდგენას საინტერესო კონცეფცია აქვს. რეჟისორი გვთავაზობს საკუთარ წარმოსახვას და საყარაულო პასუხს შეკითხვაზე: — როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს სამყარო, როდესაც ადამიანი რეალობის აღქმის უნარს კარგავს და დროში მოგზაურობს? შემსრულებლები გაუთავებლად მოძრაობენ სცენაზე და ბოლომდე იხარჯებიან. მათი ქმედებით იქმნება რიტმი, რომელიც მაყურებელს მოდუნების საშუალებას არ აძლევს. სცენა თანდათან „იხუნძლება“ ქალაქის ცათამბჯენებით, მონუმენტებითა და არქიტექტურული კომპლექსებით. ადამიანები მათ შორის მოძრაობენ და დედამიწაზე სხვა პლანეტიდან ემვებიან. ორ უდიდეს სახელმწიფოს — ამერიკასა და რუსეთს შორის გამოკიდებული პერსონაჟების მოქმედებები მექანიკურ მოძრაობაში გადადის. მაყურებლისთვის, როგორც ტექნოლოგიური პროგრესის ეპოქაში მცხოვრები ადამიანისთვის, ნაცნობი იყო „გაუთავებელი ფუსფუსის“ ტვირთი და მექანიკაში გადაზრდილი რუტინა. განწყობის შექმნაში მონაწილეობდნენ ხორვატიელთა შემოქმედებითი ჯგუფის წარმომადგენლები: ჰელგე ჰინტერეგერი, პრადან დევილაპოვიჩი, ივანა ივკოვიჩი, ანა კრეტიმეიერი, ტომისლავ მედეკი, გორან სერგეი პრისტასი, ნიკოლინა პრისტასი, ზრინკა უჟბინეკი, ტორ ლინდსტრანდი, დანიელ ტურინი, სილვიო ვუჟიმიცი, ალან ვუკელიჩი, ჟანსმინ დასოვიჩი, დეჟან დრაგოსავაკ რუტა და ა.შ. მათ შორის სცენაზე მხოლოდ ოთხი მსახიობი იდგა. განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა ეკრანს და სცენის სხვადასხვა კუთხიდან წამოსულ შეტყობინებებს. წარმოდგენა ეყრდნობოდა ფრანც კაფკას, ნინა ბენოვიჩის, დამირ ბარტოლ ინდოშის, მილა ჩულჯაკის, ალექსეი კაპიტო-



ნოვირ გასტიევის, იულიუს კოლერის, გეორგ შოელმაჰანერის, „ექსცენსიკოს მსახიობთა ქარხნის“, კონსტანტინე მელნიკოვის, ჯო მეიკის, ოუენ ჰეტერლის და სხვათა ტექსტებს. წარმოდგენის მსვლელობისას „თვალში მოგზვდებოდათ“ ნიშანთა მთელი წყება და საერთო სტილისტიკა, რომლის შექმნაშიც თითოეული კომპონენტის წვლილი გათვლილია.

„დროის ლიგის“ დაწყებამდე მაყურებელს დაურიგეს ფურცლები, რომელიც მათი მეგზური აღმოჩნდა. ბათუმელებისთვის დაწერილ წერილში ეწერა, რომ „დროის ლიგის“ წევრები: ქალიმანქანა, უფონაუტი, პილოტი და კოსმონავტი „კაპიტალიზმის კოლაპსისა“ და „კომუნიზმის აღზევების“ პერიოდში მოგზაურობდნენ, რათა ხელახლა ენახათ „სამყარო, სადაც მომავალი დაკარგულია“. მათ თანამედროვე სამყაროს ნანგრევებიდან ადრეული XX საუკუნის „უტოპიური ზღაპრები“ და „წარმოსახვითი სცენები“ ამოქექეს. მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება ვლადიმერ მაიაკოვსკის „მფრინავმა პროლეტარმა“ და ფრანც კაფკას ნოველამ „ამერიკა“ მიიპყრო. წარმოდგენის მსვლელობისას კოსმონავტმა რამდენიმე შეკითხვას უპასუხა. ამათგან ერთერთს — რა არის „დროის ლიგა“? — ასე გამოეხმაურა: — „დროის ლიგა“ არის საბჭოთა 20-იანი წლებიდან შემორჩენილი ისტორიული პროექტი, რომლის მიზანია ინდუსტრიალიზაციამდელი ადამიანის დროის შინაგანი შეგრძნების სინქრონიზაცია პოსტ-ინდუსტრიული დიდებულ და კოორდინირებულ დროის ტემპთან. ჩვენ მოგვიწევს, რათა დავესწროთ მომენტს, როდესაც სამყაროს აღქმა სოციალური ნარატივებით უკვე შეუძლებელია. საჭიროა აღვადგინოთ მივწყებული მომავალი, რომელიც აღარასოდეს შედგება. ჩვენი მეთოდოლოგია ოთხხანლიანია: აღდგენა, იგავი, ადამიანის გარდაქმნა ძილში და ჰალუცინაცია. წარმოდგენის ფერწერული შტრიხია გამჭვირვალე პარკებისგან შექმნილ ორ საჰაერო ბურთში მოთავსებული წითელი და ლურჯი სხივი, როგორც ჰალუცინაციების ლაბორინთიდან გამოსვლის იმედი.

„ზღვები X ბათუმი“ ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის დრამატული თეატრის „ვირთხებზე ნადირობით“ (რეჟისორი რალფ ზიბელტი) დაიხურა.

ნიკო გოცირიძე (1872-1949)

ხელოვნების სიმაღლეზე ასულ ყველა მსახიობს ამ სიმაღლისკენ მიმავალი გზა მუდამ თავისებური აქვს. ნიკო გოცირიძის გზა უჩვეულო იყო.

ის დაიბადა 1872 წლის 6 აგვისტოს თბილისში, ანჩისხატის უბანში, მუხრან-ბატონის სახლში. მისი მამა თერძი იყო, მამაკაცის ტანსაცმელს კერავდა. ამავე დროს, ცნობილი მოკრივეც ყოფილა – გრიგოლ ორბელიანის ფალავანი. დედა – ეკატერინე თითბერიძე, დიასახლისი. სიტყვამახვილი, ოხუნჯი, იუმორის გრძნობით დაჯილდოებული ქალი.

გოცირიძეების ოჯახში ყველაფერი ქართული იყო – ენაც, სამოსელიც, ადათ-ნესებიც. თითქმის ყველა ქართული სამოსელი, რომელიც შემდგომ ნიკო გოცირიძეს სცენაზე უტარებია, თვითონ სცმია და უტარებია ცხოვრებაში.

წერა-კითხვა მთანმინდის პირველდანიყებით საქალაქო სასწავლებელში ისწავლა. 1886 წელს, ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ნიკო გადადის თბილისის სახელოსნო სასწავლებელში, მაგრამ სწავლას გული ვერ დაუდო – მისი ფიქრები უკვე თეატრს დასტრიალებდა. საქმე ისაა, რომ ამ დროისთვის ის უკვე 14 წლისაა, ნანახი აქვს თეატრალური წარმოდგენები და სხვა უკვე აღარაფერი აინტერესებს.

პირველად რომ ნახა წარმოდგენა, 7 – 8 წლის თუ იქნებოდა. ეს წარმოდგენა გამართულა გამოჩენილი ქართველი მოლ-

ვანის, პეტრე უმიკაშვილის სახლში – სცენისმოყვარეებს გიგო გულიკურაშვილის თაოსნობით დაუდგამთ სიღნაღელი მღვდლის ასტვაცა ტურიანის პიესა „კაპიშონი“ ლექსებითა და სიმღერებით.

ძალიან ძლიერი აღმოჩნდა ეს პირველი თეატრალური შთაბეჭდილება. იმდენად ძლიერი, რომ ნიკოს საკუთარ სახლში, ტახტზე მოუწყვია სცენა, სადაც მხოლოდ თვითონ განასახიერებდა ყველას, ვისაც მოინდომებდა.

ცოტა მოგვიანებით ის უკვე ამხანაგებთან ერთად მართავდა ხოლმე წარმოდგენებს აგრეთვე ბინაზე – მთანმინდაზე, ჩუღურეთში, ანჩისხატში, ვანქის ეკლესიის მიდამოებში. მათი ავლადიდება იყო: რამდენიმე ზენარი, ძველი ხალიჩები, დამტვრეული სკამები და სხვა ამდაგვარი... ვინც რას იშოვნინდა.

სკოლიდან მამასთან უყვარდა გამოვლა სამკერვალო სამაქროში. ქარვასლის შესასვლელთან რომ ფრთოსანი ცხოველის ქანდაკება იდგა, იმაზე შესკუპება უყვარდა. იმ სიმაღლიდან მის თვალწინ უზარმაზარი ხალიჩასავით იშლებოდა ეს სავაჭრო უბანი, სადაც, ჩვეულებრივ, მთელი ქალაქი იყრიდა თავს: ხელოსნები, ვაჭრები, კინტოები, ყარაჩოხელები... ისმოდა ოხუნჯობა, მხიარული სიცილი, სიმღერა, ზურნა, თარი, დუღუკი...

სალაყბოშიც შეჩერდებოდა. ხალიჩებით მოფენილ მინაზე, ბალიშებსა და მუთაქეზე მინოლილი მოხუცები და ხანდაზმულები ყურადღებით უსმენდნენ ახალი ამბის მთხრობელს, კამათობდნენ საქვეყნო საქმეებზე...

თავის თბილის-ქალაქის მომავალ გმირებს ნიკო გოცირიძე ჯერ აქ გაეცნო, შემდეგ კი პიესებში... ამან განსაკუთრებული დამაჯერებლობა მიანიჭა ძველი თბილისის იმ მოქალაქეებს, მან რომ შემდგომ სცენაზე გააცოცხლა, განუმეორებელი სურნელი შესძინა.

ერთხელ, უფროსმა ძმამ, სანდრომ, რომელიც თეატრის მოყვარული იყო და ქართულ თეატრში ეპიზოდურ როლებსაც თამაშობდა, ნიკო ქარვასლის ქართულ თეატრში წაიყვანა, ოღონდ არა წარმოდგენის სანახავად, არამედ მასში მონაწილეობის მისაღებად – ზ. ანტონოვის პიესაში „ქოროლი“ მას უნდა განესახიერებინა ჯაფარ-ფაშას ერთ-ერთი მხლებელი. ასე რომ, პროფესიულ ქართულ დრამატულ თეატრთან მისი შეხება შედგა არა პარტიკულში, არამედ სცენაზე. და რადგან ჯაფარ-ფაშას თვით დიდი ვასო აბაშიძე ანსახიერებდა,

ნიკოს პირველი გამოსვლაც მან აკურთხა.

ნიკო კარგად ხატავდა. „ვეფხისტყაოსნის“ ზიჩისეული ილუსტრაციების პირებს იღებდა, ეკლესიის კედლების მოხატვასაც ანდობდნენ.

1893 წლიდან იწყებს მუშაობას რკინიგზის მთავარ სახელოსნოში რონოდების მღებავად. აქ 28 წელი იმუშავა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მუშათა გარემოში იყო. ამ გარემოში ამბოხის სული ტრიალებდა... არალეგალური ლიტერატურა... პროკლამაციები... ამ მიზეზით 1905 წელს ნიკო გოცირიძე, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, ექვსი თვით დაითხოვეს კიდეც დეპოდან. საამქროში მასთან ერთად მუშაობდნენ მაქსიმე ჰეშკოვი (მაქსიმ გორკი) და არსენა ჯორჯიაშვილი...

1893 წელს დეპოს მუშათა ინიციატივით და მათი პირადი სახსრებით ჩამოყალიბდა საქართველოში პირველი მუშათა თეატრი, ე. წ. ავჭალის აუდიტორია (რადგან შენობა ავჭალის ქუჩაზე იდგა). ასე ჩაეყარა საფუძველი თბილისის ქართულ სახალხო თეატრს. იგი შექმნეს მუშებმა, რომლებსაც გაუჩნდათ მოთხოვნილება, ჰქონოდათ საკუთარი თეატრი, რომლის სცენის ფიცარნაგიდან ისინი თავის სატკივარ-საამოზე ილაპარაკებდნენ.

სახალხო თეატრს ხელმძღვანელობდა „სცენისმოყვარე ხელოსანთა ამხანაგობა.“ მათ ჰქონდათ საკუთარი წესდება, რომელიც თეატრის მუშაობის ყველა მნიშვნელოვან მხარეს ითვალისწინებდა. ავჭალის აუდიტორია მათთვის არ იყო დროის გასატარებელი ადგილი.

ვინაიდან ამხანაგობის ყველა წევრი ხელოსანი იყო, მათ საკუთარი ძალებით მოაწესრიგეს შენობა, საამხანაგო თანხით შეიძინეს საჭირო მასალა და სულ მალე მათი სანატრელი აუდიტორიაც მზად იყო. ბილეთის ფასი ყველასათვის იყო ხელმისაწვდომი – არა უმეტეს ერთი შაურისა.

ნიკო გოცირიძე ავჭალის აუდიტორიის სახალხო თეატრში 1897 წელს მივიდა პროფესიული თეატრიდან. მისივე მოგონებებიდან ვიცით, თუ რა მონდომებით იყო იგი ჩართული მუშათა თეატრის საქმიანობაში. 90 როლი შეუსრულებია. რეჟისორიც იყო ხოლმე, მხატვარიც, დეკორატორიც. რა თქმა უნდა, უსასყიდლოდ.

ქართული თეატრის შენობა რომ დაინვა 1914 წელს, ნიკო გოცირიძე ახალი თეატრის აღმშენებელი კომიტეტის წევრად აირჩიეს, იმდენად ცნობილი იყო ყველასთვის, თუ რაოდენ ერთგულია ეს ადამიანი ქართული დრამატული თეატრისა და რაოდენ

ჩახედული სათეატრო საქმეში. ქართულ ესტრადასაც ემსახურებოდა. ვასო აბაშიძისა და ნიკო გოცირიძის კუპლეტები „ვაი-ვუის ხმაზე“ ქართული საესტრადო ხელოვნების ერთი საინტერესო ნიმუშია.

როგორც მოქალაქე და შემოქმედი, ნიკო გოცირიძე ძველი ქართული თეატრის მსახიობის საუკეთესო თვისებებს მოიცავდა – იყო უანგარო შემოქმედი, რომელიც იმ დროის სცენის ხელოვანის მძიმე ცხოვრებას ადვილად იტანდა, ვინაიდან შეგნებული ჰქონდა, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მას სასცენო ასპარეზზე. არ ყოფილა შემთხვევა რეპეტიციაზე დაგვიანებისა. არ ყოფილა საქველმოქმედო საღამო, მას რომ არ დაემშვენებინოს თავისი „სცენებით“ სრულიად უანგაროდ. მეტიც, ხშირად სასცენო ხარჯები საკუთარი ჯამაგირითაც დაუფარავს.

ნიგინიერი კაცი იყო. ბეჭდურად თუ ხელნაწერის სახით არსებული ყველა ქართული პიესა ჰქონდა შეგროვებული. ვინც მას პირადად იცნობდა, ყველა პატივს სცემდა მის ენერგიასა და შრომისმოყვარეობას. უყვარდათ, რადგან კეთილი იყო, ღიმილიანი და პატივს სცემდა ადამიანებს.

ასეთი შეხვდა ნიკო გოცირიძე ახალ ქართულ თეატრს და მის მედროშეს კოტე მარჯანიშვილს.

ძველი თეატრის ეს ტიპური წარმომადგენელი საოცარი სიადგილით „გაუთავისდა“ ამ ახალ, ანსამბლურ თეატრს, სადაც რეჟისორი მხატვრულად მთლიან სპექტაკლებს ამკვიდრებდა. ასე რომ არ ყოფილიყო, კ. მარჯანიშვილის მიერ მოტანილ სიახლესა და ნიკო გოცირიძის აქტიურულ ბუნებას შორის შინაგანი ნათესაობა რომ არ ყოფილიყო, ძველისა და ახლის ასეთი ბუნებრივი შერწყმა შეუძლებელი იქნებოდა.

რუსთაველის თეატრში მოსვლისთანავე (ის მიიწვიეს 1921 წელს), ნიკო გოცირიძემ განასახიერა სოვდაგარი მდოიანცი ნ. შიუკაშვილის დრამაში „სულელი“ (დადგმა მ. ქორელისა და მ. ჭიაურელის). კ. მარჯანიშვილის პირველ, საპროგრამო დადგმაში ლოპე დე-ვეგას „ცხვრის წყარო“, რომელიც 1922 წლის 22 ნოემბერს დაიდგა მეორე კორეხიდორის ეპიზოდურ როლს თამაშობდა. კ. მარჯანიშვილმა მომდევნო თავის დადგმებშიც დააკავა - მან ითამაშა სასამართლოს დოქტორი ხ. ბენავენტეს „ინტერესთა თამაშში“, კრისტი მეგონი ჯ. სინგის „გმირში“, ჟურდენი მოლიერის „გააზნაურებულ მდაბიოში“, პოლონიუსი შექსპირის „ჰამლეტიში“ და, რაც მთავარია, გეურქა ზ. ანტონოვის კომედიაში „მზის დაბნელება



წარმოდგენისათვის ეს თვისება სწორად უფრო საჭიროა, ვიდრე განსაკუთრებული მაღალნიჭიერება. აი, ეს „მომხიბვლელობა“ ისეთი თვისებაა ნიკოსი, რომ მიუხედავად ბანაკებზე დაყოფისა ხელოვნებაში, დამოუკიდებლად მაყურებელთა და მსახიობთა ჰასაკისა, ნიკო მუდამ ყველასთვის თავისიანი იქნება... ძველი და ახალი, ახალგაზრდული და დრომოჭმული – ყოველივე ის, რაც ეხლა ყველას გვაღელვებს, ან ხელს გვიშლის, - უსათუოდ ერთნაირი ძალით ნიკოს თავის ბანაკისკენ ეწევა... ორივე ბანაკი დაგვიმტკიცებს, რომ ნიკო გოცირიძე მათია!

მაშ, რაშია დედაარსი? სულ უბრალო – საქმე ისაა, რომ ნიკომ წერტილი არ დაუსვა თავის მოღვაწეობას, ხელები არ განიბანა. არა!.. აღზრდილი თეატრის ძველ ფორმებში, ნიკო მაინც წინ მიიწევა, იგი მარად ძიებაშია და ყოველთვის სწავლობს... შენარჩუნება ძველისა, მშობლიურისა და მისი

შემოსვლა ახალი, ევროპული ფორმებით... ნიკო ძველიდან ახლისაკენ გადაბრუნებული ხიდაია.¹

მიდიოდა დრო. კ. მარჯანიშვილი აღარ იყო. მისი სახელობის თეატრში სცენის ხელოვანთა ახალი თაობები მოდიოდნენ. ნიკო გოცირიძე კი ისევ ახალგაზრდა იყო თავისი შემოქმედებით.

1924 წელს ქართულმა საზოგადოებრიობამ მისი სასცენო მოღვაწეობის 30 წელი აღნიშნა. მას მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

1934 წელს მისი მოღვაწეობის 40 წელი აღინიშნა. დღესაც, მისი გახსენების ჟამს, თამამად შეიძლება გავიმეოროთ ის, რაც თავის დროზე თქვა ნიკო გოცირიძის შესახებ იოსებ გედევანიშვილმა: „თუ საზოგადოდ ნიჭიერი ხელოვანი ძვირფასი განძია ეროვნული კულტურისათვის, იგივე ხელოვანი – ხალხის შვილი, შობილი ნამდვილი დემოკრატიისაგან, უძვირფასესი რამაა, რადგან ადასტურებს ხალხის ძალას, ერის უფლებას მომავალზე.“

ძალიან მაღალი შეფასებაა. ის უნდა დაიმსახურო.

საქართველოში“ - ყველაზე შესანიშნავი მის სცენურ ქმნილებათა შორის.

განსაცვიფრებელი ბუნებრივობით იხატებოდა იგი ზ. ანტონოვის მწერლურ სამყაროში და ელენე ახვლედიანის სცენოგრაფიაში. გეურქას მხატვრული სახე სწორედ იმით იყო შესანიშნავი, რომ ძველი ქართული თეატრის საუკეთესო ტრადიციების ქართულ თეატრთან შერწყმის ნიმუშს წარმოადგენდა – ნიკო გოცირიძის სცენური ქმნილება ამჯერად მაღალი რეჟისურისა და მაღალი თეატრალური მხატვრობის ჩარჩოში იყო ჩასმული და ახლებურად ბრწყინავდა. რატომ? პასუხი თვით კ. მარჯანიშვილთან მოვნახეთ. აი, რას წერს იგი ნიკო გოცირიძის შესახებ იოსებ გრიშაშვილს:

„როდესაც კი არ უნდა აინიოს თეატრის ფარდა, რაც გინდა სამწუხარო და მძიმე აკორდითაც არ დაიწყოს წარმოდგენა, საკმარისია კულისებიდან მოისმას ნიკოს ხმა, ან სცენის სიღრმეში გამოჩნდეს მისი ფიგურა და ხელათ დარბაზში მჯდომ მაყურებელთა ტუჩებზე კმაყოფილების ღიმილი ათამამდება!.. ნიკო მთელი თავისი არსებით გამსჭვალულია ეგრეთ წოდებული „სცენური მომხიბვლელობით“... ჩემი შეხედულებით,

1. ი. გრიშაშვილი. ნიკო გოცირიძე. საიუბილეო გამოცემა. 1924 წ. გვ. 42.

ნათია კოპალეიშვილი

დოკუმენტური კინოს ისტორიის ზოგიერთი — ჩვეული და იპოქრიზებული ფორმები

ყველაფერი, რაც კი კინოს ისტორიას ეხება, ბუნებრივია, ასევე ეხება დოკუმენტური კინოს წარსულსაც. დღეს დოკუმენტური კინოს ეკრანული ნაწარმოების გამოსახულების დრამატურგიული დიფერენციაციის ძირითადი და მთავარი ხერხია მონტაჟი და დანარჩენი ელემენტები უნდა დამორჩილონ მონტაჟურ კონცეფციას. აშშ-ს კინოს ისტორიაში განსაკუთრებული შემოქმედებითი ბიოგრაფიით გამოირჩევა კინოდოკუმენტალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი რობერტ ფლაერტი, რომლის ნამუშევრებსაც ამჟამად ჭიმძვარიტ ტელედოკუმენტალისტიკას უწოდებენ. თუმცა, ფლაერტის მოღვაწეობის დროს ტელევიზიის შესახებ მხოლოდ უტოპიური მოსაზრებები არსებობდა. ფლაერტიმ კინემატოგრაფიული მოღვაწეობა ესკიზების ცხოვრების ასახვით დაიწყო — ცეკვები, ციგაობა, სელაპებზე ნადირობა და სხვ. ასეთი სცენები აისახა მის პირველ ფილმში. შემდეგ გადავიდა ბელჩერის კუნძულებზე და რამდენიმე მათგანი აღნიშნა რუკაზე, მათგან უდიდესს ფლაერტის კუნძული ეწოდა. ორი წლის შემდეგ, ფლაერტი კვლავ ეწვია ბელჩერის კუნძულებს და გადაიღო ესკიზოსთა პრიმიტიული ცხოვრების, ნადირობის და ხელობის ამსახველ სცენათა მთელი სერია. თუმცა თავად ფლაერტისაც მიაჩნდა, რომ ფილმს აკლდა თხრობის ერთიანი ძაფი და მხოლოდ ერთმანეთთან დაუკავშირებელ სცენათა ერთობლიობას წარმოადგენდა. აქ შეიძლება დღევანდელი ტელედოკუმენტური კინოსთვის დამახასიათებელი ნებისმიერი ჩანასახობრივი ნიშანი აღმოვაჩინოთ: საინტერესო რაკურსებით გადაღებული რეალური კადრები, კამერისა და ობიექტის ურთიერთდამოკიდებულების ერთგვარი დამოუკიდებელი ხასიათი, ინტერესთა სფერო და ა. შ.

რობერტ ფლაერტის „ნახუკმა“ გვიჩვენა სინამდვილის კრეატიული ხასიათი. სერგეი ეიზენშტეინმა განაცხადა, რომ მათ უფრო მეტი იხსნავლეს „ნახუკისგან“, ვიდრე ყველა ერთად აღებული უცხოური ფილმისგან. დაკვირვების სიზუსტე და მასალის თავისუფლად მიძვება, რაც მას სძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ფლაერტის ხელოვნების შემადგენელი ნაწილებია. ესეც დღევანდელი ტელედოკუმენტალისტიკისთვის სასურველი თავისებურებაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის კარგად ცნობილი ხანგრძლივი დაკვირვების მეთოდი, რომელიც დეტალურად განიხილება ტელედოკუმენტურ სივრცეში გიორგი ლეონიძის მიერ და დღესაც უცვლელი განსაზღვრებაა, სწორედ ფლაერტის ნოვაციამი იღებს სათავეს.

ამგვარად, დოკუმენტური კინო ქმნის ეპოქის სტილს, რომელიც მის საეკრანო აზროვნებაში გამოიხატება. დროთა განმავლობაში სულ უფრო აქტიურდება კინემატოგრაფის და ტელემაუნყებლობის ურთიერთზეგავლენის პროცესიც.

XX საუკუნის 20-იანი წლების ქართული კინო, განიცდის რა ერთიან პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ ზეგავლენას, ქმნის მანიფესტებს, რომელშიც აფიქსირებს კინოს „შემიფიცირების“ დინამიკური „ხატუნის“ შესაძლებლობებისადმი აღფრთოვანებას. „კინოაპოლოგიაში“ ვკითხულობთ: „კინო არის ახალი ხელოვნება, კინო მოდის, როგორც კონსტრუქციური ცხოვრების... კინო, როგორც ცხოვრება ყოველთვის დინამიურია, სიტყვა არის სიყალბე, კინოში, სადაც სიტყვა უარყოფილია, სიყალბე არასდროს იქნება.“¹

XXI საუკუნის დასაწყისში კინემატოგრაფი უფრო აკონკრეტებს, ზრდის სპეციფიკური ხერხების ფუნქციას და შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად ეყოფა ხელოვნების სხვა დარგებს. თეორეტიკოსი ბელა ბალაში გამოყოფს გამოსახვის სამ აუცილებელ კომპონენტს: ახლო ხედს, რაკურსს და მონტაჟს, კინოხერხებს, რომლებიც დოკუმენტურ კინოშიც აქტუალურია. ახალი ხელოვნების ფორმირების, ახალი საზოგადოების, სახელმწიფო ფორმაციის ჩამოყალიბების პროცესი განსაზღვრავდა ტელედოკუმენტალისტიკის პათოსს, რომელსაც ეკისრებოდა „იდეოლოგიური აგიტაციონის“ ფუნქცია. მაგალითად, ცნობილი კინომცოდნე ლეონიდ კოზლოვი XX საუკუნის 80-იან წლებში წერდა: „ცხოვრების უშუალო ფიქსირება, იდეისა და ექსპერიმენტთა აგიტაციური განხორციელება იყო ახალი კინემატოგრაფის შექმნის საფუძველი...“² სიახლე კი გამომდინარეობდა კინოს დოკუმენტურობის გენიდან, გენიდან გამომდინარე ლაპარაკობდა დრო.

საინტერესოა, ამ ძირითადი თვისობრიობიდან გამომდინარე, მაინც რა იყო ის, რაც მომავალში დოკუმენტურ ფილმს ტელესპეციფიკაში განივთებას უწინასწარმეტყველებდა.

სახელმძღვანელოში, სახელწოდებით „სატელევიზიო ჟურნალისტიკა“ ვკითხულობთ: „...ტელევიზიას ძალუძს გამოიყენოს კინოს ენის ყველა გამოსახვითი საშუალება. ტელევიზიისა და კინოს ამკარად საერთო თვისებების სიმრავლე ბევრის ცნობიერებაში ჩრდილავს იმ განსხვავებებს, რომლებიც ასე ამკარად არაა გამოხატული. მაგრამ ეს განსხვავებანი არსებობს და მათი უგულებელ-

ყოფა სავალალო შედეგებს იწვევს.

უნიარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ, თუმცა კინოს ყველა გამოსახვითი საშუალება ტელევიზიის საშუალებასაც წარმოადგენს, მათი გამოყენების ხერხები და მეთოდები ჩვეულებრივ განსხვავებულია კინოს ხერხებისა და მეთოდებისაგან” [3]. ეს მოსაზრება დღესაც, XXI საუკუნეში, ამყარებს პროზიციას ორი ხელოვნების ინტერკულტურული და ბუნებრივი სინთეზის მოთხოვნილებების შესახებ.

1. „კინოპოლოგია“ .საბჭოთა კინოს ისტორიის ფურცლებიდან. 1988 მ., გვ. 87
2. ლ. კოზლოვი. „კინოსიკუსტვო“ 1981, №5 გვ. 97
3. ჟურნალი. „სატელევიზიო ჟურნალისტიკა“ გვ. 66

ბამოყენებული ლიტერატურის სია:

- ფრანგული ჟურნალი „ფილმ-დიუ“
1. ს. ეიზენშტეინი. ს. ექსტრემული, 1980. ტ.
 4. გ. ლეონიძე. ტელეკომუნიკაციების პოეტიკა (დოკუმენტური მასალის ორგანიზაციული სტრუქტურა სატელევიზიო პუბლიცისტიკაში.
 5. ჟურნალი. „ნოვოსტი ტელევიზიისა“ 2009 მ.,
 6. მასალები ტელეჟურნალისტიკისთვის „პეერ-ემე“, 2003

დოკუმენტური კინოს ისტორიის ზოგიერთი – ჩვეული და იმპროვიზებული ფორმები

თემისა და ფორმის ერთიანობის ძიება, სამაყურებლო დიაპაზონის გაფართოებაზე ფიქრი – დღეს არსებული ტელედოკუმენტალიზმისთვის და საერთოდ დოკუმენტური კინოსთვის უცვლელი მოთხოვნით-შემადგენელი კომპონენტებია.

კინოს ისტორიაში განსაკუთრებული შემოქმედებითი ბიოგრაფიით გამოირჩევა კინოდოკუმენტალიზმის ერთ-ერთი უძველესი რობერტ ფლაერტი, რომლის ნამუშევრებსაც ამჟამად ჭეშმარიტ ტელედოკუმენტალისტიკას უწოდებენ. თუმცა, ფლაერტის მოღვაწეობის დროს ტელევიზიის შესახებ მხოლოდ უტოპიური მოსაზრებები არსებობდა.

დაკვირვების სიზუსტე და მასალის თავისუფლად მიშვება, რაც მას სძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ფლაერტის ხელოვნების შემადგენელი ნაწილებია. ესეც დღევანდელი ტელედოკუმენტალისტიკისთვის სასურველი თავისებურებაა.

ამგვარად, დოკუმენტური კინო ქმნის ეპოქის სტილს, რომელიც მის საეკრანო აზროვნებაში გამოიხატება. დროთა განმავლობაში სულ უფრო აქტიურდება კინემატოგრაფის და ტელემაუწყებლობის ურთიერთხევაგაფლანის პროცესიც.

ქართულ სატელევიზიო დოკუმენტალისტიკას თავისი გამორჩეული მეგვიდრეობა უნდა აინტერესებდეს. გამორჩეული, როგორც წმინდა კინემატოგრაფთან ტრადიციული ახლოს დგომით, ასევე თემატიკით. ამაში შეიძლება გადარჩევის პრინციპიც მძლავრად მოქმედებდეს. თუ ამ გზას ვირჩევთ, მაშინ გადავიდეთ ნოვაციის დამკვიდრებაც და საერთო და განმასხვავებელი ნიშნების კლასიფიცირებაც, ყოველგვარი ხელოვნურობის გარეშე.

რეჟისორისა და ავტორის ფუნქციების თანხვედრა მეტად რთული ამოცანაა არა მხოლოდ ჩვენს დოკუმენტურ კინოში, არამედ იმ ქვეყნებშიც, სადაც ამ ხელოვნებას პროდუქტიულობის ძალზე მაღალი დონე ახასიათებს.

General and improvised forms – Something of the Documental films history

Summary

Searching for unity of the theme and form, thinking on the broadening attendance range – for today’s TV documentalism and generally for documental film is an unchanged component of the demand-contain.

In the cinema history the creative biography of the cinema documentary’s founder Robert Flaert, whose works now are called true TV documentalistics is very important. However, at the time of Flaert’s activities, there were only utopian ideas about TV.

Accuracy of the observations and let off on the freedom of the work, which give it important meanings are the component parts of Flaert’s art. These are preferred originality for TV documentalistics.

So, documental film makes style of the epoch, which expresses its screen idea. Over the time more and more active become cinematography and interimpact process of the broadcasting.


Georgian TV documentalistics must be interested iv its important heritage, featured by being traditionally close to cinematography, and by themes as well. In it elected principle must impact greatly. If we choose this way, then it will be easy to establish novation and classify the common and different marks, without any artificiality.

Coincidence function of the director and author is more difficult problem not only in our documantal film, but in the country, too, where productivity of this art is on the high level.

მწერლის არქივიდან

ოთარ ჩხეიძე
ღრთ-ღრთო

(დღიურის ფრაგმენტები)
დასაწყისი. „თ. და ც.“ 2009, №1



პარასკევს, 30 იანვარსა, 1970 წლისა

- ნანას ალბათ შეეშინდა, - მეუბნება ალექო შალუტაშვილი, - თორემ „საჭურისებს“ აქამდის დასდგამდა... იცი, ერთხელ იმ ნაგვის ტომარამ (დევი სტურუასა გულისხმობს, რალა თქმა უნდა) ძალიან ცუდად ილაპარაკა „თედორეზე“... რაო, რას ეფარება ისტორიასაო, თუ ვაჟკაცია, პირდაპირ ილაპარაკოსო... ნაგვის ტომარა!.. ნანას ნამდვილად შეეშინდა...

- ჰო ჩამობერტყეს ეგ ნაგვის ტომარა...

- ახლა ალბათ დასდგამს...

ოთშაბათს, 9 თებერვალსა, 1970 წლისა

დაესწრებო, მეკითხება ვალიკო კანდელაკი, იმისი პიესის კითხვა, იმისას მეკითხება. დავესწრები-მეთქი, თუმცა ღირსი არა ხარ-მეთქი. რატომაო, ამბობს ცოტა შეცბუნებული, აჰა, შენი რომანის კითხვას რომ არ დავესწარიო. არ დასწრება არაფერი, აქ რომ იყავი და ცხვირი არ შემოჰყავი-მეთქი, ვეხუმრები. მეორე დღე იყო, გაგრძელების გაგება ადვილიც არ არისო. პირველ დღესაც შეიძლებოდა მოსვლა-მეთქი... აღარაფერს ამბობს, რალა თქმა უნდა, გეხუმრები-მეთქი, და შევდევ დარბაზში. კარგად მოუშზადებია, მოსულან მომსვლელნი, მოსულან მწერლებიცა, თეატრიდანაცა, არა მარტო თბილისისა, რაიონების თეატრებიდანაცა... პიესას მსახიობი კითხულობს, ესეც კარგია, მაგრამ ყველაზე კარგი ისაა, რომ მიწასა ფიცულობენ, მიწა ღმერთიაო, ჰქადაგებენ, - ეს თედორეა, რალა თქმა უნდა, ჰო თედორეო, ოღონდ რატომ არაფერს მეუბნებოდა აქამდისა?! სხვანი თუ მიმხვდარან?! არა, არავინ არ მიმხვდარა, არც ეკითხება არავისა, მისი მიგნება ჰგონიათ, კიდევაც უწონებენ, ეგება თვითონ გამოტყდეს?! არა, თავს იდებს, ვინ უწყის უკვე თავისი ჰგონია?! მაგრამ აი, ნანა დემეტრაშვილი შეახსენებს: ჩვენ უკვე დავდგით ეს პიესაო - („დრო - 24 საათი“) დავდგით და იმიტომაც ავირჩიეთ, რომ ამით ვაგრძელებთ იმ კურსს „თედორეთი“ რომ დავინწყეთო, აქაც მიწის სიყვარულია, მიწა ღმერთი, როგორც „თედორეთი“ ვქადაგებდით და ვქადაგებთო... მერე ბესარიონ ჟღენტი მეცა, მთხოვს აზრის გამოთქმასა, ისა თავმჯდომარეობს სხდომასა, მეც ვამბობ, ვამბობ პიესის მონონების სიტყვასა, იმას არა, მიწის რელიგიისას არას ვამბობ, თვითონვე უნდა აღიაროს, არ აღიარებს და ნუ, დაე ეს იქცეს ქადაგებათ ჩვენი დრამატურგიისა, ჩვენი თეატრისა, დაე მიწის რწმენამ დაიპყროს თეატრი, სხვა არც რა მიწა, მაგრამ სიღარიბეც არაფრის მაქნისია, თავი მოაქვთ მწერლებათა და სხვას შეჰყურებენ კოჭებშია! რალაცას თვითონაც დაუფიქრდნენ, თვითონაც მიხვდნენ რალაცასა, რალაც სხვაგვარადა, სხვანაირადა, ხელოვნება სხვადასხვაგვარობა და სხვადასხვანაირობა, იგივეობა ხელოვნური აღარა ყოფილა...

ოთშაბათს, 3 მარტსა, 1971 წლისა

ძლივს ჩამოაღწევ ამ ახალციხეში, ვიზა უნდა აიღო, თითქოს უცხოეთში მიდიხარო, ძლივს ჩამოაღწევ და... ერთი სიტყვით, ჩამოვედი და ნანას გაუსწრია; კომპოზიტორს უნდა ჩააკითხოს, „ქეთევანისთვის“ მუსიკა უგვიანდებაო, - მიხეილ მემძარიაშვილი მეუბნება, - ქორეოგრაფიც უნდა „ქეთევანისთვისაო“, და თუ არა ვცდები, გუნებაში ისიცა ჰქონდა, ამ საღამოს „დონ კარლოსს“ დასწრებოდაო, - ამას ღიმილით ამბობს მიხეილი, ვითომდა რაო, მივუხვდიო. მეც ვიღიმი, მაგრამ არცთუ მეღიმიება, ამოდ ჩამოვსულვარ, რალაც გაუგებრობანი ჰქონდათ, რალაც შესათანხმებელი, რალას გავარკვევ უნანაოდა? - ვერც ვერაფერსა, მიხეილი ამბობს, რა მოგახსენოო, მსახიობები სადღაც სოფელში არიან, გასვლითი სპექტაკლი ჰქონიათ სადღაც საზღვარზედა, ლელოვანშიო... უნანაოდ მსახიობებიც ვერაფერს გეტყვიანო, ვითომც მამშვიდებს მიხეილიცა. საღამოვდება, სხვა რალა დავგრჩენია, ბინა უნდა მოვძებნო. მიხეილიც მეთანხმება, მთავარიც ესააო. სასტუმროს ურეკავს, ადგილი არა გვაქვსო. ერევნიდან ჩამოსულა ვილაც მომღერალი, ისა და იმისი ამაღა გამოილა სასტუმროში, თითის წვერებზე დადიან სასტუმროს თანამშრომელნი, ტელეფონის ზარიც ამფოთებთ, როგორ თუ რეკავთო. მაშინ რაიკომის მდივანს დაეძებს მიხეილი, კულტურის სახლში აღმოაჩენს, იქ იქნება, გუნდის მეცადინეობაზე იქნებაო. ეს მეორე მდივანი გახლავთ, პირველი თბილისისააო გუნდს საყრილობო-საზეიმოდ ამზადებენ და თვით რაიკომის მდივანი დასდევს, თვითონ აგროვებს გუნდის წევრებსა, თავს ადგია მეცადინეობასა, თორემ გაეფანტებიან, ლოტბარს არავინ არას უჯერის ან რა უნდა დაუჯერონ, ესენი ჰო შეგროვებულნი არიან, შეგროვებულნი მოხალისეებადა, მუშაობის შემდეგ წამოთრეულნი ძალისძალადა, ან რა ემღერებათ, ან რა ეხალისებათ, შიში სხვა არის, შიში რაიკომის მდივნისა, შარი არ გვიკრიფოს, სამსახურიდან არ მოგვხსნასო; ჰოდა იქ დაგვხვდება...

ჰოდა, როგორც იქნება გამოძებნიან სანოლსა...

ხუთშაბათს, 4 მარტსა, 1971 წლისა

დაბრუნებულან მსახიობები, გამოუძინიათ, მაგრამ მაინც დათეთქილები არიან, - მთებში ვიყავით, იქ ისევე თოვლი დევსო, გზამ თავისი დაგვაყარა, კლუბმა თავისიო... ან რა კლუბია, ოღონდ რაც უნდა იყოს, ცეცხლი არ ენთო და ზაფხულის სპექტაკლსა ვთამაშობდითო. იუმორი ჰყოფნით, ახალგაზრდები არიან, ისევე ახალგაზრდები არიან, თუმცა ცოტა დაჯოშილან, მოლუშულან თუ ჩაფიქრებულან ამ ოთხიოდე წელიწადში. ისინი პირდაპირ აქ მოვიდნენ თეატრალურ ინსტიტუ-

„...თეატრი და ცხოვრება“ №5 52

ტიდანა, მოვიდნენ იმედებითა, ხალისითა, აღფრთოვანებითა, მოვიდნენ და „თედორე“ მოიტანეს, „თედორემაც“ შეუკეთა, შეუკეთა კარგა გვარისანადა; და გავიდა წლები, „თედორეც“ შემოაცვდათ, შემოაცვდათ ის იმედებიცა, თუმცა დროდრო კიდევ თამაშობენ „თედორესა“, იმედოვნებასა თუ აღფრთოვანებასაცა თამაშობენ, მაგრამ ცოტა ჩალრმავებულადა სუნთქავენ, ფიქრიანად შეჰხედავენ ერთიმეორესა და... ღვინოს ეტანებიან. ჰო სარდაფში ვსხედვართ, — აბა, რა ვქნათ, ნანა რო წავიდაო, — მითხრეს შენუხებითა და მეც აქეთ გამოვნიე, წავისაუბროთ უიმისოთა-მეთქი, „სამცხეში“ წავისაუბროთ-მეთქი. „სამცხე“ იმ დილით აღმოვაჩინე, წინათ იქ ჩაჟამებული თუ ჩაჭყყული სასადილო გახლდათ, შეუღებით, გადაუხალისებიათ, ფიროსმანიშვილის სურათები გადაუხატავათ, — გამოგიტყდებით, მეტად უხეიროდა და უგემოვნოდა, მაგრამ რაც არის, არის, საჭმელ-სასმელი მოეძევათ, ხახვის წნილი მოუმარაგებიათ ბლომადა, ბლომადაც მოაქეთ მაგიდაზედა, — ჰოდა ეტანებიან ღვინოსა, სადღეგრძელოს შუალედში თუ სადღეგრძელოებში იმასაც გამოურევენ, რაც განუცდიათ, გადაუტანიათ თუ გაუგიათ, აქ ამ მიყრუებულსა თუ მიმწყვრულ კუთხეშიც გაუგიათ... ჰოდა ეტანებიან ღვინოსა. ვილაცა ღვიძლსაც უჩივის... ვილაცა კიდევ რალაცას უჩივის და მინც ეტანებიან ღვინოსა...

და აქ სხვათა შორის იმასაც შევიტყობ: „საჭურისნი“ რომ „ქეთევანად“ მომინათლეს, ეს ჰო ადრევე გავიგე, ახლა იმასაც შევიტყობ, ფინალში გადაუტანიათ მონოლოგი ქეთევანისა... როგორი რა გამოვა, არ მინდა წარმოვიდგინო. ოღონდ ერთია, რახან „ქეთევანი“ დაარქვეს, დაამთავრებენ „ქეთევანითა“, მაგრამ „საჭურისნი“?

პარასკევს, 12 მარტსა, 1971 წლისა

„საჭურისნი“ გადაუშლია ალექო შალუტაშვილსა... ცოტა შებრანული მოსჩანს, ბაკურიანში ვიყავიო, მე დამლოდებიანო, არ წაუკითხავთო, მთავლიტში უნდა გავგზავნოთ და ჰო არაფერია ისეთიო... არაფერი-მეთქი, აკი წაიკითხე-მეთქი. ის სხვა იყოო, მაშინ სხვა ვიყავიო, ახლა სხვა მოთხოვნებიაო; მოთხოვნები არასოდეს შეუსუსტებიათ-მეთქი; ერთი სიტყვით, ჰო არაფერია ისეთიო; გამოჭრილსა და გამოკვეთილს მოვერიდე-მეთქი; მამ ასე გავგზავნოთო; ასე-მეთქი... მაინცა ყოყმანობს, მაინც თავს აქნევს, - ჰო გახსოვს „თედორეზე“ რა დღე დაგვაცარესო; ისტორიაა, გმირული წარსული, ჯერ ეს მაინც არ აუკრძალავთმეთქი; მხოლოდ თანამედროვეობაო, მხოლოდ გმირული ანმყო, ეს, რაო, ისტორიის აკრძალვას არა ნიშნავსო; ამდენს ჰო ვერ მივხვდებით-მეთქი... ალექო იცინის, მაგრამ არც ეცინება, დამფრთხალია, შეშინებული, ყველაფერს ჩხრეკენ გამკაცრებული თვალანებითა, ყველგან რალაცა ელანდებათ და რა ჰქნას?! მაინცა ვთანხმდებით, რომ აქ არაფერია მოსალანდებელი, რომ ასე გაუგზავნის მთავლიტსა ანუ ცენზორსა, ვთანხმდებით, მაგრამ მაინცა ეჭვობს... ნებართვა აქამდისაც უნდა მიეღოთ, დაყოვნებაც აღარ იქნება.

და კულტურის სამინისტროდან რომ გამოვდივარ, რატი ტატიშვილს გადავეყრები, ის იქ შედის, ზედ კარებთან გადავეყრები, დიდი ხანია აღარ მინახავს, ვხვდებით, როგორც დიდი ხნის უნახავი ნათესავები, მოვიკითხავთ მინაურთა თუ მახლობელთა და მერე აქ რისთვისა ყოფილხარო, მეკითხება რატი, ჩემი დახმარება ჰო არ გინდაო... აჰა, ახლალა მახსენდება უშიშროების თანამშრომელი რომ არის, კულტურის საკითხები რომ ეხება...

- დახმარება?! - მელიძება, - დახმარება - არა, მხოლოდ ნუ აშინებ ამ ხალხსა, სხვა რა დახმარება მინდა!..

- ვიცი, ვიცი, რასაცა ეშმაკობენ ეგენი... - ცივად ამბობს, ჩეკისტური იერი უეცრად აულანძავს ლოყებსა; რალაც სიცივე ჩაივლის ჩვენს შორისა, სიცივე ჩაივლის და ჰქრება ნათესაური, ჰქრება ადამიანური, სიკეთე ჰქრება.

ან რა უნდა იემშაკოს ამ დამფრთხალმა ხალხმა?! რალა ელანდებათ?!

ხუთშაბათს, 30 სექტემბერსა, 1971 წლისა

ცაგო გახარებული მხვდება, წუხელის ნანა დემეტრაშვილი მოვიდა და საჩქაროდ მომთხოვა „საჭურისნი“-ო, მოვძებნე, კარგი, რადგან აღმოვაჩინა ერთი ცალიო, გავატანეო; მარჯანიშვილის თეატრში მოუნვევითა სპექტაკლის დასადგმელადო, ამბობს, თუ დამადგმევენებენ, ამას დავდგამო. ჰო ცაგო გახარებულა, უნდა მარჯანიშვილში იხილოს ჩემი პიესა და აი, ხელსაყრელი დროც დამდგარა ამისი ფიქრითა. უხაროდეს, რა მოხდა, ცოტა ხანს მაინც უხაროდეს, მაგრამ რა საჭიროა ცრუ იმედოვნება?! არა, საჭირო არ არის და უბრალოდ განვუმარტავ, არ დაიდგმება-მეთქი. რატომ. იმიტომამეთქი, მოეწონება თუ არ მოეწონება შედეგი ერთი იქნება-მეთქი, დოლო ალექსიძე არ დათანხმდება ამ პიესის დადგმასა-მეთქი. რატომ. იმიტომამეთქი, ამ პიესის დადგმა და მაგის სპექტაკლებს გახუნება ერთი იქნება-მეთქი. მაშინ თვითონ დადგასო. ჯერ ერთი მე არ მიმიმართავს და მეორე იმისი ვნება სხვა არის, დიდ სახელებს ეჭიდება, დიდი სახელებით თავმოწონებებს, მოსკოვსა და ლენინგრადს ეჯიბრება, კიდევ ერთი პრემია ან კიდევ ერთი ტიტული თუ ორდენი მთელ ქვეყანას ურჩევნია-მეთქი, „საჭურისებში“ ამას არავინ მიართმევს, ხოლო სხვასაც არავის გაუშვებს, რამეთუ ერთბაშად განყალდება იმისი ფართიფურთი-მეთქი. ცოტა მკაცრი ჰო არ გამოგდისო, შენ არა ხვდები, არავითარი ურთიერთობა არა გაქვს, ის არაფერს იცნობს შენსასა, ეგება გაგიგოს, ეგება

სხვანაირად მოეკიდოს შენს პიესებსაო. პიესებს რეჟისორები უნდა ეძებდნენ-მეთქი. მაშ შენ რაღა-და სწერო. არ ვიცი, ვნერ-მეთქი, დადგმითაც იდგმება-მეთქი, თუ გაიმარჯვებს ჩემი თეატრი, მესხეთიდანაც გაიმარჯვებს-მეთქი. გამარჯვება მაინც თბილისში უნდა დაგვირგვინდესო. ჰო უსათუოდ თბილისში-მეთქი, მაგრამ დაწყებით მაინც სადღაც სხვაგან იწყება ხოლმე-მეთქი... ეჰ, მე იმედი აღარა მაქვსო, ხელს ჩაიქნევს ჩემი თანამეცხედრეი. ჰოდა ასე, რად უნდა მიეცეს ფუჭ იმედოვნებასა?..

პარასკევს, 1 ოქტომბერსა, 1971 წლისა

ეს მგონი დათო ცისკარიშვილია, — კავშირგაბმულობის სასახლეა თუ სამინისტრო, იმ კიბეზე ჩამოდის, შემნიშნავს, გამოეყოფა ვილაცათა, ჩემსკენ გამოექანება ან რა გამოექანება, მოირწევა თუ მოიმტვრევა ამ სიმაღლე ყმაწვილი, გულითადად ვეხვევით ერთმანეთსა. რამდენი ხანია აღარ მინახავს, რუსეთს გადაიხვეწა, იქ რაღაც პრემიაც მიიღო რაღაც დადგმისთვისა, იმედიცა ჰქონდა იქ დიდი წარმატებისა. დიდი წარმატებისა რა მოგახსენოთ, ოღონდ ის პრემია მაინც აღინიშნა და დაინერა, მაგრამ ეს ცოტა უნდა ყოფილიყო დათოსთვისა... „ჩვენს ნებიერ ბიჭს“ რომ დგამდა, მაშინაც დიდი იმედი ჰქონდა, განქრა იმედი იგი, მრისხანედ შეხვდნენ გორის პოლიტიკოსები, თეატრმაც ვერ გაუძლო მათს მრისხანებასა. მერე „თედორეს“ იმედი ჰქონდა, მაგრამ რაო, გორში ლილი იოსელიანმა დაადო ხელი, მესხეთში ნანა დემეტრაშვილმა, მერე აქეთ ეცა, იქით ეცა და გადაიხვეწა რუსეთსა, რაღაც უნდა დამიჯდეს, სადმე დავდგამ „ჩვენს ნებიერ ბიჭსაო“... რაღაც საგზლით ჰო უნდა გამგზავრებულყო და გაემგზავრა ასე სათუო თუ მწირი საგზლითა. და აი, ჩამოსულა. ცოტა ხნითა თუ? ვეკითხები. ალბათ სულაო, მომიგებს, საბოლოოდ იქ დარჩენა არც განმეზრახა, მაგრამ არც ასე ადრე ვაპირებდი დაბრუნებასა, მამა დამიავადლა და მოვხვდეო. გაბრუნდები? შესაძლოა მცირე ხნითა. ალბათ იქაც ოჯახს მოეკიდებოდი. ეგებები მე ხელს არ მიშლისო, ილიმის, ჩამოსულად ვითვლებიო, „საჭურისნი“ დაგინერია, რაღაც უნდა მახსოვდეს, ვგონებ ჩემთან გითქვამსო, ნამაკითხე როგორმეო... და მერე, სადა ხარო, ისევ იქაო, იმავე ინსტიტუტშიო, იმავე კათედრაზეო, იმავე ოთახშიო. იქავე და იმავეში-მეთქი. და მევე მელიმება, ამან რამდენი მოვლო, რამდენი გადაიტანა, რამდენი ეძია, დაბრუნდა უპოვარი, მაგრამ ნაცადი, გამობრძმედილი ალბათ ფართო ასპარეზისთვისა თუ რა თქმა უნდა მოიკიდა ფეხი რომელიმე თეატრში, ხოლო მე ისევ იქა ვარ, იმავე გორის ინსტიტუტში, — ნეტავი რა ჩაფლა, რო ველარა სცილდებაო, იტყვიან ხოლმე, იტყვიან და ილიმებიან, მეც მელიმება, სხვა რაღა ძალმისძა?..

სუთშაბათს, 7 ოქტომბერსა, 1971 წლისა

სოფლად მივდიოდი ლექციების შემდეგა და გამოვბრუნდი, ბარემ ბავშვებს ნამოვიყვან სართვლოდა-მეთქი. თურმე აუცილებლად უნდა ჩამოვსულიყავი, ნანა დემეტრაშვილი მხვდება შინა, ცაგო ნიშნის მოგებით შემომცქერის, ვხვდები, უნდა გადაწყვეტილიყოს ბედი „საჭურისებისა“. ასეც გამოდის, დოდო ალექსიძეს ძალიან მოეწონაო, ეს ჩემი პიესააო, ცმუკავდა და ისე გაიძახოდა, ისე გაიხარა, დიდი აღმოჩენა რომ გაახარებთ ადამიანებსაო, ხვალ დასს უნდა წაუფუკითხო, შენი დასწრება აუცილებელიაო, დოდო გელოდებაო. ბატონი ბრძანდები-მეთქი... „საჭურისნი“ ხელში უჭირავს ნანასა, ძირს არა სდებს, გარეკანი შემოქერქია, ბევრმა წაიკითხაო, ახალი საქალაღე გამომაქვს, ამაში გადაიტანე-მეთქი. არაო, ასე იყოსო, იყოს, სულ შემოცვდესო... ცრურწმენას ავყვივი ამ ბოლო დროსაო...

პარასკევს, 8 ოქტომბერსა, 1971 წლისა

მართლა აღტაცებული მხვდება დოდო ალექსიძე, ეს ჭეშმარიტი დრამატურგიაო, აი რას ვეძებდიო, აქამდისა სად იყავიო. მე ვიციინი. ჰო თურმე ჰქონიათ აქ, ჩვენს თეატრშიო... მე ძალიან მომწონს, ჩვენთან ახლოს უნდა იყოო და სხვა და სხვა... მერე დასის შეკრებისასაც დიდი აღტაცებით გამოაცხადებს, რომ ოთარ ჩხეიძე ჩვენთან არისო, ჩვენთან უნდა იყოსო და სხვა და სხვა... მერე კითხულობს ნანა დემეტრაშვილი... მერე მსჯელობენ, რაღაცას შიშობენ, რაღაცას ხვდებიან, ქეთევანი, ქეთევანიო, მაგრამ აქ რაღაც უახლესი ამბებიო. ზოგადკაცობრიულიაო, ფილოსოფიურიო, დოდო განუმარტავს, იმიტომ არის ძველიცა და ახალიცაო... ახ, რატომ არა მცალიან, ან რატომ ადრე არ ჩამივარდა ხელშიო, მაგრამ ასისტენტად მაინც მიმიღე, ნანაო, ხუმრობს, ჰო, ჰო უყურადღებოდ არ დაგტოვებო და სხვა... მართლაც გულწრფელი აღტაცებაა ყოველ მის სიტყვაში, მის მოქცევაში, მართლაც გულწრფელად აცხადებდა თურმე, ქართული პიესა მინდა, ჩემი ოცნება ქართული პიესა არისო. კარგია, რომ გამტყუნდა ჩემი სიფრთხილე თუ რაღაც ამგვარი, კარგია და საამო, ასეთ სინოფოებს რომ გადაეყრები, ხოლო თუ როგორი გამოვა სპექტაკლი, უნდა ვილოცოთ ამისადა...

ჰო მართლა: ანზორ ქუთათელაძე სთხოვს მთელ დასსა, თუ რამე განუხებთ, აქვე სთქვით, გარეთ ნუ გაიტანთ უსიამოვნო ხმასაო... მართლაც და ბევრი რამ გაუფუჭებია ქართულ თეატრში ცუდად დაყრილ ხმასა, მაგრამ ნუთუ არ დააფიქრებენ „საჭურისები“!

კვირას, 17 ოქტომბერსა, 1971 წლისა

ახალი თეატრის მშენებლობის დასათვალიერებლად მიგვიძღვის შალვა გრძელიშვილი, მართა-

„...თეატრი და ცხოვრება“ №5

ლია გვაგვიანდება, გველიან რუსთავში, მაგრამ მაინც შეჰხედეთ, როგორ მიდის საქმეო... და საქმე მართლაც კარგად მიდის, — ფასადი უკვე შემოსილია, ვესტიბიულში სვეტები იმოსება, ძირს მარმარილოა დაგებული, ირგვლივაც იმოსება, სცენა და დარბაზილა გამოიყურება ვეება გამოქვაბულივითა. დიდებული რამ გამოდისო, შალვა გრძელიშვილს ამხნეებს გრიგოლ აბაშიძე, მეტი ძეგლი არც გინდაო. გვიძნელდებაო, ცოტა არ იყოს ჰლონობს შალვაი, ყველაფერი დარღვევითა კეთდება, სად რა გვინევს არ ვიცი, მხარდაჭერითაც ბევრი არავინ გვიჭერს მხარსა, ერთი კაკო დვალიშვილია, რო გვაქეზებს, მიდით, მიდით, არაფერი დაზოგოთო. კაკო კარგი ბიჭია, ამბობს გრიგოლი. კარგი... თითქოს უნებლიედ იმეორებს ბესარიონ ჟღენტი, თითქოს კარგი არ ემეტება ადამიანისთვისა... ეს შენი ძეგლი იქნება, ისევე იმეორებს გრიგოლი, წასაქეზებლად იმეორებს, ახალი შალვა ახალციხელი! — ხელს გაშლის, სხვათაც გააგონებს, მამ რაო, ბოლოს და ბოლოს, უკეთესს რას გააკეთებს ახალციხის რაიკომის მდივანი?! ეს ოთარის თეატრია, ილიმის შალვაი, მხარში გვიდგას... ვინ ოთარისა?! — უკვირს ბესარიონ ჟღენტსა. ჩვენო, გრიგოლი მიუგებს, აგერ „ქეთევანი“ იდგმის, „თედორეთი“ დაიწყოს, ალბათ ახალი თეატრის გახსნისათვის ახალი რამეც ექნებაო; „გიორგი“ მეთქი, ნამომცდება. ელდანაცემივით გარბის ბესარიონ ჟღენტი, გვაგვიანდება, გვაგვიანდება, ხალხი გველოდება რუსთავშიო... რა კარგია ხალხი, დალოცვილი ხალხი, რა დიდებული ხსნაა ყველასი და ყველაფრისა!..

ჯერ მე და ვახტანგ ჭელიძე ვდგებით სუფრიდანა, ვეება სუფრაა მიტინგის შემდეგ რუსთავის კულტურის სახლში... სცენაზე კონცერტია, დარბაზში სუფრა, კარგია, რა სჯობიან, მაგრამ იქ „ქეთევანია“, ესაა, ახალ სეზონს იწყებს მესხეთის თეატრი, უკეთეს მაყურებელსაც ადვილად ვერ გადაეყრება... ჰოდა ჯერ ჩვენა ვდგებით, სხვები გვამხნეებენ, მოგისწრებთო, თუ შეგვაგვიანდა, დაგველოდეთო... ცოტას ველოდებით, მოდიან მართლაცა, მხოლოდ გრიგოლი გვებოდიშება, ისეო და ასეო, ვერ მოვიცდიო, ბესარიონი არც გვებოდიშება, აღარც მოუხედავს თეატრისკენა, სხვები რჩებიან... ისმენენ გატვრენილნი, აღფრთოვანებულნი უკრავენ ტაშსა, მხოლოდ კარლო კალაძე გაქვავებულია, იქვე ზის პირველ რიგში, ზის და არა დგება, სპექტაკლი დამთავრდა, მსახიობებს იხმობენ, ფეხზე დგას დარბაზი, ხელებს იმტვრევს დარბაზი, შედიან და გამოდიან მსახიობები, უხარიანთ მსახიობებსა, თანაც შემკრთაღნი გადაჰხედავენ ამ გაქვავებულსა თუ მიწისფერდადებულ პოეტსა, რა მოუვიდაო... მილოცავენ, მეხვევიან, ეხვევიან რეჟისორსა, დირექტორსა, მსახიობებსა, მართლაც აღტაცებულან, თბილისში არ არის ასეთი სპექტაკლიო, ასეთი დასი მონატრებათო, — მჯერა, ვინც რა უნდა თქვას, მჯერა, ოღონდ რაც უნდა იყოს ასეთ დროს ტაში და მილოცვა მაინც წესია, ზრდილობაა სხვა არა იყოს რა, მაგრამ გამქრალა კარლო კალაძეი, იმის მომწედაც აღარ არის, კულისებიდან ძუძუმწოვარა ბავშვებიც რომ გამოჰყავთ მსახიობებსა, მიეშურებიან, ბოდიშობენ, რა ვქნათო, ასეთია ბედი ჩვენო... კარლოს რა მოუვიდაო, მეკითხებიან, ჩემთან იჯდა, მე უნდა ვიცოდე თუ რა მოუვიდა, — რა მოგახსენოთ-მეთქი... შური დაახრჩობს მაგ საცოდავსაო, ვახტანგი ამბობს. რა უნდა შურდეს, კოტე მარჯანიშვილთან იხსენიებენო, თითებს ათამაშებს ჯანსუღ ჩარკვიანი, ნოდარ დუმბაძე იცინის კბილებგადმოყრილი, ჰოჰოჰოო, ერთად იხსენიებენო...

ხერთვისს ვალია აიტეხავს, მხარს უჭერს ცაგოცა... მაშინ კუმურდოშიც შევიაროთ და ცხრანყაროს უღელტეხილით დავბრუნდეთ-მეთქი... გზა ძნელია და ძძიმე, ასეთ გზაზე არ მიტარებია ჩემი მანქანაო, აქ სწორედ შენი მანქანა არის შესაფერისიო, ბუზლუნებს ვახტანგი... უღელტეხილზე თოვლი დევს, უღელტეხილზეც მესაზღვრეები დგანან, რუსის მესაზღვრეები... უკონტროლოდ ფეხს ვერ გადაადგამ შენს მიწა-წყალზე, - მეტი რა ბედნიერება გინდა?!..

პარასკევს, 29 ოქტომბერსა, 1971 წლისა

„ბრეხტის თეატრი“ რომ ჭორები იყო და მეტი არაფერი, ბრეხტის ეკლექტურ პიესებს ცხადად ეტყობოდა, მაგრამ თვით თეატრში როგორ რა იყო წარმოსახული, ეს მაინც დააფიქრებდა ადამიანსა და აჰაა თვით თეატრიცა: არაფერი ახალი, არაფერი განსხვავებული! როგორც ბეხერი ვერ შეჰქმნიდა გერმანულ პოეზიასა და სასაცილოა ამისი ლაპარაკი, ისევე ვერც ბრეხტი შეჰქმნიდა გერმანულ თეატრსა და სასაცილოა ამისი გამოკრება. რაღა დროს გერმანული თეატრისა და გერმანული პოეზიის შექმნაა?! მთელი ამ ლეგენდების სათავე ის არის, რომ რაღაც „საბჭოური“ წამოსცდა ბრეხტსა და ამის სამაგიეროდ აქებენ რუსები, ეს ის ქებაა, თავისი ერის მოღალატეს რომ მიუძღვნაინ მოწინააღმდეგენი... ხოლო ჩვენი „გერმანისტები“ ჰო თუთიყუშობენ და თუთიყუშობენ...

ორშაბათსა, 27 მარტსა, 1972 წლისა

თამაზ ჭილაძის „სურათები ოჯახური ალბომიდან“ წარმოუდგენია გორის თეატრსა, რუსთაველის თეატრმაც დასდგა, მაგრამ აქ მიხერხდება, გორის თეატრში მიხერხდება შესვლაი და შევდივარ... შევდივარ და „ძველი რომანსებია“, — საერთო იმდენია, არ შეიძლება, მეჩვენებოდეს და არც შეიძლება შემთხვევითი რომ იყოს საერთო ამდენი. ფიქრი არაა, წინ ედო „ძველი რომანსები“ და

„ასწორებდა“. ასეთი გასწორებანი იცის თეატრისა თუ დრამის ისტორიამა, ოღონდ ისიც იცის, ვინა თუ რა საიდანაა და როგორაა. ლიტერატურული ეთიკაა!.. ჩვენში ეს არ უნდათ, ეუხერხულებათ და მაინც ხელი მიუდით, მიუდით და მიუდით, ვითომც ბერძნული მითოლოგია ვიყვე, აღარაფერი შემარჩინეს და არც მერიდებიან, პროზაიკოსები არ მერიდებიან, დრამატურგებიც აღარ მერიდებიან. ოღონდ რაიმე მოუხერხდებოდეთ, მართლა მოუხერხდებოდეთ და ჯანდაბასა, ვიქცე გზადა და ხიდადა...

შაბათს, 1 აპრილსა, 1972 წლისა

სეზონის ბოლომდე ოთხ ახალ დადგმას ვუჩვენებთ მაცურებელსაო, - აცხადებს მარჯანიშვილის თეატრი. ეს ახალი დადგმები თურმეა: „ურიელ აკოსტა“, „მზის დაბნელება საქართველოში“, „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“ და ერთიც გორკი, ჰო კიდე „მოსამართლე“-ო და ესეც ხუთი, - ხუთი გამოვიდა. „ქეთევანი“ არსადა ჭაჭანებს. ჩაიარა იმა ერთი თუ ორი დღის აღტაცებამა, ალბათ ჩაიარა, ყოველ შემთხვევაში, არც რა გამიგია, არც ვის შევხვედრივარ, ნანამაც მიჰხედა თავის თეატრსა, მამ რაო, სხვა თეატრის კართან ჰო ვერ ამოირთმედა სულსა?! ჰოდა, ალბათ ჩაიარა ყველაფერმა... მე მიმძალუბელი არა ვარ, როგორც ენებოთ!.. „გიორგი“ უკვე გავეზღვანე მესხეთის თეატრსა, ესეც თუ დაიდგა, ვერ ვიტყვი თუ ვერ გამოვადექი-მეთქი ქართულ თეატრსა, - როგორც შემეძლო გამოვადექი და ტრაბახი არ იქნება თუ დავეძენ ჩემთვის მაინცა, კარგადაც გამოვადექი. თუ გაიგებს ამას ქართული თეატრი, კარგია, თუ არა და როცა იქნება, გაიგებს!..

რაც უნდა იყოს, თავდება სეზონი თეატრში - ჩემთვის მშრალადა, სალიტერატურო სარბიელზეც - ჩემთვის მშრალადა: ან ჩვენი სალიტერატურო სარბიელი არ უქნია ღმერთსა, ან მე არ ვუქნივარ ღმერთსა, ან არც ისა და არც მე, ასე უფრო მართალი გამოვა; ასე უფრო მართალი გამოვა და სავალალოც ის არის, თორემა... ერთი სიტყვით - სავალალოა... მე მაინც სხვა რა დამრჩენია, - ისევე მივუბრუნდები სოფელსა, ისევე ჩავუჯდები ახალ რომანსა, სხვა რაი გზა მაქვს, წერით მაინც მოვიტყვამ სულსა!.. ეს რომანი უკვე გამომეკვეთა, - მარტი რო წინ გედოს, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო, ეპიგრაფადაც ეს ამოვიდა... მარტი იქნება, წყეული მარტი!.. ან არცა წყეული, ყოველ შემთხვევაში რომანში გამოითქმის როგორიცა. ახლა მხოლოდ დრო მინდა მიკარგული, მიგდებული, განრიდებული ყოველივესაგანა და მომემატება კიდე ერთი დაუბეჭდავი რომანი...

კვირას, 14 მაისსა, 1972 წლისა

რახან მოცალეობაა, მოცალეობა იყოს ან საქმე გამოვა და საქმე იყოს: „გიორგი“, შესაძლოა, პირდაპირ ნაწიკითხოთ კოსტუმების გარეშეო, ასე გამოსთქვა ორიოდ კვირის წინათ ნანა დემეტრაშვილმა, საუბარი სხვა სიტყვამ აიყოლია და უცებ ვერაფერი შევნიშნე საამისოდა, — უნდა შემეჩინა, უნდა მეთქვა, რომ არ ივარგებდა, თუ არა და ახლა მაინც უნდა გავეზღვანო ბარათი, თორემ ერთი თუ გაჯდა გონებაში, რაც გაჯდება, ველარაფერი ამოაგდებს ეგრე ადვილადა. ჰო უნდა მივწერო, ხოლო ეს უკვე აღარ ითქმის მოცალეობადა...

ქ-ნო ნანა,

ამას წინათ ბრძანებდით, შესაძლოა თანამედროვე კოსტუმებით წარმოვადგინოთ „გიორგი“ ან წარმოვადგინოთ კი არა, ნაწიკითხოთ, როგორც ჩვენი თეატრის პოზიციას, თუმცა ამაზე ჯერ კიდე ვფიქრობთო. რახან ჯერკიდე ფიქრობენ-მეთქი, მაშინ თავი შევიკავე შეპასუხებისგანა, მაგრამ თუ უკვე მოიფიქრეთ და თუ იმგვარად გადასწყვიტეთ, ძალიან დამწყდება გული, — ნააგებს „გიორგი“, ცხადია და ამიტომაც დამწყდება გული. თეატრი გარდასახვაა პირველყოვლისა ანუ იმგვარი წარმოსახვაა, რომ დაგვაჯეროს, ხოლო თუ ვერ დაგვაჯერებს, ვერც განვიცდით და შორიშორ დავრჩებით თეატრი და მაცურებელი. თეატრი უთუოდ უნდა მიემგვანოს ნამდვილსა, რაც შეიძლება უნდა მიემგვანოს, რადაც უნდა დაუჯდეს, უნდა მიემგვანოს სიტყვითაცა და გარეგნობითაცა. სიტყვით ნამდვილს მიახლოება „გიორგი“, გარეგნობითაც უნდა მიემგვანოს, უნდა წარმოსახოს იგი, რასაც ცხოვრება დარქმევია და რაც უცვლელია... განცდაც აქედან იწყება, ცნობილი შიში და თანაგრძობაც ამისი თანმხლებია. შიშველი ნაკითხვა ცოტაა, ძალიან ცოტაა, თუ უცდიათ, მარცხიც მოჰყოლია, არ გაგახსენებთ ძველსა თუ შორეულსა, აგერ რუსთაველის თეატრში „ვეფხისტყაოსანი“ რომ წაიკითხეს, გახსოვთ? გეხსომებათ. „სამანიშვილის დედინაცვალიც“ ის არ არის, არა, არ არის, ცოტას სერგო ზაქარიაძე შევლოდა, მას მერე ის ცოტაც აღარ არის, მერწმუნეთ, აღარ არის... რაღა გავაგრძელო, სიტყვას თავისი ნიადაგი უნდა, წარმოსახვა უნდა სიტყვასა.

სხვაფრივ კეთილადა ბრძანდებოდით.

ოთხშაბათს, 7 ივნისსა, 1972 წლისა

და აი კოლეგია უნდა შეიკრიბოს...

შექსპორის ორტომეულია გათვალისწინებული მსოფლიო ლიტერატურის სერიაში, შედგენა გაძნელებულა, ბევრი რამ თარგმნილა, ბევრია მთარგმნელი და ამიტომაც გაძნელებულა; წინასიტყვაობა, კომენტირება, გამოცემის ხელმძღვანელობაც რამდენიმეს მოუხდომებია, ამიტომაც გაძნელებულა. კოლეგიაც ამიტომ შემდგარა, — პირადულ ვნებათა გასაწელებლად. თვით კოლეგიაშიც

სიძნელენია საგულვებელი, აქ უფრო ბევრია სიძნელე საგულვებელი და წინასწარ მოვილაპარაკეთ ვახტანგ ჭელიძე და მე... ჩვენი მოლაპარაკების შედეგი ესაა: გამოიცეს მხოლოდ ვანო მაჩაბლის თარგმანები, რჩეულიცაა შექსპირისა, კლასიკური ნიმუშიცაა მთარგმნელობისა, შესაბორკავიცაა სხვათა და სხვათა, მთარგმნელთა, ცხადია. ვახტანგ ჭელიძე უკეთესთაგანია ამათ შორისა, ვახტანგი თავს იკავებს, სხვამაც უნდა შეიკავოს თავი, პირველ რიგში, გივი გაჩეჩილაძე... და აი, კოლეგია უნდა შეიკრიფოს, ჯერ მხოლოდ შოთა სულაბერიძე შემოგვესწრება, გამგე მთარგმნელობითი ლიტერატურის განყოფილებისა. ვახტანგი აცნობს ჩვენს წინადადებასა, შოთა წინააღმდეგობასა ცდილობს, როგორაო, თქვენი თარგმანებით, მაგრამ თანხმდება, იცის უკეთესი გამოსავალი რომ ესაა, ჯერ მარტო ის რადა ჰლირს, სონეტების მთარგმნელთა შემოსევა რომ აგვცილდებო, ამით ჰო სონეტების საკითხი იხსნებო, ველარა ჰფარავს სიხარულსა, მაგრამ თქვენი თარგმანებით. ვახტანგი ხელს იქნევს, მოვეშვათ მაგასაო...

და აი კოლეგია უნდა შეიკრიფოს... და აი გივი გაჩეჩილაძე შემოდის, თუმცა არა, მანამდის მთავარი რედაქტორი შემოდის გამომცემლობისა, ერთი სიტყვით ალიო ადამია შემოდის და მტკიცე უარზე დგება, როგორაო, კომედიები არ შევიტანოთო, შექსპირის თარგმნის შემდგომი გამოცდილება აღარ გამოვანიხოთო, მკითხველს ყველაფერი აინტერესებსო, ჰოდა გივი გაჩეჩილაძეც რომ შემოდის, უცებ ალიოს დაუპირისპირდება და ეს უკვე ნიშნავს, რომ ისიც თავს იკავებს, ცხადია, ვახტანგი თუ იკავებს თავსა, უფრო მეტი უფლებები არცა აქვს გივისა, ოღონდ ესაა, სონეტები მაინც ცალკე გამოვცეთო... უსათუოდო, უდასტურებს ვახტანგი, (ესეც გათვალისწინებულ იქნა, თუ გაჭირვეულად, სასაჩუქროს სერიაში შევპირდები სონეტებსაო...)

და აი კოლეგია უნდა შეიკრიბოს, თითქმის შეიკრიბა, ნიკო ყიასაშვილია გვაკლია, დასრება არ ძალუძს, სახელმწიფო გამოცდებიდან ვერ გამოიხსნისთა თავიო, მაგრამ სული და გული ალბათ აქეთ ეწევა, მაშ რაო, როგორ წარმოიდგენს, ისიც იქ არ იყო, სადაც შექსპირია. მაგრამ რას ვიზამთ, შეთანხმებას შეთანხმება მოსდევს და რომ არც დაგვეთანხმოს, არც მოუხერხდება: მაშ ასე — მაჩაბელი, ორი წინასიტყვაობა, შექსპირი - გივისა, მაჩაბელი - ვახტანგისა, კომენტარები - ნიკო ყიასაშვილისა... ოთარსაო, — ვილაც იკითხავს... მომრიგებლობაო, იცინის ვახტანგი, ილიაც მომრიგებელი მოსამართლე იყოო...

და კოლეგია აღარც არის საჭირო-მეთქი...

მართლაც აღარც არისო...

ძალიან ზარალობთო, ალიო არ იშლის მაინცა.

სამაგიეროთ ზნეობრივად იგებენ-მეთქი...

არა ხოლო პურითა ერთითა ცოცხალ არს კაცისო...

ასე უკეთესი იყო, მითქმა-მოთქმა აღიკვეთება აქედანვე, მაჩაბელს ვილა რაღას დააკლებს, სხვას ყველას გამძვინვარება მტერი, მწერლები ისედაც ცუდად მოიხსენიებენ უცხოეთის კლასიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკასა, ლუკმას გვართმევსო, გამაღიზიანებელი აღარ უნდოდათ... ისე, ვახტანგი მეკითხებოდა: ლირიო, როგორ ფიქრობ, რომელი ლირიო... არა-მეთქი, ცივად შევძახე და მაშინ იყო, დანარჩენიც რომ დასთმო, მაჩაბელიო, მხოლოდ მაჩაბელიო...

და აი კოლეგია აღარც არის საჭირო, კოლეგიამ მუშაობა დაამთავრა...

კვირას, 1 ოქტომბერსა, 1972 წლისა

ორმოცდამეხუთე სეზონს ვინწყებთო, დოდო ალექსიძის საუბარს გადმოსცემს გაზეთი, ასეო, ისეო, ამას ვაპირებთო, იმას ვაპირებთო, მრავალმხრივ მიმზიდველი იქნება ეს სეზონიო, ძალიან კარგი და ძალიან დიდებული, ოღონდ „ქეთევანს“ არ მოიხსენიებს, მე მაინც მახსენებს, ჩვენი მეგობრები არიანო ესა და ეს მწერლები, პიესებსა გვპირდებიან აქტუალურ საკითხებზეო, ასე მახსენებს. ეს რეკლამისთვისაა გამიზნული რაღა თქმა უნდა, იმის საბოდიშოცა, თუ აუხირდნენ, თანამედროვე დრამატურგია, უკეთუ აქტუალური პრობლემები სადღა არისო, აიო, სწერენ, — წინასწარ გამიზნული პასუხია თუ აუხირდნენ. რაც უნდა იყოს, გადანურულა ბედი „ქეთევანისა“, ამაო გამოდგა ის ალტაცება ანუ აცუნცრუკება ის გამოსვლა დოდო ალექსიძისა დასის წინა, ის ხოტბა „ქეთევანისა“, ის იმედები და სხვა და სხვა, აცუნცრუკება, გამოდგა და მეტი არაფერი. რა ფუყოთ!.. მას შემდეგ აღარც შევხვედრივარ არც თვით დოდოსა, არც არავისა მარჯანიშვილელთაგანა, სპექტაკლებს ვესწრებოდი, ეს იყო და ესა, პირადად აღარავის შევხვედრივარ და აღარც ვიცი რა მოიფიქრეს თუ რატომ გადაიფიქრეს, ეგება ჩემი ბრალიცაა, ეგება უნდა მივყოლოდი თუ ძალა მიმეტანა, მაგრამ რადაო ან ისედაც რადაო ან ამ შემთხვევაში მაინცა, უჩემოდ მიიღეს, უჩემოდ აღფრთოვანდნენ, ჰო, თითქოს აღფრთოვანდნენო, — აცუნცრუკება ყოფილა!.. რა ფუყოთ!.. მესხეთის თეატრი „გიორგისა“ დასდგამს, ეგება მოხერხდეს „თედორე“ „ქეთევანი“ და „გიორგი“ ერთად ჩამობრძანდნენ თბილისში, ეგება მოხერხდეს, ეგება გაიგონ, რაღაც გაიგონ ამათაცა, ეგება აღარ აცუნცრუკდნენ, ეგება აღარც აღმაცერად შეჰხედონ, ეგება გაიგონ, ეგება გაიგონ ამაზე აქტუალური რომ არაფერია, არაფერი...

კვირას, 28 იანვარს, 1973 წლისა

თუმცა რა მაგ სიტყვის პასუხია, მაგრამ რეზო და იურა ველარ მომეყვებიან ფოთსა, რედაქტორების საკავშირო თათბირზე გაგვინვიესო, ალეკომა და კარლომაც ასევე, ჩვენც მოსკოვს გვინვეს წასვლაო, ნოდარ ალანია ჩანვა, თვალების ტკივილები დაენყო, ალიომ, კარგად ვერა ვარო, ვახტანგ ჭელიძემ, რა დროს სიარულია, გრიბი მოსდებია ქვეყანასაო (ავადმყოფობისა ძალიან ემინიან ვახტანგსა), სხვამ კიდევ სხვაო და ლამის მე და ლადო სულაბერიძელა ვრჩებით... დიდი სია უჭირავს ლადოსა, თავდაპირველად რომ შეუდგენია, მერე ნაუშლია და ნაუშლია, ასე „დავრჩენილვართ მე და ისა. პოეზიის სალამოებს მოვანყობდით ფოთში, „გიორგისა“ ვნახავდით, — მამიდასაცა ვნახავ, ცხენსაც ვავხენდით, ასე გვეგონა, აღარ გამოვა ასე, ლადომ მაინც ალო სუთი მივლინება და სუთი ბილეთი... მე გორში ავდივარ, სამნი მხედებიან კუპეში, ლადოი, ვახტანგ გორგანელი და გიორგი კალანდაძეი, ალექსი გომიაშვილიც მოდიოდა, სადილად მოინამლაო... პოეზიის სალამოების ძალა და ემში აქვე გვიმცირდება, „გიორგის“ მაინცა ვნახავთო...

ვნახეთ: არა უჭირსა, უკეთუ მეგონა, ბევრი არაფერი გამოუვიდოდათ. გუნდი მაინც უკეთესად უნდა გამართულიყო, კლასიკური სტილის გუნდია, იგივე უნდა დადგმასაცა, ეს უფრო ყოფითია. დასი გაუახალგაზრდავებიათ, ამისგანაა მონდომებაცა, კარგი შთაბეჭდილებაცა. ძალიან მოსწონთ ჩემს თანმხლებლებსა, ნანარმოებს არ იცნობდნენ, ნანარმოები უფრო მოსწონთ თუ დადგმა, არ ჩავეკითხები, დიქცია არ უფარვა ზოგიერთ მსახიობსა, ანუხებთ, ყოველი სიტყვა რომ არ ისმის დარბაზში, უფრო ახლოსა ვსხდებით, ლამის სცენაზე ავიდეთ ძველი ლონდონის მაყურებელსავითა... დიქცია კვლავ პრობლემადა რჩება ქართულ თეატრში, ჯერ თბილისი რა არის, თბილისს მერე მესხეთში თუ, თორემ სხვაგან სიტყვას ვერ გაიგონებ... მონოლოგებიც შეუკვეციათ, მენანება დავითის მონოლოგები, ჯერ ისედაც შეუკვეციათ, მერე გვერდიდან არა გვმორდება ეს ანზორ ურდია. ჭიქაში ძვრება, ბოთლში ძვრება, ისე გამოდის სცენაზედა... ვესწრებით ერთხელა, ვმსჯელობთ, ვესწრებით მეორედა, სამსჯელო კიდევავა, მაგრამ მსახიობები ეგრე გაბედულადაც ვერ მოგვეყვებიან, საქმე ისაა, რეჟისორიც რომ მოსკოვს წასულა, უიმისოდ ვერ ავყვებიან... იქვე თეატრშიც ვანყობთ ლიტერატურულ დილას ბავშვებისთვისა, ბიბლიოთეკაშიც - მკითხველებისთვისა, ისე ფართოს ვერა, რომ განგვეზრახა, იმ ემხითაც ვერა, როგორიც გამოვიდოდა, მაგრამ უარესს მაინც ასე სჯობიან, ტაშს ვუკრავთ ერთმანეთსა... ვლოცავთ ერთმანეთსა... თოვს, ქარი უბერავს, ძლიერად უბერავს ქარი, ქარი მიგვერეკება სადგურისკენა, გულთბილად გვაცილებენ მასპინძლები, ვენანებით მასპინძლებსა, ბუნება უფრო პირუთვნელია, ქარი უფრო პირუთვნელია.

* * *

თითქმის თვე გასულა, გასულა და ეგაა, არაფერი, არაფერი გამიკეთებია, დრო რას დაგიტომობს?! რა სათქმელია, მიჯირითობს აწყვეტილი და დაუდგარი, უჯიათი და ულმობელი, ლევან გოთუაყ ნაიქცა... ველარ წამოდგებო... ვაგლახ!.. ვილა წამომდგარა, ვაგლახ!.. დრო მიჯირითობს, დრო მრისხანი, დრო ულმობელი, მიჯირითობს ჩვენს გულზედა!.. ეს თვეც გალენილა.

ორშაბათსა, 7 მაისსა, 1973 წლისა

შვიდი მაისის წვიმითაო, — არა წვიმს, ღრუბელი მაინც მოედინება... რატომღაც ისევ მიძლები კომისიის სხდომა მაგონდება, მწერალთა კავშირში. კრიტიკოსთა ჯგუფი მოიხმეს. აკაკი ბაქრაძეც უნდა იყოსო. თეატრში გამოუძახეს სასწრაფოდაო. თეატრში რისთვისა-მეთქი, ზურაბ ლორთქიფანიძეს ვეკითხები, ჩემს გვერდითა ზის. ის ჰო რუსთაველის თეატრის დირექტორად დანიშნესო. აჰაა!.. მენიშნება, რატომღაც ასე მენიშნება: ორი დღის წინათ იყო, რუსთაველის თეატრიდან გელაპარაკებითო, სალიტერატურო ნაწილის გამგე ვარო, თეატრის დირექტორის დავალებით ველაპარაკებითო, ახალი ჰო არაფერი გაქვთ, ან ჰო არაფერს აპირებთ ახალსაო. მე გავიკვირვებ, რადგან არასოდეს მოუმართიათ, გავიკვირვებ და მოვასხენებ, არცრა მაქვს ახალი, არც რას ვაპირებ-მეთქი, დრამატურგობას აღარც ვაპირებ-მეთქი. ასე მოვასხენებ და ბარემ ჩამოვიცილებ. ამას ისინი დრამატურგებთან მუშაობას უწოდებენ და ყოველი შემთხვევისათვის თავს იმართლებენ, — აი, ვმუშაობთ დრამატურგებთანაო... არ ავყვები ამ თვალთმაქცობასა რალა თქმა უნდა... მაგრამ თურმე დირექტორი შეცვლილა, შესაძლოა რალაც სიახლე უნდა ახალ დირექტორსა, საგულისხმო კრიტიკოსად მეჩვენება აკაკი ბაქრაძეი, შესაძლოა თეატრისათვისაც რაიმე კარგი მოუფიქრებია, ეგება ჩემი იმედიცა ჰქონდა, პირადად არ ვიცნობ, მაინც მერე რაო, ეგება ჩემი იმედიცა ჰქონდა, რატომ არ ვიცოდი, ცოტა სხვაგვარად რატომ არ გავეპასუხე იმის მოციქულსა-მეთქი; ოლონდ ეს მაინც, ეს მწერალთა კავშირში მიღება რალად დაემთხვა, ხმის მოსყიდვა იყო თუ მართლაც დაემთხვა კარგი განზრახვა ფარულ ზრახვასა-მეთქი, — ჩემთვისა ვფიქრობ და მწყინს, ძალიანა მწყინს. ნეტავი მხოლოდ დამთხვევა იყოს, შემთხვევითობა იყოს და მეტი არაფერი...

„თავისუფალი საქართველო“ №5

მემუარები

მთხოვებს მოგონებებს ზანღვ კიკნაძე

არ მიყვარს შემოდგომა, ზამთრის სუსხი მოსდევს და იმიტომ.

ზამთარში ბუნება გარდაიცვლება... .

ისე იცვლება, რომ არაფრით ჰგავს იმას, რაც იყო — აყვავებული და სიცოცხლით სავსე.

ვიცი, ზამთარსაც აქვს თავისი ეშში გარდაცვლილი ბუნებისა, რომელიც უთუოდ გაცოცხლდება. ეს არის იმედი. ქართველებმა გენიალურად ჩაუნაცვლეს სიტყვა სიკვდილს — გარდაცვალება. სიცოცხლემ სახე იცვალა მხოლოდ ანუ მარადიულია ადამიანის სიცოცხლე.

სიკვდილი ხომ გაქრობაა, ყველაფრის დასასრულია. მერე, ჩვენ, ქართველები ამას შევეგუებით? ისედაც ხომ უსაზღვროა ადამიანის ეგოიზმი. რაკი ამქვეყნად გაჩნდა, უნდა რომ მუდამ იყოს, არასოდეს მოკვდეს. ამიტომ შეიქმნა მითი ადამიანის მარადიულ სიცოცხლეზე, სახეცვლილ უკვდავებაზე — იმიერი და ამიერი სამყაროს არსებობაზე, საიქიო და სააქიო ცხოვრებაზე, სიცოცხლის გარდაცვალებაზე და არა სიკვდილზე. არ ვიცი, სხვა რომელ ერს აქვს ადამიანის მარადიული, სიცოცხლის გამომხატველი ასეთი ზუსტი სიტყვა — გარდაცვალება. ბენდიერია, ვისაც გულისთ სჯერა თავისი ასეთი უკვდავება. ხორცი შეუერთდება მინას — სული კი მარად იცოცხლებს. რა კარგია, არა?!...

სული ტკბილიაო, ხშირად მომისმენია დედაჩემისაგან. სულში სიცოცხლეს გულისხმობდა უთუოდ. მაგრამ სულიერება თუ გონია, ტვინიც ხომ კვდება?...

იქ რა იქნება?

„მარადიული სიჩუმე მხოლოდ“?..

ადრე ვამბობდი, ამდენი და ამდენი პამიდვრობა დამრჩა — ხუთი, ექვსი, ახლა ერთსა და იმავეს ვამბობ,- ვინ იცის, ერთ პამიდვრობას მოვესწრები კიდევ?!..

ასე ვწუნუნებდი ოცი და ოცდაათი წლის წინაც.

X X X

ბენდიერია, ვისაც აქვს წარსული, დღევანდელი დღის ცხოვრებაცა და მომავალიც. მე კი მხოლოდ წარსული მაქვს. დღევანდელი დღე ინერციით ცხოვრების, ჩვეული რიტმის შენარჩუნების სურვილი და მძიმე ყოფიდან გაქცევის მცდელობაა...

წარსული კი მართლაც საოცარი მქონდა. დაღლილ-დაქანცული სახლში რომ ვბრუნდებოდი, ტელეფონის დანახვა არ მინდოდა, იმდენი ხალხი მირეკავდა. რას არ მთხოვდნენ და რა დითირამებს არ მეუბნებოდნენ.

დღეს სამიოდე კაცი თუ შევეხმიანებით ერთმანეთს. უკანასკნელი ხაზებია, უკანასკნელი შეძახილები...

არც პასპორტში და არც სარკეში არ მიყვარს ჩახედვა, სანუგეშოს არაფერს მეუბნებიან. ერთხელ, ამ ხუთიოდე წლის წინ ჩემს აგარაკზე, ნვერში, ხეზე ავედი ალუჩის დასაკრეფად, ტოტიდან ტოტზე ისე გადავდიოდი, თითქოს ტერენტი გრანელიის ჩიტი ვიყავი — „ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტიო“ რომ წერს. ჰოდა, უცებ გამასხენდა, რომ 75 წლისა ვიყავი. წლების გახსენებამ დამთრგუნა, შევშინდი, ხიდან სასწრაფოდ ჩამოვედი.

რომ ჩამოვვარდნილიყავი, ხომ იტყოდნენ — რამ გამოასულელა ეს კაცი, რამ აიყვანა ხეზეო... მართალია პოეტი ალიო მირცხულავაც (მამაშვილი) : „სულიც თხოულობს ისეთ რამეებს, რასაც სხეული ვერ ეზიდება.“

სურვილები ასე ბერდებიან, - ქრებიან...

X X X

ზამთარში საქონელს დაბამენ ხოლმე, სადგომი დათბუნულია. იყო დრო, როცა ადამიანები საქონელთან ერთად ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ. მერე თანდათან „გაკულტურდნენ“, მოღონიერდნენ და საქონელს გამოეყვინენ, ცალკე ინყეს ცხოვრება.

კარგად მახსოვს, ჩემს სოფელში ზამთრობით დაბმულ საქონელს როგორ უვლიდნენ გლეხები. საგანგებოდ უვლიდნენ, თბილ სალაფავს აძლევდნენ, ზანდნენ, ვარცხნიდნენ. საქონელი კარგად მოვლილი და ნაპატიები იყო. ასე გრძელდებოდა მთელი ზამთარი.

გაზაფხულზე ბალახი რომ ამოვიდოდა და შეთბებოდა, საქონელს ბაგიდან აუშვებდნენ. როცა თოკებსა და ჯაჭვებს ყელიდან მოხსნიდნენ, უნდა გენახათ, რა ამბავი ხდებოდა. აშვებულები თავისუფლებას იგრძნობდნენ, ერთმანეთს დაეცაკებოდნენ, ადგილზე ვერ ჩერდებოდნენ, ასე გრძელდებოდა ორი-სამი დღე, მერე ჩანყნარდებოდნენ და ჩვეული რიტმით აგრძელებდნენ ერთმანეთის გვერდით ცხოვრებას.

ეს ამბავი ძალიან მაგონებს ჩვენს რეაქციას დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე. საუკუნეობით ვიყავით დაბმულები, არავინ არაფერს გვეკითხებოდა. საბჭოთა პერიოდში კი გვასმევდნენ და გვაჭმევდნენ კიდევ, უფასოდ ბინასაც გვაძლევდნენ, განათლებაც და მკურნალობაც უფასო იყო. ჩვენ მარტო მორჩილება გვევალებოდა. ჩვენ დაბმულები ვიყავით, ჩვენზე სახელმწიფო ზრუნავდა.

მახსოვს, ერთხელ თეატრალურ ინსტიტუტში ერთი დღით გვიან დარიგდა სტიპენდია. ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე გამიყვანეს, როგორ თუ სტუდენტებს ერთი დღით გვიან დაურიგდა სტიპენდიაო. ფინანსთა სამინისტროს

მიზეზით დაგვიანდა და სასჯელს გადაუფრჩი.

მაშინ ქართველი მათხოვარი არ მინახავს. გავიდა დრო. მოვიპოვეთ თავისუფლება, იმპერიაზე მიბმული აღარ ვიყავით, ამიტომ ავიშვით თავი საქონელზე ბევრად მეტად. დავერიეთ ერთმანეთს. რქენა და ნიხლები რა არის, სასკვდლოდ გავიმეტეთ ერთმანეთი.

საქონელს ორი-სამი დღე ჰქონდა თავისუფლებაზე ასეთი რეაქცია, ჩვენ კი ოცი წელი არ გვეყო!... .

„ტირორისტი“

ჩემს აგარაკზე, წვერში, ძალიან იგრძნობა ფერისცვალების დღე – 19 აგვისტო, ამ დღეს უთუოდ იცვლება ამინდი. წლევანდელი პაპანაქება სიცხის შემდეგ ქარმა დაუბერა, მოიღრუბლა. გულს სევდა შემომანვა. ასეთი უაზრო ზაფხული არასოდეს მქონია, მთელი დღე, მარტო ოჯახის საქმეებით ვიყავი დაკავებული, არაფერს არ ვნერდი. მუდამ წერას ვიყავი ატანილი. ახლა „ფორმიდან ისე ამოვვარდი“, აღარ ვიცი, ისევ ჩავედგები თუ არა ფორმაში. დასანერი კი ბევრი მაქვს. ერთხანს მინდოდა ქართული თეატრის თავგადასავალი დამენერა, დავინყე წერაც, მაგრამ მივატოვე, — შემემინდა, თუ სიმართლეს დავნერდი, ძალიან პირქუში ისტორია გამოდიოდა, ქართველებს კი მითები უფრო გვიყვარს, ვიდრე სიმართლე. მით უფრო თეატრს. ალბათ, ამ ფენომენის გამოც არის ჩვენს ირგვლივ ამდენი შერეკილი. ყოველ მათგანს თავი გენიოსი ჰგონია, არააღდეკავატური ილუზიებით ცხოვრობს, ქვეყანა ამით არ დაი-ქცევა, ეგონოთ, რომ განსაკუთრებულები არიან, მათი ყოველი ნაცოდვილარი შედეგია, მაგრამ არ იციან, რომ იოსებ გრიშაშვილისა არ იყოს: ფუყე თავთავი გამართულია, თავანუელია, მნიფე - თავდახრილი. გამახსენდა ბესო ჟღენტის ერთ-ერთი გამოსვლა მწერალთა კავშირში. ტრიბუნაზე ყველა გამომსვლელი ისე ლაპარაკობდა, თითქოს მისი დანერვილი იყო „ვეფხისტყაოსანი“.

სიტყვაში გამოვიდა ბესო.

- ამხანაგებო! – მიმართა დარბაზს, - დღევანდელი შეკრება ზესტაფონელი კიკნაველიძეების კრებას მაგონებს. კიკნაველიძეები არ არიან აზნაურები. ერთ დღეს შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს: ხვალიდან ერთმანეთს აზნაურები ვუნროდითო. ასეა ჩვენი საქმე. ვუნროდით ერთმანეთს გენიოსები, ვარსკვლავები, მაგრამ ხალხი დაგვიჯერებს? სად-ამდე გვინდა ერთმანეთი ვაჭყუოთ?!

ქართულ თეატრს კი ისეთი რთული, კონფლიქტებით სავსე თავგადასავალი აქვს, რა ჯანი გაუძლებს მასზე წერას. ხშირად მაგონდება დედაჩემის სიტყვა, როცა გაიგო, რომ თეატრმცოდნეობის სპეციალობაზე ვსწავლობდი, მოკლედ, ერთ ფრაზაში გამობატა: შეილო, მენი ჯანმრთელობა გაუძლებს ხორავას კრიტიკას?!

აკაკი ხორავა ხალხის არტისტის სიმბოლო იყო, ყველაზე დიდი ავტორიტეტი.

მაშინ რას წარმოიდგენდა დედაჩემი, რომ მთელი სიცოცხლე ისეთი სამყაროში მომიწევდა ცხოვრება, სადაც ბევრი ამბიციური ადამიანია.

ჰოდა, ასეთ სამყაროში რომ ვიცხოვრე და აქამდე მაინც მოვალნიე, ლელა ოჩიაურმა ზუსტად დაინახა და იფიქრა: რამდენი რამ იცის, რამდენი ამბავი გადახდენია თავსო და კარგი იქნება ზოგი ამბავი ფართო მკითხველსაც უამბოსო. სტალინის ეპოქიდან დღემდე — მართლაც რა დიდი გზაა?!...

და აი, ერთხელ ლელა ჩემს კაბინეტში შემოვიდა და მითხრა:

- ბატონო ვასო, გამოდის გაზეთი „ქართული უნივერსიტეტი“. მე რედაქტორი ვარ. რა თემაზეც გნებავთ, ის დანერე, წინასწარ წურაფერს შემითანხმებთ, სრულ თავისუფლებას გაძლევთ, ოღონდ ერთი პირობით, - ყოველ ნომერში უნდა დაიბეჭდოს თქვენი სტატია. ყოველ ნომერში! ერთი გვერდი თქვენი იქნება. ჰონორარი 50 ლარი. არ შეგანუხებთ, თვით ჰონორარსაც კი აქ მოგართმევთ. წერილი აგერ ჩვენს თამუნა ცაგარელს გადმოაგზავნიეთ, არ დაგზარდებათ. შეუთანხმდით?

ისარი ღირსებით და ისეთი მტკიცე, შეუვალი ტონით მითხრა და ისე შემიმსუბუქა ტვირთი, რომ დავთანხმდი. გამახსენდა ცნობილი მოღვაწე, ჟურნალ „ცისკრისა“ და „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორი ვახტანგ ჭელ-იძე. ერთხელ დავურეკე და ვუთხარი: ბატონო ვახტანგ! წერილის დაბეჭდვა მინდა. ზუსტად აღარ მახსოვს, რა თემა შევთავაზე. ბ-ნმა ვახტანგმა მითხრა: დღეის შემდეგ წინასწარ წურაფერს მკითხავ, რა თემაზეც გინდა, დანერე და მომიტანე. მაშინ კომუნისტურ სისტემაში ამგვარი რამ მოულოდნელი იყო. ავტორისადმი განსაკუთრებული პატივისცემა და ნდობა ყველას სიამოვნებს. ხომ იცით, რა არის ავტორის თავმოყვარეობა(თუ პატივმოყვარეობა)?

იმავე საღამოს დავინყე ფიქრი, რა დამენერა. რა დააინტერესებდა ჩვენს არეულ-დარეულ მკითხველს. ყველანი ვზუზღუნებთ, რომ მეტისმეტად აგრესიული გახდა ჩვენი ჟურნალისტიკა, პრესა, ტელევიზია. ასე მგონია, მხოლოდ „უკნიდან“ (ეროსი მანჯგალაძის ტერმინია, მეც რომ მითხრა ახალგაზრდობაში კრიტიკული წერილის გამო) ვუყურებთ ადამიანებს, ცხოვრებას, მაგრამ მაინც თვალთ ასეთი ინფორმაციისაკენ მივვირბის.

საპატრიარქოს უნივერსიტეტის გაზეთი კი სხვა საქმეა, სხვა ხასიათის წერილები სჭირდება, „მოყვასის სიყვარული“ იდეით განმსჭვალული წერილები...

თემებს თემები მოჰყვა, გამიტაცა მაგრამ რა გამიტაცა. მოსვენება დავკარგე, ჩემი მოუცლელობის პირობებში ყოველ კვირაში ერთი წერილი მეტისმეტად ბევრი იყო, მაგრამ ახალ-ახალი თემების მოგონება აზარტული გახდა. გაჩნდა რაღაც ახალი ფორმა მეშუარისტიკისა და პუბლიცისტიკის სინთეზი. ოდესღაც გერონტი ქიქოძე წერდა ამ სტილში მაღალ დონეზე.

ერთხანს საქმე კარგად აენყო. წამოიშალნენ მოგონებები, ათასგვარი ასოციაციები. თურმე, მართლაც, რას არ მოგვსრებივარ ოთხმოცი წლის მანძილზე... მაგონდება, ჩემმა ლექტორმა აკაკი განერელიამ ლექციაზე დიდი სიამაყით რომ გვითხრა: მე ნიკო ნიკოლაძისათვის ჩამომირთმევია ხელი,- ნიკოლაძე კი თავის მხრივ, გვერცენს ართმევდა ხელსაო. სტუდენტების თვალში თითქოს უცებ გაიზარდა, ამაღლდა ჩვენი ლექტორი, თუმცა, ისედაც დიდი პატივს ვცემდით.

ჰოდა, ახლა მეც შემიძლია სიამაყით ვთქვა: გალაკტიონისათვის ჩამომირთმევია ხელი, - გალაკტიონი კი, თავის მხრივ, აკაკი წერეთელს ართმევდა ხელს...

მუდამ მწერლობისა და თეატრალური ცხოვრების შუაგულში ვტრიალებდი. ხშირად პირდაპირ ცენტრში ვიყავი, თითქმის ყველა დინებას ვხედავდი და ვგრძნობდი. ჩემს კაბინეტში თავს იყრიდნენ ცნობილი ადამიანები და ახალ-გაზრდებიც, მათთან ყოველდღიური ურთიერთობა მუდამ ქარიშხალსა და ქარიშხლის მოლოდინით ცხოვრებას უდრიდა. ჩემს წინ იძლებოდა ქართული ინდივიდუალიზმის და უსაზღვრო წარცისიზმის მთელი სამყარო. ყველასთან ვპოულობდი საერთო ენას, ყველას ეგონა, რომ მხოლოდ მას ვცემდი განსაკუთრებულ პატივს და ყველაზე მეტად მხოლოდ ის მიყვარდა. ასე ხდებოდა რუსთაველის თეატრში, ჩემს პატარა კაბინეტში, როცა სალიტერატურო

N65 „...თავისუფლება“

ნაწილის გამგე ვიყავი. იგივე გაგრძელდა კულტურის სამინისტროში, თეატრების განყოფილებას რომ ხელმძღვანელობდი და შემდეგ, მთელი ცხოვრება თეატრალურ ინსტიტუტში. ბოლოს დავრწმუნდი, რომ ცხოვრება ადამიანური ურთიერთობაა. მთელი სირთულე ეს არის. მართალია სოკრატე — ადამიანებთან ურთიერთობა ყველაზე დიდი კომფორტია. ასე „კომფორტულად გავიარე“ მთელი ცხოვრება.

ასე რომ, ლელა ოჩიაურმა პროფესიული ალლოთი ჩემში ზუსტად დაინახა მრავალფეროვანი თემების მთელი სა-მყარო. ამისათვის განსაკუთრებით მაღლიერი ვარ მისი. რა არ დამანერინა, წერილების მარტო სათაურების დასახელებაც კმარა, ზოგიერთს გავისხენებ: „რატომ ყიდდა ილია თეატრის ბილეთებს?“, „ინყებოდა რუსივიკაციის ახალი ეპოქა“, „რატომ ახივდა რექტორი“, „მიმტევებლობა თუ გულგრილობა?“, „ჩვენი ბედიხიხნერა — 9 მარტი“, „ჩვენი გმირობაც და ჩვენი ბედოვლაობაც — 9 აპრილი“, „პლასტუნკის სევედა“, „სოცრეალიზმიის მითი“, „ახ, რა კაცი ყოფილა ეს პოლიტიკა“, „გოგებაშვილი და ახმეტელი აფხაზეთისათვის ბრძოლაში“, „აკაკის ერთი ანტისაბჭოური ლექსის გამო“, „როგორ დაიპყრო მოსკოვი ქართულმა კულტურამ“, „საინგილოს გახსენება“, „ჩრდილოეთის ტყვეობიდან დაბრუნებული მარჯანიშვილი“, „ახმეტელის თვითმფრინავის ბედი“ და სხვ.

საინტერესო თემებია, არა?

ერთხელ, ათასი საფეკრალის გამო ვერ მოვიცალე. გაზეთი ხუთშაბათობით გამოდოდა, სამშაბათს დღის ბოლოს ლელას ტელეფონის ზარი გაისმა: ბატონო ვასო, რა ხდება? წერილი სად არის? დაგვიანდა...

სიტყვა „დაგვიანდა“ მომეწონა, ვიფიქრე, გადავჩრი: ხომ იცი ჩემი მდგომარეობა, ველარ მოვასნარი დანერა, ეს ერთი პაუზა იყო — ვუთხარი მშვიდად.

- რას ბრძანებთ, ბატონო ვასო, ეგ არ გამოგივათ, ახლა რა ვქნა, თქვენთვის ერთ გამონაკლისს გავაკეთებ, ხვალ 12 საათზე უნდა მქონდეს სტატია.

- არა, არა, შეუძლებელია! - ვუპასუხე საგანგებოდ ცივად.

- შეუძლებელი სწორედ ნომრის ჩაგდებაა, თქვენ გვერდში რა ჩავსვა, სხვა მასალა არა მაქვს...

- არ შემიძლია, სხვა პრობლემები მაქვს, - ვთქვი და მეგონა ამით დამთავრდა.

ლელამ უცებ ტაქტიკა შეცვალა:

- გუშინ რედაქციამი ვილაკე კაცი მოვიდა, გაზეთი გვთხოვა, თქვენს წერილს ექებდა, სხვებიც რეკავენ ხოლმე, კითხულობენ... აინტერესებთ... ელოდებიან...

ლელამ იცის ადამიანთა მოდგმის მარადიული სისუსტე და იმ ადგილზე ზუსტად მოარტყა. ვინმე გინახავთ, შექება რომ სწინდეს? ან გაგიგონიათ მსგავსი რამე? მე ასეთ ადამიანს არც შევხვედრივარ და არც ისტორიიდან ვიცი ასეთი ფაქტი. არც მე ვარ გამონაკლისი.

- ხვალ 12 საათისათვის ველოდები! - ვიგრძენი, რომ მაჯობა, გაცტყდი, მეც ვითომ გავბრაზდი და დამარცხებულმა გამარჯვებულს მივახალე: - ნამდვილი ტერორისტი ხარ! ჟურნალისტიკის ტერორისტი, მოძალადე!

- დიას, ვარ ტერორისტი, - მითხრა გამარჯვებულმა რედაქტორმა.

ავნრიალდი, დავინყე ფიქრი თემებზე.

აღრე დავნიქი, „ფიქრი გასართველად“ განვმარტოვი. დილით ძველი დღიურების გადათვალიერება დავიწყე. უცებ როგორღაც და საიდანღაც ამოტივტივდა სოხუმში რუსთაველის თეატრის გასტროლები (1960). სოჭის რაიონში, ქართულ სოფელ პლასტუნკაში კონცერტი რომ გავმართეთ, დაიბადა წერილის სათაური - „პლასტუნკის სევედა“. სოფელში კონცერტის შემდეგ მდინარის პირას გავისიერნეთ რუსთაველის თეატრის დირექტორმა დ. ანთაძემ, მე, პლასტუნკის მეურნეობის თავმჯდომარემ და თეატრის ერთ-ერთმა მსახიობმა, რომელმაც სადაც არის „ჩაგვიშვა“, მეურნეობის დირექტორმა საქართველოს მთავრობა აგინაო, მიტოვებულნი ვართ საქართველოსაგან, არავინ გვაქცევს ყურადღებას, ქართველი ბავშვები თანდათან რუსდებიანო...

ორგანოებში დაგვიბარეს მე და დოღო. ჩვენ ვიუარეთ, მსგავსი არაფერი თქმულა, მთავრობა არ უხსენებია მეურნეობის ხელმძღვანელი ვალაცის მოჭორილია-თქო. ცალკე მე გამომიძახეს, ცალკე - ანთაძე, ერთნაირად უარყვავით. მასპინძელი გადავარჩინეთ უსიამოვნებას. არადა, მართალი იყო პლასტუნკელი კაცი, პლასტუნკის ქართველები საქართველოსაგან უყურადღებოდ იყვნენ მიტოვებულნი, სკოლაში ქართული სახელმძღვანელოებიც კი არ ჰქონდათ. მეურნეობის ხელმძღვანელმა ქართველებს დახმარებისათვის შემოგვჩივლა და ერთ-ერთმა ნაძირალამ კი „კაგებეში“ ჩაუშვა. მახსენდება მიხეილ ჯავახიშვილის უბის ნიგნაკის ჩანაწერი: ქართველების პატრიოტიზმი მტრის სიძულვილის პატრიოტიზმიად და მეტი არაფერი.

მწარე სიმართლეა - ვფიქრობ ხშირად.

რუსეთში მიტოვებული ქართული სოფლისათვის დახმარება არ იყო პატრიოტული საქმე?

არ იყო ჩვენი მოვალეობა?

„ქართულ სიტყვაში“ იმდენი თეატრალური პუბლიცისტური წერილი დამანერინა „ტერორისტმა“ რედაქტორმა ლელა ოჩიაურმა, რომ ერთი ნიგნი გამოვა და მკითხველი ბევრ ისეთ რამეს ნაიკითხავს, სხვას რომ არ დაუნერია.

გაზეთის გამოცემა შეჩერდა. ლელა ნავიდა გაზეთიდან.

უცებ ვიგრძენი სიცარიელე, აღარც თემები მანუხებს, აღარც პრობლემები. მიკვირს იმ თეატრმცოდნეებისა, მუდმივი ძიებების გარეშე როგორ ცხოვრობენ დღეს. ჩემთვის თითქოს რაღაც მნიშვნელობა აქვს 1000 წერილი მექენება დანერილი თუ 11000, მაგრამ ბევრმა არც იცის, რა არის „ფორმამი“ ყოფნა. არ უნდა დაელოდო, როდის დანერ გენიალურს, როდის მოგვა მუზა, როდის დანერ ყველას მოსაზრნს, აქედან ერთი ნაბიჯია სნობიზმამდე და სხვების ნაშრომის დაუფასებლობამდე. პროფესიული ცხოვრებით - ეს რა იცხოვრო, ხან გაგიამართლებს ხან - არა. ზოგჯერ შეიძლება ისეთიც დანერო, რომ თავდაცვა გაგიკვირდეს, - უნდა დამინერაო.

სხვანაირად არ არსებობს პროფესიული ცხოვრება. არსებობს პოეტი, მსახიობი, მხატვარი თუ კომპოზიტორი, რომ ყველაფერი, რასაც ქმნიან, ბრწყინვალე იყოს?

არ არსებობს!

ჰოდა, თეატრმცოდნეები გამონაკლისები ვართ?

არ ვართ გამონაკლისები. მთელი სიცოცხლე მიუძღვნით თქვენს პროფესიას, იცხოვრეთ მოუსვენარი, ერთობ უმადური პროფესიული ცხოვრებით და შრომას უსათუოდ მოჰყვება შედეგი. ნუ ეცდებით ვინმეს გაკვირვებას. გასაკვირი ბევრი აღარაფერი დარჩა, იმდენი რამ ხდება ჩვენს ირგვლივ ცხოვრებაში. „მტრის სიძულვილის პატრიოტიზმი“ უნდა შეცვალოს შენი დამოუკიდებელი ქვეყნის შენებაში ერთი პატარა აგურის მიტანის სურვილი.

არადა, „თუ ერთი აგური არ ამაგრებს მეორეს ქვეყნის თალი ჩამოინგრევა.“

ერთხელ პარიზში...

როცა რომელიმე სახელგანთქმულ ქალაქს აქებენ, ბოლოს უთუოდ იტყვიან, - პარიზი მაინც სულ სხვააო...

პარიზი მაღალი კრიტერიუმია.

ერთხელ მეც ვეზიარე მის მშვენიერებას.

მეიქმნა ტურისტული ჯგუფი ერთი კვირით პარიზში ნასასვლელად. ჯგუფს, როგორც მასსოვს, სერგო რიგვა ვა ხელმძღვანელობდა. მაშინ ის თბილისში ერთ-ერთი რაიონის (კალინინის) რაიკომის მდივანი იყო, წესიერი და სამართლიანი კაცი. კარგად ვიცნობდი, დიდ პატივს ვცემდი. ჯგუფში ჩვენ თეატრმცოდნე, ჩემი მასწავლებელი და მეგობარი ნინო შვანგირაძეც იყო. კარგი ჯგუფი დაკომპლექტდა.

საბარჯოდ ათი მანეთი გადაგვიხადეს. საბჭოთა ტურისტებს ფულს ცოტას აძლევდნენ, მაღაზიებში რომ არ დაეწყოთ სიარული. მაღაზიები კი იქ სავსე იყო - ჩვენთან - ცარიელი.

ბევრი რამ ვნახეთ პარიზში. მარტო ლუვრის დათვალიერება რად ღირდა. მაგრამ ახლა ამ თემაზე არ ვსაუბრობ. იმდენი რამ არის დანერული პარიზზე, რომ ჩემი შექება არაფერს შემატებს. თეატრების შესახებ ვკითხეთ გიდს, რა იყო საინტერესო, გვინდოდა რომელიმე სპექტაკლს დავესწრობოდით.

- იქნებ ფოლივერჟერი გენახათ - გვითხრა გიდმა.

ფეხზე დასადგომი ბილეთები შევიძინეთ, სხვა საშუალება არ გვქონდა. სპექტაკლში ტექნიკა უმაღლეს დონეზე იყო, პირდაპირ ჰაერში დაფრინავდნენ მსახიობები. სცენაზე ნამდვილი შადრევანი ჩქეფდა, წყალი იღვრებოდა. შესვენების დროს ყველას ყურადღება ბუფეტმა მიიქცია, სადაც საოცრად ლამაზი ჭიქებით ფერადოვან ნყლებს ასხამდნენ.

- ხომ არ დაგველია ლამაზი ჭიქებით, - თქვა ერთ-ერთმა და ყველამ მხარი აუვბით. მე უფრო შორსაც წავედი, ვიფიქრე, თავს დავამახსოვრებ-მეთქი და ჯენტლმენურად განვაცხადე:

- მე გპატიუებთ! -

ზოგმა მითხრა, ცოდო ხარო, ზოგმა ასე არ შეიძლება, შენც ხომ ათი მანეთის ფრანკები მოგცესო. სერგო რიგვა ვამ გზა გადამიჭრა და თქვა: მე უფრო მეკუთვინის დაპატიუებო. ერთი სიტყვით, ქართული ამბები დატრიალდა.

ერთ-ერთმა ტურისტმა იცოდა ქართული ენა და ვთხოვე ეთხოვა ჩამოესხათ წყალი.

დაგვისხეს ლამაზ ჭიქებში.

იმ დროს საქართველოში ზუგდიდში იყო ფაიფურის ქარხანა. ჭურჭლის ესთეტიკაზე ვინ ფიქრობდა, ფართო მოხმარების ჭურჭელი მზადდებოდა.

როცა ყველამ ჭიქა აიღო, ფული ამოვიღე და ფრანგულის მცოდნეს ვუთხარი, ფასი ეკითხა, ჰკითხა და წამოიძახა: - არ დალიოთ! ფული არ გვეყოფა!

მართლაც ვერ გროვდებოდა საკმარისი თანხა, ზოგს უკვე მოესწრო სუვენირებში დახარჯვა.

სხვა გზა არ იყო, სავსე ჭიქები უკან დავდგით.

სიცილისგან თავს ვერ ვიკავებდით. გამყიდველები შემფოთდნენ, მოვიდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც, წყალს უკან ვერ ჩავასხავთ, ზარალი ზარალია, მაგრამ თქვენი საქციელი ანტირეკლამააო, იტყვიან, საბჭოთა წყალი დაინუხესო. ნამდვილი შარინი ამბავი იყო საბჭოთა ტურისტების მათხოვრული მდგომარეობის გამო, როგორც იქნა, გვაპატიეს და გაბრაზებულებმა ჭიქებიდან წყალი იქვე ჩვენს თვალწინ გადაღვარეს.

თითქოს ერთი პატარა კურიოზული შემთხვევაა, მაგრამ ბევრ რამეზე მეტყველებს.

ჯერ ერთი, ქართული დაუდევრობა. ვიდრე ჭიქებში წყალს ჩამოვასხმევინებდით, ფასი ხომ უნდა გვეკითხა?

უნდა გვეკითხა, მაგრამ რას ვიფიქრებდით, თუ ჭიქა წყალი ასე ძვირი ეღირებოდა?

უნდა გვეცოდნოდა, რომ ერთსა და იმავე ნივთს თუ წყალს სხვადასხვა ადგილას განსხვავებული ფასები ჰქონდა, მაგრამ ჩვენ ხომ საბჭოთა ტურისტები ვიყავით?

მთავარი დასკვნა მომხდარი ფაქტიდან მაინც სულ სხვაა. საქმე მარტო კაპიტალიზმის სისტემაში არ არის. საქართველოში საბჭოთა პერიოდში და დღესაც, ნებისმიერ კუთხეში, რომელი ქვეყნის ტურისტსაც არ უნდა შეემთხვეს ეს ამბავი, ჭიქა წყალს უფასოდ როგორ არ დაალევიანებენ?! წყალს კი არა ღვინოს მიართმევენ „საცოდავ“ ტურისტებს, თუ სახარჯო ფული არ ექნებათ. ჩვენი ვაჭარი ან გლეხი, თუ ტურისტს ფული არ ეყოფოდა, ჩამოსხმულ წყალს გადაღვრიდა, არ დაალევიანებდა? არ შეიპატიუებდა? გამოირიცხულია! აი, რა არის ქართული მენტალიტეტი. ჩვენ ასეთი ტურისტები შეგვეცოდებოდა და ერთს კი არა, მეორე ჭიქის დაღვევასაც შევთავაზებდით. იქნებ, თითო ბოთლი ღვინოთაც კი დაგვესაჩუქრებინა.

ეს ჩვენი ქართული ხასიათი, ეროვნული ფენომენია და ამით უნდა ვიამაყოთ, რადგან ადამიანური ურთიერთობები უზენაესობის იდეას გამოხატავს და არა მოგება-ნაგებას. ეს არის მთავარი.

დღეს სწორედ ამ უნიკალური ღირებულებების შეცვლა ხდება. თუ რამეა შესაცვლელი, სწორედ ყალბად გაგებული, იმიტირებული ევროპეიზმი და ამერიკანიზმა შესაცვლელი...

გიორგი ტოვსტონოვოს სარეჟისორო გაკვეთილები

ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრისა და სამოციანი წლების დასაწყისის საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებაში დაიწყო ე.წ. „დათობის პერიოდი“, რომელიც ხანმოკლე და მოჩვენებითი აღმოჩნდა, მაგრამ მაინც საგრძნობლად შეარყია „ფორმით ნაციონალური და მიხარისით სოციალისტური“ ხელოვნების იდეოლოგიური საყრდენები.

დესტალინიზაციის შედეგად თითქოს აიხადა „რკინის ფარდა“, რომელიც ქვეყანას გარე სამყაროსგან ჰყოფდა.

რკინის ფარდა აიხადა, მაგრამ მის ადგილას ხავერდის მიძიმე ფარდა დაეშვა. ფარდა ფარდაა, გინდ რკინის იყოს და გინდ ხავერდის, ის მაინც ორი სამყაროს გამყოფია და სხვადასხვა მხარეს დარჩენილთ მათ ცხოვრებას, ბედსა და უბედობას უმაღლავს.

თეატრის მუშაკებმა კარგად იციან, რომ ფარდაში ყოველთვის არის პატარა ჭუჭრუტანა, რომელშიც მსახიობები „ნითელ ხაზს“ მიღმა მდებარე მაყურებელთა დარბაზში იცქირებიან.

და აი, „დათობის პერიოდში“ ყველა ერთად, განსაკუთრებით კი ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, მიანყდა „რკინის ფარდის“ სანაცვლოდ დაშვებულ ხავერდის ფარდაში დატანებულ ჭუჭრუტანას, რათა გაეგოთ, დაენახათ ის, რაც დანარჩენ მსოფლიოში ხდებოდა.

ხელისუფლებამ ჭუჭრუტანაში გახედვის უფლებაც მკაცრ კონტოლს დაუმორჩილა. იმის უშუალოდ დანახვის შესაძლებლობა, თუ რა ხდება „იქ“, მხოლოდ რჩეულთ მიეცათ, რათა საბჭოთა ხალხს სხვისი, ცენზურის მკაცრ ფილტრში გატარებული მონათხრობიდან მიეღო ინფორმაცია „იქაურობის“ შესახებ. იგზავნებოდა მცირერიცხოვანი ჯგუფები და დელეგაციები „საზღვარგარეთის ლიტერატურასა და ხელოვნებაში მიმდინარე პროცესების“ გაცნობის მიზნით. სპეციალური სტრუქტურაც კი შეიქმნა — „საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოება“, რომელიც მკაცრად აკონტროლებდა წამსვლელ — წამომსვლელთ. ხოლო ჭუჭრუტანაში ისე ვერაფერს გაიხედავდა, თუ მისი პიროვნება პარტიული ორგანოებისა და „КГБ“-ს დასტურს არ მიიღებდა: „политически подготовлен, морально выдержан“.

ასეთ სიტუაციაში ჩვენ, ახალგაზრდები, ყოველ შემთხვევაში ისინი, ვინც ამბიციურად თვლიდა თავს „თავისუფლად მოაზროვნედ“, ნამცეც-ნამცეც ვაგროვებდით ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა „იქ“, ფარდის მიღმა მდებარე სამყაროში.

გერმანელი ბერთოლდ ბრენტი, იმის გამო, რომ მგზნებარე ანტიფაშისტური გახლდათ, და ფაქტიურად, სრულად იზიარებდა მარქსისტულ მოძღვრებას „კლასთა ბრძოლის შესახებ“, მისაღები აღმოჩნდა საბჭოთა იდეოლოგიისთვის. არ დაგვავიწყდება, რომ ორ სამყაროს შორის დაპირისპირების ხაზი ბერლინის კედლით ორად გაყოფილ გერმანიაზე გადიოდა. ბრენტის პოლიტიკური მრწამსის აღიარებამ და „ბუჩუყაზიულ იდეოლოგიასთან“ დაპირისპირების მნიშვნელოვანი მაგალითის არსებობის აუცილებლობამ განაპირობა მისი შემოქმედების აღიარება კედლის „აქეთა მხარეს“. მაგრამ მისი თეატრალური დოქტრინა განსხვავდება სტანისლავსკის სკოლისგან. პიტერ ბრუკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბერთოლდ ბრენტმა ნატიფი ინტელექტუალური თავსატეხი შექმნა.“¹ ამ „თავსატეხს“ ბრენტმა „ეპიკური თეატრი“ დაარქვა, და ერთგვარად დაუპირისპირდა „არისტოტელეს თეატრს“. საკმარისია გავიხსენოთ ბრენტის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპი: „არსებობითი ეპიკური თეატრისთვის იმპია, რომ ის მიმართავს მაყურებლის არა გრძნობას, არამედ გონებას. მაყურებელი კი არ უნდა თანაგვიგრძნობდეს, არამედ უნდა გვეკამათებოდეს.“² ბრენტის იდეოლოგიურმა აღიარებამ და მისი შემოქმედების სოციალისტური რეალიზმის საუკეთესო ნიმუშად გამოცხადებამ საგონებელში ჩააგდო საბჭოთა თეატრმცოდნეობა, რადგანაც „ეპიკური თეატრის“ პრინციპები მთლიანად ეფუძნება „წარმოდგენის სკოლას“ და ერთგვარად უპირისპირდება საბჭოთა თეატრალურ სივრცეში ლამის რელიგიურ დოგმად ქცეულ სტანისლავსკის სისტემას.

მაგრამ სხვა გზა არ იყო და მგზნებარე ანტიფაშისტური ბრენტის შემოქმედებითი პრინციპები, მისი ესთეტიკა, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ომის შემდგომი მსოფლიო თეატრალური ცხოვრების განვითარებაზე, საბჭოთა თეატრისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა.

ლოიალურობას იჩენდა საბჭოთა ოფიციალური ასევე ედუარდო დე ფილიპოს, ჟან ვილარის, ანდრე ბარსაკისა და ზოგიერთი სხვა „კაპიტალისტური“ თეატრალური მოღვაწის მიმართაც.

სხვაგვარად იყო საქმე სხვა, „არასოციალისტურ“ თეატრალურ მიმდინარეობებთან მიმართებაში. ერთ-ერთ ასეთ მძლავრ მიმდინარეობად „აბსურდის თეატრის“ ესთეტიკა ჩამოყალიბდა.

1. Питер Брук. Шекспир в наше время. Журнал „Англия“. № 2, 1964.

2. Бертольд Брехт. „Теория эпического театра“. Том 52, стр. 41.

ჩვენამდე აღწევდა ინფორმაცია, რომ არსებობს „იონესკოს თეატრი“, მაგრამ როგორი იყო მისი მხატვრული შინაარსი, თითქმის არავინ იცოდა.

1959 წელს ტოვსტრონოგოვი და ცნობილი თეატრმცოდნე გიორგი ბოიაჯიევი მიავილნეს საფრანგეთში „ფრანგულ თეატრში მიმდინარე პროცესების გაცნობის მიზნით“. ბოიაჯიევი მიღებული შთაბეჭდილებები პროფესიული სინუსტით აღწერა ნიგნში „Театральный Париж сегодня“, რომელიც მოკლე ხანში გამოიცა. აქ ზემდინეხებით არის აღწერილი პარიზის თეატრების სპექტაკლები სცენების მიხედვით. მკითხველს შეძლებისდაგვარად, ობიექტურად აღწერილი არა მარტო სპექტაკლების, არამედ დრამატურგიის ნიმუშების გაცნობის საშუალება მიეცა. ამ ნიგნის წყალობით ჩვენ, ფაქტიურად, პირველად გავიცანით უეჩნ იონესკოს დრამატურგიას.

გარკვევა ამ სრულიად უცნობ თეატრალურ ესთეტიკაში ჩვენთვის, მეგირდებისთვის, საკმაოდ რთული აღმოჩნდა და ერთ-ერთ გაკვეთილზე ოსტატს ვთხოვეთ განემარტა „აბსურდის თეატრის“ მხატვრული პრინციპები.

გიორგი ტოვსტრონოგოვი — უპირველეს ყოვლისა, უნდა გითხრათ, რომ ხელოვნებაში ამა თუ იმ მოვლენის განსჯა, მისი უარყოფა ან აღიარება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც თავად განსჯის საგანს საფუძვლიანად გავიცნობთ, შევისწავლით მთლიანობაში, არ ამოვგლეჯთ იმ ნიადაგიდან, რომელზედაც აღმოცენდა. მე არ ვიზიარებ ხელოვნებაში ამა თუ იმ მოვლენის ხელალებით უარყოფის, გაქაქების ტენდენციას. ჩვენი უფლებაა, მივილოთ ან არ მივილოთ, გავიზიაროთ ან არ გავიზიაროთ ხელოვნების მხატვრული პრინციპები, დავეთანხმოთ ან არ დავეთანხმოთ იდეოლოგიას. მაგრამ მანამდე, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევისწავლოთ ისტორიული, სოციალური და ესთეტიკური პირობები, რომლებმაც შვა ესა თუ ის მხატვრული მოვლენა, თუ ის საზოგადოების გარკვეული, თუნდაც უმნიშვნელო ნაწილის ყურადღებას იმსახურებს.

რაც შეეხება „აბსურდის თეატრს“, ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა თანამედროვე თეატრში. და თუმცა ჩვენი იდეოლოგიისათვის სრულიად მიუღებელია, მისი უბრალოდ არდანახვის ან ხელალებით ღანძილის უფლება მაინც არა გვაქვს. სჯობს გავერკვეთ და თუ რამ ფასეულია, გავიზიაროთ.

ჩემთვის პირადად, „აბსურდის თეატრი“ საინტერესოა უპირველესად იმით, რომ ის ესთეტიკურად მთლიანი მოვლენაა. საქმე გვაქვს უკიდურესად გამწვავებული ფორმით გამოხატულ სოციალურ პროტესტთან. „იქ“ ადამიანებს არ სჯერათ მომავლის, ცხოვრება მათთვის - მოვლენათა ალოგიკური ჯაჭვია. სულიერი მარტოობა — მთავარი მტერი. მოვლენას ჩვეულებრივი, საუკუნეებით მოსალოდნელი საქციელის ნაცნობი ლოგიკით ნაცვლად სრულიად ალოგიკური, აბსურდული შედეგი მოსდევს. ამას, მართალია, კომიკური ფორმა აქვს, მაგრამ ტრაგიკულ თვითშეგრძნებას ბადებს. დააკვირდით, ჩეხოვთანაც არის ამის ელემენტები, მაგრამ რეალისტურ საფუძველზე („ტიპური ტიპურ გარემოში“).

მოდით, ეს პრობლემა ანეკდოტით ავხსნათ. მოსკოვი - სანკტ-პეტერბურგის მატარებლის კუპეში სხედან თეთრწვერა მოხუცი, ხანში შესული ქალბატონი და ახალგაზრდა ქალ-ვაჟი.

სადგურებიდან გასვლის რამდენიმე ხნის შემდეგ თეთრწვერა მოხუცი ალებს ფანჯარას, ჯიბიდან იღებს პატარა კოლოფს, ეშმაკური ღიმილით ხსნის თავსახურს, ორი თითით თეთრი ფხვნილის ფინცქას ყრის ფანჯარაში, კვლავ ეშმაკურად იღიმება, კოლოფს ჯიბეში აბრუნებს და დინჯად ხურავს ფანჯარას. მგ ზავრების ერთმანეთს გადახედავენ. ხმას არავინ იღებს, თითქოს ის, რაც მოხუცმა გააკეთა, მგ ზავრობის აუცილებელი რიტუალი იყოს.

სიჩუმეს არავინ არღვევს. რამდენიმე ხნის მერე მოხუცი ისევ ალებს ფანჯარას, მომლიმარი სახით კვლავ ახდის სახურავს რკინის კოლოფს, ყრის ფანჯარაში ფხვნილს, ხურავს ფანჯარას და უბრუნდება თავის ადგილს.

ეს რიტუალი რამდენჯერმე მეორდება. საბოლოოდ ახალგაზრდა ვაჟი ველარ უძლებს ცდუნებას და ეკითხება მოხუცს: — მაპატიეთ, მაგ ფხვნილს რა ჰქვია?

მოხუცი ღიმილით პასუხობს: — ამ ფხვნილის სახელია „გადამრჩენი“ — და კვლავ, უკვე მერამდენედ იმეორებს მთელ რიტუალს.

აღვლევებული ქალბატონი კითხულობს: — ისიც გვითხარით, რისგან უნდა გადაგვარჩინოს მაგ ფხვნილმა? — ვეფხვების შემოსევისგან...

— კი მაგრამ მოსკოვსა და პეტერბურგს შორის ვეფხვები არ არიან! — მერე რა, ფხვნილიც არ არის ნამდვილი — პასუხობს მოხუცი.

ახლა შევეცადოთ და ამ ანეკდოტის დადგმის რამდენიმე ვარიანტი განვიხილოთ. **ვლადიმერ გალაშინი** — საერთოდ, რა საჭიროა ამ ანეკდოტის დადგმა?

გ. ტოვსტრონოგოვი — გაანჩნა, როგორ დადგამთ. თუ თქვენ ამ ანეკდოტით რაიმე მნიშვნელოვანი უნდა უთხროთ საზოგადოებას, მაშინ გაქვთ უფლება იფიქროთ მის დადგმაზე. გავუწიოთ ანგარიში იმასაც, რომ მე ეს მაგალითი იმიტომ მომყავს, რომ გაზვიადებული ფორმით უფრო ნათლად გამოგვჩვენოთ მოვლენის არსი.

მამ ასე. მატარებელი გარკვეული, დადგენილი მარშრუტით მიდის. ის ვერც მარჯვნივ გადაუხვევს და ვერც - მარცხნივ. **სანდრო მრეველიძე** — თუ ვინმემ ლიანდაგი არ აყარა... 3. Г. Бояджиев. „Театральный Париж сегодня.“ Москва, 1960.

გ. ტოვსტონოგოვი — სანდრო, ასეთ შემთხვევაში ჩვენ სხვა სიუჟეტთან, სხვა ანეკდოტთან გვექნება საქმე. ჩემი ანეკდოტის მოცემული პირობები არ ითვალისწინებს კატასტროფას.

განვაზოგადოთ. მატარებელი — ცხოვრების მატარებელია, რომელიც ბოლო სადგურისკენ მიექანება. მატარებელი სავსეა მგზავრებით. თითოეულ მათგანს თავისი მიზანი აქვს, თავისი ცხოვრება, აუცილებლობა იმისა, თუ რატომ ზის ის ამ მარშრუტით მიმავალ მატარებელში. მათ საერთო არაფერი აქვთ, გარდა იმისა, რომ 10 თუ 12 საათის განმავლობაში ერთ სივრცეში არიან.

მგზავრებიდან ჩვენ ოთხი მგზავრი ავირჩიეთ — ერთი კუპე. თითოეული მათგანი ამ კუპეში თავისმა ინდივიდუალურმა ბედმა მიიყვანა — ისინი პეტერბურგში თავიანთი, გარკვეული მიზნების აღსასრულებლად მიდიან და ერთმანეთის გვერდი-გვერდ იძულებით, მაგრამ შემთხვევით აღმოჩნდებიან. განა ცხოვრება ასე არ გვახვედრებს ერთმანეთს? რითი დავინწყით?

მინიელ რეზნიკოვიჩი — ოთხივე მგზავრი გამოკვეთილი ინდივიდუალური თვისებებით გამოვარჩიოთ. ფიზიკურად ავამოქმედოთ.

რეზნიკოვიჩის ამ შემოთავაზებას აქტიურად ვეხმაურებით:

— მოხუცი ქალბატონი სამგზავრო ჩანთიდან ფლოსტებს იღებს და იცვამს...

— ვაჟი ქალიშვილს ზედა საწოლის გაშლაში ეხმარება...

— ქალიშვილს ჩანთიდან ხალათი ამოაქვს და პირდაპირ, კაბაზე იცვამს...

გ. ტოვსტონოგოვი — თქვენ გინდათ ეს სრულიად განსხვავებული, უჩვეულო სიუჟეტი ჩვეულებრივი ხერხებით განასხეულოთ. მაგრამ არ დაგავინწყდეთ, რომ ჩვენ თამამის განსაკუთრებულ ნესებს უნდა მივაგნოთ. აბა, ვნახოთ და თითოეულ მგზავრს ერთი, მკაფიო მოქმედება შევუძღვიოთ, რომელსაც ის განუწყვეტილვ იმეორებს მატარებლის ბორბლების ერთფეროვანი რიტმის ქვეშ.

ჯგუფი კვლავ ახმაურდა.

— ქალიშვილი ჩულქებს იხდის და იცვამს, იხდის და იცვამს...

— ვაჟი ჩემოდანს აღებს და კეტავს ...

— მოხუცი ქალბატონი ფულს ითვლის და ისევ საფულეში დებს...

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

ს. მრეველიშვილი — გიორგი ალექსანდროვიჩ, მე სხვანაირად მგონია, შეიძლება ჩემი აზრი მოგახსენოთ?

გ. ტოვსტონოგოვი — თქვით!

ჩემთვის ეს ოთხი (უფრო სწორად-სამი, გარდა მოხუცი კაცისა) მგზავრი — **სამი გაყინული ნიღბია**. ისინი უფრო კარიკატურებს გვანან, დაახლოვებით ხერლუპ ბიდსტრუპის ან სტანისლავ ლენგრენის სტილში. რა თქმა უნდა, თითოეულს თავისი ცხოვრება აქვს და ეს მათ გარეგნობაზეც აისახება — კარიკატურული გავიადება ამის შესაძლებლობას გვაძლევს. წარმოვიდგინოთ — სხედან ეს პერსონაჟები, და მათ მაგალითზე, მთელი მატარებლის მგზავრები, გაყინული სახეებით და ცხოვრება მათ მიაქანებს გაურკვეველ მომავალში. არ იციან, თუ რა ელოდებათ მათ „საბოლოო სადგურზე“...

გ. ტოვსტონოგოვი — სანდრო, მე ხშირად გასაყვედურობთ მოდერნიზმისკენ ფორმალური მიდრეკილების გამო, მაგრამ ამ შემთხვევაში გეთანხმებით. ეტყობა, ბოიაჯივის ნიღმა თქვენზე შთაბეჭდილება მოახდინა და ქვეცნობიერმა სწორი გზა გიკარნახათ. მართლაც კარგი გადწყვეტაა. წარმოვიდგინოთ, რომ ამას კინემატოგრაფში (ლიმილით) ვაკეთებთ, ოღონდ იქ, კაპიტალიზმში. ეკრანზე მთელი მატარებელი „გადის“, ვაგონები მეოთხე კედლის გარეშე. და მატარებელი სავსეა გაყინულსახეებიანი მგზავრებით, რომელთა ჰიპერტროფულ გარეგნობაში, ისე, როგორც კარიკატურაში, მათი ცხოვრება და ხასიათი იკითხება.

დავბრუნდეთ კუპეში.

ოთხი მგზავრი გაყინული სახეებით მატარებლის სვლის რიტმში ირნევა.

ვადიმ გოლიკოვი — ბორბლების ხმა მონოტონურია...

იური აქსიონოვი — ისმის ლოკომოტივის საყვირის ხმა.

გ. ტოვსტონოგოვი — რომელიც უფრო დასაღუპად განწირულთა კვილს ჰგავს და ატმოსფერო შექმნილია. ეს მიზანსცენა მანამდე უნდა გაგრძელდეს, ვიდრე ის პროტესტის ზღვარზე არ მივა, მაყურებელში უნდა დაიბადოს კითხვა: „კეთილი, როდემდე?“ და თქვენ სწორედ ამ დროს გადაიხართ ახალ მიზანსცენაზე.

იური შიშკინი — რას ნიშნავს, გადავდივართ ახალ მიზანსცენაზე?

გ. ტოვსტონოგოვი — ამაზე შემდეგ გაკვეთილზე ვისაუბროთ და გავაგრძელოთ ანეკდოტის დადგმა.

გ. ტოვსტონოგოვი. ჩანახატი შესრულებულია 1961 წელს.

„მიზანსცენა“ — ფრანგული წარმოშობის სიტყვაა. მისი ზუსტი თარგმანი ნიშნავს „სცენაზე დადებულს“, „სცენაზე დადგმულს“. „მისე - დადგმულია, ენ - მდებარეობის აღმნიშვნელი ზედსართი და სცენა - სცენა. ერთის მხრივ, ეს ტერმინი გამოხატავს არსს, მეორეს მხრივ კი, ბევრ თეატრალურ მოღვაწეს აზნევს. აზნევს იმიტომ, რომ ხშირად „მიზანსცენის“ ქვეშ გულისხმობენ სივრცეში ცოცხალ კომპოზიციას, განსაზღვრავენ რა მას მხოლოდ სივრცობრივი ნიშნით. ხშირად ამბობენ, რომ მიზანსცენა ეს „სივრცეში ფიგურების განლაგებაა“. ეს არ არის სწორი.

სინამდვილეში მიზანსცენა არა მარტო სივრცეში, არამედ უსათუოდ დროშიც უნდა არსებობდეს. ამიტომ უფრო სწორია, თუ ვიტყვით, რომ მიზანსცენა „ფიგურების დროსა და სივრცეში განლაგებაა“. მიზანსცენა იწყება და მთავრდება და სცენური მონაკვეთის შიგნით უწყვეტ მოძრაობას

გულისხმობს. მიზანსცენა მუდმივად იცვლება, ვითარდება, დინამიურია და არ არის სტატიური, რაც დამახასიათებელია სივრცობრივი კომპოზიციისთვის.

მიზანსცენა არის მოცემული სცენის გადანყვეტის პლასტიკური ხორცშესხმა, ფიგურების თანაფარდობისა და მათი კომპოზიციების ცვალებადობა, რაც განისაზღვრება თავად სცენის, მონაკვეთის შინაარსით.

სმირად, გადაიღებენ რა ფოტოფირზე სპექტაკლის რომელიმე მომენტს, მას მიზანსცენას უწოდებენ. ეს არ არის სწორი, რადგანაც ფოტოაპარატის ობიექტივი მიზანსცენის განვითარების მხოლოდ ერთ წამს, ერთ ეტაპს აფიქსირებს, იკარგება დროის ფაქტორი. შედეგად ვიღებთ ფირზე დაფიქსირებულ პლასტიკურ კომპოზიციას, რომელიც მხოლოდ ერთი ნაწილი, ერთი ეტაპია მიზანსცენის განვითარებაში.

როდესაც რეჟისორი იწყებს სპექტაკლზე მუშაობას, მან, შესაძლოა, არ იცოდეს, როგორი იქნება პლასტიკური ნახაზი, მაგრამ სცენების რეჟისორულ გადანყვეტაში მიზანსცენების განსაზღვრა აუცილებელია, რადგანაც ჩვენი ხელოვნება დროსა და სივრცეში არსებობს.

მიზანსცენა მძლავრი იარაღია რეჟისორის ხელში.

თუ სცენის გადანყვეტა მონაკვეთის შინაგანი არსის გამოხატვაა, ნათელია მიზანსცენის დამოკიდებულება მოცემული ავტორის, მოცემული პიესის გრძნობათა ბუნებასთან.

მხატვრულ საშუალებათა მინიმუმით უნდა მიაღწიოთ მიზანსცენის მაქსიმალურ გამომსახველობას.

„გაამართლოთ“ მიზანსცენა — ნიშნავს იპოვოთ პიესის ქმედით ანალიზში ამ მიზანსცენის აღმოცენების საფუძველი.

მაყურებლის ყურადღება ყოველთვის ერთ ობიექტზე ფიქსირდება. სპექტაკლის დასაწყისში სცენაზე ჩნდება უხილავი ბურთი. მოქმედი პირები ამ ბურთს ერთმანეთს უგზავნიან. მაყურებლის ყურადღება სწორედ იმ პერსონაჟისკენაა მიმართული, რომლის ხელშიც ეს ბურთი აღმოჩნდება. ეს განუწყვეტელი „ბურთის ფრენა“ უნდა იყოს დინამიური, ორგანიზებული და ემოციური. ეს, რა თქმა უნდა, მეტაფორაა. მიზანსცენის საშუალებით ჩვენ ყოველწუთიერთად მივმართავთ მაყურებლის ყურადღებას ჩვენთვის საჭირო ობიექტზე, იქნება ეს დედოფალ ჰერტრუდას ხელი, როდესაც ის „ჰამლეტის“ ფინალურ სცენაში სახანძრავით სავსე ფიალას დასწვდება, თუ მონამლული დაშნა ლაერტის ხელში. როდის დაინახავს ჰამლეტი, რომ დაშნა მონამლულია? როგორ განალაგებთ თქვენ ამ მომენტისთვის ფიგურებს სივრცეში? როგორ მიხვალთ ამ წამამდე და როგორ გააგრძელებთ შემდეგ? ორთაბრძოლა ჰამლეტსა და ლაერტს შორის — ერთი მიზანსცენაა, რომელიც იწყება, ვითარდება და მთავრდება, რის შემდეგაც ახალი მიზანსცენა იწყება. როგორი სისწრაფით დაფრინავს „ყურადღების ბურთი“ სცენაზე?

შესაძლოა, მიზანსცენა თავისთავად ლამაზი კომპოზიციებისგან შედგებოდეს, მაგრამ აკლდეს შინაგანი დაძაბულობა. ასეთი მიზანსცენას, რა თქმა უნდა, აკლია მხატვრულობა. მიზანსცენა არ უნდა იყოს ე.წ. „ცოცხალი სურათების“ მონაცვლეობა, თუნდაც ეს სურათები ძალზე ლამაზად იყოს „დახატული“. მიზანსცენა უნდა აღვიქვათ მუდმივ მოძრაობაში, მოქმედებაში და არა სტატიური, თუნდაც ლამაზად დაფიქსირებული სურათებით.

რა თქმა უნდა, მიზანსცენა დაკავშირებულია მთლიანად, სპექტაკლის სახვით მხარესთან, საერთო გადანყვეტასთან. შეიძლება ვთქვათ, რომ სპექტაკლი — ერთი დიდი, მთლიანი მიზანსცენაა.

რაც უფრო დახვეწილია რეჟისორის გემოვნება, რაც უფრო კარგად იცნობს ის სახვითი ხელოვნების ისტორიას, ბუნებრივია, ის უფრო გამომსახველად გაძლის დროსა და სივრცეში მოქმედებას, განალაგებს სცენაზე ადამიანებს, მთავარ და მეორეხარისხოვან გმირებს. მაგრამ არამც და არამც არ უნდა გაგვიტაცოს გარეგნულმა ეფექტებმა. მიზანსცენის განვითარება უნდა განაპირობოს შინაგანი დაძაბულობის ხარისხმა, რიტმმა.⁴

გავაგრძელოთ ანეკდოტსა და აბსურდის თეატრზე საუბარი. ესე იგი, ჩვენს განკარგულებაშია ვაგონის კუპე და ოთხი მგზავრი.

მგზავრები გაყინული სახეებით მატარებლის სვლის რიტმში ირწვეიან.

ლოკომოტივის საყვირი განწირულად კივის.

ეს პირველი მონაკვეთია, რომელიც უსაშველოდ დიდხანს გრძელდება. უძრაობა შინაგანად დაძაბვს რიტმს და ტრაგიკულობის შეგრძნებას ბადებს.

და სწორედ იმ დროს, როდესაც უძრაობა აუტანელი ხდება, მოხუცი იწყებს მოძრაობას. იწყება ახალი მიზანსცენა.

ვ. გოლიკოვი — მთელი სისწრაფით მოძრავ მატარებელში მოძრაობა ძნელია...

გ. ტოვსტონოგოვი — გმადლობთ, რომ დამეხმარეთ. გამოვიყენოთ ეს გარემოება.

პირველ რიგში დავანანევროთ ფიზიკური მოქმედება: მოხუცი უნდა ადგეს, გააღოს ფანჯარა, ამოიღოს ჯიბიდან პატარა კოლოფი, ახალოს მას სახურავი, აიღოს ერთი ფინცქვი ფხვნილი, გადაყაროს ფანჯრიდან, დახუროს, დახუროს და ჯიბეში ჩაიღოს კოლოფი, დახუროს ფანჯარა და კვლავ დაუბრუნდეს თავის ადგილს. რა თქმა უნდა, ყველაფერ ამის გაკეთება ძნელია მიმავალ მატარებელში. გამოვიყენოთ ეს გარემოება ჩვენს სასარგებლოდ.

საერთოდ, რეჟისორი, რომელიც ფლობს პროფესიას, ყოველთვის ცდილობს წინააღმდეგობა

4/ „მიზანსცენის“ ტოვსტონოგოვისეული გაგება განსხვავდება ამ თეატრალური ტერმინის გავრცელებულ ინტერპრეტაციისგან, და უფრო ღრმად, ვიდრე თუნდაც „Театральная энциклопедия“-შია ახსნილი: „мизансцена“ - расположение актёров на сцене в определённых сочетаниях друг с другом и с окружающей вещественной средой в тот или иной момент спектакля“ და ა.შ. „Театральная энциклопедия“, ტომი III, მოსკოვი 1964.

ნიშნით, — “შემოაბრუნოს ნიშნით „+“. კი არ გაექცეს სირთულეს, არამედ პირიქით, შეეცადოს სირთულეში დადებითი მხარე აღმოაჩინოს. ავიღოთ კლასიკური მაგალითი: მექსპირის პიესებში ხშირად იცვლება მოქმედების ადგილი. ზოგი რეჟისორი თავს იმტვრევს იმაზე, თუ როგორ შეამციროს სურათების რაოდენობა, ათას ტექნიკურ ხრიკს იგონებს, რომ როგორმე სწრაფად შეცვალოს ერთი სურათის მძიმე დეკორაცია მეორე სურათის ასევე მძიმე დეკორაციით. მაგრამ მექსპირს „გლობუსში“ ეს პრობლემა არ აღელვებდა. მისთვის მთავარი იყო შინაგანი რიტმი, მოვლენათა თავბრუდამხვევი სიჩქარით ცვალებადობა, რაც დეკორაციის ცვლაში კი არ აისახება, არამედ მოქმედ პირთა მოქმედებაში. ამიტომ ადგილის ხშირი ცვალებადობა მექსპირის დრამატურგიის ორგანული თვისებაა და არა თავსატეხი - რეჟისორისთვის. რეჟისორმა მხატვართან ერთად უნდა მიაგნოს პირობითობის იმ ზომას, რომელიც უზრუნველყოფს მსახიობის უპირობო მოქმედებას ძალზე პირობით გარემოში. ეს ზოგადად.

ახლა მივუბრუნდეთ მატარებელსა და კუბეს. მოხუც კაცს უჭირს დიდი სიჩქარით მოძრავ მატარებელში ფიზიკური მოქმედება. მაგრამ, თანახმად სიუჟეტისა, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ, მან უსათუოდ უნდა იმოქმედოს. ხაზი გავუსვავთ იმასაც, რომ მისი ეს მოქმედება ამ კონკრეტული ამბის ძირითადი მოვლენაა.

და სწორედ აქ, გარემოება, რომ მას უჭირს მოძრავ მატარებელში ფეხზე ადგომა, ფანჯრის ჩამოშვება და ა.შ. გავართულოთ და „გამოვიყენოთ“ ჩვენს სასარგებლოდ.

მოხუცი ექვს დასაყრდენს, რომ აღდგეს. იპოვა. დავუშვათ, ეს მაგიდაა. დაეყრდნო მას. ადგა. და სწორედ ამ დროს ჩვენ დამატებითი წინააღმდეგობა უნდა შევქმნათ: მატარებელმა დაამუხრუჭა. მოხუცი ნაბარბაცდა. დანარჩენები ეხმარებიან წონასწორობის შენარჩუნებაში. ამის შემდეგ მოხუცი პირველად ასრულებს „ფხვნილის რიტუალს“.

პირველი მიზანსცენა — „მგზავრები მიმავალ მატარებელში“ შეიცვალა მეორე მიზანსცენით — „ფხვნილის რიტუალი პირველი“.

რა თქმა უნდა, მიზანსცენის ცვალებადობა უშუალოდაა დაკავშირებული სცენურ მოვლენათა ცვალებადობასთან, რიტმთან, გამჭოლ მოქმედებასთან, მონაკვეთის მიხაარსსა და მთლიან კომპოზიციასთან.

ჩვენ შეგვიძლია გავაგრძელოთ ამ ანეკდოტის მიზანსცენების „განშლა“. უმჯობესია, გამომსახველი მიზანსცენები უშუალოდ რეპეტიციების დროს ვეძებოთ ფიზიკურად მოქმედ მსახიობებთან ერთად. ცოცხალი პროცესი უფრო სახიერ და ხშირად სრულიად მოულოდნელ მიზანსცენას გვკარნახობს.

დავუბრუნდეთ „აბსურდის თეატრზე“ საუბარს. ანეკდოტი „ფხვნილის შესახებ“ აგებულია მასში მოქმედი ადამიანების სიბრიყვეზე. მაგრამ თუ ჩვენ შევძლებთ და ამ „სიბრიყვეს“ სოციალური შინაარსით დავტვირთავთ, ანეკდოტი ფარსად გადაიქცევა, რომელიც ტრაგიკულის საზღვარზეა. მხატვრული ფორმით ნარმოჩინდება სოციალური სისტემის ტრაგიკული არსი.

რის ხარჯზე უნდა მოხდეს ეს? ალოგიკურ სიუჟეტში ზედმიწევნითი ლოგიკით დამუშავებული ფიზიკური მოქმედებით, ამ მოქმედების აბსოლუტური ფსიქოლოგიური გამართლებით.

მოხუცი ბოლომდე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი მოქმედება — აუცილებლობაა. მოსკოვსა და პეტერბურგს შორის რომ მართლა თავისუფლად სეირნობდნენ ვეფხვები, ფხვნილი რომ ნამდვილი იყოს და მართლა რომ იცავდეს ადამიანებს მტაცებლებისგან, მოხუცის როლის შემსრულებელი მსახიობი იმოქმედებდა, როგორც ექიმი იბსენის პიესაში „ხალხის მტერი“. მაგრამ ამ ანეკდოტში მსახიობმა უნდა იმოქმედოს ჰიპერტროფული დეტალიზაციით. სწორედ კონტრასტი ალოგიკურ სიუჟეტსა და ამ, ერთი შეხედვით, სისულელის მთელი სერიოზულობით გათამამებას შორის ქმნის ტრაგიკულობის შეგრძნებას, რასაც „აბსურდის თეატრის“ ავტორების შემოქმედება სოციალური პროტესტის სიმალლეზე აჰყავს და სერიოზული მხატვრული მოვლენის რანგს ანიჭებს.

ხელოვნებაში ხელალებით უარყოფა, კატეგორიული მიუღებლობა ძალზე ადვილია. გაცილებით უფრო ძნელია წვდომა და შინაგან კანონზომიერებათა ამოცნობა. განსაჯეთ ხელოვანი იმ კანონებით, რომელთაც ის თვითონ ირჩევს.



ირაკლი სამსონაძე

ინდაუტის კვტცხი – 2

პიესების ციკლიდან „თეატრალური ზღაპრები“

მოქმედი პირნი:

1. *სერ ოლივერ ტემპლტონი* – ძალიან ჯიშინი ლორდი
2. *ჯულია აბრაამსი - ტემპლტონისა* – სერ ოლივერის ამერიკელი მეუღლე
3. *მაბუბო* – სერ ოლივერის მეგზური აფრიკაში
4. *ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი* – რუსი ოლიგარქი
5. *დარია მიხაილოვნა* – ვლადიმერ ვლადიმეროვიჩის ძალი
6. *ვაიოზ ალგეთელი* – მგელი კავკასიიდან
7. *ინდიკო* – ინდაური, ასე ვთქვათ

აგრეთვე ძუ და ხვადი მგლები უცნაური აეროპორტიდან.

სურათი პირველი: აქვს ამბავი სერ ოლივერსა და ვლადიმერ ვლადიმეროვიჩს შორის დადებული სანაძლეოსი.

აფრიკის სავანა. სერ ოლივერის სადგომი: კარავი, მაგიდა, გასაშლელი სკამი, მოშორებით ბორბლებზე შემდგარი, მტაცებლებისთვის განკუთვნილი მახე (ფიცრებისგან შეკრული ერთგვარი სათაგური, სადაც სატყუარას დაუბამენ ხოლმე მტაცებელს).

სერ ოლივერი პირს იპარსავს, მაბუბო ლომს ატყავებს.

სერ ოლივერი – თუნდაც სანაძლეოს ჩამოვალ, ჩემო უტყვო მაბუბო, ჩვენს მეზობლად დაბნაკებული რუსი ოლიგარქი დაიჩემებს, ამ ლომზე დიდი ლომი მომიკლავსო!

მაბუბო – ხა, ხა, ხა!

სერ ოლივერი – თუმცა, ის მტაცებელი უფრო მალეღვებს, ახლახანს რომ შემოეჩვია სავანას... არც ერთ სატყუარას არ გაეკარა... უემმაკესი ნადირია, უფრთხილესი, უუ... (დაფიქრდება). შენ როგორ ფიქრობ, ვისთან გვაქვს საქმე?!

(მაბუბო ხელებს გაშლის).

სერ ოლივერი – საქმეც მაგამია, არ ვიცით! (პაუზის შემდეგ, ჩალიმებით) მაგრამ თუნდაც სანაძლეოს ჩამოვალ, ჩვენი მეზობელი დაიჩემებს, მე ვიცით! .. ოჰ, ეს ახალი რუსები, ძველი მენტალობით, მაბუბო!

მაბუბო – ჰმ!

სერ ოლივერი – სწორედაც, - ჰმ!

(გამოჩნდება ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი).

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – გაუმარჯოს კაპიტალისტ-ლიბერალებს!

სერ ოლივერი – ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი!.. ცნობისთვის მოგახსენებთ, ჩემი გვარი უკვე თორმეტი თაობაა ლორდის ტიტულს ატარებს!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – ნუ შემომწყრებით, სერ ოლივერ; ვიცი, რომ ერთობ ჯიშინი ბრძანდებით, გაგეხუმრეთ უბრალოდ, ისე, შინაურულად, ჩვენებურად, „მუჟიკურად“ ანუ!.. (მაბუბოს მიუახლოვდება) დახე, დახე, რამხელა ლომი გაგიგორებიათ, ეგ ძუკნა, ეგა!..

სერ ოლივერი – დააკვირდით ფაფარს, გეთაყვა! რა შუაშია ძუკნა?!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – ხვადია, ვხედავ, ზორბა ხვადიც, შეიძლება ითქვას, მაგრამ ძუკნას

სიყვარულით ვამბობ ხოლმე! (პაუზის შემდეგ) თუმცა, მე რომ ლომი გავაგორე, ამაზე ზორბა იყო, მერწმუნეთ!

სერ ოლივერი (მაბუბოს გადმოხედვას) – ხომ გამოვიცანი, მაბუბო!

მაბუბო – ხი, ხი, ხი!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – მავრს რა აცინებს?! რა, არ გჯერათ?! დარია მიხაილოვნას დავეკითხოთ!

სერ ოლივერი – თქვენს ძაღლს?! ძაღლი პატრონს დაემონწმება, ბუნებრივია!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – ძაღლიო?! ძაღლი კი არა, დარია მიხაილოვნა ჩემი თვალის ჩინია, ჩემი სიცოცხლე, ჩემი... რამდენი ჯიში შევაჯვარე, ასეთი რომ გამოსულიყო... დარია მიხაილოვნა, შემოდი და თანაც კუდი გაგვიქიციანე!

(ტაატით შემოდის დარია მიხაილოვნა, გაივლის, შეყოვნდება, კუდს გაიქნევს)

მაბუბო – ოოხხ!!!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – რაო, მავრო, ენა გადაყლაპე!!! (ეცინება).

სერ ოლივერი – ცნობისთვის მოგახსენებთ, მაბუბო ლომმა შეაშინა და მას მერე დუმს!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – ჰოდა, ნუ ხვიხვინებს, როცა არ იცის! დარია მიხაილოვნა, ერთი კარგად დააკვირდი, განა ჩემგან მოკლული ლომი ამ ლომზე დიდი არ იყო?

დარია მიხაილოვნა – არც კი შევადარებდი, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი! კიდე გავაქიციანო კუდი?!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – გააქიციანე, რადგან ასე გსურს, შე ძუკნავ, შენა!..

(დარია მიხაილოვნა კუდს გააქიციანებს).

მაბუბო – ...აახხ!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი (ეცინება) – გეყოფა, დარიუშა, თორემ გაფითრდა მაბუბო!

(დარია მიხაილოვნა ჩამოჯდება, თათებს კალთაზე დაიწყობს)

სერ ოლივერი (ნიშნისმოგებით) – ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი, შემთხვევით, იმ მტაცებლის ვინაობაც ხომ არ იცით, სავანას რომ შემოეჩვიას?!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – თქვენც მიაქციეთ ყურადღება, არა?! ტყუილს ვერ ვიტყვი, ეგ არ ვიცი... ეშმაკია წყეული მახეში ყველაზე ნასუქი ზაქი დავუბი, მაინც ვერ ვაცდუნე!

სერ ოლივერი (ირონიით) – უცნაურია! მეგონა, იცოდით!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი (იგრძნო გამონვება) – მე მხოლოდ ის ვიცი, სერ ოლივერ, რომ თქვენზე ადრე მოვინადირებ მას! დიახ, ეს კი მყარად ვიცი!

სერ ოლივერი – გესმის, მაბუბო!

მაბუბო – ოხ, ოხ, ოხ!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – მავრი გამიჩუმეთ, ნერვებს მიშლის!

(კარვიდან ჯულია გამორგავს თავს).

ჯულია – იქნებ, თქვენც უშლით ვინმეს ნერვებს, არ დაფიქრებულხართ ამაზე, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – შეხე, შეხე, ეს ამერიკელი ძუკ...

სერ ოლივერი (ანწყვეტინებს, მუქარით) – არ დაგავინყდეთ, გეთაყვა, ჯულია ჩემი მეუღლეა, ხოლო მე ორმოცდაათ ნაბიჯშიც არ ვაცდენ მიზანს!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – გვემუქრებიან კიდეც!.. არა, არა, აქ შინაურულად ვერ ვიმაას-ლაათებთ; ნავიდეთ, დარიუშა, უცნობ მტაცებელს ახალი სატყუარა გაეუმართოთ...

ჯულია – რაც შეეხება იმ ინკოგნიტო მხეცს, მგონი, ვიცი ვინცაა.

სერ ოლივერი – იცი?! საიდან იცი, ჯული, ძვირფასო?!

ჯულია – მონადირის ენციკლოპედიიდან, ოლივერ! (წიგნს გადაუშლის) აბა, დააკვირდი ნაკვალევს, არ გეცნობა?!

სერ ოლივერი – ღმერთო ჩემო, სწორედ ისაა! აი, რას ნიშნავს ამერიკული პრაქტიციზმი, არც კი გამხსენებია მონადირის ენციკლოპედიას!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – თქვით, ბოლოს და ბოლოს, ვინაა! რა, ბენგალური ვეფხვია თუ პუმა პანამის მთიანეთიდან?!

ჯულია – თქვენ წარმოიდგინეთ, მხოლოდ და მხოლოდ მგელი, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – მგელიო?! თფუი, რაც მე მგლები გამიჭუჭუავს ციმბირის ტყეებში... მგელი რა ბედენაა?!

ჯულია – დიახ, მგელი! ოღონდ აქ ერთი ნიუანსია... ეს მგელი კავკასიიდან გახლავთ!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – კავკასიიდანო? სწორედ მომესმა?! მგელი კავკასიიდან?!

სერ ოლივერი – აფრიკამი?! სრულიად წარმოუდგენელია, ჯული! აქ როგორ მოხვდა?!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – აი, რა შედეგი მოაქვს საზღვრების უკონტროლობას და კედლების ნგრევას!

სერ ოლივერი – მე რა შუაში ვარ, რა ჯიქურ მომადექით, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – ყველა შუაში ხართ, ყველა! ყველას ეს გსურდათ, თქვენს გულში

ჩაიხედეთ!

სერ ოლივერი – მამბუბო, რა უნდა ამ კაცს ჩემგან, ხომ ვერ ამიხსნი, თუმცა, რას ამიხსნი, როცა უტყვი ხარ!

მამბუბო – ეებს!..

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – მგელი კავკასიიდანო!!! ჩემი წერა უნდა გახდეს ეგ ნადირი! ბოლოს და ბოლოს ღირსების საკითხია!

ჯულია – მგონი, ეს ჩვენი ღირსების საკითხიცაა, არა, ოლივერ?!

სერ ოლივერი (ცოტა შეშინებულია მეზობლის ასეთი აღტკინებით) – უთუოდ, ჯულია! რა დაემართა, რატომ განიცდის ასე?

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – და თქვენ კითხულობთ, რატომ განვიცდი ასე?! ახლა, ამ წუთას, თქვენმა ძვირფასმა მეუღლემ ისეთი რამ თქვა, ისე პირდაპირ და დაუფარავად შემოვიდა ჩემთან ინტერესთა კონფლიქტში, ასე ვთქვათ...

სერ ოლივერი – თავი დაანებეთ ჩემს მეუღლეს, თუ შეიძლება! ჩემთან ილაპარაკეთ!

ჯულია – ყოჩაღ, ოლივერ!

სერ ოლივერი (ნასიამოვნები) – დიახ, მე არ დავუშვებ! თუ ეს მონადირის სპორტული ჟინია, კი ბატონო, თუნდ სანაძლეოს ჩამოვალ, რომ...

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – ნავთობის ჭაბურღილი!

სერ ოლივერი (დაბნეული) – ჭაბურღილი? რა შუაშია ნავთობის ჭაბურღილი?!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – სანაძლეოში ნავთობის ერთ ჭაბურღილს ჩემოვდივარ, რომ სწორედ მე მოვინადირებ იმ ვერანას, იმ გაიძვერას, იმ, იმ, ძუკნას, იმას...

სერ ოლივერი – ჭაბურღილის რა მოგახსენოთ, მაგრამ მამულებს ვფლობ... სად ვფლობ მამულებს?! ხო, ლონდონის მახლობლად, უელსსა და შოტლანდიაშიც, და თანაც, ყველას კომპიუტერით, ცნობისთვის გეტყვით... .

ჯულია – ავსტრალიაშიც!

სერ ოლივერი – ნუ, იქ კომპის გარეშე, ამას არც ვთვლი...

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – მაშ, თქვენი ერთ-ერთი მამული ჩემი ჭაბურღილის სანაცვლოდ, განყოფილება?

ჯულია – ჭაბურღილის წარმადობა?

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – სადღაც, ასე, ორი ათას ბარელამდე...

დარია მიხაილოვანა – ორი ათას ორას ოცდასამი ბარელი დღეში, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩ, რაც თვეში შეადგენს... . ახლავე გეტყვით... (ანგარიშობს)

ჯულია – ტყუილად ირჯებით, ცოტაა!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – ცოტაა?! ოხ, ეს ამერიკელები თავისი ანგარიშიანი, წვრილბურ-ჟუაზიული ბუნებით! სამი ჭაბურღილი იყოს!

ჯულია – ოთხი!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – ხუთ ჭაბურღილს ჩამოვდივარ, ახლა რაღას იტყვით?! აკი განვაცხადე, იმ მგლის მონადირება ჩემთვის ღირსების საკითხია! განყოფილება თუ არა?!

ჯულია – კეთილი, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩ, ვნახოთ ვინ ვის!!!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – ვნახოთ!!! ნავიდეო, დარიუშა, აქ აღარაფერი გვესაქმება!

(დარია მიხაილოვანა პატრონს გაჰყვება, გასვლისას კუდს გააქიცინებს)

მამბუბო – ააჰჰჰ!!!

სერ ოლივერი – მეტი სერიოზულობა, მამბუბო! შეიძლება ითქვას, ახლა მე, ჩემი გვარისთვის ისტორიული მნიშვნელობის სანაძლეო დავდე!

მამბუბო (უმწეოდ გაშლის ხელებს) – იფ, იფ, იფ!

ჯულია – უსაქმოდ ვცდებით... მამბუბო, ნადი, ნასუქი თხა შეიძინე სოფელში, მე და ოლივერი იმაზე დავფიქრდებით, როგორ შემოვიტყუოთ მგელი... ეხუმრები ამხელა ქონებას?!

სერ ოლივერი – და რაც მთავარია, ინგლისელი ლორდის ღირსებას, ჯულია!

ჯულია – ჰო, მაგასაც, მაგრამ... (პაუზის შემდეგ) ადრენალინის მოზღვავებასაც ვგრძნობ, როცა ასეთ რისკიან გადაწყვეტილებას ვიღებ ხოლმე... ნავიდეო, ოლივერ, კარავში, იქ დავფიქრდეთ!

სერ ოლივერი (მიუხვდა გადაკვრით ნათქვამს) – კარავში? ჰმ... მაცდური წინადადებაა... ნადი, მამბუბო, სოფელში ნადი, მე და ჯულია უნდა დავფიქრდეთ...

(მამბუბო მიდის)

ჯულია – ოჰ, ოლივერ, როგორ მინდა ხუთი ჭაბურღილის მფლობელი ვიყო! ისე ძალიან მინდა, ოლივერ, ჩვენი ენერგოდამოუკიდებლობა, რომ სულ ვინვი ახლა, ოლივერ, მე ვინვი, ვინვი, ცეცხლ-მოღებულ ტურბინით ვინვი, ოლივერ!

(გამოიქცევა, გამონვდილ მკლავებში ჩაუხტება ქმარს)

ოლივერი (ხმაურთან ნერწყვს გადაყლაპავს) – მეც მინდა, ჯულია, ისე მინდა!

ჯულია – რა, რა გინდა, ჩქარა მითხარი, თორემ ჩანაცრდა ტურბინა! ინვის! რა გინდა, რა?!

ოლივერი – მფლობელი ვიყო...

(სერ ოლივერი კარავში შეიყვანს ჯულიას)

სურათი მეორე: აქა ამბავი იმისა, თუ რა ხერხს მიმართა ვლადიმერ ვლადიმეროვიჩმა. ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი ბოლთას სცემს. მათარიდან არაყს მოსვამს, გააჟურიალებს, შემდეგ ხაფი ხმით შესძახებს:

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – დარია მიხაილოვნა, ჩემთან!!!

(გამოჩნდება დარია მიხაილოვნა).

დარია მიხაილოვნა – კუდი გავაქიციხო, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩ!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – დაჯექი!

(დარია მიხაილოვნა ემორჩილება პატრონს).

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი (პაუზის შემდეგ) – ეს გადანყვეტილება ჩემთვისაც არაა იოლი, დარიუშა, მენდე!

დარია მიხაილოვნა – გისმენთ, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩ!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – რამდენჯერ ვცადეთ მისი მახეში შემოტყუება, მაგრამ სულ ფუჭად, დარიუშა, ფუჭად, ფუჭად...

დარია მიხაილოვნა (ბეჯითი მდივანით) – დიახ, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩ!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – მონადირის გუმანი სხვა ხერხს მკარნახობს ახლა...

დარია მიხაილოვნა – ვცადოთ, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩ, მე მზად ვარ!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი (ჩაფიქრებული) – მზად ხარ?! (პაუზის შემდეგ) შენ ხარ ის ხერხი, შენ მჭირდება, დარიუშა, რათა კაპიტალისტ-ლიბერალები თავის საჯდომზე მოვსვა, მოვაჯინო, მოვასრიალო, თუ როგორცაა, ერთი სიტყვით...

დარია მიხაილოვნა – ისევ კვალს მივყვე, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩ?! არ მეზარება, მაგრამ ესეც ვცადეთ და...

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – და ესეც ფუჭად... ფუჭად... ვაგლახ, ჩემო დარიუშა, რომ შენ კი არ უნდა მიჰყვე მის კვალს, არამედ ის უნდა გამოიყვანო შენს კვალზე... (მომცრო საყურეს გადასცემს)

დარია მიხაილოვნა – მესმის, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩ, ესე იგი რაციით ვიმუშავო?

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – ჰო, დარიუშა, ჰო, სამშვენიესად მოირგე და... (ცრემლით ხმაში) სპეცფორმა არ დაგავინყდეს...

დარია მიხაილოვნა (კაბას აინევს) – აქამდე მიბრძანებთ, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩ?!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – უფრო, დარიუშა, უფრო დაამოკლე!

დარია მიხაილოვნა (ისევ აინევს კაბას) – ასე?

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი (ტანჯვით) – უფ-რო!..

დარია მიხაილოვნა – გასაგებია, დაახლოებით ასე, ალბათ?!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი (ამოიხვნეშებს, გულის დარდს ამოაყოლებს) – პიონერის ყელსახვევიც არ დაგავინყდეს, დარიუშა, მადისაღმძვრელ იერს განიჭებს... გაისეირნე სავანაში, თუკი მართლაც კავკასიელია, აუცილებლად აგეკიდება...

დარია მიხაილოვნა – კეთილი, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩ, მამ, წავალ!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი (ტანჯვით) – და კუდი... კუდი გამიქიცივნე გასვლისას, დარიუშა!

(დარია მიხაილოვნა პატრონის ნებას აღასრულებს)

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი (ტანჯვით, სიყვარულით) – შე ძუკნავ, შენა!.. (შემდეგ მათარიდან არაყს მოსვამს, გააჟურიალებს) ვინ, ვინ გაიგებს, რა ძვირი გვიჯდება ჩვენ, დიდი რუსეთის ჭეშმარიტ პატრიოტებს კაპიტალისტ-ლიბერალების თავის საჯდომზე მოსმა, მოჯენა, მოსრიალება, თუ როგორც ითქმება ხოლმე ეგ ოხერი... (არაყს მოსვამს, ამოიხვნეშებს, შემდეგ თითქოს თავს იმხნევებს) ნერვებს არ აჰყვე, ვოლოდია, არა, მტერსაც ეგ უნდა! (ჭოგრიტს მიიბჯენს თვალთან) უნდა ნავიდე, უფრო ახლოდან უნდა დავზვერო...

(მიდის, მზვერავების სიმღერას ნაიმღერებს, სცენიდან გავა)

სურათი მესამე: აქ ამბავი იმისა, თუ ვინ აამეტყველა უტყვი მამუბო.

(კარვიდან სერ ოლივერი გამორგავს თავს, ქეჩოზე ქალის ხელი მისწვდება)

სერ ოლივერი – ჯული, წყალი დამალევიწე!

ჯულიას ხმა – ცეცხლი, ცეცხლი, ოლივერ, მეც მომანოდე წყალი, ერთხელაც უნდა ჩავაქრო ცეცხლი!!!

სერ ოლივერი – ხო, ძვირფასო, სულ ერთი წუთით! (გაიმართება წელში, ღრმად ამოიხვნეშებს) ჰუჰ... (სკამზე გადაკიდებულ თასიან მათარას მიუახლოვდება. სევდიან მზერას კარვისკენ გააპარებს).

ჯულიას ხმა კარვიდან – ოლივერ, ცეცხლი მიკიდია! ოლივერ, წყალი!

სერ ოლივერი – ღმერთო, შენ მიშველე!.. მეთორმეტე თაობის ლორდი ვარ თუ მეხანძრე... (შემორბის აქლოშინებული მამუბო)

სერ ოლივერი – ოხ, მამუბო, როგორ გამეხარდა შენი დანახვა!

(მაბუბო მათარას გამოსტაცებს ხელიდან, სვამს)

სერ ოლივერი (გაკვირვებული) – რა დაგემართა, მაბუბო, ლომი ხომ არ მოგდევს?

(ჯულია თავს გამორგავს კარვიდან)

ჯულია – ოლივერ, ცეცხლი!

სერ ოლივერი – ჯულია, მაბუბო!!!

ჯულია (კარვიდან გამოვა) – მაბუბო?! და თხა?! სად არის თხა?! მაბუბო, ნადი, თხა მოიყვანე!

სერ ოლივერი – იყოს, იყოს, ეტყობა გზაში ლომს გადაეყარა, ნახე რა შფოთშია!

ჯულია – შფოთში მე ვარ, რადგან მაბუბომ თხა ვერ იყიდა, დრო კი გადის და მე ცეცხლი მიკიდია; აბა, მიპასუხე, მაბუბო, რატომ ვერ ვხედავ თხას... ნადი!

სერ ოლივერი – როგორ გიპასუხებს, ჯული, ის ხომ უტყვია, ჩვენი მაბუბო...

მაბუბო (მათარას შეეღვევა) – რა თხა, რის თხა, რომელი თხა, როცა მთელი აფრიკის მომავალი ბენჯე ჰკიდიან... ის მოდის, მოდის, ის აქ მოდის, იისს!!!

სერ ოლივერი – სასწაული თუ გინდა ესაა, ჯული! მაბუბო ამეტყველდა! გილოცავ, მაბუბო!

მაბუბო (ისევე მოსვამს წყალს, შემდეგ აღელვებით) – რას მილოცავთ, მისტერ ოლივერ, რა მაქვს მოსალოცი, როცა იისს მოდის! ერთხელ, ბავშვობაში ლომმა შემამინა და დავდუმდი, ახლა ის შემხვდა გზაში, შემამინა და ავლაპარაკდი, მაგრამ კვლავაც მუნჯად დარჩენილიყო მაბუბო, უკეთესი იქნებოდა აფრიკისთვის... ვაი, მაბუბოს, ვაი!

სერ ოლივერი – დააკვირდი, ჯული, რა კარგი გამოთქმა აქვს მაბუბოს!

ჯულია – გადასარევი, ოლივერ! მაგრამ ვინ მოდის, მაბუბო, ვინ შეგაშინა ასე?!

მაბუბო (შეპყრობილი სახით) – ინდიკო მიდის... იქიდან! ის როა, ზეზვა და მზია, ზეზვა და მზია... კავკასიიდან პირდაპირ აქ, აფრიკაში... ჩემი საბრალო სავანა... მაბუბოს უყვარს ფლორა და ფაუნა, მისის ჯული!.. ოო, სავანა...

სერ ოლივერი – ინდიკო? ეგ ზოტიკურად ჟღერს...

მაბუბო – ოო, ეგ ზოტიკურად ძლიერ, ძლიერ, მისტერ ოლივერ! ესეთი ნითელი ბიბილო, ესეთი ფრრ... ფრრ... გენგეგმა მანახა, ადამიანებო, სავანაში ცათამბჯენები უნდა ავაშენოო... ახალი ნიუ-იორკი უნდა ავაშენოო, აქაო, სავანაშიო... გესმით?! ჩემი საბრალო ლომები, აფთრები და გეპარდები!.. და ჩემი უსათნოესი ქურციკები და ყელმალაღი ჟირაფები და სალუქ-სალუქი ანტილოპები და ჩემი შავ-შავი კამეჩები და...

სერ ოლივერი – მაბუბო, ჩუ! ამ სისულელეების რატრატს, ჯულის თქმისა არ იყოს, მართლაც თხა მოგეყვანა, ის გიჯობდა, მაბუბო!..

მაბუბო – ჰმ... კიდევ თხაო! როგორ არ გესმით, მისტერ ოლივერ, საშვილიშვილოდ შემზარა ამ ვილაც ინდიკომ, სამარადჟამო ძრწოლვა მომგვარა და თქვენ კი თხაო?!

ჯულია – დამშვიდდით, დამშვიდდით! ვატყობ, თხა აღარ დაგვჭირდება!

სერ ოლივერი – აღარ დაგვჭირდება? რატომ, ჯული?

ჯულია – იმიტომ, ოლივერ, რომ კავკასიელ მგელს, სატყუარად კავკასიელ ინდაურს დავახვედრებთ!

სერ ოლივერი – ინდაურს, თანაც კავკასიელს, აქ, აფრიკაში საიდან გაგიჩენ, ჯული, აბა, დაფიქრდი, გენაცვალე!

ჯულია – აბა, შენ დაფიქრდი, ოლივერ, გენაცვალე, დაძაბე ცოტა გონება, აბა!..

სერ ოლივერი – დაფიქრდე?!

ჯულია – ჰო, დაფიქრდი!

სერ ოლივერი (ერთხანს დუმს) – დაფიქრდი... ააა!

ჯულია – რა, ააა?!

სერ ოლივერი – აა... (პაუზა) არაფერი...

ჯულია – მომიახლოვდი! (ჩასჩურჩულებს)

სერ ოლივერი (თვალგაფართოებული) – მართლა?! დაუჯერებელია!

ჯულია (თავს უქნევს) – უეჭველად!

მაბუბო – გამაგებინეთ, რა ხდება მაბუბოს თავს! ეშველება აფრიკას?!

ჯულია – ეშველება, მაბუბო! მხოლოდ მომიტანეთ ჩემი თავსართავი გრძელი, თეთრი შარფით... ხომ იცი, ოლივერ!

სერ ოლივერი – ააა ის როა! (კარავში შეაბიჯებს)

ჯულია – ჰო, ის! თეთრი შარფი ფატას მაგონებს, მე კი ამ ქუდში ამაყ პატარძალს ვგავარ... (თავსართავს მოირგებს) დისციპლინა დაიცავით, მე ვილაპარაკებ; აბა, ნავედით!!!

(წინ ჯულია მიდის, სერ ოლივერი და მაბუბო მას მიჰყვებიან, როგორც კი გავლენ ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი გამოჩნდება).

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – კაპიტალისტ-ლიბერალები ესენი, რა ქარაგმებით ლაპარაკობენ! თანაც ხშირ-ხშირად იმეორებენ ხოლმე – კავკასია, კავკასიაო! ვერ მოგართვით! (დაფიქრდება) ისე, მართლაც რა შუაში იყო ინდაური? გაუგებარი შიფრია... არა, არა, რაღაც ფარსავი ჩაიფიქრეს

ამკარად... მხედველობიდან არ უნდა დავკარგო... როგორ მაკლიხარ ახლა დარიუმა! ცუდი ვარ, ცუდი, პირდაპირ მგლის ხახაში გაგიშვი, მაგრამ რას იზამ, ეს ყოფილა მზვერავის ბედი... ეს, დარიუმა, დარიუმა, როდის გავიგებ შენს ხმას რაციიდან... სად ხარ, დარიუმა, რას შვრები ახლა... ეებს!!!

(ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი ცოვებს სცენას)

სურათი მეოთხე: აქს ამბავი იმისა, თუ რა ძალა აქვს ძველ სიყვარულს. გამოჩნდება დარია მიხაილოვნა. სცენაზე გაივ-გამოივლის, შეყოვნდება, გამომწვევად შემოიღებს ფეხს ფეხზე, თათით კუდს აათამაშებს. ცოტა ხანში სახემოქულფრული გაიოზი ჩამოივლის, ყასიდ მზერას შეაფლებს დარიას, გაერიდება, გასვლას აპირებს.

დარია მიხაილოვნა – გივი, გივი!..

გაიოზი (ფეხი გაუმეშდება) – არბატის ხმები აქ, აფრიკაში?! ფრთხილად გაიოზ, მახეა!..

დარია მიხაილოვნა (წამისმიერად სახეცვლილი) – გაიოზიო?! გაიოზი?! ალგეთელი!!!

გაიოზი (დარიას დააკვირდება) – დარია მიხაილოვნა?! დარია?! დარინკა?!

დარია მიხაილოვნა – ოხ, გაიოზ, გაიოზ, რატომ არ ხარ რიგითი გივი!..

გაიოზი (აკვირდება) – გასაგებია... მოგაგზავნეს... ვინ?

დარია მიხაილოვნა (ცრემლმომდგარი) – იმან, ხომ გესმის!.. ძუკნა ვარ, ძუკნა, მართლაც ძუკნა, მაგრამ... (ხმათრთოლებული) он был первым, Володя, а, это не забывается!..

გაიოზი – გაგაბახა, გაგაპუტინა, არა?! ძველი სკოლაა...

დარია მიხაილოვნა (ტირილით) – გამაპუტანა, გაიოზ, გამაპუტანა!..

გაიოზი – ჰო, მიხდოდა მეტეკვა – გაგაპუტანა, თუმცა... (ხელს ჩაიქნევს).

დარია მიხაილოვნა – რატომ, გაიოზ, რატომ, რატომ, რატომ არ ხარ რიგითი გივი?!

გაიოზი – ვარ ის, ვინც ვარ! ვარ იქ, სადაც ვარ, რადგან გაიოზ ალგეთელი მკაცრად ინდივიდუალისტია და ვერ აიტანს შერცხვენასა და...

დარია მიხაილოვნა – გამოგაძევეს?

გაიოზი – ... წამოვედი! (პაუზა) გაგიკვირდება... ერთ ინდაურს გამოვერიდე!

დარია მიხაილოვნა – ინდაურსო? ვერ დავიჯერებ!

გაიოზი – მოვრჩეთ ამაზე... გახსენება ქრილობაზე მარილს მაყრის...

დარია მიხაილოვნა – მაგრამ თუკი წამოხვედი, გაიოზ, ამ ცხელ აფრიკას განა არბატი არა სჯობდა... იქ, ჩვენთან, მყუდროდ...

გაიოზი – იქ, თქვენთან, მყუდროდ... საპრობილემო!.. არა, დარია, აკი მიცნობ, ანარხისტი ვარ ბუნებით...

დარია მიხაილოვნა (სიყვარულით) – ბაკუნინი ჩემი...

გაიოზი – რალა დაგიმალე, მომბეზრდა ანტილოპას კისრის ბეკონი და სირაქლემის ბარკლები, მაგრამ თავისუფლება რამედ მიღირს... ასე სჯობია...

დარია მიხაილოვნა – ოხ, საბრალო, ჩემო საბრალო მეგობარო, ჩემო... (პაუზა) გახსოვს სასტუმროს ის ნომერი? ხომ გახსოვს, გაიოზ?!

გაიოზი – სიტყვასაც თავის სურნელი აქვს, დარია, თავის მულამი... იმას სასტუმრო კი არა „გოსტინიცა“ „როსია“ ერქვა... (სიყვარულთ გადმოხედავს) ოცდაჩვიდმეტი მანეთი ღირდა!.. ტაქსის ფულიც თქვი... რალაც ხუთ თუმნად ნახალოვკიდან, ჰაიდა, და პირდაპირ იქ მივადგებოდი ხოლმე... რა დაგვემართა, რად მოვიძულეთ ერთმანეთი, ეს ხომ ჩვენი ცხოვრება იყო... იქნებ ქარაფშუტა, იქნებ ცოტა ალვირახსნილიც, მაგრამ ლალი ჩვენი ცხოვრება...

დარია მიხაილოვნა – ვლადიმერ ვლადიმეროვიჩს, რომ ჰკითხო...

გაიოზი – მაგის სახელი არ მიხსენო, ხუნდებს მაგონებს...

დარია მიხაილოვნა – ის პატრონია ჩემი, გაიოზ, როგორ არ გესმის!

გაიოზი – მესმის, დარია! ჩვენს შორის სწორედ ეგ სხვაობაა... მე პატრონი არ მყოლია, არც მეყოლება... მშვიდობით, დარია!

დარია მიხაილოვნა (საყურეს შეიხსნის) – გაიოზ, შენთან მიხდა, ჩემო გაიოზ! აი, პირველი ჩემი მსხვერპლიც...

გაიოზი – რაციაა? დაუხვევნიათ ტექნიკა...

დარია მიხაილოვნა – ამას მოვისვრი, აი, ასე! (გადაადგებს)

გაიოზი – თავს ნუ ვიტყუებთ, დარია... ძველ სიყვარულს ვერ დააბრუნებ...

დარია მიხაილოვნა – დააბრუნებ, თუკი გულით გსურს... მე კი მსურს, მიხდა, მახსოვს... ისე მახსოვს... რა მათქმევინე მაშინ, ისიც მახსოვს. კიკინებსო...

გაიოზი – ბაყაყიო?

დარია მიხაილოვნა (მიეკვრება) – ჰო, ჰო, ბაკაკი ნკალში კიკინებსო, რომ მათქმევინე!

გაიოზი (მიიკრავს) – როგორ გაგვირბის წამი, ნუთი ნეტარებისა, რა მარტოსულნი ვრჩებით შემდეგ... საით წავიდეთ? ალბათ იქით!

დარია მიხაილოვნა – თუნდაც იქით, სადაც შენ იტყვი!..

(ერთმანეთზე თავმიბჯენილნი ცოვებენ სცენას)

*სურათი მეხუთე: აქა ამბავი ინდიკოს საპატრიო შებრძანებისა მახეში.
სცენის სიღრმიდან ინდიკო და ჯულია მოსეირნობენ. მათ ზურგსუკან სერ ოლივერი და მამუბო
მოიპარებიან, თითქოს სადაცაა ქათამს უნდა სწვდნენო, ისე არიან ნაზრიღონი, მომსართულნი...*

ჯულია – კარგი ფეხი გქონიათ, მისტერ ინდიკო, მშვენიერი ამინდი ჩამოგვიტანეთ...

ინდიკო – როცა ცათამბჯენებს მოვახვავებ, ჩრდილიც მოხვავდება, ჯული, მერე კი შეეფარე ცათამბჯენის ჩრდილს და იგრძენი თავი სამოთხეში...

მამუბო (შეძრწუნებული) – ოო! ოოო!!!

(სერ ოლივერი პირზე ხელს ააფარებს მამუბოს).

ინდიკო – ხმა არ მოგესმათ?

ჯულია – ხმაა? იცის ხოლმე სავანაში... ესე იგი ცათამბჯენის ჩრდილი სავანაში... ძალიან საინტერესო ხედვაა... ერთობ საგულისხმო ნოუ ჰაუ...

ინდიკო – ჰაუ, ჰაუ... მიყვარს ეს სიტყვა... ეკლექტიურია რალაცნაირი...

ჯულია (გაკვირვებული) – ეკლექტიურობა? რა შუაშია?!

ინდიკო – არ ვიცი, მაგრამ სიტყვა ეკლექტიზმიც მიყვარს... იყოს, რას გიშლით... სადმე ბურქები-სკენ ხომ არ გადაგვხვია?!

სერ ოლივერი – ჯული!..

(მამუბო პირზე ააფარებს ხელს სერ ოლივერს)

ინდიკო – უცნაურია, ახლაც მომესმა ხმა... თქვენ?

ჯულია – აკი გითხარით, იცის ხოლმე აქ... რაო, ბურქებიო? სიმართლე გითხრათ, მხიბლავს თქვენი თინეიჯერული აღტკინება...

ინდიკო – რა ზუსტად შენიშნეთ, ჯული! მიუხედავად თავმდაბლობისა, უნდა მოგახსენოთ, მართლაც ასეთი ვარ, - ენერგიული, აქტიური, ერთობ კონტაქტური... აი, ბურქებიც!

ჯულია – მოვითმინოთ, უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი... საინტერესოა, აქ რამ ჩამოგიყვანათ...

ინდიკო – გრანტი მოვიპოვეთ მე და თეოფილუსსმა.

ჯულია – გრანტი? თემა?!

ინდიკო – თემა - „ჯერ კვერცხი გაჩნდა თუ ფრინველი!“

ჯულია – რა საინტერესოა... მე ვიცოდი „ჯერ კვერცხი გაჩნდა თუ ქათამი“...

ინდიკო – არა, არა, ეს ტრადიციული ხედვაა... მე და თეოფილუსსი ყოველივე ტრადიციულს ვუარყოფთ... მაგრამ, როგორც კი ეს უშველებელი ველი დავინახე, ახალი იდეა გამიჩნდა...

ჯულია – ცათამბჯენებს გულისხმობთ?

ინდიკო – დიახ, ცათამბჯენებს! აქვე წამისმიერად შევადგინე გეგმა და... (მოფარებული ადგილისაკენ უთითებს) არ გადავუხვიოთ?

ჯულია – თეოფილუსსიც იქ დაგვხვდება?

ინდიკო – არა, თეოფილუსსი შინ დარჩა, სუსსანასთან... ისე, თეოფილესაც ვეძახი, მეგობრულად...

ჯულია – და ვინაა ეს თეოფილუსსი, რატომ არ მეტყვიო?

ინდიკო – აკი მოგახსენეთ, თანავტორია ჩემი თეოფილე, ბატი!

ჯულია – და სუსსანა „გიოლოფრენდია“ თეოფილუსსის, გამოვიცანი?

ინდიკო – ზუსტად! როცა ბრაზდება ხოლმე შიშინიდან სისინზე გადადის სუსსანა, ასე აკეთებს, მუმ... სსს... სულელი...

ჯულია – ნეტავ ვინ იცავს სულელ ბატებს, ისე მომრავლდნენ...

ინდიკო – მე! მე ვიცავ...

ჯულია – თქვენ? ეს ხომ სახიფათოა?!

ინდიკო – მოკრძალებით გეტყვით, ჩემთვის არაფერს ნიშნავს ხიფათი, მტაცებელი, ბანდიტი... ავიღოთ მაგალითად, მგელი! ეს არის წარსულის წყვდიადში ჩარჩენილი მტაცებლის სახეობა, რომელსაც ჩემს ხელში გადაშენება უნერია.

ჯულია – თქვენ გმირი ხართ, ინდიკო!

ინდიკო – ოჰ, არაა საჭირო!

ჯულია – რაინდი!

ინდიკო – უჰ, რას ბრძანებთ!

ჯულია – ბეტმენი, წითელი ბიბილოთი...

ინდიკო – ნუ გამათამამებთ მეტისმეტად, ანდა გამათამამეთ, გამათამამეთ, მეტიც, ისე მოვიხიბლეთ თქვენით, რომ აქვე, მთელი აფრიკის გასაგონად გთხოვთ ხელს! გამომყევით ცოლად ბურქებში!

ჯულია – ბურქებში, სამნუხაროდ, ჩემი რელიგიური აღმსარებლობა მიკრძალავს ქორწინებას...

ინდიკო – და სად არ გიკრძალავთ თქვენი რელიგიური აღმსარებლობა ქორწინებას, მითხარით, ჯულია, მეც თქვენ მრწამსზე გადმოვალ უმაღლ...

ჯულია – არ გაგიკვირდეთ, მაგრამ... მახეში!..

ინდიკო – მახეში? ეს საინტერესოც კია...

ჯულია – თქვენ დაგაბამენ... რიტუალია ასეთი... ოჰ, არ ღირს... მეტისმეტი მსხვერპლია...

ინდიკო – დამაბამენო? რას გულისხმობთ? საწოლზე რომ მიაბამენ და... კინოებში მინახავს... მინდა! ძალიან მინდა! ახლავე მინდა მახეში ქორწინება!

ჯულია – მართლა გინდათ? მაშინ ჩემი მარადიული და სათუთი მეგობრობის იმედი გქონდეთ, ინდიკო!

ინდიკო – აი, სიტყვები... აი, ამას მივწერ ჩემს მეგობარს იქ, აშშ-ში, იგი თავად პრეზიდენტის საშობაო თეთრი ინდაურია!

ჯულია – უიმე, იცნობთ?

ინდიკო – ძლიერ ახლოს! სამწუხაროა, რომ შორსაა, თორემ ხელისმომკიდედაც წამოვიყვანდი...

ჯულია – ხელისმომკიდე პრობლემებს არ შეგვიქმნის... ოლივერ! მაბუბო! დადგა ყამი მისტერ ინდიკოს საპატიო შებრძანებისა მახეში. ოლივერ, ფატა დამიჭირე, მაბუბო, აღასრულე რიტუალი! (ოლივერი თეთრ შარფს მისწვდება. საზეიმო მელოდიის ფონზე შეაბიჯებენ მახეში).

ინდიკო – დაუვინყარი ქორწილი მაქვს, ზანგი ხელისმომკიდე მახლავს, მიხარია, უნდა დამაბან!

ჯულია (კეკლუცად) – გეშლება, ინდიკო, ზანგი კი არა, აფრიკელი!

ინდიკო – მართლაც, ეს რა წამომცდა, რამ მათქმევინა, კაცო, ზანგი, ზანგი ხომ არ ვარ...

მაბუბო – არ ხარ, არა... ერთი წუთით...

(მაბუბო ინდიკოს მიაბამს ფიცარზე).

ინდიკო – ჯული, ახლა რალა იქნება?

ჯულია – ახლა, ინდიკო... მაბუბო გაგასეირნებს სავანაში... მერე მე მოვალ... არ შეშინდე, მთელი გულით მომენდე და... მე მოვალ, მოვალ... ოლონდ გჯეროდეს...

ინდიკო – გენდობი, მოგენდობი და გელი...

ჯულია – გქონდეს ჩემი მარადიული და სათუთი მეგობრობის იმედი!.. მე მოვალ, მოვალ!.. (გალიიდან გადიან). მაბუბო, წაიყვანე!

ინდიკო – მოდი, მოდი, მე ისე გელი!.. ასე შეკრულს. ჯერ არ მიცვია!

(ჯულია ცხვირსახოცს დაუქნევს ინდიკოს, მაბუბო ბორბლებზე შემდგარ მახეს სცენიდან გაიტანს)

ჯულია (თვალმოცრემილი) – მოვალ, მოვალ!..

სერ ოლივერი (პაუზის შემდეგ) – ჯული...

ჯულია – ...ჰო!

სერ ოლივერი – უნდა ვალიარო, მაღლენი, კონდოლიზა და თვით ჰილარიც კი...

ჯულია – გამჭრიახობით ვერ მოვლენ ჩემთან... ამის თქმა გსურდა?

სერ ოლივერი – და იმისაც... რომ ცოტა არ იყოს, შემეშინდა შენი...

ჯულია – აქ კი შეცდი, ოლივერ! ძალიან უნდა შეგშინებოდა ჩემი...

სერ ოლივერი – კაციჭამიად ვგრძნობ თავს...

ჯულია – მე კი ადრენალინმა ამინია...

სერ ოლივერი – როგორ? ისეე?!

ჯულია – რას ნიშნავს ისეე, ოლივერ?! მე ქალი ვარ, სუსტი არსება, ამხელა საქმეს შევეჭიდე; აბა, შენი თხებით აპირებდი ჭაბურღილების მოგებას... გამაბრაზე, ოლივერ, ახლა ძალიან გამაბრაზე!.. (კარავში შეიმალება).

სერ ოლივერი (დაბნეული) – ჯული... არ მინდოდა – კაცმა რომ თქვას, ინდაურია მხოლოდ და მხოლოდ... (კარავთან ჩამოჯდება) ჯული, მინყრები?! (კარვიდან ჯული გამოჰყოფს ხელს, ქეროში მისწვდება ოლივერს, კარავში შეათრევს). ნელა მტკივა!.. უჰჰ...

სურათი შეეცვლეს: აქა ამბავი იმისა, როგორ არ დაჰყვა დარია მიხაილოვნას კეთილ რჩევას გაიოზ ალგეთელი და რა შედეგი გამოიღო ამან.

სავანა. ნადირ-ფრინველთა შორეული ხმები. მყუდრო ადგილას განმარტოებულან გაიოზ ალგეთელი და დარია მიხაილოვნა.

დარია სივარეტს მოუკიდებს, ნაფაზს დაარტყამს და გაიოზს გადაანჯდის.

დარია მიხაილოვნა (ნეტარი სახით) – და შენ ამბობდი, ძველის მობრუნება შეუძლებელია?!

გაიოზი (სივარეტს ჩამოართმევს, შუბლზე ეამბორება დარიას, ნაფაზს დაარტყამს, პაუზა) – შამპანური და მარწყვი, გარსონ!!!

დარია მიხაილოვნა – გაიოზ!

გაიოზი (სადღაც წასული მზერით) – ჰო!

დარია მიხაილოვნა – სად ვართ, გაიოზ, როგორ ფიქრობ?

გაიოზი (იდაყვებს დაეყრდნობა, მიმოიხედავს) – ...სავანაში ვყოფილვართ. მოვდუნდი წამით!.. არ შეიძლება მოდუნება უცხო მხარეში...

დარია მიხაილოვნა – ლერმონტოვი ჩემი...

გაიოზი – ჰო, „სსილკაში“ ვარ, შენს ენაზე თუკი ვიტყვით... მაგრამ მაინც თავისუფალი!..

დარია მიხაილოვნა – თავისუფლება! რატომ მეც ვერ ვგრძნობ ასე მძაფრად...

გაიოზი – შენ სხვა ჯიში გაქვს, დარია, სხვა სტატუსი!..

დარია მიხაილოვნა – თუკი მუდამ დაძაბული ხარ, რა აზრი აქვს თავისუფლებას, გაიოზ?!
გაიოზი – დასაკარგი გექვირფასება, დარია! ვაი იმას, ვისაც არ აქვს დასაკარგი...
დარია მიხაილოვნა – მე მგულისხმობ?
გაიოზი – თუნდაც შენ! თავისუფლება თავის ჩვევებსაც გიმუშავებს. რა ხმა გესმის ახლა?
დარია მიხაილოვნა – ხმა? ნადირ-ფრინველთა...
გაიოზი – სხვა?
დარია მიხაილოვნა – სხვა არაფერი...
გაიოზი (წამოიწევა, წამოჯდება) – მე კი მესმის... ბორბლის ჭრიალი... იდიოტები! ხან ზაქს, ხანაც თხას პირში მწრიან, დააგორებენ სავანაში ეშმაკურ მახეს... მათი ჭკუით, ეშმაკურს... ბარე კი ძლიერ მომენატრა შინაური პირუტყვის გემო, დარია, ბარე კი გავიხსენებ ხოლმე ჩვენთან, ნახალოვკაში, მეზობლების გადმოძახილს: - გაიოზ, ბიჭო, ხაშს ვხარშავ, ხაშს, პახმელიაზე ჩემთან გადმოდი!.. მაგრამ, ვიცი სატყუარაა... თავისუფლება მეტად მიღირს... შეუდარებლად მეტად, დარია! ნასვლის დროა...

დარია მიხაილოვნა – მამ, სულ ტყუილად ვირჯებოდით?!
გაიოზი – რალა თქმა უნდა... სულელი არ ვარ, დარია! აჰა, შეხედე, შემოაგორეს მახე! ან თხა იქნება სატყუარად ანდა ზა... (გაიოზს თითქოს ენა ჩაუვარდა მუცელშიო, სცენაზე შემოგორებულ მახეს აკვირდება) ეს ვინ დაუბამთ, ეს ვინ არის, ამას ვის ვხედავ!!!
დარია მიხაილოვნა (შეშინებული) – რა მოხდა, გაიოზ! ვინ დაინახე ამისთანა, რომ...
გაიოზი – ახლა დამაბი, დარია!!! ისაა, ისა, ის ინდაური! ააუუუ!!!
ინდიკო (შეშინებული აცეცებს თვალებს) – ძალიან გთხოვთ, ძალიან, მეტისმეტად გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ფრინველთა დაცვის საზოგადოების მეხუთე მუხლის თანახმად, ჩემი ხელყოფა უმკაცრესად ისჯება! და საერთოდ, ნუ მიშლით ქორწილს, სადაცაა ჯულია მოვა, მოვა ჯულია, მოვა, შემპირდა, მოვალ შენთან დიდი თოფითო! დიახ, ჯულია მოვა დიდი თოფით!!!
გაიოზი – ვისი ხმა მესმის, ვისი, ვისი... აუუუ!!! (კინაღამ შეაბიჯა მახეში, გონს მოვა, დარიას მოუტრიალდება). დარია, არ შეიძლება ჩემი იქ შესვლა, დამარტყი თათი, მომცხე, მომცხე, დარია, გამთიშე, გოგო!
დარია მიხაილოვნა – თუკი იცი, რომ არ შეიძლება, რატომ მოგცხო, გაიოზ! გაიოზ, მომხედე!
ინდიკო (გათამამებული) – მოვიდეს ერთი, გამოუშვი, გამოუშვი!
გაიოზი – აუუუ... დამაბით, აუუუ!!!
ინდიკო – ველური ეს... ყმუის! გადასარევი ამბავი პირდაპირ, ამხელა გზა გამომივლია, ასეთი გრანდიოზული გეგმები დამისახავს – სრულიად აფრიკის ინფრასტრუქტურას ვუპირებ გარდაქმნას და ეს ვილაც, ბოდში მომითხოვია და მგელი სახეში შემომყმუის?!
გაიოზი (დარიას) – ბოდში მომითხოვია და მგელიო, გაიგე! გეგონება - სიტყვა მგელი სამარცხვინოს ნიშნავს რასმე... თანაც ვისთვის, დარია, ინდაურისთვის?! აუ, აუ, აუ, აუუუ!
დარია მიხაილოვნა – ხომ იცი, მახეა, გაიოზ, რატომ ჩაგიდგა ცეცხლი თვალებში, გაერიდე, წამო, წავიდეთ!
გაიოზი – ნითელი მენთება ამის დანახვაზე, დარია, წავიდეთ უნდა, უნდა წავიდეთ, მაგრამ, მაგრამ, მაგრამ...
დარია მიხაილოვნა – რა, მაგრამ, წამო – წავიდეთ!
გაიოზი – მაგრამ, ვაგლახ, რომ ვერ მივიღვარ! როდემდე უნდა გავერიდო, დარია?! (დარია აკავეებს გაიოზს) ვის გავერიდო, ჩერჩეც ინდაურს?! აააუუუ!!!
ინდიკო – არ გამერიდები და შენი აჯობებს!!! ჯულია მოვა ახლა, ჯულია, ჩემი პატარძალი მოვა დიდი თოფით!
დარია მიხაილოვნა (აკავეებს გაიოზს) – მახეა-მეთქი! გაიხედე, იქით სავანა, თავისუფლება, აქეთ მახე, გაიოზ! ნუთუ დაბრმავდი!!!
გაიოზი – არა, გავვიჟღი...
დარია მიხაილოვნა – ეგ სულერთია, გაიოზ, გიჟიც ბრმაა, უნდა გავიქცეთ, მეც შენთან ერთად, გაიოზ!
ინდიკო – „ჩმორი“ ეგ, დედიკოს ბიჭი ეგ! რისი თავი აქვს საერთოდ! ანკი ააქვს თავი?!
დარია მიხაილოვნა – დაატორმუზე, გაიოზ, ველარ, ვაკავებ, დაატორმუზე!!!
გაიოზი – ააუუუ!!!
ინდიკო – მოვა და კაი ჩიტსაც დაიჭერს! ჩემი ჯულია რომ დასცხებს დიდ თოფს და სდრუზავს და სდრუზავს კონდახს თავში, ტყვიაც არ დასჭირდება ამასთან!!!
გაიოზი – სანამ ჯულია მოვა, მე მოვალ!
ინდიკო – მოდი, მოდი, ვის აშინებ ვითომ! აქ ვარ და მოდი, თუ ბიჭი ხარ!
დარია მიხაილოვნა (ძლივს აკავეებს) – გაიოზ!..

გაიოზი (ხელს გაჰკრავს დარიას, სცენაზე მიაგდებს) – გამეცალე, ქალო, იქით! (გაიოზი ერთხანს ინდიკოს შესცქერის, შემდეგ რალაცნაირი მკაცრი სიმშვიდით მიმართავს საკუთარ თავს) არ შემიძლია, არა, არა, რაც არ შემიძლია, არ შემიძლია!!! (მახეში შედგამს ფეხს).

(თითქოსდა სათაგური ამოქმედდაო, ეშვება კარი, გაიოზი მახეში დამწყვედი ალმოჩნდება)

დარია მიხაილოვნა (განწირული ხმით) – გაიოზ!!!

გაიოზი (გამოხედავს) – მშვიდობით, დარია! (ენაჩაზარდნილ ინდიკოს მიუტრიალდება) აჰა, მოვედი, სადაა ჯულია?!

ინდიკო – ჯჯჯჯჯ... ჯუჯუჯუ... ჯჯ...

გაიოზი (მომაკვდინებელი სიმშვიდით) – ჯუჯალარი?!

ინდიკო – ჯჯჯ... (სასონარკვეთილი სითამამით) – მმმმეცო! ნადირო!

გაიოზი (იგივე სიმშვიდით) – ტყიდან გამოვარდნილო?!

ინდიკო (შემრული) – ჯუჯუ... ჯულია, სად ხარ, ჯულია, ესროლე, ესროლე, მოვიდა მგელი!

გაიოზი (საკუთარ თავს) – არა, არა, არ შემიძლია, რაც არ შემიძლია, არ შემიძლია, ზუსტად ერთ ლუკმად უნდა გადავყლაპო, ასე, ა!

ინდიკო – ვაიმე, დედიკო!

გაიოზი (პირს დააღებს, გადაეკვრება ინდიკოს და... გადაყლაპავს) – ააუუჰ!!! (პაუზა) დავმშვიდდი... (დარიას გამოხედავს) დავისვენე...

დარია მიხაილოვნა – და დაილუპე... სულელი ყოფილხარ, გაიოზ!..

გაიოზი (სევდით) – კი... ვალიარებ...

დარია მიხაილოვნა – ამ მახეს ვერაფერს მოვუხერხებ, ამ მახეს კარი არ ეხსნება, ეს ხომ ვიცოდი?

გაიოზი – კი, ვიცოდი... როგორ არ იცოდი...

დარია მიხაილოვნა – მერე?

გაიოზი – ეჰ...

დარია მიხაილოვნა (ნამოიკრიფება) – ეჰ, გაიოზ, გაიოზ, რატომ არა ხარ რიგითი გივი, გაიოზ!

გაიოზი – სად მიდიხარ, დარია?!

დარია მიხაილოვნა – სიცოცხლე უსიყვარულოდაც გრძელდება ხოლმე, გაიოზ! თუკი სიკვდილი გინერია, ისევე ჩემმა პატრონმა მოგკლას!

გაიოზი – ჰო, ასეა! რატომაც არა! ნადი, დარია, დაუძახე!

დარია მიხაილოვნა – დაუძახებ, შენ გგონია, არ დაუძახებ?!

გაიოზი – დაუძახებ, რალა თქმა უნდა, დაუძახებ! ძალლი მუდამ ძალლად დარჩება...

დარია მიხაილოვნა – აქეთ მამტყუნებ, გაიოზ!

გაიოზი – არ გამტყუნებ! დროზე გამეცა, პატრონს უხმე, აღასრულე ძალღური წესი!

დარია მიხაილოვნა – ნუ დამცინი...

გაიოზი – ნადი, პუტინა! ნაეთრიე!

დარია მიხაილოვნა – პუტანა უნდა გეთქვა ალბათ...

გაიოზი – ეგ სულერთია! ნადი, პუტანა, აღასრულე ძალღური წესი!!!

დარია მიხაილოვნა – ჰოდა, მივდივარ!

გაიოზი – ჰოდა, ნადი!

დარია მიხაილოვნა – ჰოდა...

გაიოზი (მაღალი ხმით) – ნაეთრიე!!!

დარია მიხაილოვნა (თან გაიოზისაკენ რჩება თვალი, შეშინებული, დათრგუნული) – ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი, აქაა, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი! ის აქაა! აქაა! (თოჯინის უმეტყველო იერი დაედება სახეზე) აქაა! აქაა! ის აქაა, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი! აქაა ის, ის აქაა! (დარია მიხაილოვნა სცენიდან გადის).

გაიოზი (თვალს გააყოლებს) – ვაი შენს თავს ახლა გაიოზ!

(შემორბის მამუბო)

მამუბო (შენიშნავს გაიოზს) – ეეე!!! მისტერ ოლივერ, ჩქარა, ჩქარა! მისის ჯულიას ფანდმა გასჭრა, მისტერ ოლივერ! (მაბუბოც ტოვებს სცენას).

გაიოზი (პაუზის შემდეგ) – დასწრებაზეა?! ჰოი, ბედშავო, ვერც კი იხილავ, რომელი ქვეყნის მონადირე მოიწონებს თავს შენი ტყავით! ანდა ისიც საკითხავია, ღირს კი ხილვა, თუკი ტყავი შენი შენ არ გეკუთვნის?! ალბათ არა... არა, არ ვიცი... (თავს ჩაქინდრავს).

სურათი მუშაობს: აქა ამბავი ინტერესთა მსაფრი კონფლიქტისა, როგორც პოლიტიკოსები ამბობენ ხოლმე ხშირ-ხშირად.

სცენაზე თოფმომარჯვებული ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი შემორბის, მას დარია მიხაილოვნაც მოჰყვება უმეტყველო სახით.

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – აკი ვამბობდი, ჩემი ნერა იქნება მეთქი! ყოჩაღ, დარიუშა, ამ კავკასიელს ახლა...

(შემორბიან სერ ოლივერი, ჯულია და მაბუბო)

სერ ოლივერი – „სთოფ!“ „სთოფ!“ არ გაბედო! მახე ჩვენია!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – ნადი შენი ძალიან ჯიშინი დედაც... (გაისვრის)

გაიოზი (ტკივილით) – აჰ, დამჭრა ამის...

ჯულია – რაღას ელოდები, ოლივერ, მან მხოლოდ დასჭრა, შენ მოკალი, ოლივერ, ჭაბურღილე-ბი!..

სერ ოლივერი (თოფს მოიმარჯვებს) – მე არ ავაცდენ! (გაისვრის).

ჯულია (ოლივერს) – ესაა, ბიჭო, ორმოცდაათ ნაბიჯში ზუსტად ვარტყამ მიზანშიო? უი, უი!..

სერ ოლივერი (დაბნეული) – მგონი, ბენვი გაფუტრუსე... თვითონ მიკვირს, ჯულია!..

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი (უმიზნებს) – ამას, ახლა...

გაიოზი – მომკალით ვინმემ, რას მანვალეობთ, თქვენი!..

ჯულია (ოლივერს) – ესროლე, შტერო, რას მემართლები!.. უუხ, ვის დავათრევ, ამის... (თოფს გამოსტაცებს)

გაიოზი – დარია, მომკალი, შენი ხელით სიკვდილი მიჯობს!

დარია მიხაილოვნა – მკვდარი მკვდარს როგორ მოჰკლავს, გაიოზ! მე ხომ მკვდარი ვარ! მოვკვდი უკვე!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – ამას მე, ახლა...

(გაიოზი ჯულიასაც ჰყავს მიზანში ამოღებული)

ჯულია – მე, მე, შენ რატომ?!

(თითქმის ერთდროულად გაისვრის)

გაიოზი – აჰა, აღსრულდა! პირველდედაო ყველა მგელთა, შენთან მოვდივარ უუუ!..

(გაიოზი უსულოდ ეცემა)

მაბუბო – ძალიან ტანჯეს ეს საცოდავი, ეს... ელისა, დაისვენა...

დარია მიხაილოვნა (ჩუმად) – გაიოზზ...

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი (საზეიმო იერით) – ვაშა! ვაშა! „ურა“, „ურა!“ ვაშა და „ურა“ ერთდროულად ანუ! მე გავიმარჯვე! ჩემია!!!

ჯულია – თქვენი, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩ, არის, ჟენია რომ გააკეთებს, აი, ისაა თქვენი. . .

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – ჟენია? ვინ ჟენია? რა შუაშია ჟენია?!

ჯულია – ანუ, არაფერი არაა-მეთქი თქვენი! გასაგებია ახლა?!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – როგორ, კაცო, პირველმა მე მოვირბინე, პირველმა მე ვესროლე და მევე მოვკვალი და...

ჯულია – და ვის დაგებულ მახესთან მოირბინეთ მერე? ჩვენს მახესთან! დიახ! ისიც საკითხავია, ვისი ტყვიით განიგმირა...

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – უყურე ამ აფირისტებს... და ჟენია რა შუაშია, ჟენია?!

ჯულია – დაფიქრდით კარგად და მიხვდეთ იქნებ, დაფიქრდით, აბა, დაფიქრდით!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – დაფიქრდი!

ჯულია – მერე?

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – კაცო, რა ტვინს მირევთ აქ, ვერ გავიგე! ყველაზე საერთაშორისო ტრიბუნიდან განვაცხადებ, რომ მგლის ტყავი მე მეკუთვნის და იქვე დავსვამ კითხვას, რა შუაშია ჟენია ამ ამბავთან!

ჯულია – მე კი ყველაზე საერთაშორისო ტრიბუნიდან გიპასუხებთ, რა პირდაპირ თუ ირიბ კავშირშიც არის ამ ამბავთან ჟენია და იქვე მოვითხოვ ნავთობის ხუთ ჭაბურღილს, რასაც უეჭველად მივიღებ, რადგან კარგად ვიცნობ საერთაშორისო სამართალს!

სერ ოლივერი (აღტაცებული) – აი, ასე!.. (ჯულიასკენ) ნუ, ჯული, თავი დავანებოთ ჰილარის, შენ მე უფრო მარგარეტს მაგონებ... რკინის ლედი, ნამდვილი რკინის, თუჯისგან!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – გააჩუმე ენა, რო გატლეკილხარ მანდ!..

სერ ოლივერი – ჰა? ეესს პირადი შეურაცხყოფაა...

ჯულია – ოლივერ, არაა კინკლაობის დრო! ვლადიმერ ვლადიმეროვიჩ, გაანთავისუფლეთ ტერიტორია! ახლავე, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩ, მე მოვითხოვ!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – ესე იგი მე გავანთავისუფლო ტერიტორია და მე დაგტოვოთ თქვენ, აქ, სრულ განცხრომაში იმ კავკასიელის ცხედართან, რომელიც მევე გაგავგორე! ამას მიბედავ, მე ამერიკელი ძუკნავ, შენა!

სერ ოლივერი – ეს უკვე ჯულიას შეურაცხყოფაა! კატეგორიულად ვითხოვ პასუხს!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – პასუხი გინდათ?! აი, ჩემი პასუხი! (თოფს მოიმარჯვებს)

ჯულია (ისიც მოიმარჯვებს თოფს) არც მაგაზე დავიხვე უკან!

მაბუბო – ვაი მაბუბოს, ვაი, ვაი! რალა აქ შეხვდნენ, აფრიკაში! ვაი მაბუბოს, ომი, ომი!!!

სერ ოლივერი – იქნებ გაგვეყო მართლაც ტყავი... ჰა? შუაზე!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – შუაზე გაყოფილი მგლის ტყავი ჟენიას მიართვით! თქვენი დე-

დაც!!! (გაისვრის).

(ატყდება ბათქა-ბუთქი, ვინ სად იმალება, ვინ საიდან ისვრის, ვინ განწირული ხმით ეცემა სცენაზე, თანდათან ყველაფერი საიდანაც დაძრულ ნისლში ჩაიკარგება, ხმაური და ვაიუმგვლებელი ერთხანს გრძელდება, შემდეგ თანდათან მინავლდება, მიქრება, იცვლება მელოდია, გარემო, თითქოს ლანჩერების ხმაც მოატანს მაყურებლის სმენამდე)

*სურათი მერვე: აქა ამბავი უცნაურ აეროპორტში შემდგარი შეხვედრისა.
სცენის მარცხენა კუთხეში, მაყურებლისგან ზურგმუქცევით მაგიდასთან ქალბატონი დაბრძანებულია, ყავას მიირთმევს. ვუალს სანახევროდ უფარავს სახეს. მიდი-მოდიან ზეადი და ძუ მგლები, ზოგი ბარგიტაა, ზოგი – არა. ვხედავთ ლამაზ ფეხებსა ძუ მგელს სტიუარდესის სამოსით.
ტრაპიდან გაიოზ ალგეტილი ეშვება, დაბნეული ჩანს, გარემოს ათვალთვრებს. ერთ ზეად მგელს გამოარჩევს. მას მიუახლოვდება.*

გაიოზი – გამარჯობა, ძმა! თუ უკაცრავად არ ვიყო და... (მიმოიხედავს) სად ვართ?

უცნობი მგელი (მხრებს აიჩეჩავს) – ჰაუ დუ იუ დუ!

გაიოზი – იეს, იეს! მაგრამ სად ვართ, სად?!

უცნობი მგელი (თითს მიიბჯნეს მკერდზე) – ესპანიოლ! ესპანიოლ!

გაიოზი – აჰა... მაჩო!

უცნობი მგელი (თავს უქნევს) – მაჩო! სალიუდოს!

გაიოზი – სად ვართ-მეთქი, მაჩო, სად?!

უცნობი მგელი (სტიუარდესასკენ უთითებს) – სტიუარდეს! (იმას კითხეო ანიშნებს)

გაიოზი – გასაგებია... (სტიუარდესას მიუახლოვდება). ბოდიში... თ... გამარჯობა... თ... ხომ ვერ მეტყოდი, ჩემი გოგო, სად მოვხვდი?

სტიუარდესა – დუ იუ სფიქ ინგლიშ?

გაიოზი – ჰა? ნოუ!

სტიუარდესა – ფრანსე?!

გაიოზი – ნიხტ! ნიხტ რა შუაში იყო, კაცო! ია გაიოზ, ია! ალგეტინსკი... გდე ია?

(მაგიდასთან მჯდომი გაიოზს გამოხედავს)

ვუალანი – ენას ნუ იტყვ, გაიოზ, აქეთ მოდი! (ვუალს აინევს).

გაიოზი – დარია?! (დაბნეული, უფრო ინერციით ამბობს) შამპანური, გარსონ, მარწყვით!

დარია მიხაილოვნა – არაა საჭირო, გაიოზ! მოდი, ჩამოჯექი!

(გაიოზი გვერდით მიუჯდება დარიას, შემდეგ გადაიხრება მისკენ).

გაიოზი (ჩურჩულით) – სად ვართ, დარია?

დარია მიხაილოვნა – ვერ ხვდები?

გაიოზი – აა... (პაუზა) ჰო... (პაუზა) მართლა?!

დარია მიხაილოვნა – მართლა.

გაიოზი (უფრო თავისთვის) – სადაც ყველა მგელი ხვდება ბოლოს და ბოლოს... (მიმოიხედავს, შემდეგ დარიას გამოხედავს) მერე შენ რა გინდა აქ, შენ ხომ ძალი ხარ?!

დარია მიხაილოვნა – დიდი ბებია მყავდა მგელი... იმის ხათრით...

გაიოზი – კარგია... „გაგიმანსავს.“ (შემდეგ ეჭვით) არ მითხრა კავკასიიდან იყო, ინცესტილა მაკლდა...

დარია მიხაილოვნა – დამშვიდდი... ციმბირელი იყო.

გაიოზი – კაი კიდე... (დაბნეული ღიმილით) ესე იგი აქ... არსებობს, ესე იგი... სულ ვფიქრობდი, არის, არ არის... (მიმოიხედავს) რა ორომტრიალში მოვხვდით... როგორ ფიქრობ, გამატყავებდნენ უკვე?

დარია მიხაილოვნა – კი, გაგატყავებს...

გაიოზი (თავს გადააქნევს) – ვის ერგო?

დარია მიხაილოვნა – ჯერ არავის, ორ ბოძზეა გაჭიმული... შრება...

გაიოზი – აუჰ!... (პაუზა) ესე იგი შენც აქ... მოგახვედრეს ეტყობა ტყვია...

დარია მიხაილოვნა – მომახვედრებდნენ იმ საგიჟეთში, აბა! სიმართლე გითხრა, არც ვნანობ...

გაიოზი – ჰა? (მიმოიხედავს) კი, კარგია აქ... სიმშვიდეა... (თითქოს თავს ირწმუნებს). მოვჯდები-ით რამენაირად... მოვთავსდებით...

დარია მიხაილოვნა – შენ ჯერ ვერა, გაიოზ, ვერ მოთავსდები!..

გაიოზი (გარემოს ათვალთვრებს, მეტი დაბეჯითებით) – კაია, კი!.. ძალიან კარგია...

დარია მიხაილოვნა – ჰო, კარგია, მაგრამ შენ ვერა-მეთქი, ამის სათქმელად გამომიშვეს...

გაიოზი – რა, - ვერა?

დარია მიხაილოვნა – ვერ მოთავსდები ჯერ, ადრეაო...

გაიოზი – რაა ადრე?

დარია მიხაილოვნა – ხვდები, ალბათ, თვითონ!

გაიოზი – აბა, სადაო?!

დარია მიხაილოვნა – ისევ იქო, უკან დაბრუნდესო!

გაიოზი – მერე ტყავი, ტყავის გარეშე როგორ ვივლი, პანკი კი არ ვარ! თანაც რა მინდა იქ, ცხოვრებაში ერთხელ მაინც, არ შეიძლება სანატორიუმში დავისვენო?!

დარია მიხაილოვნა – დამშვიდდი... ახალი ტყავი მოგეცემა...

გაიოზი – აუჰ, მომეცემა! ვინ მიწყვიტავს საერთოდ აქ, რა მომეცემა და რა არ მომეცემა, ვის უჭირავს აქაური „ზონა“, ვინაა გამაგებინე, ის მელაპარაკოს, ვინაა, ვინ?!

დარია მიხაილოვნა – დედა!

გაიოზი – დედა? ვინ დედა? ჩემი დედა?!

დარია მიხაილოვნა – პირველდედა...

გაიოზი – ჰოდა, მაგის დედაც...

დარია მიხაილოვნა – არ შეაგინო... იქნებ ამიტომაც მოგესაჯა უკან დაბრუნება...

გაიოზი – კაი რა, დარია, კაი რა, მართლა არიფი ხომ არ გგონივართ! შენ „გაშანსე“, მე „გასაშანსი“ მაქვს, მივხედ-მოვხედავ აქაურობას და „გავშანსავ“ კიდეც...

დარია მიხაილოვნა – ვერ „გაშანსავ“, გადანყვიტეს უკვე...

გაიოზი – თუ ვერ „გავშანსავ“, მაგასაც ნახავ!.. მარტო ჩემი თავის იმედი მქონდა! მგელი რასაც ქვია ჩემი გაგებით, ის ვიყავი ყოველთვის და...

დარია მიხაილოვნა – ჰოდა, ბრუნდები კიდეც უკან, მგლურ ცხოვრებაში... რა გინდა მეტი!

გაიოზი – არიფად რომ არ მთვლიდნენ, ის მინდა! შენ თურმე აქ, სანატორიუმში... და მე იქ?!

დარია მიხაილოვნა – არაა ეს სანატორიუმი...

გაიოზი – რა მნიშვნელობა აქვს! შენ თურმე სიმშვიდეში, აქ, მე კი, ასპროცენტიანი მგელი, იიქ? ჩემდათავად აქედან წამსვლელს დავასხი თავსლაფი! ვინ დამიდგება!

დარია მიხაილოვნა – ძალიან ვნუხვარ, გაიოზ, მაგრამ თავსლაფის დასხმა წინ გელის... ჯოჯოხეთში ბრუნდები!

გაიოზი – შენ, პუტანა სამოთხეში და მე - ჯოჯოხეთში, გოგო? არ ამალაპარაკო ახლა...

დარია მიხაილოვნა – აი, როგორი ყოფილხარ...

გაიოზი – ხმა!.. ის ვინ იყო... ისო... ვლადიმერ ვლადიმეროვიჩო...

დარია მიხაილოვნა – ხომ გაფრთხილებდი?! ალბათ, ამითაც მეპატია, ჩემი ძალღური ცხოვრებითაც მეპატია, გაიოზ, კეთილი გული ჰქონიაო, შენ კი... ძალიან ვნუხვარ, მაგრამ განსაცდელი წინ გელოდება!

გაიოზი – ჰო, მე თავსლაფის დასხმა და განსაცდელი, ამათ აქ, სამჯერადი კვება და მშვიდი გარემო... ვინ გაიგო, გოგო, მგლის მკერდში კეთილი გული?! მგელი მგელი უნდა იყოს, მარტოსული და თავისუფლების მოყვარე!

დარია მიხაილოვნა (წამოდგება) – საქმეც ისაა, გაიოზ, ვის როგორ ესმის თავისუფლება... მშვიდობით... იქნებ აქაც მოხვდე, მერე, ოდესმე... მაშინ დროებით... მე მიყვარდი, ახლაც მიყვარხარ...

გაიოზი – ახ, ახ, ახ, ამიჩვილა გული გოგომ...

დარია მიხაილოვნა – ეხ, გაიოზ, ეხ... (მიდის).

გაიოზი – სად მიბრძანდები?! მოდი აქ! ვის ვუთხარი, მოდი-მეთქი!!! ამის პუტანა...

(ორი ხვადი მგელი გაიოზისაკენ გამოემართება)

1-ი ხვადი – მუსიე!

2-ე ხვადი – ჰერ!

გაიოზი – აჰა! ერთი - ფრანგი, მეორე – გერმანელი... საერთაშორისო ობსტრუქციას მინყობთ, თქვენი დედები ვასიამოვნე, მე თქვენი!!!

(გაიოზს ორივე მხრიდან მოხვდება მუშტი, სცენაზე დაეცემა. ხვადები მოეჭიდებიან, სცენიდან გაათრევენ).

სურათი მეცხრე: აქს ამბავი გაიოზ ალგეთელის კომპარული სახეცვლილებისა. მგლები მახეში აბრუნებენ გაიოზს, შემდეგ სცენიდან გადიან, იქვე, მახესთან თავზე ხელობა-ფარებულნი მბაუბო ავდია. მოძორებით, ორ ბოძზე გაკრული მგლის ტყავი მოჩანს. შორიდან ძლიერი აფეთქებების ხმა აღწევს მაყურებელბამდე.

გაიოზი (თავს წამოსწევს) – აა... ააუუუ!!!

(მბაუბო წამოიწევა, გაიოზს მიაცქერდება).

მბაუბო – ოო, ოოო, მბაუბოს ისე უხარია! მბაუბოს უყვარს ფლორა, მბაუბოს ფაუნაც უყვარს და შენ გადარჩი, როცა ომია, დიდი ომი, აქ, აფრიკაში, ტყვიები – წუუ! წუუ! აფეთქებები – ბახ! ბახ! აღარც ფრინველი, აღარც ნადირი, მარტოკა ომი! რა ეშველება მბაუბოს, რა?!

გაიოზი – ააუუუ!!!

მბაუბო – ჩუმად, მგელო! ისევ მოგკლავენ!.. მაგრამ მბაუბოს წამალი აქვს... (მახის კარს ასწევს) მბაუბო ახლა ბალახის ნახარშს დაგალევიანებს და გაიხარებს მბაუბო, რადგან ერთი მგელი გადარჩა... (პირთან მიუტანს წამალს, შეასმევს)

გაიოზი – მაღლობთ, მბაუბო, მე მოვბრუნდი!

მაბუბო – აქ ისეთი ამბავი ატყყდა... ომი, ომი, დიდი ომი, თვითმფრინავები – უუ, უუ! ტანკები – ბახ, ბახ!.. ნადირ-ფრინველი სულ განყვიტეს! რატომ, რატომ?! მონადირე არის მაბუბო, მაგრამ მაბუბო მკვლელი არ არის, (მხარში შეუდგება, გამოიყვანს) ნადი, მგელო, აქედან ნადი და მოაშენე შენი მოდგმა, რადგან მერე კვლავ ინადიროს მაბუბომ შენზე! ახლა სიბრძნე თქვა მაბუბომ დიდი, მაბუბომ იცის!..

გაიოზი (ანყვეტინებს, უცხო ხმით) – არაფერი არ იცის მაბუბომ!

მაბუბო – ჰა? რატომ?

გაიოზი – იდიოტია მაბუბო! ზანგი!

მაბუბო – მგელო, ეს შენ ხარ?! უკვირს მაბუბოს ძლიერ, ძლიერ...

გაიოზი (თავისი ხმით, თავადვე შეძრული) – მე არ ვარ, არა! ვილაცა უცხო ლაპარაკობს ჩემი გულ-გვამიდან, მაბუბო! არ ენდო!!!

მაბუბო – მაბუბო თავის ყურებს უფრო ენდობა...

გაიოზი (ისევ შეცვლილი ხმით) – სად გაქვს ყურები, სად გაქვს სმენა! ყრუა მაბუბო, ყრუ და ბრმაა! შტერია მაბუბო, შტერი! არ ესმის მაბუბოს ცივილიზაციის სიკეთე, არა!!! გაუნათლებელია მაბუბო, ბნელ წარსულში ჩარჩენილი! არ უყვარს მაბუბოს აფრიკა! რომ უყვარდეს, უმალ მიხვდებოდა, რასაც ნიშნავს სავანაში აგებული ცათამბჯენები და მეტროები და სტადიონები და საზოგადოებრივი კვების ობიექტები... არ უყვარს მაბუბოს თავისი ხალხიც!.. რომ უყვარდეს უმალ მიხვდებოდა, რას ნიშნავს, როცა ქარხანა ბოლავს და ბიუჯეტი ფულით ივსება და შემდეგ, ბიუჯეტში აკუმულირებული სახსრები უბრუნდება ხელახლა ხალხს და რიგდება პენსიები და ხელფასები... (შეძრუნებული გაიოზი ახლა თავის ხმით ამბობს) მაბუბო, მიშველე რამე, მაბუბო, ეს მე არ ვარ!

მაბუბო – მაბუბოს ისე შეეშინდა, რომ დადუმდება სამარადჟამოდ ახლა მაბუბო... აი დავდუმდი!..

გაიოზი – არ შეცდე, არ დადუმდე, მაბუბო, გაიოზი ვარ, მარტოსული მგელი, სხვა ლაპარაკობს ჩემი სტომაქიდან, ისაა, ის!

მაბუბო (თავს გადააქნევს) – ახ, ახ, ახ!

გაიოზი – მიშველე, ერთხელაც მიშველე, მაბუბო, გამიჭერი მაგ აფრიკული სატევარით მუცელი, გადამარჩინე ინდიკოსგან, ის ლაპარაკობს ჩემი პირით!

მაბუბო (სატევარს ამოიღებს) – ოხ, ოხ, ოხ...

გაიოზი – ჩქარა, მაბუბო, მეძნელება ოხერ-მუდრეგის გადმოყლაპვა! გთხოვ, მაბუბო, სანამ კიდე რალაც უთქვამს... რა კომპარულად შევიცვალე, გადამხსენი, მაბუბო, დამიბრუნე ჩემი თავი...

(მაბუბო სცენაზე გამოტილ გაიოზთან ჩაიხრება, სატევარს გადაუსვამს მუცელზე, უეცრად დამფრთხალი ინდიკო გადმოგორდება სცენაზე)

ინდიკო (თვალების ცეცებით) – სად გავჩერდი?

გაიოზი – ხელფასებო, ასე მახსოვს...

ინდიკო – ხო, ხელფასები რიგდება და აგრეთვე რიგდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი გრანტები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გადავწყვიტე, თეოფილესთან ერთად ახალი პროექტი წარვადგინო თემაზე – აფრიკული სავანას ინფრასტრუქტურული ცვლილება და, აქედან გამომდინარე, სასიკეთო შედეგები.

(მაბუბო ფეხზე წამოხტება, გავეშებული მიეჭრება ინდიკოს და თავში უთავაზებს მუშტს)

მაბუბო – ოოო! ოო!!!

(ინდიკო სცენაზე ეცემა)

გაიოზი – ყოჩაღ, მაბუბო, დრო მოვა, მთელი აფრიკა დააფასებს შენს თავდადებას... ახლა ამ მუცელს შევიკვცავ და წავედი ...

მაბუბო (შეშინებული უთითებს ინდიკოსკენ) – ესესესეს...

გაიოზი (მიაცქერდება ინდიკოს) – იცი, რას ვფიქრობ, კეთილო მაბუბო, ამას, აი, ამას, ამ... მეგობარს... ცხელი აფრიკიდან ყველაზე უკიდურეს ჩრდილოეთში ვუკრავ თავს... კი... ლაპლანდიაში... სანტა კლაუსთან... საჩუქრად... მე კი უნდა დავიმალო... სად დავიმალო... (დაფიქრდება, შემდეგ თითქოს იმედი ჩაესახა) ზღაპარში... ჰო, სადმე, ზღაპარში... ზღაპარი კეთილია მაინც, რაც არ უნდა იყოს... თუმცა, ვინ იცის, რადგან კომპარი მომესაჯა, ზღაპარში იქნებ ყოფილი „გაიშნიკი“ ვიყო... (ტყავს შენიშნავს, მიუახლოვდება) ტყავი გამაძრეს, გამოფინეს, მაცქერინებენ... ამაზე მეტი ჯოჯოხეთი ვინმეს უნახავს?!

მაბუბო (ისევ ინდიკოზე მიუთითებს) – ესესესეს...

გაიოზი – არ დაგიტოვებ, მაბუბო, მარტოობა მიმაჩვია, საკუთარი ნაგავი თავად გამაქვს... (მხრებზე მოიგდება ინდიკოს, ცრემლნარევი ხმით) იქნებ არც კი ვარ ძალიან ცუდი... ხო, ბუნების სანიტრობა არაა ეხლა ეს?! (მიდის. შეყოვნდება. ხმას მიაყურადებს).

სურათი შეათე: აქა ამბავი ტყავის გაყოფისა.

სცენის ორივე მხრიდან ხმაურით შემოდის ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი, ვლადიმერ და სერ ოლივერი.

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – თქვენ მე დარია მომიკალით, ჩემი დარიუშა, ასეთ საქციელს არ პატიობენ!

ჯულია – თქვენ კი სერ ოლივერი დასჭერთ... ის ძალი იყო, ეს ადამიანია!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – ფერ-ხორცზე არა უშავს რა, სახვევს ვერ ვხედავ და ჭრილობას!

ჯულია – კუდუსუნშია დაჭრილი, განახოთ?!

სერ ოლივერი – მოითმინეთ, მოითმინეთ, ასე თუ გაგრძელდა, ისევ ომი მოგვინევს, მე გთავაზობთ...

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი (ნამისმიერად) – მე თანახმა ვარ! მომიყრჭდა ომი...

ჯულია – რა გაენყობა, მეც არ დავბადებულვარ მარსზე...

(ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი და ჯულია მგლის ტყავისკენ გაემართებიან, თავ-თავისი მხრიდან მოეჭიდებიან ტყავს, გამოსწევენ და - ტყავი შუაზე იყოფა).

სერ ოლივერი – უკაცრავად... და მე?!

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი – თქვენ ცოლმა გინილადოთ... დიას!..

სერ ოლივერი – ჯულია!..

ჯულია – არ გამეკარო, ოლივერ... მე გშორდები!..

მაბუბო – ხა, ხა, ხა!

გაიოზი (სცენის სიღრმიდან) – გეცინება მამბუბო! გავიცინებდი შენთან ერთად, მაგრამ მემ-ნარა... ხედავ, გამგლიჯეს!

მაბუბო – ეეხხ!..

გაიოზი – სწორედაც – ეეხხ!

(გატრიალდება, მიდის, თვალს ეფარება, სერ ოლივერი გაოგნებული შესცქერის ჯულიას. ჯულია და ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი თავის წილ ტყავს ათვალეირებენ მუშტრის თვალით, მამბუბო გაიოზს ხელს უქნევს გამომშვიდობების ნიშნად.

ჩამობნელდება.

ფარდა.

ღვანულასილი

უნიკალურია ქართულ-ებრაული ურთიერთობა. საქმე მარტო ორიათას ექვსასი წლის თანაცხოვრებას არ ეხება. სამშობლოსა და ისტორიული სამშობლოს განცდა მთლიანობაა, გაუზზარავი და ამაღლებული განცდა.

ეს დრომ დაამტკიცა.

საქართველოს ისტორიას არ ახსოვს ქართველ ებრაელს ელაღატოს საქართველოსათვის. რუსეთ-საქართველოს ომში აფხაზეთში ყველა ეროვნების კაცმა ესროლა ტყვია ქართველს, გარდა ქართველი ებრაელისა. ლალატის შემთხვევა (რომ ყოფილიყო, არ გავიკვირდებოდა: რამდენმა ქართველმა უღალატა საქართველოს?)

ასეთი მაგალითებით სავსეა საქართველოს ისტორია. რამდენმა სხვა ეროვნებამ უღალატა თავის მშობელ ქვეყანას — საქართველოს?

ბევრმა!..

ქართველმა ებრაელმა კი - არა. ამიტომ ვამბობთ, რომ უნიკალურია ქართულ-ებრაული ურთიერთობა.

ამ თეზისის კიდევ ერთი დადასტურებაა ისრაელში ქართველ ებრაელთა მოღვაწეობა და მათი გულმხურვალე დამოკიდებულება ქართული ფასეულობებისა და საერთოდ, საქართველოსადმი. ეს არ არის მარტო ბიოლოგიური ნოსტალგია, ისტორიული ხსოვნის მაგია, მისი გენის გამოძახილი.

ერთ-ერთი მაგალითი დავით ხუბელაშვილის მოღვაწეობაა ისრაელში. დავითის პატრიოტიზმი სწორედ იმ ფეხვებზეა აღმოცენებული, სამშობლოსა და ისტორიულ სამშობლოს რომ აერთიანებს, მათ ხილულსა თუ უხილავ შინაგან კავშირებს რომ გამოხატავს.

დ. ხუბელაშვილს დიდის რუდუნებით შეუგროვებია მასალები, რომელიც ისრაელში ქართული თეატრის ცხოვრებას ეხება. თავად კი მუდამ მოვლენების ცენტრში ტრიალებდა. ხშირად ის იყო პირველი წამომხყები და ტონის მიძღვენი. მოღვაწეობა მისი ბუნებრივი მოთხოვნილება იყო და არა სამსახური. ერთმანეთს შერწყმა მოვალეობის გრძნობა, მადლიერების განცდა და პროფესიული მოთხოვნილება. პირველი წარმატებები ფოტო-ტან არის დაკავშირებული. „როდესაც ფოტოში ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი გავხდი და დიდ საღამოებს ვანყოფი, ოფიცერთა სასახლესა და საქალაქო თეატრში, ანსამბლის გასაძლიერებლად სენაკიდან ჩამოვიყვანე ოთხი მოცეკვავე“.

2010 წელს დ. ხუბელაშვილმა თელ-ავივში გამოსცა წიგნი-ალბომი „ორ ქვეყანას გადაწვდენილი რამის შუქი“.

წიგნი მდიდარია საილუსტრაციო ფოტომასალითაც და ტექსტითაც. ეს არის ფართო პანორამა ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობისა. წიგნში გადმოცემულია ისრაელში ქართული თეატრის მთელი ისტორია. წიგნი ფართო მასშტაბშია გააზრებული, რომელსაც ისტორიული და შემეცნებითი ღირებულება აქვს.

ძნელი გზა გაიარა დ. ხუბელაშვილის თეატრმა. შემოქმედებითი ცხოვრება ყოველთვის რთულია, მით უფრო სპეციფიკურ პირობებში. დ. ხუბელაშვილი წერს: „ორი წლის შემდეგ ჩვენი თეატრი გახდა ცნობილი მთელს ისრაელში. გვინვედენენ საღამოებზე ხაიფაში, თელ-ავივში. ამოდმი, ლოდმი, იეროქალაქში. გვინ-დებოდა გამოსვლები დიდ სცენებზე.“ ხალხი ყოველთვის დიდი სიყვარულით სვდებოდა ენთუზიასთან ხელოვნებას. „ვისაც ოდესმე რაიმე საქმე ჰქონია ქართულ თეატრთან, ესმის მისი მონოდება და დანიშნულება, მიხვდება, თუ რა მეტად საჭირო და სასარგებლო საზოგადოებრივ საქმეს ემსახურებიან ჩვენი მსახიობები. ემსახურებიან ჩვენი კულტურული და ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას უანგაროდ, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით. მოდით, ჩვენც სიყვარულით და მადლიერების გრძნობით ვუპასუხოთ ამ კეთილშობილურ და მშვენიერ აღმადგენს“, - წერდა ჟურნალი „ჩირალდანი“ 1977 წელს.

დ. ხუბელაშვილის წიგნის ყოველი გვერდი სიყვარულით არის გამსჭვალული. ყველა წერილში, დოკუმენტში ჩანს, თუ რა რთული და სახელოვანი გზა გავხლართვი ისრაელში ქართულმა თეატრმა და მისმა თავდადებულმა მოღვაწემ დავით ხუბელაშვილმა.

წიგნში არავის ღვანლი არ არის დავინყებულები. ყოველ მსახიობს, ჟურნალისტს, მწერალსა თუ საქართველოდან საგასტროლოდ ჩასულ მოღვაწეს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. შრომა ფართო სპექტრშია წარმოდგენილი. აქ შეხვდებით რ. სტურუას გამოსვლასაც, პრეზიდენტის სიტყვასაც და სხვათა სახელებსაც, მაგრამ ყველა გაერთიანებულია ერთი თემის ირგვლივ. არავის ღვანლი არ არის დავინყებულები. ხაზგასმულია ხაიმ ხუბელაშვილის დამსახურება და ეს გასაგებიც არის. ყველამ კარგად ვიცით, რომ ჟურნალმა „დრომამ“ განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართულ-ებრაულ კულტურულ ურთიერთობებში.

დ. ხუბელაშვილის წიგნი მოიცავს არა მარტო თეატრის პრობლემებს, არამედ ქართული ქორეოგრაფიის გზასაც. ისრაელში ქართული ცეკვის არაერთი ანსამბლია.

დ. ხუბელაშვილის წიგნი მდიდარ ინფორმაციას მოიცავს. ავტორს დიდი შრომა გაუწევია მასალების მოსაძიებლად. ინფორმაცია ერთობ უხვია და გონივრულად განლაგებული. წიგნი კარგად არის დასურათებული, გამოცემულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე.

არასოდეს დამეინყებდა ისრაელში მოგზაურობა ეფრაიმ გურის თავკაცობით, გულმხურვალე მასპინძლობით მომეცა საშუალება მენახა წმინდა მინა, მისი ხალხის რეალური სიყვარული თავისი ქვეყნისადმი. როგორ აშენებდნენ, როგორ ითმენდნენ გაჭირვებას, როგორ იბრძოდნენ გაუდაბურებული ადგილების აყვავებისათვის. ჩემთვის სამაგალითო და მისაბაძი იყო ყველაფერი, რასაც წმინდა მინაზე ვხედავდი. სიყვარული ავგამაძლევს, რუსთაველმა რომ ბრძანა, ეს მარტო ქალ-ვაჟის სიყვარულზე კი არაა თქმული, ზოგადად და უპირველესად, სამშობლოს სიყვარულზე. ამის მაგალითს ისრაელის ქვეყანა. ხალხის სიყვარულმა აღამალა იგი და ამიტომ სძლია მტერსაც და ათას სიდუხჭირესაც.

ქართველი ხალხის, ქართული კულტურის სიყვარულით არის ამაღლებული დავით ხუბელაშვილის წიგნი „ორ ქვეყანას გადაწვდენილი რამის შუქი“.

წ ე ც ე ნ ზ ი ა

თამარ

ქუთათელაძე

კოტე ნინიკაშვილის შვიდი ახალი ნიგნი

2010 წელს ქართულ თეატრალურ ბიბლიოთეკას შეემატა თეატრმცოდნე კოტე ნინიკაშვილის მიერ საკუთარი სახსრებით ქართულ და ინგლისურ ენებზე შექმნილი და გამოცემილი „ქართული თეატრის საცავში“ დაბეჭდილი შვიდი ახალი ნიგნი. ისინი მიეძღვნა ქართული თეატრის სახელოვან მოღვაწეებს: ვახტანგ ჭაბუკიანს, ვერიკო ანჯაფარიძეს, უშანგი ჩხეიძეს, ეროსი მანჯგალაძეს, გიორგი შავგულიძეს, სერგო ზაქარიაძეს, აკაკი ხორავას - იმ გამორჩეულ პიროვნებებს, რომლებმაც ქართველი ერის სახე და სული სკვეთება კიდევ ერთხელ და მკაფიოდ წარმოაჩინეს. თითოეული მათგანი წარმოშვა თავად ერის ცნობიერებამ. მათი ნაღვანი კი - თავის მხრივ, ერის პოტენციალსაც ასახავდა, მის სულიერ მდგომარეობასაც, ისტორიულ წარსულსაც, მარადიულ ღირებულებებსაც და თანადროული ეპოქის პრიორიტეტებსაც. ხოლო ამჟამად მათ მიერ შექმნილ მალაქ ხელოვნებაში გარინდულია უკვე გარდასული, მათივე თანამედროვე დროის საშემსრულებლო ხელოვნების მიღწევები. ამ თვისების მატარებელია ერის გამორჩეული შვილების ძალზე მცირე ჯგუფის, ღვთისგან რჩეული ადამიანების ნაღვანი, რომელიც ამჯერად უკვე მარადისობის კატეგორიაში განიხილება და შთამომავლობას უნახავს პიროვნულ და ხელოვნებისულ ფასეულობებს.

კოტე ნინიკაშვილისეული ნიგნების დასათაურება ეხმიანება დიდი ქართველი მოღვაწეებისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ დამოკიდებულებას კონკრეტული შემოქმედისადმი.

ტული შემოქმედისადმი. ნიგნში სახელწოდებით „მოვლენა“ (კოტე ნინიკაშვილი, „ქართული თეატრის საცავი“ თბ. 2010წ.) ავტორის მიერ წარმოდგენილია ვ. ჭაბუკიანის შემოქმედებით მოღვაწეობის ამსახველი მნიშვნელოვანი ფაქტები, დიდი ქორეოგრაფის მიღწევები და მისი განუმეორებელი ადგილი თეატრის ისტორიაში, რომელზედაც დიდი გავლენა მოახდინა კოტე მარჯანიშვილის რეჟისორულმა ძიებებმა, საუკუნის დასაწყისის თეატრალურმა მოდერნმა და გ. გურჯიევის ოკულტისტურმა ლექციებმა.

კოტე ნინიკაშვილის ნიგნში წარმოჩენილია ვ. ჭაბუკიანის თამამი, ნოვატორული შემოქმედებითი ძიებები ქართული მოდერნული საბალეტო ხელოვნების ჩამოყალიბების თაობაზე.

ვ. ჭაბუკიანის შემოქმედების თვითმხილველი კ. ნინიკაშვილი ლაკონურად ანალიზებს ვ. ჭაბუკიანის საგვირგვინო დადგმას და დიდი ხელოვანის მთავარ პარტიას ა. მაჭავარიანის „ოტელოში.“ როგორც ავტორი წერს, დიდი მოცეკვავე ქორეოგრაფიული ლექსიკით ამაღლდა შექსპირული გმირის კონგენიალობამდე.

უშანგი ჩხეიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ, სოლიდური მოცულობის კრებულში (შემდგენელ-რედაქტორი კოტე ნინიკაშვილი, 2010წ.) ავტორმა გააერთიანა მსახიობის შემოქმედებითი შემოქმედებითი ვრცელი მასალა - „ჩემი ჰამლეტი“, „უშანგი ჩხეიძის მუშაობა როლზე, მისი წრფელი, კრიტიკული შენიშვნები მსახიობის აღზრდაზე.

კ. ნინიკაშვილის რედაქციით გამოცემულ კრებულში ნათლად იკითხება მსახიობის შემოქმედებითი პორტრეტი, მისი გამოკვეთილი ადგილი ქართული თეატრის ისტორიაში.

„ვერიკო“ (კოტე ნინიკაშვილი, „ქართული თეატრის საცავი“ თბ. 2010წ.) ასე დაასათაურა კოტე ნინიკაშვილმა დიდი ქართველი მსახიობისადმი მიძღვნილი ნიგნი, რომელსაც განუმეორებელი საშემსრულებლო ხელოვნებით მოხიბლულმა საზოგადოებამ თავადვე შეარქვა - ვერიკო. ავტორი პირველი გვერდიდანვე გვანვდის ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ დიდი ბრიტანეთის ხელოვნების აკადემიის კვლევითი ცენტრის მიერ XX საუკუნის დასასრულს ჩატარებულმა გამოკვლევებმა ვერიკო ანჯაფარიძე გასული საუკუნის მსოფლიოს საუკეთესო მსახიობთა რჩეულ ათეულს მიაკუთვნა. ნიგნში კოტე ნინიკაშვილი ლაკონურად აყალიბებს ვერიკოსეული საშემსრულებლო ხელოვნების ძირითად ხელნერას. იგი აღნიშნავს, რომ მსახიობს ახასიათებდა ქართველი ქალის მებრძოლი სულისკვეთების გამომხატველი ტემპერამენტი, ამაყი, შეუპოვარი და მტკიცე ხასიათი, რაც მკაფიოდ იქნა გაცხადებული ვ. ანჯაფარიძისეულ მრავალაზროვან ხელოვნებაში. სამართლიანად შენიშნავს ავტორი, რომ უნიკალური ინდივიდუალობის მქონე მსახიობს შვიდი ათეული წელი ეყურა ქართული სამსახიობო ხელოვნების ავანგარდული პოზიციები და სიცოცხლის ბოლომდე წარმოადგენდა დიდი მაცხოვრის სახელოვანი თეატრის ცოცხალ, ერთგულ მემკვიდრეს. ქარიშხლიანი საუკუნის დასაწყისის ჰეროიკული, აგრესიული მოდერნი და დიდ რეჟისორთან მიღებული წრთობა მას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა და ვერიკოსეულ ნაწილად, მისი საშემსრულებლო ხელოვნების უმთავრეს თვისებად იქცა. უჩვეულოდ ორიგინალური, მისტიური გამომსახველი ხერხები, მომაჯადოებელი გამოხედვები, მღერადი მუსიკალური ინტონაცია, ცეკვადი პლასტიკა ვერიკოსეულ ხელნერად, ვერიკოსეულ თეატრად იქცა. ტრაგიკული სახეები მისი სტიქია იყო და თეატრის ისტორიას შეემატა განუმეორებელი ოფელია, ივდითი, მარგარიტა გოტიე, მედეა, ოთარაანთ ქვრივი, ეუხენა.

კინოხელოვნებაში მოღვაწეობა ვ. ანჯაფარიძემ 1925 წლიდან დაიწყო და სამართლიანად წერს ავტორი, რომ მსახიობმა მალაპროფესიული ოსტატობით შექმნა დიდი როლები (რუსუდანი, ოთარანთ ქვრივი) და უმცირესი ეპიზოდური, გროტესკულობითა და ჟანრის შეგრძნების ოსტატობით გამორჩეული, მაგრამ დაუვინყარი სახეები, მათ შორის ქალბატონი („ქეთო და კოტე“), ვენინა („რაც გინახავს, ველარ ნახავ“), ხოლო თ. აბულაძის „მონანიებაში“ მხოლოდ ერთხელ, ფინალურ ეპიზოდში გაიქცევა დიდი ვერიკოს მიერ შექმნილი ხანდაზმული, დეკლასირებული, მაგრამ უჩვეულოდ ამაყი თავდაჭერის ზვიადი ქალბატონის სახე. იგი კადრიდან მაყურებლისადმი მიმართულ ერთადერთ ფრაზას წარმოსთქვამს, მაგრამ დაუვინყარ, მრავალაზროვან სახეს ქმნის. აქ იგი გასული საუკუნის მრავალჭირნახულ, განრისხებულ კეთილშობილსაც ჩამოჰგავს, სადაც თითქოს საკუთარ, ვერიკოსეულ ანდერსაც, ბოლო სიტყვასაც გვიმხვს. „ეს გზა ლეთისმშობლის ტაძართან მიმიყვანს?! არა?! მაშ, რა საჭიროა ეს გზა, თუ ტაძართან არ მიმიყვანს?!“ ამ მრავალმნიშვნელოვანი სიტყვებით, მედიდური გამოხედვით დაფიქსირდა ვერიკოსეული უკანასკნელი მხატვრული სახე ქართული სამსახიობო ხელოვნების სახელოვან ისტორიაში.



კოტე ნინიკაშვილი საკუთარ დამოკიდებულებასაც განამხვლეს ამ დიდი მსახიობის ცხოვრებისეული პორტრეტის, მისი პოზიციის თაობაზე და აღნიშნავს, რომ კონფლიქტური, უკომპრომისო, რთული და ფეთქებადი ხასიათის დიდებული ქალბატონი არაერთხელ აღმოჩნდა თეატრის ირგვლივ არსებული მრავალი მითქმა-მოთქმის ეპიცენტრში. თუმცა მას, როგორც დიდ მსახიობს, არაფერი აკრთობდა, რადგან ცხოვრების სცენაზეც ავანსცენისკენ ილტვოდა და აქტიურად იყო ჩართული თავისი დროის ქართული თეატრის განვითარებისა თუ ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის განსჯის პროცესში.

აკაკი ხორავასადმი მიძღვნილ წიგნში (კოტე ნინიკაშვილი „ქართული თეატრის საცავი“, თბ. 2010 წ.) კ. ნინიკაშვილი ლაკონურად აღწერს ა. ხორავასეული სამემსრულებლო ხელოვნების უმთავრეს გამომსახველობით ხერხებს, მის ყველაზე წარმატებულ როლებს. ავტორი შენიშნავს, რომ ეს დიდი მსახიობი, ს. ახმეტელის გმირულ-ჰეროიკული თეატრის ესთეტიკის წარმმართველი და უცვლელი პროტაგონისტი, ახმეტელისეული ტრიუმფალური სპექტაკლების წარმატებების დიდი თანამონაწილე იყო. განუშეორებელი ანზორი, ბერსენევი, კარლ მოორი, მოხუცი არგიმდი, მოგვიანებით კი სწორუპოვარი ოდიშპოსი, ივანე მრისხანე და ოტელიო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე განსაზღვრავდნენ დედაქალაქის ცენტრალური თეატრის მხატვრულ მიმართულებასა და მის უმთავრეს სტილს.

კ. ნინიკაშვილისეულ წიგნში წარმოდგენილია ა. ხორავას დიდი ნიჭის თაყვანისმცემელთა, თეატრის მოღვაწეთა, პარტნიორთა, მკაცრ კრიტიკოსთა – ვ. კიკნაძის, ნ. გურაბანიძის, ა. ფალავას, დ. ჯანელიძის, ბ. ჟღენტის, გ. ბოიაჯიევის, ე. გუგუშვილის, თ. ჭავჭავაძის, ვ. ანჯაფარიძის, ს. შანშიაშვილის, შ. დადიანის, გ. ლეონიძის, ჩ. ჩიქოვანის, გ. გეგეჭკორის, ზ. ანჯაფარიძის მალაპროფესიული შეფასებები და მოსაზრებები. ისინიც, თავის მხრივ, ასახავენ სახელოვანი მსახიობის ხელოვნების ღირსებებსა და დიდი ზემოქმედების ძალას. წიგნში მოცემულია აგრეთვე ვ. კაჩალოვის, ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს, მ. მოროზოვის, მ. თუმანიშვილის, დ. ალექსიძის, ე. მანჯგალაძის, მ. ჭიაურელის, გ. ლორთქიფანიძის, ვ. გოძიაშვილის გამონათქვამები მსახიობის შესახებ.

წიგნში „სერგო ზაქარიადე“ (კოტე ნინიკაშვილი. ქართული თეატრის საცავი“. თბ. 2010 წ.) სამართლიანად შენიშნავს, რომ ოთხი ათეული წლის შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე ს. ზაქარიადემ საოცარ დიდებას მიაღწია. მან გააგრძელა და განავითარა ქართული სამსახიობო ხელოვნების საუკეთესო ტრადიციები. ამავე დროს კი იქცა ქართულ თეატრში წარმოქმნილი არაერთი ნოვატორული მიმდინარეობის თანაავტორად. ფართო დიაპაზონისა და მკვეთრი ინდივიდუალობის ხელოვანს ხელენიფებოდა ფსიქოლოგიური დრამიდან ტრაგედიამდე, ყოფითი კომედიიდან გროტესკსა და ტრაგიკომიკურ ჟანრამდე ამაღლება. იგი იყო მხატვრული კითხვის დიდოსტატი. ავტორმა შეარჩია გ. ხარაბაძის, ა. ფეროსისა და სხვა თეატრის გამოჩენილი მოღვაწეების გამონათქვამები მსახიობის შესახებ.

გიორგი შავგულიძეზე შექმნილ წიგნს კ. ნინიკაშვილმა „გაელვება“ (კოტე ნინიკაშვილი, „ქართული თეატრის საცავი“ თბ. 2010წ.) უწოდა და ამით გამოხატა არა მარტო საკუთარი, არამედ მსახიობის ნიჭის თაყვანისმცემელთა საერთო განწყობაც. როგორც ავტორი წერს, უნიკალური არტისტიზმით გამორჩეულ გ. შავგულიძეს თეატრალური განათლება არ მიუღია. იგი მარჯანიშვილთან ეზიარა გარდასახვის ხელოვნების იდუმალ სიღრმეს. ხელენიფებოდა უკიდურესი კონტრასტების იშვიათი სრულყოფით წარმოჩენა და ხანმოკლე სიცოცხლით სრულიად საქართველოს ატკინა გული, რაც აისახა კიდევ ამ ორიგინალური მსახიობისადმი მიძღვნილ ლექსშიც:



„რამდენი ჩვენგან წასული კაცის,
ვერ გადავიხდით ვერასდროს ამაგს,
მაგრამ ის ერთი სხვა იყო მაინც,



კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს.“ (მიხ. ქვლივიძე)

გიორგი შავგულიძის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახე იყო ნიკო (ვ. ტა-ბლიაშვილის „ქეთო და კოტე“). თეატრის დიდ სცენაზე კი მისი შემოქმედებითი შედეგები გახდა ხარტიონი („კოლმეურნის ქორწინება“). ამ როლით გიორგი შავგულიძე დიდ მსახიობად მოვევლინა ქართულ თეატრს, ისტორიას შემორჩა როგორც ხარტიონის უნიკალური შემსრულებელი. „ყოველ სპექტაკლში როლს ახალ ნიუანსს მატებდა, ამიტომ მის სანახავად როგორც დღესასწაულზე, ისე მოდიოდნენ... ერთსა და იმავე წარ-მოდგენაზე მოდიოდნენ ათჯერ, ოცჯერ... მის როლზე ვერ იტყვოდი, რომ უკვე ნანახი გქონდა... ასე დაუს-რულეობდა დადიოდნენ ვ. შავგულიძის სანახავად, რადგან პანჯგალადის სამემსრულებლო ხელოვნების დიპლომატიის მოიტანა იგი“ (გ.ლორთქიფანიძე) „იმვითაი პლასტიურობა... ყველა როლში ყველაზე უფრო არსებო-თის მიგნების უნარი, პერსონაჟის გამოკვეთა კამკაშა, მკვეთრი ფერებით, იუმორის მახვილი გრძნობა, იმ-პროვიზაცია, თავისუფლება, თანდაყოლილი არტისტიზმი, განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებდა მის თამაშს.“ – ნერდა ვ. ბერიძე.

„ეროსი“ (კოტე ნინიკაშვილი, „ქართული თეატრის საცავი“ თბ. 2010წ.) ე. მანჯგალაძისადმი მიძღვნილ ნიგნში მკაფიოდ იკვეთება ავტორისეული დამოკიდებულება ამ დიდი და გაუხარჯავი მსახიობისადმი. როგორც აღნიშნულია კ. ნინიკაშვილისეულ ნიგნში, რადგან მანჯგალაძის სამემსრულებლო ხელოვნების დიპლომატიის სტუდენტობიდანვე წარმოჩნდა და თეატრალური ინსტიტუტის პატარა სცენაზევე შექმნა მსახიობმა საკუთარი შემოქმედებითი ბიოგრაფიის პირველი მნიშვნელოვანი სცენური სახე - ტეტერევი („მდაბიონი,“ 1945). ხოლო რუსთაველის თეატრის სცენაზე პეშეკი („ადაამიანებო, იყავით ფხიზლად“) აღ-მოჩნდა მისი შემოქმედებითი დაბადება დიდ სცენაზე. წარმატებული იყო ეროსის მიერ განსახიერებული თალლითი მევახშე არუთინ ზიმზიმოვი („პეპო“), მედიდური და მანერული ვანო ფანტიაშვილი („ხანუმა“), მაღალ ყავისფერ ბენვის ქუდსა და პიჟამოში გამოსწორილი დათვი („ჭინჭრაქა“). ხოლო შედევრად იქცა ეროსისეული ხარბი და ცბიერი ლოპესი (ჯ. ფლეტჩერი „ესპანელი მღვდელი“). მსახიობს ჰქონდა მოვლენებზე უსწრაფესი რეაგირების უნარი, დიდი იუმორი, იმპროვიზაციისა და ფანტაზიის უღევი მარაგი. იყო ფეხბურთის რეპორტაჟების პირველი კომენტატორი.

ნიგნში უხვად განთავსდა დალექსიძის, ნ. ღვინფაძის, რ. ჩხეიძის, რ. სტურუას, თ. ჩხეიძის, გ. გეგეჭკო-რის, კ. მახარაძის, ნ. გურაბანიძის, ვ. კიკნაძის, ნ. ურუშაძის, ნ. არველაძის, მ. ჩახავას, მ. თუმანიშვილის, რ. ჩხიკვაძის, ი. გვათუას, მ. მესხის მოგონებები.

კოტე ნინიკაშვილის მიერ შექმნილ ნიგნებს მაღალი შეფასებებით გამოეხმაურნენ ქართული თეატრ-ცოდნეობის სახელოვანი წარმომადგენლები. ბატონი ნოდარ გურაბანიძის მოსაზრებით – „დიდ საქმეს აკეთებს ბატონი კოტე. მის მიერ შექმნილი კრებულები რუსთაველისა და რუსთავის თეატრებზე, გიგას, სოფიკოს შემოქმედებითი მოღვაწეობის თაობაზე, ჩემი სამაგიდო ნიგნებია და აქტიურად ვსარგებლობ ხოლმე. თუმცა ისინი ალბათ საინტერესოა ყველასთვის, ვისაც თეატრი უყვარს. ამჯერად ეს ნიგნები დაგ-ვირგვინდა უმანგი ჩხეიძისადმი მიძღვნილი შესანიშნავი საიუბილეო კრებულით, სადაც თავმოყრილია ამ დიდი მსახიობის თითქმის ყველა მნიშვნელოვან როლთან დაკავშირებული უხვი მასალა.“ ქალბატონი ნა-თელა ურუშაძის აზრით, „გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, თუ რა დროს შეიქმნა ეს ნიგნები. დღეს საოცრად კრიტიკული სიტუაციაა, ახალგაზრდებს გული აუცრუვდათ ნიგნზე. ეს საგანგაშოა. ბუნებრივია, აუცილებელია კომპიუტერის კარგი ცოდნა, მაგრამ კომპიუტერი იძლევა მხოლოდ ინფორმაციას, დიას, ძალზე საჭირო და აუცილებელ ინფორმაციას, მაგრამ მას არ შეუძლია ახალგაზრდას მისცეს ცოდნა. ცოდნას იძლევა სწორედ ნიგნი. გარდა ამისა, ნიგნს წერს პროფესიონალი და მასში განთავსებული ავტო-რისეული მოსაზრებებიც ძალზე მნიშვნელოვანია.“



შეცდომის გასწორება:

რედაქცია ბოდიშს უხდის მკითხველს დაშვებული შეცდომის გამო: ჟურნალის მეოთხე ნომერი, ნაცვლად „ივლის-აგვისტოსი,“ დათარიღებული გახლდათ „აგვისტო-სექტემბრით.“

გამათხროვება



კარლო საკანდელიძე

ქართულმა თეატრმა დაკარგა ძვირფასი შემოქმედი - უკანასკნელ გზაზე ვაცილებთ ხალხის საყვარელ მსახიობს. კარლო საკანდელიძეს სახალხო არტისტის წოდებაც ჰქონდა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ იგი ხალხის საყვარელი მსახიობი გახდა. ეს გახლდათ მსახიობის ყველაზე ძვირფასი მონაპოვარი.

კარლო საკანდელიძემ თავისი ადგილი დაიმკვიდრა იმ კოლექტივში, რომელშიც ბუმბერაზი მსახიობები მოღვაწეობდნენ. ძნელი იყო მათი ღირსეული პარტნიორობა, მაგრამ კარლომ შრომისმოყვარეობით, პროფესიონალიზმით ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ თავისი სიტყვა ეთქვა ამ თეატრში – ამ დიდებული მსახიობების გვერდით.

გიორგი ქავთარაძე

ჩვენ დღეს ვაცილებთ ქართული თეატრისა და კინოს ერთ-ერთ ბრწყინვალე მსახიობს, უმაღლეს პროფესიონალს. ის იყო ჩვენი და პირადად ჩემი მეგობარი. ჩვენ ერთად გავატარეთ თითქმის 70 წელი. იგი იყო პატიოსანი, წესიერი ადამიანი.

გურამ საღარაძე

რთულია რამის თქმა ისეთ ძვირფას ადამიანზე, როგორც ბატონი კარლო იყო. დღეს მონემ ვართ დიდი სიყვარულის, თავყვანისცემის, მეგობრობის, არტისტობის და მოქალაქეობის, რომელსაც ქართველი მაყურებელი დიდი სიყვარულით ემშვიდობება. მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ქართული მიწა!

ზაალ ჩიქოვანი

როდესაც კინოში ჩვენი თანამშრომლობა დაიწყო, მაშინ ორივენი ახალგაზრდები ვიყავით. ეს იყო „მაგდანას ლურჯას“ გადაღების დროს. მენახშირე ბიჭი კარლოს პირველი როლი იყო კინოში. მან სურვილი გამოთქვა, რომ თავად ემღერა მენახშირის სიმღერა და ეს შესძლო ძალიან კარგად. ამის შემდეგ მან შესანიშნავი სახეები შექმნა ქართულ კინემატოგრაფში. ასევე შეუდარებელი იყო იგი თეატრშიც.

რეზო ჩხეიძე

ჩვენ დავკარგეთ ძვირფასი მეგობარი, დიდებული პარტნიორი. კარლო საკანდელიძის გავენების დღემ დაგვანახა, თუ როგორ უყვარდა ხალხს იგი. ამ დღეს გამოჩნდა, თუ როგორ აფასებს ხალხი საყვარელ შემოქმედს.

ჯამალ ლაღანიძე

გაზეტის პიხვედ გვეხღზე:

სცენა გ. ტოვსტონოგოვის სახელოვის დიდი ღრამატული თეატრის
სვექტაკლიდან „კოვენჰაბენი“

მეოთხე გვეხღზე:

სცენა ლიტვის „მანო ფორტასის თეატრის“ სვექტაკლიდან
„ჰამლეტი“



„თეატრი და ცხოვრება“
„ТЕАТР И ЖИЗНЬ“
„THEATRE AND LIFE“

№5, 2010

ტექნიკური რედაქტორი
ელისო ცქიტიშვილი

კორექტორი
მარინე ვასაძე

ელექტრო ფოსტა - TEATRIDACXOVREBA@GMAIL.COM

ფასი — სახელმეკრულეზო

რედაქციის მისამართი: თბილისი 380007, გ. ლეონიძის ქ. №11ა.

ტელ.: 999096

აიწყო და დაკაბადონდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში.

დაიბეჭდა გამომცემლობა „ქართულ ელიტაში.“

ქართული თეატრის ხინჯულ მოღვაწეებს: ნათელა
ურუშაძეს, გივი ბერიკაშვილს და თემურ ჩხეიძეს
კულოტავთ „თბილისის საპატო მოქალაქის“ წოდების
მინიჭებას!

